

ცარაბ პეზევე



გალათის მონასტერი  
ეგზარქოსობის დროს



## **წიგნი დაფინანსებულია ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ**

წიგნის გამოცემაში გაწეული თანადგომისათვის ულრ-  
მეს მადლობას მოვახსენებთ ქუთაისის ადგილობრივი  
თვითმმართველობის კულტურის, სპორტისა და ტურ-  
იზმის საქალაქო სამსახურს

წიგნში გამოყენებული ფოტოები მოგვაწოდა საქართ-  
ველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრის  
თანამშრომელმა ბატონმა ლუარსაბ ტოვონიძემ, რის-  
თვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
სახელმწიფო არქივების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტი  
ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი

## მეჩაბ ლიტერატურის

გელათის  
მონასტერი  
ეპიკო-ლიტერატურული  
ძროს



საგამომცემლო  
ცენტრი  
ქუთაისი  
2006

წინამდებარე წიგნი ცხრასაუკუნოვანი გელათის მონასტრის ისტორიის მხოლოდ ერთი საუკუნის—XIX-ის დასაწყისიდან XX-ს-ის 20-იან წლებამდე—წარმოჩენის ცდაა. ავტორი ცდილობს მრავალი ახალი საარქივო დოკუმენტების მოშველიებით სრულყოფილად და დეტალურად გადმოსცეს გელათის სამონასტრო ცხოვრების ეს მონაკვეთი.

გამოკვლევას დართული აქტების მონასტრის ქონების 1841 და 1923 წლების აღწერათა სიები, რომლებიც პირველად ქვეყნდება.

წიგნს ერთვის რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე.

**რედაქტორი** გიორგი მჭედლიძე  
ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

**რეცენზენტები:** ალექსანდრე ბენდიანიშვილი  
ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

ელდარ ბუგულაშვილი  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

**მხატვარი** ჯავა ჭეიშვილი

## შესავალი

გასრულდა 900 წელი, რაც საქართველოს დიდმა მეფემ, დავით IV აღმაშენებელმა იმდროინდელ სატახტო ქალაქ ქუთაისის მახლობლად საფუძველი ჩაუყარა გელათის მონასტერს, რომელიც სულ მალე გახდა სრულიად საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რელიგიური, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი. როგორც მემატიანე მოგვითხრობს, დავით მეფემ „რამეთუ მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა, რომელიცა გამოირჩია მადლმან საღმრთომან ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცავ გარდაართხა ტაძარი ყოვლად წმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღვთისა, რაბამ რამე აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნელთა“,<sup>1</sup> ყოვლად უნაკლო ადგილი, სადაც მეფემ მონასტრის აგება დაიწყო, იყო დღევანდელი სოფელი გელათი, რომელიც ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთით 10 კმ-ის დაშორებით მდებარეობს.

დავით აღმაშენებლის მიერ გელათის არჩევა დიდი სამონასტრო კომპლექსის მშენებლობისათვის შემთხვევითი მოვლენა არ იყო. გელათის მხოლოდ „ყოვლად შუენიერი ბუნება“ არ იქნებოდა საკმარისი ამისათვის. სავარაუდოა, რომ მონასტრის დაარსებამდეც „გელათის ქვეყანა“ საკმაოდ დაწინაურებული მხარე იყო და მისი დაფუძნების ერთ-ერთი პირობა ესეც უნდა ყოფილიყო, რასაც აღბათ ნათელს მოჰყენს ამ მხარის, სადაც დადასტურებულია ადამიანთა ცხოვრების უწყვეტი ნაკვალევი პალეოლითის ხანიდან დღემდე, არქეოლოგიური შესწავლა. ამასთანავე გელათის გადაქცევა ფეოდალური საქართველოს საკულტო-რელიგიურ და კულტურულ, საგანმანათლებლო ცენტრად,

---

1 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, „სახელგამი“, თბ. 1955, ტ. I გვ. 329, 330

ბაგრატიონთა საძვალედ, „მეორედ იერუსალიმად და სხუად ათინად“ და „ახალ რომად“, სხვა მიზეზებთან ერთად, (მხარის მოწინავეობა ისტორიულ-კულტურული და სამეურნეო თვალ-საზრისით, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა — უპირ-ველესად სატახტო ქალაქ ქუთაისის სიახლოვე) გაპირობებული იყო დიდი საკულტო-რელიგიური ტრადიციებით, რომლის დასტურად გამოდგება გელათის ტერიტორიაზე მიკვლეული ამ დანიშნულების ნაგებობების სიმრავლე და არქაულობა, რომელთა შესახებ საუბარი პირველ თავში გვექნება და, რაც მთავარია, გელათის დაარსება შესაძლებელი გახდა გაერთიანებული საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული აღმავლობით, რომელიც ასევე დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება. „გელათი მიეკუთვნება საქართველოს იმ მცირე ან-სამბლთა რიცხვს, რომელმაც არა მარტო სრულად შემოინახა თავისი ძირითადი ნაგებობანი, არამედ შთამომავლობას დაუტოვა ზუსტი ცნობები მათი დაარსებისა და მშენებლობის შესახებ“.<sup>1</sup>

გელათის მონასტერი XII ს-ის დამდეგით თარიღდება. მისი მშენებლობა 1106 წელს დაწყებულა. ამას ადასტურებს არა ერთი წყარო, მაგალითად, შემოქმედის გულანის მინანერში ვკითხულობთ: „ქართველი (=1106) აქა დავით გელათი დაინუო“. მსგავსი ცნობა შემოუნახავს გელათ-გარეჯის გულანსაც (№186). დავით აღმაშენებლის მემატიანეს გელათის მონასტრის მშენებლობის დაწყების შესახებ ამბავი 1103-1110 წლებს შუა აქვს მოთხოვნილი. დროის ეს მონაკვეთი სავსებით ეთანხმება კინკლოსების ცნობებს.<sup>2</sup>

გელათის მონასტრის მშენებლობა კარგახანს გაგრძელებულა. დავით აღმაშენებელს მისი დამთავრება ვერ მოუსწრია, რასაც თავის ანდერში გულისტყივილით აღნიშნავს: „ხოლო დამრჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძვალე შვილთა ჩემთა უსრულად და წარმყუა მისთვისცა ტკივილი სამარადისო. ან შვილმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულჰყოს ყოვლითურთ საუკუნოდ

1 რ. მეფისაშვილი, თ. ვირსალაძე—გელათი... თბ. 1982 გვ. 7

2 ლ. მენაბდე — ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკ. II, თბ. 1962 გვ. 525

ჩემთვის და მისთვის და მომავალთა ჩემთათვის“.<sup>1</sup> მონასტრის უპირველესი ნაგებობის — ღმრთისმშობლის შობის ტაძრის დასრულება და კურთხევა დემეტრე I (1125-1156) დროს მოხდა, დაახლოებით 1126-1130 წლებს შორის. გარდა ღმრთისმშობლის შობის ტაძრისა, გელათის სამონასტრო კომპლექსში. XII-XIII სს-ში ავებული იქნა და დღემდეა მოღწეული წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიები, სამრეკლო, დავით აღმაშენებლის საფლავი — სამლოცველო კარიბჭე, აკადემიის შენობა, გალავანი და შედარებით გვიანდელი ხანის საცხოვრებელი სახლები, როგორც პ. ზაქარაია აღნიშნავს „მრავალი თაობის ხუროთმოძღვართა მიერ შექმნილ გელათის ნაგებობებს ანსამბლურობა ახასიათებს. ბედნიერ შემთხვევად უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ გელათის მთავარ ნაგებობებს დიდი ცვლილება არ განუცდიათ უამთა ცვლისაგან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გელათის ანსამბლი, დაცულობის მხრივ, საქართველოს ტერიტორიაზე ერთადერთია“.<sup>2</sup>

ღმრთისმშობლის შობის ტაძარი ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა. იგი აშენებულია უზარმაზარი თლილი ქვებით, რომლებიც მახლობელი მთიდან (ელის ქედი) არის ჩამოტანილი. ტაძარითავდაპირველადდახურულიყოფილათხელიქვისფილაქნებით. რამდენიმე საუკუნის შემდეგ, ქვის სახურავის ნაცვლად, გადაუხურავთ კრამიტით. სოლომონ პირველის მეფობისას კი — თუნუქით. ტაძარი სადაა, გუმბათი ეყრდნობა ოთხ სვეტს. დასავლეთის მხრით არის ქანდარა, რომელიც გამოდის ტაძრის შიგა ცენტრისაკენ, სადაც შიგა ქვის კიბით ავდივართ. ტაძარს სამი მხრით აქვს მინაშენები, რომლებშიც სამწირველოები იყო გამართული. ისინი სხვადასხვა დროს XII-XIII საუკუნეებში შენდებოდა. ხუროთმოძღვრები ცდილობდნენ მინაშენების გარეგნული ფორმები მთავარი ნაგებობის არქიტექტურასთან შეეხამებინათ, ამიტომ ტაძარი ერთ მთლიანობაში აღიქმება.

მთავარი ტაძრის მასიურ მძიმე ფორმებს ამსუბუქებს დეკო-

1 მ. საბინინი — საქართველოს სამოთხე სპ.ბ. 1882 გვ. 513

თ. ქორდანია — ქრონიკები... ნ. II ტფ. 1892 გვ. 52

2 პ. ზაქარაია — ქართული ხუროთმოძღვრება XI-XVIII ს.ს. თბ. 1990 გვ. 26

რატიული თაღედი, რომელიც შენობის ოთხივე ფასადს ამკობს და ხაზს უსვამს ნაგებობის ფორმათა სიმაღლისაკენ სწრაფვას (სიმაღლე 36 მეტრია). ტაძრის აღმოსავლეთით გამოწვდილია სამი წანაგოვანი აფსიდი. დეკორატიულ თაღედთან ერთად, გარეთა მორთულობას შეადგენს სარკმელთა პროფილირებული საპირები, ხოლო სამხრეთის ფასადზე გამოირჩევა კომპოზიცია, რომელიც შედგება სარკმელთა ორნამეტირებული საპირებისა და დიდი როზეტისაგან.

ტაძრის შიდა სივრცე, განიერი გუმბათით დაგვირგვინებული, საზეიმო განწყობილებას ქმნის. გუმბათის 16-სარკმლიანი მასიური ყელი ეყრდნობა საკურთხევლის აფსიდის გამონაშვერ კედლებს და ორ მძლავრ საყრდენს, ფართო თაღებით რომ უერთდება ტაძრის დასავლეთის კედლს, მრავალი დიდი სარკმლიდან ტაძარში უხვად იღვრება სინათლე.

მთავარი შესასვლელის სამი კარიდასავლეთითაა გაჭრილი. საკურთხევლის ჩრდილოეთით მოთავსებულია სამკვეთელი, ხოლო სამხრეთით სალარო, საკურთხევლის აბსიდის კონქში წარმოდგენილია ბრნყინვალედ შესრულებული XII ს.-ის განთქმული მოზაიკური კომპოზიცია. კომპოზიციის ცენტრში, ოქროსფერ ფონზე გამოსახულია ღმრთისმშობელი ყრმით, მარჯვნივ და მარცხნივ მთავარანგელოზები — მიქაელი და გაბრიელი. ღმრთისმშობელი შემოსილია მუქი ლურჯი ტანსაცმლით. სამოსელის ოქროსფერი ოქროსფერი ფოჩები იძლევა მოელვარე სახეს. ყრმა იესო ქრისტე წარმოდგენილია ღია ფერის ბრნყინვალე ტანსაცმლით. ის მარჯვენა ხელით იძლევა კურთხევას, ხოლო მარცხენა ხელში უჭირავს გრაგნილი.

გელათის მონასტერში დაცულია სხვადასხვა ეპოქის მხატვრობა, დაწყებული XII საუკუნიდან XIX საუკუნემდე. ფრესკების უმეტესობა გვიან პერიოდს მიეკუთვნება. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ღვთისმშობლის შობის ტაძრის ჩრდილოეთის კედლის ქვედა რეგისტრის მხატვრობა (XVI ს.), სადაც დავით აღმაშენებელია გამოსახული მთელი ტანით, რომელსაც მარცხენა ხელში უჭირავს მთავარი ტაძრის მოდელი, მარჯვენაში — სიგელის გრაგნილი. ეს ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი,

თუმცა გვიანდელი პორტრეტია დავით აღმაშენებლისა, რომელიც დამშვენებულია ასომთავრული წარწერით: „დიდი მეფეთა შორის წარჩინებული აღმაშენებლის საუკუნოდმცა არს ხსენება დავით, ამინ“.

დავით აღმაშენებლის გვერდით გამოსახულია დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი ევდემონ ჩხეტიძე, რომელიც გელათში მოღვაწეობდა XVI საუკუნის II ნახევარში. მისი განკარგულებით შეუსრულებიათ მთავარი ტაძრის ქვედა რეგისტრის ზოგიერთი მხატვრობა. მის გვერდითაა დახატული იმერეთის მეფე ბაგრატ III და მისი მეუღლე ელენე. მათ შემდეგ კი — მეფე გიორგი ბაგრატის ძე და მისი თანამეცხედრე რუსუდანი.

ტაძრის უძველესი მხატვრობა წარმოდგენილია დასავლეთის მინაშენში. აქ შემორჩენილია 1125-1130 წლების მხატვრობის ნაშთები. მხატვრობის ძირითადი თემაა — მსოფლიოს შვიდი საეკლესიო კრება. ტაძრის გუმბათის მხატვრობა XII საუკუნისაა. გუმბათის ცენტრში გამოსახულია მაცხოვარი, ხოლო ბემებზე — ბიბლიური მეფეები და წინასწარმეტყველები.

გელათის მონასტერი ქართველ მეფეთა სამარხად ითვლებოდა. XII საუკუნიდან აქ იკრძალებოდნენ საქართველოს მეფეები, ხოლო XV საუკუნიდან იმერეთის მეფეები. ჩვეულებრივ, მეფეთა სამარხ ადგილად განკუთვნილი იყო მთავარი ტაძრის მინაშენები (ამაზე დაწვრილებით იხილეთ მეხუთე თავში).

მთავარი ტაძრის აღმოსავლეთით დგას წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც XIII ს-შია აგებული. გეგმითა და ფორმით იგი მთავარ ტაძარს იმეორებს, მაგრამ უფრო მცირე ზომისაა. ეკლესია ჯვრის ფორმისაა, ცენტრალურგუმბათიანი. დასავლეთის მხარეზე აქვს გვიანდელი მინაშენი. აღმოსავლეთით გამოწვდილი სამი აფსიდიდან შუათანა თაღედითაა დამშვენებული. ტაძრის კარსარკმლებს შემოვლებული აქვს მოჩუქურთმებული საპირეები. ტაძრის გუმბათი ეყრდნობა ორ მრგვალ მთლიანი ქვისაგან გამოთლილ მასიურ სვეტს და აფსიდის კუთხეებს. კედლებში და გუმბათის ყელში გამოჭრილი სარკმელებიდან უხვად შემოდის შუქი. კედლის მხატვრობა თარიღდება XVI საუკუნით. სამხრეთის კედლებზე გამოხატულია დასავლეთ საქართველოს კათოლი-

კოსი ევდემონი, რომლის მზრუნველობითაც მოიხატა ეკლესია, შემდეგ ბაგრატ III და მისი მეუღლე ელენეა დახატული. დანარჩენ კედლებზეც სახელმწიფო მოღვაწეთა პორტრეტებია. წმ. გიორგის ეკლესია თურქთა შემოსევის შედეგად 1510 წ. დაზიანებულა, მაგრამ მეფე ბაგრატ III-ს მალე განუახლებია. სწორედ ამ დროს დაემთხვა გელათში დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოს კათედრის გადმოტანა.

ღმრთისმშობლის შობის ტაძრის დასავლეთით მდებაროებს წმ. ნიკოლოზის ორსართულიანი ეკლესია. ქვედა სართული ოთხივე მხარეს თაღებითაა გახსნილი, რომელთაც პატარა გუმბათიანი ეკლესია ეყრდნობა.

წმ. ნიკოლოზის ეკლესის დასავლეთით დგას გელათის აკადემიის შენობა. შენობას აღმოსავლეთის მხრიდან აქვს არქიტექტურულად მდიდრულად გაფორმებული კარიბჭე. თავად შენობა 25X10 მ-ის დიდი ზომის ნაგებობაა. თავდაპირველად მას შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთ მხრიდანაც ჰქონია. აკადემიის გაუქმების შემდეგ შენობას სატრაპეზოდ იყენებდნენ და იგი „ქვის პალატისა“ და „დიდი პალატის“ სახელით იხსენიება. წყაროებში დასტურდება, რომ XIX ს-ის 20-იან წლებში ის ჯერ კიდევ სახურავჩაუნგრევლად იდგა.

წმ. ნიკოლოზის ეკლესის ჩრდილოეთით სამრეკლოს სამსართულიანი შენობაა, რომლის პირველ სართულში წყაროა მოწყობილი, მეორე სართულზე საცხოვრებელი ოთახია, მესამეზე კი — ზარები ჰკიდია.

მონასტრის ეზოში დგას XVIII-XIX სს-ის რამდენიმე სახლი, მონასტერი ირგვლივ შემოზღუდულია დიდი ქვის გალავნით, რომელსაც ორი კარიბჭე აქვს, ერთი აღმოსავლეთით, რომლითაც ამჟამად შევდივართ და რომელიც ისტორიულად „დიდ კარად“ იწოდებოდა და მეორე სამხრეთით, მონასტრის თავდაპირველი შესასვლელი „მაცხოვრის კარად“ წოდებული. ამ შესასვლელშია დაკრძალული დავით აღმაშენებელი. საფლავის ქვაზე წარწერაა: „ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, რამე თუ მთნავს ამას დავემკვიდრო მე“. აქ დღემდეა დაცული მეფე დემეტრე I-ის მიერ ჩამოტანილი განჯის ციხის რკინის კარების ერ-

თი ფრთა, მეორე კი XVIII ს-ის II ნახევარში მთავარი ტაძრის გადასახურავად დაუჭრიათ (განჯის კარების შესახებ დაწვრილებით იხილეთ მეშვიდე თავში).

გელათის მონასტერში საუკუნეების განმავლობაში ერთნაირი ინტენსივობით არ მიმდინარეობდა ცხოვრება. XII-XIII სს-ის „ოქროს ხანას“ დაქვეთიების მძიმე წლები მოჰყვა, განსაკუთრებით მძიმე იყო მონასტრისათვის 1510 წელი, როცა ოსმალთა დიდი ლაშქარი სელიმის მეთაურობით შეესია დასავლეთ საქართველოს და 23 ნოემბერს „დაწვეს დიდი მონასტერი გელათისა შიგნით და გარეთ“<sup>1</sup>.

ოსმალთაგან გელათის დარბევისა და აოხრების შედეგების ლიკვიდაციისა და მონასტრის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გელათის მონასტერში დიდი აღმშენებლობითი სამუშაოები ჩაატარა იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ (1510-1565). მან განაახლა ტაძრები, მონასტერს დაუმტკიცა ძველი და შესწირა ახალი დიდალი მამულები. ერთ დოკუმენტში ბაგრატი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ გელათის წმ. გიორგის ეკლესიის „ძველად შენირული მამული, უამთა ვითარებისაგან მოშლილ იყო და დაკარგული იყო და რასაცა ოდენ მოვესწრენით და შევიტყვენით, ისიცა შემოვკრიბეთ“<sup>2</sup>. მის დროს აღდგენილ იქნა წმ. გიორგის ეკლესია, მოიხატა ღმრთისმშობლის ტაძრის კედლები და სხვ. აღნიშნული საქმიანობის გამო ბაგრატ მეფეს გელათის „მეორედ აღმაშენებელს“ უწოდებდნენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეფეს მხარში ედგნენ მისი სახელოვანი თანამედროვენი — კათოლიკოსი ევდემონ ჩხეტიძე და გელათელი ეპისკოპოსი მელქისედეკ საყვარელიძე. მისსავე მეფობაში ჰქონდა ადგილი ერთ უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას: 1519 წელს გელათში საეპისკოპოსო კათედრალი დააარსა და პირველ ეპისკოპოსად მელქისედეკ საყვარელიძე იქნა დადგენილი. კათოლიკოსი მალაქია თავის სიგელში აღნიშნავს, რომ გელათელს დიდი სამწყსო მიუჩინეს („გაუჩინეთ სამწყსონი და საკურთხი რიონსა და ქუთათის ქა-

1 თ. ქორდანია — ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. ნ. II, ტფ. 1892 გვ. 326

2 იქვე, გვ. 336

ლაქსა ზედათ, ყვირილას გამოღმა და ვიდრე კაცხის ზღურამდის და ხრეითის აქეთ რაჭის მთამდის, ოკრიბა სრულად“).<sup>1</sup> ვახუშტის ცნობითაც, ბაგრატმა გენათელს (გელათელს) „მისცა სამწყსოდ არგვეთის ნახევარი და ოკრიბა, ქუთათლის სამწყსონი“.

გელათელი ეპისკოპოსი განაგებდა თავისი სამწყსოს საეკლესიო-სარწმუნოებრივ საქმეებს, იღებდა გადასახადს თავისი ყმა-გლეხებისაგან, ახლო ურთიერთობაში იყო იმერეთის სამეფო კართან.

XVI ს-ის II ნახევარში გელათი გადაიქცა დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენციად. კათოლიკოსის რეზიდენციის ბიჭვინთიდან გელათს გადმონაცვლება შედეგი იყო აფხაზეთში ოსმალთა ხშირი შემოსევებისა და ადგილობრივი მოსახლეობის თანდათანობით გამაპმადიანებისა. ბიჭვინთის საკათოლიკოსო ტაძრის მოძრავი ქონება გადმოტანილ იქნა გელათში, სადაც იმერეთის სამეფო კარმა საკათოლიკოსო კათედრალად წმ. გიორგის ეკლესია განაჩინა. აღნიშნული ფაქტის შემდეგ გელათის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. ამიერიდან გელათი იქცა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო-სარწმუნოებრივი ცხოვრების ცენტრად.

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს გელათში XVI ს-ში იმერეთის მეფე გიორგი II-ემ და ანტონ გელათელმა. იმ დროს ხელახლა მოიხატა ღმრთისმშობლის ტაძარი და წმ. გიორგის ელესია.

XVII ს-ის მეორე ნახევრიდან იწყება გელათის მონასტრის დაქვეითება.

იმერეთის სამეფოს დასუსტებისა და გაპარტახების ხანაში მისი დამცველი აღარავინ ჩანდა. მონასტრის კუთვნილ ყმა-მამულს თავაშვებული ფეოდალები იტაცებდნენ.

საბედნიეროდ, გელათის მონასტრის დაქვეითება დიდხანს არ გაგრძელებულა. XVIII ს-დან დაიწყო მისი განახლება-აღმავლობა.

XVIII ს-ის დამდეგს იმერეთის მეფე გიორგი VI-მ (1703-1720) განაახლა ღმრთისმშობლის ტაძრის ერთი ეკვდერი, 1730 წელს

1 თ. ჟორდანია — ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. ნ. II, ტფ. 1892, გვ. 342, 343

ალექსანდრე მეფემ აღადგინა იმავე ტაძრის სხვა ეკვდერი, რომელიც საკუთარ სამარხად მოაწყო, 1760 წელს სოლომონ პირველის ძმამ — იოსებ გელათელმა ახლად ააგო სამიტროპოლიტო ტახტი და ა.შ.

XVIII ს-ის მეორე ნახევარში გელათი ერთხელ კიდევ გახდა მტრის მსხვერპლი. 1759 წლის 10 აგვისტოს გელათს თავს და-ესხნენ ლეკები. შემოქმედის გულანის მინანერით „იმერეთს ლეკის ლაშქარი მოვიდა, მრავალი სული ქრისტიანი იშოვეს, გე-ლათი და სუჯუნის საყდარი დასწევს“.<sup>1</sup> საერთოდ კი უნდა აღი-ნიშნოს, რომ გელათი შედარებით ადვილად გადაურჩა მტრის მახვილს (ჩვენთვის მხოლოდ ორი ფაქტია ცნობილი მტრის თავ-დასხმისა). საფიქრებელია, გეოგრაფიულმა მდებარეობამ განა-პირობა მისი გადარჩენა უცხო მტრის ხშირი შემოსევებისაგან. ქართველებმა გელათი სწორედ ამ დაცულობის გამო მიიჩნიეს ძვირფასეულობის საფარად და იქ დაასვენეს ხახულის, აწყური-სა და ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატები და სხვა ეროვნული სინმიდეები.

ენერგიულად ზრუნავდნენ გელათის მონასტრის ძველი სიძლიერის აღდგენისა და ყმა-მამულის შემოკრებაზე იმერეთის მეფეები სოლომონ I (1752-1784) და სოლომონ II (1789-1810).

გელათი დავითისავე ხანაში იქნა მიჩნეული თვალსაჩინო სას-ნავლო-სამეცნიერო ცენტრად. მონასტრის დამაარსებელმა დრო-ულად დაიჭირა სათანადო თადარიგი და განსწავლული პირები მიიწვია იქ. მემატიანის ცნობით დავით აღმაშენებელმა „მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვ-ლითა სათნოებითა, არა თჯსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილ-ნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ სადათცა ესმა ვიეთმე სინმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანნა და დაამ-კვდდრნა მას შინა“.<sup>2</sup>

1 თ. ჟორდანია — ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. წ. III, „მეცნიერება“, თბ. 1967, გვ. 260.

2 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწე-რის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, „სახელგამი“, თბ. 1955, ტ I გვ. 330

ისტორიკოსის თხრობიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს სახელვან მეფეს გელათის მონასტრის დაარსებისას ფართო მიზანი ჰქონდა დასახული. ის საფუძველს უყრიდა და ქმნიდა არა მხოლოდ საკულტო კერას, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო შემოქმედების დიდ ცენტრს. მართლაც, გელათისულ მაღლ იქნა მიჩნეული „ყოვლისა აღმოსავლისა მეორე იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღვრად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა, დიაკონად ყოვლისა საეკლესიო-სა შუენიერებისად“.<sup>1</sup> როგორც ჩანს, განსწავლულმა და განათლებულმა მეფემ აღარ დაუცადა მონასტრის მშენებლობის დასრულებას და აქ თავი მოუყარა საქართველოსა თუ უცხოეთში მოღვაწე ქართველ მწიგნობრებს. XII ს. დამდეგს გელათში მოღვაწეობდნენ ქართული კულტურის გამოჩენილი მუშაკები, დიდი მეცნიერები — არსენ იყალთოველი და ოთანე პეტრინი, სახელგანთქმული ფილოსოფოსები, მთარგმნელები, მწერლები, ფერწერისა და ოქრომჭედლობის ოსტატები, რომლებმაც არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს ქართული კულტურა და ხელოვნება.<sup>2</sup>

გელათის აკადემიას ხელმძღვანელობდა მოძღვართ-მოძღვარი (რექტორი). სწავლების ბიზანტიური სისტემის გავლენით აქ ისწავლებოდა შვიდი საგანი: გრამატიკა, ფილოსოფია, რიტორიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა და ასტრონომია. იგი იყო როგორც სამეცნიერო, ასევე უმაღლესი სასწავლო დაწესებულება. თუ გავითვალისწინებთ, რომ დავით ალმაშენებლის დროსვე გელათში დაარსებული იქნა ქსენონი უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ სამკურნალო საქმეც (სამედიცინო დისციპლინები) შეისწავლებოდა. XVI ს-ის დასასწყისიდან გელათის აკადემიის კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრება შენელდა. გაუქმდა მოძღვართ-მოძღვრის ინსტიტუტი. მისი ფუნქციის შესრულება ნაწილობრივ გელათის ეპისკოპოსს დაევალა. თავდაპირველი დანიშნულება დაკარგა აკადემიის შენობამაც, ის ბერთა სატრაპეზოდ იქცა.

1 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, „სახელგამი“, თბ. 1955, ტ. I გვ. 330

2 ლ. მენაბდე — ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. I, ნაკ. II თბ. 1962 გვ. 528-534

მიუხედავად იმისა, რომ გელათის აკადემიამ არსებობა შეწყვიტა როგორც უმაღლესმა სასწავლებელმა, გელათის მონასტერი ამის შემდეგაც საუკუნეების განმავლობაში მაინც დარჩა ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობის მძლავრ ცენტრად.

იმერეთის სამეფოს რუსეთის მიერ დაპყრობამ (1810 წ.), თბილისში ეგზარქოსობის თანამდებობისა (1811 წ.) და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის დაწესებამ (1814 წ.), უპირველესად კი იმერეთში საეკლესიო რეფორმის გატარებამ გელათის მონასტრის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო. სწორედ ეს, თითქმის საუკუნოვანი ისტორიის მქონე ეპოქა — 1820-1917 წლები — ავირჩიეთ ჩვენი კვლევის საგნად.

გელათის მონასტერი ზოგადად, შეიძლება ითქვას, კარგად და მრავალმხრივ შესწავლილია, თუმცა სრულად, მთლიანობაში, როგორც ფუნქციონალურად, ასევე ქრონოლოგიურად (ცალკეული პერიოდების მიხედვით) არა, რაც ძირითადად ისტორიულ წყაროთა სიმცირით და ძეგლის არქეოლოგიური შეუსწავლელობით უნდა აიხსნას. წინამდებარე ნაშრომის მიზანია ნაწილობრივ მაინც შეავსოს ეს ხარვეზი.

ქართული ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი სამშობლოს ისტორიული წარსულის გათვალისწინებასა და შესწავლას. სახელმწიფოს ისტორია კი სრულყოფილად შესწავლილად არ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესწავლის გარეშე. „ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის ნებისმიერ ეტაპზე ქრისტიანულ სარწმუნოებას უაღრესად რთული, დროისათვის შესაფერისად საჭირო პოლიტიკურ-სამართლებრივი, კულტურულ-იდეოლოგიური ფუნქცია ეკისრებოდა, რაც მას კონკრეტულ სახეს აძლევდა და ჩამოყალიბებულ, დახვენილ სტრუქტურას უქმნიდა.“<sup>1</sup>

ქართული ეკლესიის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში გამორჩეულად რთული და მძიმე იყო რუსული ეგზარქოსობის პერიოდი (1811-1917). მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ეგზარქო-

<sup>1</sup> ქ. პავლიაშვილი — საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წ.წ. თბ. 1995 გვ. 3

სობის პერიოდის შესწავლას დიდი ყურადღება მიექცა და საინტერესო ნაშრომებიც შეიქმნა (ზ. ხუციშვილი — „საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX სს-ში“. თბ. 1987; ქ. პავლიაშვილი — „საქართველოს საეგზარქოს 1900-1917 წლებში“. თბ. 1995; ვ. წვერავა — „საქართველოს საეგზარქოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში“. ქუთ. 2003, ვ. თორაძე, ნ. თორაძე — „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XIX-XX საუკუნეებში“. თბ. 1995 და სხვ.) კონკრეტულად ამ ხანის რომელიმე მონასტრის ისტორია სპეციალური კვლევის ობიექტი არ გამხდარა.

ჩვენი ნაშრომის მიზანია შეავსოს ეგზარქოსობისდროინდელი საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევა და სრულყოფილად შეისწავლოს ცხრასაუკუნოვანი გელათის ისტორიის შესაბამისი პერიოდი, კონკრეტულად 1820-1917 წლებში — იმერეთში საეკლესიო რეფორმის გატარებიდან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამდე.

**წყაროები** — თუ გელათის მონასტრის ისტორიის სრულყოფილად შეუსწავლელობა ძირითადად წყაროთა სიმცირით (ასევე არქეოლოგიური შეუსწავლელობით) აიხსნება, ამას ვერ ვიტყვით ჩვენთვის საკვლევ პერიოდზე, პირიქით ამ პერიოდის შესახებ საქართველოს არქივებსა და სიძველეთსაცავებში დაცულია ასობით დოკუმენტი, რომლებიც მკვლევარებს ელიან. ეგზარქოსობის დროის გელათის მონასტრის შესახებ წყაროების აბსოლუტური უმეტესობა გამოუქვეყნებელია. ისინი ყველაზე დიდი რაოდენობით დაცულია ქ. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის №21 ფონდში — „იმერეთის ეპარქიის კანცელარია“. ასევე მრავლადაა ისინი არქივის №26 ფონდში — „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა“, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდებში: „საქართველოს ეგზარქოსის კანცელარია“ (ფონდი №488), „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა“ (ფონდი №489). ქუთაისის აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ისტორიული საბუთების კოლექციაში, აქვე დაცული იმერეთის ეპარქიისა (ფ. №6861) და გელათის მონასტრის (ფ. №6466) არქივებში. ჩვენთვის საკვლევი თემის შესახებ საინტერე-

სო მასალებს ვპოულობთ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინ-სტიტუტში დაცულ ე. თაყაიშვილის, კ. კეკელიძის და ქ. შარაშენიდ ის ფონდებში, ასევე აქ დაცულ ხელნაწერებში.

პირველწყაროს მნიშვნელობის ბევრ მასალას ვნახულობთ ეგ-ზარქოსობის დროინდელ როგორც ქართულ, ასევე რუსულ პერი-ოდიკაში („ივერია“, „დროება“, „პვალი“, „მოგზაური“, „კავკაზ“, „კუთაისსკის გუბერნიული ვედემოსტი“ და სხვ.), განსაკუთრებით საეკ-ლესიო გამოცემებში: „საქართველო საეგზარქოსოს სასულიერო მახარობელი“, „მწყემსი“, „შინაური საქმეები“, „Пастыръ“, ასევე ამ პერიოდში გელათში ჩამოსულ მოგზაურთა და მკვლევართა აღნერებსა და მოგონებებში (გ. ავალიშვილი,<sup>1</sup> გამბა,<sup>2</sup> დიუბუა დე მონპერე,<sup>3</sup> პ. იოსელიანი,<sup>4</sup> მარი ბროსე,<sup>5</sup> გ. უვაროვა,<sup>6</sup> ე. მარკოვა<sup>7</sup> და სხვ.).

**საკითხის ისტორიოგრაფია** — გელათის მონასტრის მეცნიე-რულ შესწავლას თითქმის ორსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. XIX ს-ის 30-იანი წლებიდან მოგზაურებისაგან აღწერილი გე-ლათი მკვლევარ-სპეციალისტთა ინტერესთა სფეროში მოექცა, რომლებიც ყურადღებას ძირითადად აქ დაცულ ცალკეულ სიძვე-ლებზე ამახვილებდნენ (ამაზე დაწვრილებით იხილეთ მეშვიდე თავში), სამწუხაროდ, ეს ტენდენცია შეიმჩნევა, როგორც საბჭო-თამდელ ქართულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში, ასევე საბჭო-ურშიც. საერთოდ გელათის მონასტერს ვკერდს ვერ უვლიდა ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის, ქართული ეკლესი-ის და ქართული ხელოვნებისა და კულტურის, ასევე ქუთაისის ისტორიის ვერცერთი მკვლევარი. ამით არის გაპირობებული იმ ლიტერატურის სიმრავლე, რომლებშიც გელათზეა საუბარი.

მიუხედავად ამ ლიტერატურის სიმრავლისა, როგორც ზემოთ

1 გ. ავალიშვილი — მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე. თბ. 1967 წ.

2 ჟაკ ფრნასუა გამბა — მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. 1, თბ. 1987 წ.

3 მ. მგალობლიშვილი, ლ. მიქიაშვილი — ფრედერიკ დიუბუა დე მონპე-რეს ცნობები გელათის შესახებ. „ანალები 2000“ გვ. 85

4 П. Иоселиани - Генатский монастыр "КК" на 1853 г. Тф. 1852 стр. 404-408

5 M. Brosset \_ Rapports sur un Voyage. Archeologique dans la Georgie et le Armenie, Rapp, XI st. Peter. 1851

6 Кавказъ. Путевые заметки гр. Уваровой. М. 1887

7 Е. Маркова \_ Очерки Кавказа С-Пб-Мос. 1887

აღვნიშნეთ, გელათის მონასტერი სრულად, მთლიანობაში ჯერ კიდევ შესწავლელია. ზოგადად გელათის მონასტერი შესწავლილი აქვთ: მ. გოგსაძეს,<sup>1</sup> ბ. ლომინაძეს,<sup>2</sup> მ. ნიკოლეიშვილს.<sup>3</sup> მ. გოგსაძის „ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან“ იყო გელათის მონასტრის ყოველმხრივ შესწავლის პირველი ცდა. ავტორმა შესძლო საკვლევი საკითხის შესახებ არსებული წყაროების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე საკმაოდ საინტერესო ნაშრომის შექმნა. ბ. ლომინაძის „გელათი“, მართალია, მეცნიერულ-პოპულარული სერიითაა გამოცემული, მაგრამ ის სერიოზული მონოგრაფიაა გელათის შესახებ, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე. სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა მ. ნიკოლეიშვილის ბროშურა „გელათი“.

გამორჩეულად კარგად, მონოგრაფიულადაა შესწავლილი გელათის არქიტექტურა — რ. მეფისაშვილის,<sup>4</sup> ვ. ცინცაძის,<sup>5</sup> პ. ზაქარაიას,<sup>6</sup> ვ. ბერიძის<sup>7</sup> შრომებში. ასევეა შესწავლილი გელათის მხატვრობა და მოზაიკა — შ. ამირანაშვილის,<sup>8</sup> თ. ვირსალაძის,<sup>9</sup> ი. მამაიშვილის,<sup>10</sup> ქ. მიქელაძის,<sup>11</sup> ლ. ხუსკივაძის<sup>12</sup> გამოკვლევებში. გელათის ჭედური ხელოვნების ნიმუშები შესწავლილი აქვთ:

1 მ. გოგსაძე — ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან. თბ. 1949

2 ბ. ლომინაძე — გელათი, თბ. 1955, თბ. 1959

3 მ. ნიკოლეიშვილი — გელათი თბ. 1982

4 რ. მეფისაშვილი — გელათი. თბ. 1965

რ. მეფისაშვილი, თ. ვირსალაძე — გელათი თბ. 1982

Р. Меписашвили - Архитектурный ансамбль Гелати. Тб. 1966

Р. Меписашвили, В. Цинцадзе - Кутаиси, Гелати, Гегути. Тб. 1977

5 В. Цинцадзе - Архитектурный ансамбль "Сохастери". „ქართული ხელოვნება“ ტ. 8 სერ. А 1979

6 პ. ზაქარაია — ქართული ხუროთმოძღვრება XI-XVIII ს. თბ. 1990

7 ვ. ბერიძე — ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ. 1974

8 შ. ამირანაშვილი — ქართული ხელოვნების ისტორია. თბ. 1971

III. Амиранашвили - История грузинской монументальной живописи. Т. I Тб.

1957

9 რ. მეფისაშვილი, თ. ვირსალაძე — გელათი თბ. 1982

10 ი. მამაიშვილი — გელათის ღმრთისმშობლის ტაძრის საკურთხევლის აფსიდის მოხატულობის კომპოზიციის სტრუქტურა და მხატვრული გადაწყვეტა. „საქართველოს სიძველენი“ 2002 №2 გვ. 144-151

11 ქ. მიქელაძე — დავით ნარინის ეგვეტერის მოხატულობა გელათის მონასტრის მთავარ ტაძარში. თბ. 2001

12 ლ. ხუსკივაძე, გელათის მოზაიკა, თბ. 2005.

შ. ამირანაშვილს,<sup>1</sup> გ. ჩუბინაშვილს,<sup>2</sup> ნ. კონდაკოვს,<sup>3</sup> რ. ყენიას,<sup>4</sup> თ. საყვარელიძეს,<sup>5</sup> ლ. ხუსკივაძეს,<sup>6</sup> ა. ჩხარტიშვილს.<sup>7</sup> გელათის აკადემიის შესახებ არსებობს ს. ყაუხჩიშვილის,<sup>8</sup> ვ. ჩაკვეტაძის,<sup>9</sup> გ. მჭედლიძის<sup>10</sup> მონოგრაფიები. კარგადაა შესწავლილი გელათის სალიტერატურო სკოლა ლ. მენაბდის,<sup>11</sup> დ. მელიქიშვილის<sup>12</sup> ნაშრომებში, ასევე გელათის მონასტრის ისტორიის ცალკეული საკითხების შესახებ საინტერესო გამოკვლევები აქვთ: შ. ამირანაშვილს,<sup>13</sup> ვ. ბერიძეს,<sup>14</sup> ს. გამსახურდიას,<sup>15</sup> გ. თავზიშვილს,<sup>16</sup> შ. ნუცუბიძეს,<sup>17</sup> დ. გორდეევს,<sup>18</sup> ა. ცაგარელს,<sup>19</sup> გ. წერეთელს,<sup>20</sup>

1 შ. ამირანაშვილი — ქართული ხელოვნების ისტორია. თბ. 1974

2 Г. Чубинашвили - Грузинское чеканное искусство. Тб. 1959

3 Н. Кондаков - Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии. С. ПБ. 1980

4 რ. ყენია — ხახულის ღვთისმშობლის ხატის კარედის მოჭედილობა. თბ. 1972

5 თ. საყვარელიძე — XIV-XIX საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა. ნაკ. I თბ. 1987

6 ლ. ხუსკივაძე — შუა საუკუნეების ტიხრული მინანქარი თბ. 1984

7 ა. ჩხარტიშვილი — მამნე ოქრომჭედელი თბ. 1978

8 ს. ყაუხჩიშვილი — გელათის აკადემია თბ. 1948

9 ვ. ჩაკვეტაძე — გელათის აკადემია თბ. 1958

10 გ. მჭედლიძე — გელათის მეცნიერებათა აკადემია. ისტორია და დღევანდელობა. ქუთ. 2004

11 ლ. მენაბდე — ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. I ნაკ. II თბ. 1962

12 დ. მელიქიშვილი — გელათის სამონასტრო-ლიტერატურული სკოლა (აკადემია). „ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე“, 1993 №1 გვ. 6-24; №2 გვ. 5-25

13 შ. ამირანაშვილი — ქართული ხელოვნების ისტორია. თბ. 1971

Ш. Амиранашвили - Грузинская миниатюра. М. 1966

14 ვ. ბერიძე — ქართული ნაქარგობის ისტორიიდან. თბ. 1983

15 ს. გამსახურდია — სწავლა-განათლება ძველ საქართველოში. თბ. 1975

16 გ. თავზიშვილი — უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში. ნაკ. I თბ. 1938

17 შ. ნუცუბიძე — ქართული ფილოსოფიის ისტორია. ტ. II თბ. 1958

18 Д. Гордеев - Материалы об исследованию Гелатских древностей. „საისტორიო მოამბე“ ნ. 1 ტფ. 1925 ნ.

19 Ал. Цагарели - Сведения о памятников грузинской письменности т. I вып. III Спб. 1881

20 Г. Церетели - Полное собрание надписей на стенах и камнях и приписок к рукописям Гелатского Монастыря "Древности Восточная" т. I вып. II М. 1891

დ. ლამბაშიძეს<sup>1</sup> და სხვ. ასევე ბევრი საინტერესო წერილი და სტატიაა მოთავსებული გელათის მონასტრის შესახებ, როგორც რევოლუციამდელ, ასევე საბჭოთა და უახლოეს პერიოდულ გა-მოცემებში.

სამწუხაროდ, ზემოთ დასახელებულ მკვლევართა ნაშრო-მებში არა თუ შესწავლილია, თითქმის არაფერია ნათქვამი ეგ-ზარქოსობისდროინდელ გელათის მონასტერზე. თვით გელათის ისტორიის ისეთი ცნობილი მკვლევარი, როგორიც ბ. ლომინა-ძეა, თავის წიგნში „გელათი“, პირდაპირ წერს: „ნაშრომში თან-მიმდევრულად გადმოცემულია გელათის ისტორია დაარსებიდან XVIII ს-ის დასასრულამდე“<sup>2</sup>, თუმცა ეგზარქოსობის დასაწყისის მონასტრის მეურნეობაზე ორ აბზაცში მაინც წერს. მ. გოგსაძის<sup>3</sup> შეხება ამ პერიოდის გელათთან ამ დროს გარდაცვლილ და აქ დაკრძალულ პირთა გახსენებით ამოიწურება. შედარებით სრუ-ლად განიხილავს გელათის ნივთ-სამკაულთა შესწავლისა და დაცვის საკითხს ჩვენთვის საკვლევ პერიოდში რ. ყენია.<sup>4</sup>

ვცდილობთ, ამ ნაშრომით მცირედით მაინც ნარმოვაჩინოთ ეგზარქოსობის დროინდელი გელათის მონასტრის ტკივილიანი, მაგრამ საინტერესო ისტორია.

---

1 დ. ლამბაშიძე — გაენათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მე-ფის დავით III აღმაშენებლისა. ქუთ. 1888

2 ბ. ლომინაძე — გელათი. თბ. 1955 გვ. 5

3 მ. გოგსაძე — ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიდან. თბ. 1949

4 რ. ყენია — ხახულის ღვთისმშობლის ხატის კარედის მოჭედილობა. თბ. 1972

თავი პირველი

გელათის მონასტერი და  
„გელათის ქვეყანა“ XIX ს-ის | მესამედში.  
საეკლესიო რეფორმა იმპრეზი





გელათში დავით აღმაშენებლის მიერ დიდი სამონასტრო კომპლექსის დაარსება, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, სხვა მიზეზებთან ერთად, გაპირობებული იყო საეკლესიო ცხოვრებისა და საერთოდ, ადამიანთა ცხოვრების საუკუნოვანი ტრადიციებით, რომლის მატერიალური არსებობის დამადასტურებელი არაერთი ძეგლია ნაპოვნი დღევანდელ სოფელ გელათსა და მის შემოგარენში, რომელსაც პირობითად „გელათის ქვეყანას“ ვუწოდებთ.

უშეუალოდ გელათის ტერიტორიაზე (დაახლოებით 15 კვ.კმ.) დადასტურებულია ფეოდალური ხანის 30-მდე ძეგლის არსებობა, ესენია, როგორც საკულტო-რელიგიური, ასევე საფორტიფიკაციო-თავდაცვითი და საგზაო ნაგებობანი. მათი უმრავლესობა გელათის მონასტრის დაარსების შემდეგაა აგებული და უმეტესობა XIX ს-ის დასაწყისშიც — ეგზარქოსობის დაწესებისას ფუნქციონირებდა.

ამ პერიოდისათვის გელათის მონასტერში მოქმედია 3 ეკლესია — ღმრთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი, წმ. გიორგის საკათოლიკოსო ეკლესია და წმ. ნიკოლოზის ეკლესია. მათ არქიტექტურულ განხილვას არ შეუდგებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ღმრთისმშობლის შობის ტაძრის მინაშენებში სამწირველოები ფუნქციონირებდა. ისინი შემდეგნაირად იყვნენ განლაგებულნი, ჩრდილოეთის მხარეზე: მაცხოვრის, წმ. მარინეს, და წმ. ოთაკიმ და ანასი, სამხრეთით — აღმოსავლეთ მხარეზე ანდრია პირველწოდებულის და დასავლეთით — წმ. მარინესი. წმ. გიორგის ეკლესია დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათოლიკოსის კათედრალს წარმოადგენდა XVI ს-დან, ხოლო წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ეგზარქოსობის ხანში წირვა-ლოცვა იშვიათად სრულდებოდა. მონასტრის ეზოში იდგა სამრეკლო, გელათელი ეპისკოპოსის ორი სასახლე, სატრაპეზო (გელათის აკადემიის ყოფილი შენობა) და რამდენიმე ქვისა და ხის ბერთა საცხოვრებელი სახლები.

გელათშივე ფუნქციონირებდა მეორე მამათა მონასტერი სოხასტერის სახელწოდებით. სოხასტერში მოგვიანებით 1821 წელს დედათა მონასტერი დაარსდა, რომელიც 1866 წლამდე ფუნქციონირებდა. სოხასტრის ისტორია დღემდე სპეციალურად შესწავლილი არ არის (თუ არ ჩავთვლით ჩვენს მიერ მისი დედათმონასტრის პერიოდის შესწავლას).<sup>1</sup> მკვლევარები (ვ. ცინცაძე, მ. გოგაძე, რ. მეფისაშვილი, ბ. ლომინაძე და სხვ.), რომლებიც ეხებიან ამ თემას, ხაზს უსვამენ მის ქსენონბას დავით აღმაშენებლის დროს ან მის მამულებსა და ნივთ-სამკაულებზე მსჯელობენ უფრო გვიან პერიოდში (მამათა მონასტრის არსებობის დროს — მ.კ.) ვახუშტი ბატონიშვილის თქმით „კუალად არს გელათის პირი, აღმოსავლეთად მონასტერი გუმბათიანი, დიდნაშენი სოხასტერად ხმობილი“,<sup>2</sup> ხოლო გერმანელი მოგზაურის გიულდენშტედტის ცნობით: „გელათის მონასტრის ახლოს, სამხრეთ აღმოსავლეთით, კირიანი კლდის ყველაზე მაღალ მწვერვალზე დგას განმარტოებული ეკლესია, რომელსაც ქვია სოხასტერი და რომელიც ზოგ რუკაზეა აღნიშნული, ბერები აქ მხოლოდ გარკვეულ დღესასწაულებზე მოდიან ღვთისმსახურების ჩასატარებლად“.<sup>3</sup> მართალია, ორივე ამ ამონარიდში შეცდომაა — სოხასტრის ტაძარი არც გუმბათოვანი ნაგებობაა და არც მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს, მაგრამ დასტურდება, რომ XIX ს-ის დასასწისში ის ფუნქციონირებს როგორც მოქმედი ეკლესია და ჰყავს თავის წინამძღვარი.<sup>4</sup> ამ დროისათვის მონასტერს შემოვლებული აქვს ქვის გალავანი, რომელშიდაც დგას უგუმბათო ეკლესია, ქვის ორსართულიანი სახლი (თუ სამსართულიანი?!), რომლის ქვედა სართულში საჯინიბე და საკუჭნაოა, ზევით კი საცხოვრებელი ოთახი. აქვე

<sup>1</sup> მ. კეზევაძე — სოხასტერის დედათა მონასტერი. ქუთაისის ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა II სამეცნიერო კონფერენცია. თეზისები. ქუთ. 1996 წ. გვ. 18

<sup>2</sup> „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973 წ. გვ. 754

<sup>3</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, თბ. 1962 გვ. 147

<sup>4</sup> ს. კაკაძე — დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. ნ. II, ტფ. 1921, გვ. 138, 148, 153

იდგა ორი პატარა ქვის სახლი და ერთოთახიანი ხის სახლი და ლია ხის ფარდული. 1825 წლისათვის მონასტერს წინამძღვარი აღარ ჰყავდა და ლვთისმსახურებას მღვდელი და ერთი მსახური ასრულებდნენ.<sup>1</sup>

სოხასტერის გარდა, XIX ს-ის დასაწყისში მოქმედია გელათში მდებარე (ელის ქედზე) ელიას (ნმ. ილიას) ეკლესია. ის სოფლის სამრევლო ეკლესიას წარმოადგენდა. ეკლესია ბაზილიკური ტიპისაა, რომლის ზომებია 7,5X7,5 მ. შენობას დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეზე აქვს გვიანდელი მინაშენები. ზოგი მკვლევარი ეკლესიას XI ს-ით ათარიღებს, ზოგი კი XII-XIII ს-ებით, ჩვენც ამ თარიღს ვიზიარებთ. ეკლესიის შიგნით დაცული მხატვრობა XVII ს-ისაა, მომხატველია გიორგი ჯოხტაბერიძე.<sup>2</sup> ეკლესიის გალავანში დაცულია დიდი, რამდენიმე განყოფილებიანი შენობის ნანგრევები, ხოლო გალავნის შესასვლელში, გზის პირას XX ს-ის 50-იან წლებამდე იდგა ქვის დიდი სტელა — ჯვარი.

ნმ. ილიას ეკლესიასთან ერთად XIX ს-ის დასაწყისში ჯერ კიდევ მთლიანად იდგა მთავარანგელოზ მიქაელის ეკლესია — დღემდე შემორჩენილი უძველესი ეკლესია გელათში. რამდენადაც ეს ეკლესია გელათის მონასტრის დაარსებამდეა აგებული, მასზე შედარებით დაწვრილებით შევჩერდებით.

1949 წელს გამოიცა მკვლევარ მ. გოგხაძის წიგნი „ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან“. წიგნში გელათის მონასტერთან ერთად განხილულია აქ არსებული სხვა ძეგლებიც, მათ შორის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია. ამ ეკლესიის შესახებ ავტორი წერს: „ჩვენს მიერ გამოვლინებული იქნა გელათის მონასტრის ახლოს, ბაკურაძიანთ ეზოში, უძველესი ეკლესია, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრი დღესაც მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიას უწოდებენ.“<sup>3</sup> (ხაზი ყველგან ჩემია — მ.კ.). დაკვირვებებიდან და მონაცემი მასალებიდან გამოირკვა, რომ ეს ეკლესია მრავალჯერ ყოფილა განახლებული და სწორედ

1 История Грузинской иерархии... М. 1826 стр. 57

2 მ. გოგხაძე — ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან, თბ. 1949 გვ. 106, 107

3 იქვე, გვ. 51

„ბაგრატ მე-4-ს უნდა განეახლებინოს არა წმინდა გიორგის სახ. ეკლესია, არამედ ეს უძველესი მთავარანგელოზის ეკლესია“.<sup>1</sup> იქვე შენიშვნაში კი აღნიშნავს, „1946 წელს ზაფხულში გელათში, იქვე ახლოს ბაკურაძიანთ ეზოში, აღმოვაჩინეთ ერთი უძველესი ეკლესის ნანგრევები. ეს ეკლესია ბაზილიკური ტიპისაა, იგი განახლებულია რამდენიმეჯერ, როგორც ნაპოვნი ნიმუშებიდან ჩანს, სახელდობრ მე-16 საუკუნეშიაც. ეს უნდა იყოს ის უძველესი ეკლესია, რომელიც დღემდე აღრიცხული არ იყო და რომელიც მურვან-ყრუს დროს მე-8 საუკუნეშიც კი ყოფილა გელათში“.<sup>2</sup>

მ. გოგსაძის ეს ვარაუდი ეკლესის მდებარეობაზე არ გაიზიარა გელათის ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა ბ. ლომინაძემ თავის ნარკვევში „გელათი“, რომელიც 1955 წელს გამოიცა. წიგნში აღნიშნულია: „1527 წელს მეფეს (იგულისხმება იმერეთის მეფე ბაგრატ III — მ.კ.) განუახლებია მონასტრის ახლოს მდებარე მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც დიდი ხნით ადრე საფუძვლამდე ყოფილა დანგრეული (ამჟამად მისი ადგილ-მდებარეობა უცნობია)“.<sup>3</sup>

მ. გოგსაძის გამოთქმული ვარაუდი, რომ ბაკურაძეების ეზოში მის მიერ მიკვლეული ეკლესია ისტორიულ წყაროებში ნახსენები მთავარანგელოზის ეკლესიაა, ახლა დოკუმენტურად დადასტურებულად უნდა მივიჩნიოთ, ამის თქმის უფლებას გვაძლევს ჩვენს მიერ ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში მიკვლეული დოკუმენტი (ფ.21 ს. 1465).

1837 წ. ოქტომბერში ქუთაისში ელოდნენ რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ჩამოსვლას (ჩამოვიდა კიდეც). მაისიდან დაიწყო მზადება შეხვედრისათვის. დადგინდა ქუთაისისა და ახლო მდებარე ცნობილი ეკლესია-მონასტრების შეკეთება, მათ შორის გელათისაც. გელათში მონასტრის გარდა, შესაკეთებელ ეკლესიათა ნუსხაში აღმოჩნდა მთავარანგელოზ მიქაელის ეკლესია, რომელიც მონასტრისაკენ მიმავალ გზაზე საჩინოდ იდგა,

1 ბ. გოქსაძე — ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან, თბ. 1949 გვ. 51

2 იქვე, გვ. 52

3 ბ. ლომინაძე — გელათი, თბ. 1955 გვ. 22

დოკუმენტში მდებარეობა დაკონკრეტებულია, „ეკლესია სახელსა ზა მთავარანგელოზის მიხაილის (ქართულად, მიქაელის) მდგომარეობს დიდს გზასა ზა ოთხმოცდაათს საუენზედ გაენათის მონასტრიდგან. იგი არს უგუმბათო“.

შეკეთება მართლაც ჩატარდა. 1838 წლის აგვისტოში იმერეთის ეპარქიის მმართველ არქიეპისკოპოს სოფრონიოსის დავალებით ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა ვასილ ტიმოფეევმა შეამონმა გელათში ჩატარებული სარემონტო სამუშაოები და აღნიშნა: „მიხაილის ეკლესიასა შინა რომელი არის გალავანს გარეთ მონასტრისა“ — ყოველივე ნამდვილ ქმნილ არს თანახმად სმეტისა, ესე იგი: კედელნი საყდრისანი გალესილ და გათეთრებულ არიან, გრეხილნი გალესილ არიან ქვიშაკირითა, თავსაფარებული ეკლესიისა მკვიდრად გაკეთებულ არს კრამიტით<sup>1</sup>.<sup>2</sup> 1839 წლის 16 იანვარს „გაენათის მონასტრის გამგებელმა“ იღუმენმა სიმონმა, ისევ არქ. სოფრონიოსის დავალებით შეამონმა „ნაწარმოები გავლილს ჩყლზ-ს წელსა არქიმანდრიტის ნიკოლოზისა მიერ დაკერებათა და შეკეთებათა გაენათის მონასტრისა შინა მდგომარის წ-ის გიორგის ეკლესიისა და მახლობლად მისა ამგვრისავ მთავარანგელოზისა“, ამ უკანასკნელზე აღნიშნა: — „მთავარანგელოსის ეკლესია მახლობლად გაენათის მონასტრისა მდგომარე, გარდახურვილ არს კრამიტითა და გათეთრებულ არს შიგნით და გარეთ კირით. გარნა გრეხილები არა არიან გამოცვლილი და არცა გახსნილნი ადგილები ქუათა და ქუათა შორის არა არიან გამოლესილნი“?

როგორც ჩანს, ეს იყო ამ ეკლესიის უკანასკნელი შეკეთება, ამის შემდგომ ისტორიულ დოკუმენტებში ის აღარსად მოიხსენიება. მის დანგრევა-განადგურებას ისიც შეუწყობდა ხელს, რომ მასში უკანასკნელი შეკეთების დროსაც საეკლესიო მსახურება აღარ სრულდებოდა.

2003 წელს მთავარანგელოზის ეკლესიის ნაფუძარზე (ძველი კედლების ნაწილობრივ გამოყენებით) ახალი ეკლესია იქნა აგებული.

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 1465 ფ. 180

2 იქვე ფ. 189

XIX ს-ის დასაწყისში, მთავარანგელოზის ეკლესიასთან ერთად, განახლებას საჭიროებდა მონასტრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მონასტრის წყალსადენის სათავეზე აგებული ღმრთისმშობლის წყაროცხოვრების ეკლესია, თუმცა ის მხოლოდ მოგვიანებით — 1903 წელს იქნა განახლებული. ეკლესის ნარჩერა გვამცნობს: „განახლდა წმიდა ეკლესია ესე 1903 წ. აგვისტოს 30 ყოვლად წმიდისა ღვთის მშობლის წყარო ცხოვრებისა სახელსა ზედა და ამავე წელსა იქმნა განახლებული ახალის მილით ეს მონასტრის წყალი, ვითხოვ აღმომკითხველთაგან შენდობას მშრომელი ამისი“. ეკლესის განახლებაზე დიდი ღვანლი მიუძღვდა იღუმენ ანთიმოზს, ხოლო აკურთხა არქიმანდრიტმა სერაპიონმა.

რაკი გელათის მონასტრის წყალსადენი ვახსენეთ, ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ მის შესახებ. ის მონასტრის დროინდელია. გელათის წყალსადენი მნიშვნელოვნად განსხვავდება თანადროული ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების ანალოგიური სისტემებისაგან. მათგან განსხვავდით გელათში საკითხი მარტივადაა გადაწყვეტილი — მონასტრის ჩრდილო-აღმოსავლეთით 180 მ-ის დაშორებით მოწყობილია სათავე ნაგებობა, რომელიც ორი ნაწილისაგან: დარბაზისა და გვირაბისაგან შედგება. უძველესი ცნობები აღნიშნული ნაგებობის შესახებ დაცულია იმერეთში რუსი დიპლომატების ტოლოჩანოვისა და იევლევის 1650-1652 წ.წ. მუხლებრივ აღწერილობაში. აღნიშნული სისტემა დეტალურად აქვს შესწავლილი მკვლევარ მირიან სტეფანიას. იგი წერს: „მონასტრის წყალსადენის სათავე ნაგებობა ნარმოადგენს ქვით ნაშენ დიდი მოცულობის მიწისქვეშა დარბაზს, რომლის კედლებად ალაგ-ალაგ გამოყენებულია მთის კალთები. დარბაზს აქვს ნაგრძ-ელებული ტრაპეციის ფორმა. მისი სიგრძე 11 მ. აღნევს, შესასვლელთან ის შედარებით ვიწროა, მისი სიგანე ხუთი მეტრის მანძ-ილზე 1,5 მ. არ აღემატება. შემდგომ დარბაზი მნიშვნელოვნად ფართოვდება. მისი II და III ნაწილის სიგანე 3 მ. აღნევს. თაღებით დარბაზი სამ ნაწილადაა დაყოფილი. მის ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ კედლებში ოთხი სარკმელია დატოვებული იატაკის დონიდან 35-50 სმ სიმაღლეზე. მათში

ჩანს კლდის ქანები, რომლებიდანაც თვალისათვის შეუმჩნევლად უონავს წყალი. ე.ნ. პირველი სარქმელი, რომელიც დარბაზის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობს, დახურული არხით უკავშირდება დანარჩენ სამ აღმოსავლეთ მხარეს მდებარე შე-დარებით მცირე ზომის სარქმელებს, რომლებიც ურთიერთს უკავშირდებიან 7,5 მ. სიგრძის წყალშემკრები არხით. წყლის სარკე ცალკეულ ნიშნებში სხვადასხვაა. პირველის უდრის 1,12 მ<sup>2</sup>, მეორესი — 1,0 მ<sup>2</sup>, მესამესი — 0,64 მ<sup>2</sup>, მეოთხესი — 0,70 მ<sup>2</sup>. არხის სილრმე არ აღემატება 30-35 სმ. როგორც ჩანს, დარბაზი მიშენებულია დიდდებეტიან წყაროს, რომელიც ვულკანური ქანებიდან გამოდის. კლდის ქანებიდან გამოსული წყალი მიედინება დარბაზის გასასვლელისაკენ, სადაც ის შედის სხვადასხვა დიამეტრის ორ რკინის მილში (100 და 200 მმ). ამ მილიებით წყაროს წყალი ორ მკლავად იყოფა. ერთი (100 მმ) მიედინება გვირაბისაკენ, მეორე მკლავი (200 მმ. მილში შემავალი) გათვალისწინებულია ჭარბი წყლისათვის და დარბაზიდან მარჯვნივ არის გაყვანილი<sup>1</sup>.! ეს წყალსადენი XIX ს-ის დასაწყისისათვის ისე როგორც დღეს მხოლოდ მონასტრის სამრეკლოს ქვეშ მოწყობილ წყაროს ამარაგებდა, ხოლო XVIII ს-ის 80-იან წლებში წყაროსთან ერთად სათავესთან მოწყობილ შადრევანსაც, რომლის შესახებაც ზემოთ ხსენებული დიპლომატები ტოლოჩიანოვი და იევლევი წერდნენ. მონასტრისაკენ მიმავალი მილები ჩაწყობილია გვირაბის ფსკერზე, რომლის საშუალო სიმაღლე 130-155 სმ-ია, სიგანე კი — 75-95 სმ. XIX ს-ში მოქმედი თიხის მილები 1903 წელს უცხოური წარმოების მოჭიქული თიხის მილებით იქნა შეცვლილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გელათის წყალსადენი განსხვავდება სხვა ანალოგიური სისტემებისაგან, კერძოდ აქ საკოთხი შედარებით მარტივადაა გადაწყვეტილი—შექმნილია ტექნიკურად გამართული ჰიდრო-ტექნიკური სისტემა, რომელმაც საუკუნეების გამოცდას გაუძლო.

გელათის მონასტრის სამხრეთით, დაახლოებით 400 მ-ის დაშორებით, ფრიალო კლდეზე აგებულია წმ. საბას სახელობის

1 მ. სტეფანია — გელათის მონასტრის წყალმომარაგების სისტემა. „ქუთაისის მუზეუმის მასალები“, კრებული IX-X, ქუთ. 1998 გვ. 110, 111

ეკლესია („საბას საყდარი“). XIX ს-ის დასაწყისში მასში წირვა-ლოცვა აღარ სრულდებოდა, თუმცა საყდარი მთლიანად გადარჩენილი იყო. საყდარი დარბაზული ტიპისაა. ის ირგვლივ გალავანითაა შემოზღუბული. ეკლესიას დასავლეთით პატარა მინაშენი აქვს. საკუთრივ ეკლესიის ზომებია 6X4,5 მ. კედლის სისქე 80 სმ-ია. ეკლესია დიდი ზომის ქვის ფილებით ყოფილა გადახურული. საკურთხეველში ნაპოვნი იატაკის ორი დონე გვაფიქრებინებს მომხდარ გადაკეთება-განახლებას. მკვლევართა ნაწილი საბას საყდარს XIII ს-ით ათარიღებს. ამჟამად ის ნახევრად დანგრეულია.

საინტერესოა მონასტრის აღმოსავლეთით მდებარე დიდი კომპლექსი, რომელშიდაც შედის ეკლესია, საცხოვრებელი სენაკების ნაშთები, წყალგაყვანილობის სისტემის ნაშთი, ხელოვნურად მოწყობილი ტერასები და სხვა. ეს ძეგლი დღემდე შეუძნავლელია. ჩვენი ვარაუდით ის მონასტრის დაარსებასთან ახლო ხანში უნდა იყოს დაარსებული, როგორც მეტოქი. ეს უნდა იყოს თამარ მეფის 1184 წლის სიგელში ნახსენები მონასტრის გარეთ მცხოვრებ ძმათა ადგილსამყოფელი, „სოხასტერი“ — სადაყუდებულო. ვფიქრობთ სოხასტერად მიიჩნევდა ამ ადგილს მკვლევარი მ. გოგსაძე<sup>1</sup>, როცა სოხასტერზე მსჯელობისას წერდა: „ამ ნაგებობათა დაკვირვება ბადებს აზრს, რომ ეს დავით აღმაშენებლის მიერ აგებულ ქსენონს უფრო უპასუხებს ვიდრე სოხასტერს (განდგომილ ბერთა სადგომი სხვა ადგილასაა აქვე — მთაში)“!<sup>2</sup> იგივე აზრი აქვს გამოთქმული ვ. ცინცაძეს.<sup>2</sup>

კომპლექსში მდგარი ეკლესია ჩვენი ვარაუდით უნდა იყოს XVII ს-ის დასასრულს შედგენილი აფხაზეთის საკათალიკოსო სამწყსოს მეკომურთა აღწერის დავთარში დასახელებული სადედოფლო საყდარი. დავთარში ვკითხულობთ: „ქ. არის გელათსა თავს სადედოფლო საყდარი წმინდის გიორგის მეტოქად მისით

1 მ. გოგსაძე — ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან, თბ. 1949 გვ. 99

2 В. Цинцадзе - Архитектурный ансамбль „Сохастери“. „ქართული ხელოვნება“ ტ. 8 სერ. А თბ. 1979 გვ. 43, 44

შემავალი რვა კომლი კაცი“.<sup>1</sup> ამ დროისათვის წმ. გიორგის ეკლესია დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათოლიკოსის საკათედრო ტაძარია, ხოლო სოხასტერად ამჟამინდელი სოხასტერი იხსენიება. მეტოქის ეკლესიის სადედოფლო საყდრად და-სახელება პატივება უნდა იყოს ძველი ტრადიციის, წმ. გიორგის ეკლესია თავდაპირველად ხომ სადედოფლო იყო. ჩვენი ვარაუდით სწორედ აქ და „ბერის ციხეზე“ გრძელდებოდა ეგზარქოსობის დასაწყისში განდევილ და დაყუდებულ ბერთა ცხოვრება.

განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია მონასტრის სამხრე-თით 50 მ-ის დაშორებით მდებარე ეკლესია. ეკლესია ორსართულიანია. მისი ზომებია სიგრძე 9,50 მ, სიგანე 6 მ. ზედა სართული მთლიანად დანგრეულია, ქვედა სართული კი წარმოადგენს სარ-დაფის მსგავს ნაგებობას, რომელიც ამჟამად მთლიანად მინაშია ჩამალული და რომელსაც თავის დროზე მიცვალებულთა სასვე-ნებელი საძვალის ფუნქცია უნდა ჰქონდა. მასში შესვლა შესაძ-ლებელია დასავლეთის მხრით დატანებული კარიდან, შიგნით სიმაღლე 2 მ-ს აღემატება. ასეთი ტიპის ეკლესიები იშვიათად გვხვდება საქართველოში.

გელათის უკიდურეს აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნა-წილში ასევე დასტურდება ორი საფუძვლამდე დანგრეული ეკლე-სიის ნაშთი, რომელთა შესახებ ისტორიულ წყაროებში არავითა-რი ცნობები არაა შემონახული.

როგორც ქვემოთ (მესამე თავში) დავინახავთ, გელათში საუ-კუნეების მანძილზე გადიოდა ორი უმნიშვნელოვანესი მაგისტრა-ლი (საგზაო ნაგებობებზეც იქვე გვაქვს საუბარი), რომელთაც სოფლის ტერიტორიაზე იცავდათ სამი ციხე-კოშკი, რომლებიც დღეს ნანგრევების სახით არიან შემორჩენილნი. ამათგან თავის სტრატეგიული დანიშნულებითა და მასშტაბურობით გამოირჩე-ვა ე.ნ. „დავითის კონცხზე“ აგებული ციხე-სიმაგრე. დავითის კონცხი წარმოადგენს ხელსაყრელ გეოსტრატეგიულ პუნქტს. აქ აგებული ციხით კი კონტროლდებოდა გელათზე გამავალი

1 ს. კავაბაძე — დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტფ. 1921 გვ. 8, 9

ი. დოლიძე — ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ. 1970 გვ. 613

გზები, ასევე ვიზუალურად ყვირილა-რიონის შესართავისა და ქვემო იმერეთის მთელი ტერიტორია. კონცხზე აგებული ციხე-კოშკი არქიტექტურულად კარგადაა შეხამებული რელიეფთან. იგი მასიური თლილი ქვებითაა აგებული. გააჩნია საკუთარი გა-მაგრების სისტემა აღმოსავლეთის მხრიდან, სამი მხრით მიუვა-ლია. 1984 წელს აქ ჩატარებულმა სადაზვერვო არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადგინა, რომ იგი XII ს-ის (თუ უფრო ადრინდელი არა) ნაგებობაა. ციხე-კოშკთან ერთად დადასტურდა მარცვლეუ-ლისა და წყლის შესანახი სათავსოების არსებობა.

დავითის ციხის პირველი ნგრევა 1510 წელს გელათის ოსმალ-თა მიერ აოხრების დროსაა მომხდარი, საბოლოოდ კი ის სოლო-მონ I-ის დროს უნდა იყოს დანგრეული, შესაძლებელია 1810 წელს სოლომონ II-ეს დადევნებულმა რუსთა ლაშქარმაც წაშვე-ლა მის დანგრევას ხელი.

ერთი საკმაოდ დიდი საყარაულო კოშკის ნანგრევები, რომე-ლიც შედარებით გვიანი ხანისაა, მდ. წყალწითელასთან ახლოს ძველი გზის კიდეზეა აგებული, ხოლო მეორე, შედარებით უფრო მცირე ზომის — ე.ნ. ბერის ციხე (სწორედ ამ ციხის ქვეშ არის გამოკვეთილი კლდეში ბერთა სენაკი) ელის ქედის აღმოსავლეთ ნანილში ჩრდილოეთის მხარეზეა აგებული და ისიც გელათიდან ცუცხვათში მიმავალ გზას დარაჯობდა და საერთოდ „გელათის ქვეყანასა“ და ოკრიბას აკონტროლებდა.

როგორც დავინახეთ, „გელათის ქვეყნის“ ისტორიული ძეგ-ლების უმეტესობა საკულტო დანიშნულებისაა, ამიტომაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ გელათისათვის „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად“ წოდება სრულიად კა-ნონზომიერია. ისე როგორც იერუსალიმის „წმინდა ადგილები“ გამოირჩეოდა ქრისტიანული მონასტრების სიმრავლით, გელათ-შიც მრავლად იყო საკულტო-რელიგიური ნაგებობანი. დავით აღმაშენებლის მიერ აგებული ღვთისმშობლის ტაძარი კი იყო „აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა“. სწორედ ამ „ წინანდელთა ქმნულად“ მიგვაჩნია ჩვენს მიერ ზემოთ განხილუ-ლი ზოგიერთი ეკლესია.

**საეპლესიო რეფორმა იმპერატორი – გელათის მონასტრისა და საერთოდ „გელათის ქვეყნის“ ცხოვრებაში ძირეული ცვლილებები შეიტანა საეკლესიო რეფორმის გატარებამ იმპერატორი. ცნობილი ფაქტია, რომ რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ს 1811 წლის 30 ივნისის ბრძანებულებით გაუქმდა საქართველოს ეკლესის დამოუკიდებლობა და იგი რუსეთის უნიტარული სინოდს დაექვემდებარა. კათოლიკოსის ნაცვლად დაწესდა ეგზარქოსის თანამდებობა. პირველ ეგზარქოსად დაინიშნა მიტროპოლიტი ვარლაამი (ერისთავი), ხოლო ალექსანდრე I-ის 1814 წლის 30 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე 1815 წლის 8 მაისს თბილისში გაიხსნა საქართველო-იმპერეთის სინოდალური კანტორა. როგორც ამ დაწესებულების სახელწოდებიდან ჩანს, მას უნდა დამორჩილებოდა იმპერეთის, უფრო მეტიც, ჯერ კიდევ ავტონომიური სამთავროების გურიისა და სამეგრელოს ეკლესიებიც, ფაქტობრივად სრულიად საქართველოს ეკლესია. რის ნინაალმდეგაც ამ ამბის შეტყობისთანავე გამოვიდნენ ყოფილ იმპერეთის სამეფოში არსებული ეპარქიის მღვდელმთავრები. იმდროისათვის გაუქმებული იმპერეთის სამეფოს ტერიტორიაზე ოთხი ეპარქია არსებობდა: ქუთაისის, რომელსაც მართავდა მიტროპოლიტი დოსითეონი; გელათის — მიტროპოლიტი ეფვამიმე; ხონის — არქიეპისკოპოსი ანტონი და ნიკორწმინდის (რაჭის) — არქიეპისკოპოსი სოფორონიოსი,<sup>1</sup> რომლებმაც იმპერეთში საეკლესიო რეფორმის გატარებამდე იარსებეს. საეკლესიო რეფორმის გატარება იმპერეთში ეგზარქოსმა ვარლაამმა დაიწყო, როცა სცადა საეკლესიო ქონების აღწერა, თუმცა უშედეგოდ. ადგილობრივმა სამღვდელოებამ მას სასტიკი ნინაალმდეგობა გაუწია. ამ ფაქტმა დააჩქარა მიტროპოლიტ ვარლაამის საქართველოდან პეტერბურგში განვევა. საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობაზე იგი არქიეპისკოპოსმა თეოფილაქტე რუსანოვმა შეცვალა.**

არქიეპისკოპოსმა თეოფილაქტემ, როცა იგი 1819 წლის ივნისში იმპერეთში ჩამოვიდა, ვარლაამ ერისთავის დაწყებული

<sup>1</sup> გ. ვაჭრიძე — იმპერეთის დროებითი მმართველობა (1810-1840 წწ) ქუთ. 1999 გვ. 231-233

რეფორმის გაგრძელება სცადა, რამაც საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია, რამდენადაც იგი საზოგადოების ყველა ფენას ეხებოდა. განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო სამღვდელოება, როგორც მაღალი, ასევე დაბალი, რომებიც რეფორმის შედეგად კარგავდნენ როგორც მნიშვნელოვან შემოსავლებს, ასევე დამოუკიდებელ მართვა-გამგეობას. ამიტომაც იყო, რომ 1819 წლის 2 ივნისს ეგზარქოს თეოფილაქტესადმი წერილში დოსითეოს ქუთათელი, ეფთვიმე გენათელი და რაჭის არქიეპისკოპოსი სოფრონიოსი წერდნენ, რომ ეგზარქოსის 1 ივნისის წერილიდან გაუგიათ იმერეთში უნდა დარჩეს მხოლოდ ერთი მღვდელმთავარი. ამით შეწუხებულნი თხოვდნენ: „გვიშვამდგომლოთ ჩვენ მის იმპერატორებითის დიდებულებასთან მოწყალებაი, რათა თვითეული ჩვენგანი დაშთეს სიკვდილამდე უნინდელი-სამებრ თვის-თვისა ეპარხიასა შინა“.<sup>1</sup> ამავე წერილიდან ჩანს, რომ საეკლესიო ქონების აღწერისათვის მათ ეგზარქოსისადმი შეურჩევიათ თავიანთი სანდო ადამიანები. 3 ივნისს თეოფილაქტემ დოსითეოს ქუთათელს აცნობა, რომ მღვდელმთავრების თხოვნა თანამდებობებზე დარჩენაზე შესრულებული იქნებაო.<sup>2</sup> სამწუხაროდ, ეგზარქოსი ცრუობდა. მოსახლეობის საერთო უკმაყოფილებამ იმერეთში გამოიწვია 1819-1820 წწ.-ის დიდი სახალხო აჯანყება. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგ ბრძოლა სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლად იქცა“.<sup>3</sup> აჯანყება, რომელიც თითქმის ერთ წელიწადს გრძელდებოდა, იმერეთში დასრულდა იმით, რომ 1820 წლის 4 მარტს დაპატიმრებული იქნება მისი მოთავეები, მათ შორის მიტროპოლიტები დოსითეოს ქუთათელი და ეფთვიმე გენათელი. ეფთვიმე გენათელი (შერვაშიძე), რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე განაგებდა გელათის ეპარქიას, ცნობილი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე იყო. იგი აქტიურად იბძროდა იმერეთის სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისა

1 ს.ც.ს.ს.ა. ფ. 488, ან. 1 ს. 361 ფ. 9

2 იქვე, ფ. 8

3 ნ. ბერძენიშვილი — საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. V თბ. 1971 გვ. 248

და ქვეყნის გაერთიანებისათვის. 1789 წელს ის იმყოფებოდა იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც იმერეთიდან ეწვია მეფე ერეკლე II-ს და ურჩევდა ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოების გაერთიანებას. იგი ცნობილია, როგორც ეკლესის დიდი შემწირველი. იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ლოიალობას იჩენდა რუსული ხელისუფლების მიმართ, რაც მისი წმ. ანას I ხარისხის ორდენით დაჯილდოებით აღინიშნა. მიუხედავად ამისა, იგი იმერეთის 1819-1820 წ.წ. აჯანყების ერთ-ერთი მოთავე გახდა.<sup>1</sup>

თბილისში წაყვანილი მიტროპოლიტებიდან დოსითეოს ქუთათელი ჭრილობებისაგან სურამსა და გორს შუა გარდაიცვალა და ანანურის მონასტერში დაკრძალეს, ხოლო ეფვთიმე გენათელი ნოვგოროდში ჩაიყვანეს, სადაც ოლონეცკის გუბერნიის ალექსანდრე სვირელის მონასტერში, გარდაიცვალა 1822 წელს.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ იმერეთში საეკლესიო რეფორმის გატარება შედარებით „ფრთხილი მეთოდებით“ გაგრძელდა. ქუთათელისა და გენათელის დაპატიმრების შემდეგ იმერეთის საეკლესიო მმართველობა ჩააბარეს რაჭის არქიეპისკოპოსს სოფრონიოსს. იმერეთში ადრე არსებული ოთხი ეპარქიის ნაცვლად შეიქმნა ერთი ახალი ეპარქია იმერეთის ეპარქიის სახელწოდებით, რაც ოფიციალურად გაფორმდა იმპერატორის 1821 წლის 19 ნოემბრის ბრძანებულებით რუსეთის უნიფირესი სინდიდის ამავე წლის 4 ნოემბრის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. საეკლესიო რეფორმის გატარებით დაიწყო იმერეთის ეკლესის რუსულ ყაიდაზე მოწყობა, რისთვისაც 1821 წლის 19 ნოემბრის ბრძანებულებით არქიეპისკოპოს სოფრონიოსს ევალებოდა: 1. იმერეთში საეკლესიო ქონების მართვა თანდათანობით მოეწყო იმგვარად, როგორც ეს აღმოსავლეთ საქართველოში იყო. შეემზადებინა ნიადაგი „გათავისუფლებისათვის სამლელოთასა, რომელნიცა მსახურებენ საკურთხეველს, მონებისაგან

---

<sup>1</sup> გ. ვაჭრიძე — იმერეთის დროებითი მმართველობა (1810-1840 წწ.) ქუთ. 1999 გვ. 235

მებატონეთასა, მსგავსად სამღვდელოებისა საქართველოსათა“.

2. შესაძლებლობის მიხედვით, „შემოსავალი ყმათაგან ნაცვლად ნაყოფთა თეთრით აეღო“, ე.ი. ნატურალური ვალდებულება ფულადი გადასახადით უნდა შეცვლილიყო. თუ გლეხს ამის შესაძლებლობა არ ექნებოდა, ეპარქიას უნდა ეზრუნა ნატურით შესრულებული ვალდებულება ფულად ექცია. 3. ყოველი სასულიერო მოხელე საეკლესიო შემოსავლებიდან, მათ შორის ხონის არქიეპისკოპოსი ანტონიც, მიიღებდნენ გარკვეულ ჯამაგირს. მიტროპოლიტ დავითს რჩებოდა ჯრუჭის მონასტრის გამგებლობა შემოსავლითურთ. 4. სინოდალურ კანტორაში უნდა წარედგინა დაწვრილებითი ცნობები იმერეთის ეკლესია-მონასტრების ქონებისა და შემოსავლის შესახებ. 5. საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში მუდმივ სამუშაოდ უნდა გაეგზავნა ერთი წარმომადგენელი.<sup>1</sup>

საეკლესიო რეფორმის შედეგად გელათის მონასტერმა დამოუკიდებლობა დაკარგა, სულ მალე იგი საეკლესიო შტატის დაწესებულებად იქცა, რასაც სამონასტრო ცხოვრების დაქვეითება მოჰყვა.

---

1 ვ. ვაჭრიძე — იმერეთის დროებითი მმართველობა (1810-1840 წწ) ქუთ. 1999 გვ. 251  
ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 29, ფ. 1-4

თავი მეორე

**გელათის მონასტრის მართვა-გამგეობა  
ეგზარქოსობის დროს**





იმერეთში საეკლესიო რეფორმის გატარებამ. მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა გელათის მონასტრის მართვა-გამგეობაში. თუ ადრე მას დამოუკიდებელი ავტონომიური მმართველობა ჰქონდა, რეფორმის შემდეგ ის რუსეთის იმპერიის სხვა მონასტრების მსგავსად უწმიდესი სინოდის რეგლამენტირებული უფლებებით არსებობდა. მონასტერს აღარ ჰქონდა საუკუნეებგა-მოვლილი თავისი საკუთარი ტიპიკონი, რომელსაც სამწუხაროდ ჩვენამდე არ მოუღწევია.

იმერეთის საეკლესიო მართვის (რომელიც რეფორმით დადგინდა) სახელმძღვანელო დოკუმენტში — 1821 წლის 19 ნოემბერს იმპერატორისგან დამტკიცებულ სინოდის მოხსენებითი ბარათის მეხუთე და მეექვსე პუნქტებში განხილული იყო სამონასტრო ცხოვრების ახლებური მოწყობა, კერძოდ, მეხუთე პუნქტი ითვალისწინებდა ან მონასტრების რიცხვის შემცირებას, ან ბერ-მონაზონთა რიცხვის გაზრდას (იმდროისათვის იმერეთის 15 მონასტერში სულ 48 ბერ-მონაზონი იყო). მეექვსე პუნქტი კი გელათისა (რომელზედაც ორი უდაბნო — მონამეთის და გოგნის იყო მიწერილი) და ჯრუჭის მონასტრებში შტატის დაწესებას ითვალისწინებდა, კერძოდ, გელათის მონასტერს, აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე ქვაბთახევის მონასტრის მსგავსად, წელიწადში უნდა დანიშნოდა არსებობისათვის 1700 მანეთი.<sup>1</sup> სინოდმა რეალურად მეხუთე პუნქტის შესრულების პირველი ვარიანტი — მონასტრების რაოდენობის შემცირება განახორციელა.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენამდე არ მოუღწევია გელათის მონასტრის ძველ ტიპიკონს, რომელიც წარმოდგენას შეგვიქმნიდა

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 539, ფ.6

რეფორმამდელი მონასტრის მართვა-გამგეობაზე და კრებულ-ზე, თუმცა სხვადასხვა დოკუმენტებით მაინც ხერხდება აღნიშ-ნული საკითხის შესწავლა.

რეფორმამდელი გელათის მონასტრის ხელმძღვანელობას ახორციელებდა გელათის ეპარქიის მმართველი მიტროპოლიტი ეფთვიმე გენათელი. (ამას 1822 წლის ივლისში გელათში ჩამოსუ-ლი ჟაკ ფრანსუა გამბაც აღნიშნავს — მ.კ.) ჩვენი აზრით ეს უკვე ტრადიციად ქცეულ ფაქტს წარმოადგენდა და გაპირობებული იყო იმით, რომ მონასტრის მთავარი — ღმრთისმშობლის შობის ტაძარი გელათის ეპარქიის საკათედრო ტაძარი იყო, რომელ-საც საკუთარი ტრადიციულად საკუთარი წინამძღვარი (არქი-მანდრიტი) არ ჰყოლია, რომ ჰყოლოდა ის უნდა გამოჩენილიყო იმ ცამეტ არქიმანდრიტს შორის, რომლებიც დასახელებულია იმერეთის მეფე ბაგრატ V 1669 წლის წერილში რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძისადმი, რომელშიც გელათის მიტროპოლიტი გედევანი შემდეგი ტიტულატურითაა წარმოდგენილი: „დიდისა დავით აღმაშენებელისა დიდი საყდრის გაენათისა გაენათელი მიტროპოლიტი გედევან“<sup>1</sup>.

ჩვენთვის არც მონასტრის კრებულის რაოდენობაა ცნობილი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის რამდენიმე ათეულ ადამიანს შე-ადგენდა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს 1189 წლით დათარი-ლებული გელათის სიგელი<sup>2</sup>, თამარ მეფისაგან ბოძებული, რო-მელიც გელათის მონასტრის გარეთ არსებულ მოღვაწე 12 მწირ ბერს (მონასტერთან ახლოს მცხოვრებთ, ალბათ მეტოქის ძმებს) მონასტრის ძმების თანაბრად უჩენთ ტრაპეზს. მართალია ეს საკმაოდ ადრინდელი ფაქტია, მაგრამ ვარაუდის საშუალებას გვაძლევს, რომ მონასტრის კრებულის რაოდენობა წარმოვი-დგინოთ. ასევე შეიძლება ამ საკითხზე მსჯელობა მონასტრის გვიანდელი სატრაპეზოს შენობის ფართის მიხედვით.

1 М. Броссе – Переписка... Грузинских царей с Российскими Государями. С-Пб. 1861 стр. 82, 83

2 ჟაკ ფრანსუა გამბა — მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I, თბ. 1987 გვ. 187

2 თ. უორდანია — ქრონიკები... წ II ტფ. 1897 გვ. 73

რეფორმის წინა პერიოდის გელათის მონასტრის მართვა-გამ-გეობაში აქაურ ბერ-მონაზვნებთან ერთად მონაწილეობდა სხვა მოსამსახურებიც. როგორც 1861 წლის ერთი საბუთიდან ჩანს მიტროპოლიტ ეფთვიმეს წესად პეტრი, რომ უმეტესი ნაწილი კრებულისა კყილოდა „თეთრად მოსილი მოსამსახურები“: მგალობლები, მედავითნები, მეკლიტულნი, მოსამსახურე-მოჯ ალაბენები, რომლებიც ოჯახებით შემოსახლებული იყვნენ მო-ნასტრის გალავნის კედლებს. მოგვიანებით (მე-19 საუკუნის 60-იან წლებში) საკითხი დაისვა მათი აქედან გადასახლებაზე, რამდენადაც უკვე აღარ ემსახურებოდნენ მონასტერს<sup>1</sup>. 1819 წლის დოკუმენტიდან ჩანს, რომ მიტროპოლიტ ეფთვიმესთან მარად ყოფილა 32 მსახური, რომლებიც, რა თქმა უნდა, მო-ნასტრის მართვასთან ერთად, ეხმარებოდნენ მთელი ეპარქიის. მართვა-გამგეობაში.<sup>2</sup> ეს ტრადიცია შემდეგაც გრძელდებოდა, როცა 1821 წელს შტატების დაწესებისას იმერეთის ეპარქიის მმართველს უფლება მიეცა გელათის მონასტერში შვიდი კომლი საეკლესიო ყმის მსახურად აყვანის. მათ აღარ ერთმეოდათ სა-ეკლესიო ფულადი გამოსალები „ესრეთ გარნა რათა იცვამდნენ სვამდენ და სჭამდენ თავიანთის სახლიდამ“.<sup>3</sup>

როგორც აღვნიშნეთ საეკლესიო რეფორმის შემდეგ გელათის მონასტერი შტატის დაწესებულებად იქცა. ეგზარქოსობის პე-რიოდში სამჯერ დასტურდება მონასტრის შტატების რეგლამენ-ტირება, პირველად 1821 წელს, მეორედ 1861 წელს და მესამედ 1882 წელს. ეგზარქოსობის დროინდელ გელათის მონასტრის კრებულზე, კერძოდ მის შემადგენლობაზე და ძმათა ნამსახურო-ბაზე ყველაზე ადრინდელი ცნობა 1832 წლით დათარიღებული მოგვეპოვება. ამ დოკუმენტით ჩანს, რომ მონასტრის კრებულში არის 15 წევრი: 1 წინამდლვარი (არქიმანდრიტი), 5 იღუმენი (აქე-დან 3 სამწირველოების წინამდლვრები იყვნენ), 3 მღვდელ-მონა-

1 ქ.ი.ე.მ. — გელათის მონასტრის არქივი №6466 ს. 161

2 ს.ც.ს.ს.ა. ფ. 488, ს. 361 ფ. 46

3 ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს.52, ფ.2

ზონი, 1 ბერ-დიაკონი და 1 მწირი ბერი.<sup>1</sup>

1834 წელს შტატით გელათის მონასტრის კრებულში უნდა ყოფილიყო 13 ბერი: 1 არქიმანდრიტი, 4 იღუმენი, 2 მღვდელ-მონაზონი, 4 მღვდელი, 1 ბერ-დიაკონი, 1 დიაკონი. ფაქტობრივად კი („თვალად მდგომარეობებე“) იყვნენ - 1 არქიმანდრატი, 5 იღუმენი, 3 მღვდელ-მონაზონი, 1 ბერ-დიაკონი, 1 ეკონომისი, 4 მღვდელმსახური და 1 დიაკონი. სულ — 16.<sup>2</sup> გარდა ამისა სამსამი ბერი მსახურობდა მონასტერზე მიწერილ მონამეთისა და გოგნის უდაბნოებში.<sup>3</sup>

სხვადასხვა წლების მიხედვით მონასტრის კრებულის შემადგენლობა შემდეგ სურათს იძლევა:

1860 წ. <sup>4</sup>	1870 წ. <sup>5</sup>	1882 წ. <sup>6</sup>
ნინამძღვარი — 1 (არქიმანდრიტი)	ნინამძღვარი — 1 (არქიმანდრიტი)	ნინამძღვარი — 1 (არქიმანდრიტი)
იღუმენი — 1	—	—
მღვდ.-მონაზონი — 6	მღვდ.-მონაზონი — 9	მღვდ.-მონაზონი — 7
ბერ-დიაკონი — 2	ბერდიაკონი — 2	ბერდიაკონი — 2
მწირი ბერი — 1	—	—
მორჩილი — 2	მორჩილი — 3	მორჩილი — 4

კრებულის წევრთა საშტატო მდგომარეობა თავისთავად ნიშნავს, რომ ისინი იღებდნენ ხელფასს, რომელიც სხვადასხვა წლებში სხვადასხვა რაოდენობის იყო. 1821 წელს დამტკიცებული მონასტრის ხარჯთაღრიცხვით ნინამძღვარს ეძლეოდა წლიურად 600 მან. კრებულს კი მთლიანად 1269 მან.<sup>7</sup> მონასტრის კრებულის წევრებზე რეფორმის შემდგომ პირველ წლებში

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 488, ფ. 7  
ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 965, ფ. 9, 10

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 965, ფ. 25, 26

3 იგივე

4 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 6888, ფ. 192

5 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 10972, ფ. 235, 236

6 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 25853, ფ. 48, 49

7 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 308, ფ. 6

ში გაცემული ხელფასის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იერარქიულად ერთი და იგივე ხარისხის პირებზე სხვადასხვა რაოდენობის თანხა გაიცემოდა, მაგალითად, 1823 წელს მონასტერში მოღვაწე ზოგ იღუმენს 50 მან. აქვს მიღებული, ზოგს კი — 45 მან. ზოგ ბერ-დიაკონს 20 მან., ზოგს კი — 15 მან.! რაც შტატების მოუწესრიგებლობით, უფრო სწორად შტატების დაწესებისას დაშვებული შეცდომით უნდა ავხსნათ. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს იმერეთის მეფეების დროს მონასტრის ძმები „ერთსა ღირსებებსა და უფლებებში ყოფილან“. ეგზარქოს თეოფილაქტეს დაწესებული შტატებით კი, როგორც აღვნიშნეთ, ერთი ხარისხის პირებს სხვადასხვა ხელფასი ეძლეოდათ. როცა 1829 წელს გელათის მონასტრის იღუმენებმა გრიგოლმა და ვასილმა ამ უკანონობის გაუქმება მოითხოვეს, სინოდის კანტორისგან უარი მიიღეს.<sup>2</sup>

1861 წლის 21 ნოემბერს რუსეთის იმპერატორის დამტკიცებული უწმიდესი სინოდის მოხსენების საფუძველზე გელათის მონასტრის კრებულის შენახვა წლიურად ჯდებოდა 1296 მან.<sup>3</sup>, საიდანაც წინამდლვარი იღებდა 600 მან., 2 მღვდელ-მონაზონი — 160 მან. (თითოს — 80 მან., 5 მღვდელ-მონაზონი — 300 მან. (თითოს — 60 მან.), 1 მღვდელ-მონაზონი — 50 მან., 1 მღვდელ-მონაზონი — 40 მან., 2 ბერ-დიაკონი — 80 მან. (თითოს — 40 მან.), 2 მორჩილი — 50 მან. (თითოს — 25 მან.) და 1 მორჩილი — 16 მან.<sup>4</sup>

1882 წლის 30 ნოემბერს დამტკიცებული ბრძანებით გელათის მონასტრის შენახვა წლიურად ჯდებოდა 2730 მან<sup>5</sup>., რომელიც კრებულის წევრებზე შემდეგნაირად ნაწილდებოდა: მონასტრის წინამდლვარს 800 მან. 7 მღვდელ-მონაზონს 980 მან (თითოს 140 მან.), 2 ბერ-დიაკონს 200 მან. (თითოს 100 მან.), 4 მორჩილს 320 მან. (თითოს — 80 მან.), მსახურების დასაქირა-

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 308, ფ. 4, 5; ს. 52 ფ. 1

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 529, ფ. 2, 3

3 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 10972, ფ. 8

4 იქვე, ფ. 15, 16.

5 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 25853, ფ. 46

ვებლად გათვალისწინებული იყო 280 მან და სხვა ხარჯებისათვის 150 მან.<sup>1</sup> როგორც ვხედავთ ხელფასები გაიზარდა. ამ ხარჯ თაღრიცხვით გელათის მონასტერზე იმერეთის ეპარქიის სხვა მონასტრებთან შედარებით ყველაზე დიდი თანხა იხარჯებოდა. შედარებისათვის, მონამეთის დავით და კონსტანტინეს სახელობის მონასტრის შენახვა სულ 1110 მან. ჯდებოდა წელიწადში.<sup>2</sup> გელათის მონასტერი აღნიშნული ხარჯთაღრიცხვით ფინანსდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამდე.

ეგზარქოსობის პერიოდში მონასტრის კრებულს არაერთგზის მიუმართავს იმერეთის ეპარქიის მართველისათვის ხელფასის სიმცირის ჩივილით, ხელფასი კი ნამდვილად მცირე ჩანდა იმ შემოსავალთან შედარებით, რომელიც მონასტერს გააჩნდა საეკლესიო მამულების ხაზინაზე გადაცემამდე, ასე მაგალითად 1849 წელს მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრატი სიმონი წერდა მიტროპოლიტ დავითს: „ამ დიდებულის მონასტრის ყმისა და მამულისაგან ექვსი ათასი მანეთი შემოდის ხაზინაში რომელიც ნახევარს იმერეთის შემოსავალს უდრის“<sup>3</sup> ჩვენ კი საეკლესიო შესამოსლები არა გვაქვსო და ითხოვს მათ შესაძენად დახმარებას. ჯეროვანი შესამოსლები კი ნამდვილად ჭირდებოდათ, რადგანაც „მონასტერში მრავალნი უცხო ქვეყნის კაცნი დადიან სანახავად რომელიც ბევრგზის წირვა-ლოცვაზედ ესწრებიან“.<sup>4</sup>

გელათის მონასტრის კრებულის ეკონომიკური სიღარიბე კარგად ჩანს მათ მიერ იმერეთის ეპისკოპოს ექვთიმესადმი 1853 წლის 18 ივლისს მირთმეულ თხოვნაში: „მაღალ ყ-დ უსამღვდელოესო მეუფევო უწყის მეუფებამან თქუენმან მდგომარევობა სიმდაბლისა ჩვენისა ესრეთ რომელ თვინიერ ჯამაგირისა არა რაი ნუგეშინისცემა მოიპოვება რომლითა მცირედი ნუგეშინის ცემა მოვიპოვოთ“, ითხოვენ მდინარე ჭიშურაზე სათევზაო ადგილ ღრუდოში, რომელიც ძველთაგანვე გელათის მონასტრის

1 იქვე, ფ. 46, 47

2 იქვე, ფ. 48, 49

3 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 4468, ფ. 1

4 იგივე

საკუთრება იყო, თავიანნთი წილის მიცემას.<sup>1</sup>

უფრო მოგვიანებით 1854 წლის 17 თებერვალს იგივე კრებული იმავე ეპისკოპოსს ისევ კუთვნილ წილს სთხოვდა — ამჟამად გელათის ჭალაზე არქიმანდრიტ სვიმონისგან გაკეთებულ წისქვილისა და დუქნისაგან „ერთი ნაწილი რომელიცა უფალი მონასტრის მამა წინამძღვარი იქმნეს ის მიირთმევდეს და ორი ნაწილი ერთბაშად ჩვენ ძმებთა გვებოძებოდეს“-ო.<sup>2</sup>

ეპისკოპოსმა ექვთიმეთ სასწრაფოდ დაავალა გელათის მონასტრის წინამძღვარს დაუყოვნებლივ მოეხსენებინა თუ რატომ არ აძლევდა კრებულის წევრებს წილს.<sup>3</sup> აღნიშნულზე წინამძღვარმა არქიმანდრიტმა თეოფანემ ეპისკოპოსისაგან მოითხოვა თუ რის საფუძველზე და როგორ გაეცა წილი, აქამდე მას ამაზე არაფერი განკარგულება ჰქონია, იგი წერს: „განსაზღვრებით მიბრძანოთ თუ როგორ მოვიქცე ვითარსა საგანსა ზედა რომელიც ჩემ მიერ შეუცილებლად აღსრულებულ იქნება და რათამცა არა სდრტვინავდნენ კრებული წმინდისა ამისა მონასტრისანი რომელთა ზედაცა აქამომდე არა ყოფილ არს განსაზღვრება“.<sup>4</sup>

ხელფასის სიმცირეს კრებულის წევრები განსაკუთრებით მწვავედ მაშინ გრძნობდნენ, როცა მოუსავლიანი წლები იყო. ასეთი წლები კი არაიშვიათად დგებოდა. 1870 წლის 25 აპრილს სურსათის სიძვირით შენუხებულმა კრებულმა დახმარებისათვის თხოვნით მიმართა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს. თხოვნაში აღნიშნავდნენ: „სიმცირის გამო ჩუენი ჯამაგირისა და უქონელობისა გამო ჩუენის შემოსავალისა, ჩუენი ცხოვრება მაშინაც არის გაჭირვებული, როდესაც არსებობს ჩუენს ქუეყანაშიდ სიუხვე და იეფობა ხორავთა, ხოლო აწმყო დროშიდ როდესაც სხუს ჩვენი მხარე სიძვირისა გამო ხორავთა, ვართ შთავარდნილი თვით უკიდურესს მდგომარეობაშიდ. ასე რომ ჩუენი ჯამაგირი კნინდა ხმელი საჭმელისათვის არა არს კმა საყოფელი

1 ქ.ც.ს.ა. ფ.21 ს. 5372 ფ.1

2 ქ.ც.ს.ა. ფ.21 ს. 5372 ფ. 2

3 იქვე, ფ. 3

4 იქვე, ფ. 4

მაშინ ოდესაც არს საჭირო ჩუენთვის სამოსი და სხუანი ნუ-  
გეშნი რადგან ანმყო დროშიდ არა იმექონების არავითარი წყარო  
მომატებისათვის ჩუენდამი ჯამაგირებისა გარდაუსვლელობისა  
გამო საეკულესიო მამულთა სახაზინო უწყებაში და ამისთვის  
უმორჩილესად გთხოვთ მოწყალეო მეუფეო შეხვიდეთ ჩუენს გა-  
ჭირვებულს მდგომარეობაშიდ ისაშვალოდ ნუგეშისათვის ჩუე-  
ნისა უკე თუ არა სხვა სახით მაშა ნახევარის წლის ჯამაგირით  
დასაჩუქრებისათვის ჩუენისა ამ სიძვირეშიდ და ამით დაგვიმ-  
ტკიცეთ მოწყალება და ყურადღება თქვენი ჩუენზედ.<sup>1</sup> თვით  
ისეთმა გულმოწყალე პიროვნებამ, როგორიც გაბრიელ ეპისკო-  
პოსი იყო, ვერ მოახერხა კრებულისადმი დახმარების განევა, რა-  
საც თავის პასუხში ფულადი სახსრების უქონლობითა და, რაც  
მთავარია, შესაბამისი კანონის უქონლობით ხსნიდა. ამასთანავე  
კრებულს ურჩევდა მეტი ემრომათ ცხოვრების პირობების გასა-  
უმჯობესებლად.

თუ საეკულესიო რეფორმაგატარებულ გელათის მონასტერში  
თავდაპირველად ის კრებული განაგრძობდა მოღვაწეობას, რომ-  
ლის წევრებიც ძირითადად დიდი სჯულის კანონის საფუძველზე  
იყვნენ აღკვეცილნი და მონასტრის საკუთარ ტიპიკონს იცავ-  
დნენ. 1832 წლიდან მონასტერში მიღება ამავე წლის 29 მაისს  
მიღებული საერთო იმპერიული კანონით ხდებოდა, რომელიც  
ადგენდა რომ მონაზვნად შეიძლება აღიკვეცოს საერო ადამიანი  
30 წლის ასაკში ხოლო თუ ღვთისმეტყველების კურსი აქვს გავ-  
ლილი, 25 წლის ასაკში. ქვრივი მღვდელმსახურები კი წებისმიერ  
ასაკში. ქალები აღიკვეცებიან 40 წლის ასაკში. მონაზვნობას აუ-  
ცილებლად წინ უძლოდა არა ნაკლებ 3 წლისა მორჩილად ყოფნა  
ეს არ ეხებოდათ სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრე-  
ბულთ და ქვრივებს. შეიძლება ყოფილიყო სხვა გამონაკლისიც.<sup>2</sup>

ეგზარქოსობის დროის გელათის მონასტერს, განსაკუთრე-  
ბით მის კრებულს მუდმივ ზედამხედველობას უწევდა სახელ-  
მწიფო. სახელმწიფოს ისე როგორც ყველგან არც მონასტრებში

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 11422, ფ. 1, 2

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 841, ფ. 1, 2

უნდოდა არასაიმედო და მთავრობის საწინააღმდეგოდ განწყობილნი ადამიანები. ეს ზედამხედველობა განსაკუთრებით გამკაცრდა XIX ს-ის 80-იანი წლებიდან, რევოლუციური აქტიურობის გაძლიერების გამო. მთავრობა რომ მეთვალყურეობას უწევდა მონასტრის ძმებს და საერთოდ მონასტერში მიმდინარე მოვლენებს, ეს ნათლად ჩანს 1884 წლის 14 ივნისს ეპისკოპოს გაბრიელის წერილიდან გელათის მონასტრის წინამდღვარ არქიმანდრიტ სერაპიონისადმი, რომელიც „სრულიად საიდუმლოდ“ გრიფითაა. ისეთი მრავალმხრივ განათლებული და ეროვნული მოღვაწე, როგორიც წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი იყო, იძულებული გახდა შეექმნა შემდეგი სახელმძღვანელო დოკუმენტი: „უმაღლესის მთავრობის ბრძანების ძალით, მოგიწერთ თქვენ, რომ იქონიოთ მუდმივი და მყაცრი ყურადღება, რათა თქვენდამო რწმუნებულს მონასტერში არ ექმნესთ არავითარი ადგილი იმისთანა პირთ, რომელიც თავიანთის მიმართულებით, რწმენით და აზრით არიან არა საიმედონი, არა კეთილ გამზრაცხველნი და საეჭვონი და რომელიც განიზრახვებს რაიმე ცუდს მართებლობისა და საზოგადო წყობილების წინააღმდეგ. თუ ვინმე ამგვარი პირი არის დღეს მონასტერში მიღებული შეცდომით გინა მორჩილად, გინა მგალობლად, გინა მოსამსახურედ და გინა სხვა რაიმე თანამდებობაში ეხლავე დაუყოვნებლივ დაითხოვეთ, აგრეთვე მიღებდეთ მონასტერში მოსამსახურედ ან სხვა ხელობაში მხოლოდ იმისთანა პირთ, რომელთ შესახებ გაქვსთ შეკრებილი ნამდვილი დაწვრილებითი ცნობები, ხოლო მორჩილად არავის მიღება არ გაძედოთ მონასტერში, სანამ ჩემგან და სამოქალაქო მთავრობისაგან ნებართვა არ მიიღოთ და ცნობა, რომ მორჩილად შემომსვლელი არის კეთილსაიმედო პირი პოლიტიკურის მხრით.“<sup>1</sup> მიუხედავად ასეთი მყაცრი მეთვალყურეობისა მონასტრის კრებულში ზოგჯერ მაინც აღმოჩნდებოდა მთავრობისათვის არასასურველი პიროვნება. ასე მოხდა 1904 წელს, როცა მონასტრის წინამდღვრად დაინიშნა არქიმანდრიტი ნიკოლოზი (ნამორაძე), რომელიც ორი წლის შემდეგ „რევოლუციონერობისათვის“ გაათავისუფლეს წინამდღვრობიდან და რუსეთ-

1 ქ.ი.გ.მ. — იმერეთის ეპარქიის არქივი №6861 ს. 131

ში გადასახლება მიუსაჯეს. არადა მის წინამძღვრად დანიშვნას დიდი იმედით შეხვდა საზოგადოება. მისდამი მიძღვნილ წერილში გაზეთ „ივერიაში“ ვკითხულობთ — „ერთს დროს დიდებული გელათის მონასტერი მოუთმენლად მოელოდა მხნე წინამდღვარს, - და აკი კიდეც მიეცა ასეთი წინამძღვარი — ეს წინამდღვარია მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი... გელათის მონასტრის წინამძღვარი, მუყაითი, მარჯვე, მხნე სასარგებლო მოღვაწეობის გულმხურვალე მოყვარულია... ბევრი აქვს გასაკეთებელი გელათის მონასტერში ... ბევრი რამ ეჭირვება ამ სავანეს... იმედია რომ მომავალი არქიმანდრატი ნიკოლოზი წრფელის გულით შეიყვარებს დავით-თამარის სავანეს, - სადაც ამ დიდებულ მეფეთა სული იქცევის და მადლი ისადგურებს, — გახდება ამ სავანის ნამდვილი მამა, — ეცდება აღაყვაოს იგი თვისის მღვდელ-მთავრის ყოვლად სამღვდელო ლეონიდის ლოცვა-კურთხევით და დარიგებით და აღუდგინოს ძველი ან დაკარგული სახელი და დიდება...<sup>1</sup>

გელათის მონასტრის კრებულის შემადგენლობა სოციალურად მრავალფეროვანი იყო, მასში ყველა წოდება იყო წარმოდგენილი, თუმცა წინამძღვრებად ძირითადად თავად-აზნაურთა წარმომადგენლები იყვნენ.

მონასტრის ძმათა ყოფა-საქმიანობას საინტერესოდ აგვინერს 1833 წელს გელათში ჩამოსული ცნობილი შვეიცარიელი მეცნიერ-მოგზაური ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე, მისი თქმით: „ბერები მარტო ცხოვრობენ თავიანთ პატარა ხის სახლებში, რომლებიც სენაკის მაგივრობას სწევენ. მერხზე ან შემაღლებულ ადგილზე, რომელიც მიწიდან რამდენიმე გოჯის სიმაღლეზეა, გადაფარებულია ძველი ქეჩა ან ხალიჩა და იგი საწოლად გამოიყენება. ლოცვების ძველი წიგნები თაროებზეა შემონაბილი, უღარიბესი ტანსაცმელი კი რამდენიმე ლურსმანზე კვიდია.

ზოგიერთი ბერი წერა-კითხვას ასწავლის ახალგაზრდებს, რომელთაგანაც უმრავლესობა შემდეგში სოფლის მღვდელი ხდება, სხვები, როცა ეკლესიაში თავიანთი მოვალეობის შეს-

1 გაზ. „ივერია“ 1904 წ №224 29.09 გვ. 3

რულებისაგან თავისუფლდებიან ხატავენ სურათებს ან ხისგან კვეთენ ეკლესიებსა და ჯვრების პატარა ფიგურებს. მათ შორის იყო ერთი ბერი, რომელიც მშვენიერ ნივთებს აკეთებდა<sup>1</sup>. (ჩვენი აზრით ეს ბერი უნდა იყოს ბერ-დიაკონი იოანე ბახტაძე, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი). როგორც ამ ამონარიდიდან ჩანს XIX ს-ის 30-იან წლებში გელათის მონასტრის ბერები დაკინებულად მაგრამ მაინც ახერხებდნენ განეგრძოთ მონასტრის დაარსებისდროინდელ ძმათა ტრადიციები.

მონასტრის ყველა წინამძღვარი ცდილობდა, რომ კრებულის თითოეულ წევრს ღირსეულად ეცხოვრა და მონასტრის სხვა ძმებთანაც კეთილი ურთიერთობა ჰქონდა, თუმცა ყოველთვის ეს ვერ ხერხდებოდა. უმეტესწილ ამ შემთხვევაში წინამძღვრები დაუნდობელნი ხდებოდნენ წესრიგის დასამყარებლად. ასე მაგალითად: როცა მონასტერში მყოფმა გიორგი გურგენიძემ — რუსეთში გადასახლებული, გელათის წმ. გიორგის ეკლესის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ზაქარიას ძმამ ლოთობა დაიწყო და ოთხჯერ ხანძარიც გააჩინა მონასტერში, წინამძღვარი ნიკოლოზი 1834 წლის 27 დეკემბერს იძულებული გახდა მიუხედავად გურგენიძის წარსულის დამსახურებისა (სტამბის მუშაკობა) და მოხუცებულობისა ეთხოვა იმერეთის არქიეპისკოპოს სოფრონიოსისათვის მისი სხვაგან გადაყვანა, „რათა სამღვდელონი უშიშრად ეგოს მონასტერსა შა მისის ლოთობისა გამო, და მონასტერი არა დაეცეს ცეცხლითა“<sup>2</sup>

1864 წელს კი გელათის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ონიფანტე არამონაზვნურ ქცევაში ამხელდა რა მღვდელ-მონაზონ ისააკს (დოლონაძე) მსგავსი თხოვნით მიმართავდა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს. ეს ის ისააკია, რომელმაც ისტორიას შემოუნახა 1851 წელს ლეკთაგან დავით-გარეჯის მონასტრის დარბევისა და 1859 წელს ხახულის ხატის გატაცების ისტორიული ფაქტები. არქიმანდრიტი ონიფანტე წერდა: „თუმცა მე დი-

1 მ. მგალობლიშვილი,. ლ. მიქეიაშვილი — ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები გელათის შესახებ. „ანალები 2000“ გვ 85

2 ქ.ც.ს.ა. ფ.21 ს. 1084 ფ.1

დის ხნიდამ ვიცნობ კარგად რ-ლ ამა მონასტერსა შინა მყოფი მღვდელ მონაზონი ისაკი იყო ყოვლის ბოროტებით აღვსილი და ჩემის თვალითაც დამინახავს რომ ერთხელ შუაღამისას ის მოიყვანეს ლევანა ჭირაქაძის ოჯახიდან დაჭერილი ბანრით არამინდებისათვის, მაშინდელ წინამდღვართან, ეგრეთვე მედანოსე რომელი საქმეებთაგანაც სჩანს და მრავალგზის დაუჩემებია მას გაუგზავნია ცამეტამდე დანოსი უნმინდესის მმართველის სინოდისადმი, სხვა და სხვა პირთადმი, ეგრეთვე მრავალგზის დაუწერია საზიზღარი ლექსები დედათ მონაზვნებთადმი და მრავალსვგზის-ცა დასჯილა იგი სხვა და სხვა მონასტრეთა წარგზავნითა. და უკანასკნელი იყო ნაყვანილი მიტროპოლიტ დავითისაგან გარეჯის მონასტერშიდ, საიდანაც მოიტაცეს ლეკებმა. გარნა დასასჯელად აქაურთა კრებულთა კ-დ მობრუნებულ იქნა და რადგან დღეს ის არის მოხუცებული მე ვაიმედებდი თავისა ჩემსას რ-ლ ის იქნებოდა ამგვარის ბოროტებაზედ ხელაღებული, მაგრამ რაც მე ვხედავ ცხადად მას არა გალბობია გული მოხუცებულობისა და გამო ა-დ არს კ-დ იმავე ხასიათზედ გამოურიცხველად რომელსა მოვახსენებ თითოეულად“ და ჩამოთვლის:

1) „ის იქცევა ეკლესიაშიდ უშვერად, ამაყად, ამპარტავნად, სიცილითა და ლაპარაკითა და მიაქვს თავის თავის უმაღლეს ყოველთა აქა მყოფთა პირთა რ-ი მრავლის დარიგებითა არა დასდგა წესიერებაზედ“.

2) „წინეთ ამისა შეუმზადებია დანოსი რომელსა ლაპარაკშიდ უცრად წარმოთქმით გავუგე და რა შევედი განხილვაშიდ არა დაფარა და სთქვა რომ მას გამუგზავნა არქიმანდრიტმან ნიკოლოზმან თავისი ნათლისმამის დიმიტრი კანდელაკის ხელით და სთხოვა რომ გაუგზავნოს კანტორაშიდ მაგრამ მე ვიცოდი მათ ქონდათ ბოვშობიდან ერთმანეთში მტრობა და მივაწერე ერთს მხოლოდ მემურნეობას და განუტევე“.

3) „წარსულს თვეშიდ თვითონ მე შევესწარი რომ ერთს თავის შაგილდს და თვით ისაკი ეუბნებოდნენ ერთმანეთს ლექსებს. იმ ლექსებითა აგინებდა დედას ისეთი საზიზღარი სიტყვით, რომ არავის ქრისტიანისაგან არა მსმენია, რაზედაც ჩაგაგდე დიდს საყვედურში და გავაგდე მონასტრიდამ ის შაგირდიცა და თხოვ-

ნისა გამო მისისა მიუტევე მოხუცებულობისა გამო ამგვარი ბოროტება“.

4) „ნარსულს კვირაშიდ გავიგე რომ მას დაუწერია დანოსი, რალაც საგანზე და ოცდათერთმეტის იანვრისთვის გაუგზავნია კანტორაშიდ საზოგადო კრებულის მაგიერად. ეს საიდუმლო გავანდვე ყـდ სამღვდელოს ეპისკოპოსს იოვანეს, ვითომც მე არ ვიციო რა, მას შეეტყო კერძობითა რაზედაც გუშინდელს რიცხვში გამოკითხა და აღიარა, რომ ნამდვილ გაგზავნა და დასძინა რომ მღვდელ-მონაზონი დანიელ და ვასილის მეტი ყველა იყვნენ იმ საჩივარშიო, რომლისა თქმაზედ ერთი აქაური მღვდელიცა იყო მაყურებელად ამაზედ მე ჩამოვართვი ჩვენება თვითოეულს მათგანას და აღიარეს რ~ლ მათ არავისზედ დრტვინვა... არა აქვს და არც იციან არავითარი გარემოება ამა საქმისა. შემდგომ ჩვენების ჩამორთმევისა მე ერთობით კრებულს გამოვუცხადე ისრეთ როგორც მქონდა შეტყობილი. ამაზედ კრებულმა ერთობით ეახლენ ყـდ სამღვდელოს იოვანეს განუცხადეს გარემოება ამა საქმისა და სთხოვეს მოციქულად მიგზავნა ისაკ ბერისადმი; ყـდ სამღვდელომ რომ იცოდა წინეთ დაწვრილებით გარემობა ისაკისაგან სასიამოვნოდაც დაურჩა, რომ განრჩეულიყო მათ შ~ს ბოროტება და თუ ვინმე ერია უსათუოდ გამოჩნდებოდა, დაიბარა ისაკი და უბრძანა ორთა მათგანთა საიდუმლოდ გაჩერებულიყო მის სახლში მაყურუბელად, მოისვა გვერდს და გამოიკითხა პირველისამებრ ამ დროს განცვიფრდა ბერი და იუცხოვა ამ ამბის გაგონება, შემდეგ უბრძანა ყـდ სამღვდელომ მაგაზე უარს როგორ იტყვიო შენ არ იყავი რომ გუშინ ნაწირევს აღიარე ჩემთან ამ სახით ყოველივე გარემოება, ამ დროს რადგან ბერს ეგონა მაყურებელი არავინ იყო იქ პირით დაიწყო ყვირილი საშიშარი ფიცი ვითომც არც ეთქვას და არც იცოდეს ეს ანბავი და ხელით ეხვევა ყـდ სამღვდელოს ვითომ დაფაროს ეს ამბავი. შემდგომ წაუდგნენ პირში ერთმანეთს და დაშთა განქიქებული აღნიშნული ბერი რომელთათვის ვსთხოვ უმორჩილესად ყـდ უსამღვდელოესობასა თქვენსა განაშოროთ ამა მონასტერსა აღნიშნული მღვდელმონაზონი რათა ამგვარის კლიაზნობისაგან

იყვნეს შესვენებული აქაური კრებული“<sup>1</sup>.

ამ წერილში ნათლად ჩანს როგორც მონასტრის კრებულის, ასევე წინამძღვრისა და ეპისკოპოსის დამოკიდებულება მონაზ-ვნისათვის შეუფერებელ საქციელზე. საყოველთაოდ ცნობილია ასეთი საქციელისადმი გაბრიელ ეპისკოპოსის უკომპრომისო დამოკიდებულება, მან სასწრაფოდ მიიღო გადაწყვეტილება მღვდელ-მონაზონ ისააკის ჭელიშის მონასტერში გადაყვანაზე.<sup>2</sup>

მღვდელ-მონაზონ ისააკთან დაკავშირებით ერთიც გვინდა გა-ვიხსენოთ, XIX ს-ის 30-იანი წლებიდან მას დაპირისპირება ჰქონ-და გელათის მონასტრის მღვდელ სიმონ კანდელაკთან, რომელ-საც მონასტრის ქონების მითვისებასა და უზნეობაში ადანაშაუ-ლებდა და რომლის ნათლიაც არქიეპისკოპოსი სოფრონი იყო. თავად ისააკი მასზე დაწესებულ ყოველ სასჯელს ამ ნათელ-მი-რონობას მიაწერდა.<sup>3</sup>

ჭელიშის მონასტერში გადაყვანილ მღვდელ-მონაზონ ისა-აკს დიდხანს ალარ უცოცხლია. 1868 წლის გელათის მონასტერ-ში დაკრძალულს საფლავის ქვაზე მრავლისმთქმელი წარწერა აქვს „ღმერთო შეინყალე ულირსი ისააკ ბერი ამინ. ჩყდჲ ნო-ემბერი“.<sup>4</sup>

საბედნიეროდ, ასეთი ფაქტები გელათის მონასტრის ისტორი-იდან თითზე დასათვლელია.

გელათის მონასტრის საერთო ხელმძღვანელობას ახორ-ციელებდა წინამძღვარი, მონასტრის სამეურნეო საქმიანობის მართვაში მას ეხმარებოდა ეკონომოსი. მონასტრის მთავარი — ღმრთისმშობლის შობის ტაძარში XIX ს-ის 60-იან წლებამდე კი-დევ მოქმედებდა 3 სამნირველო — ეკვდერი, რომელთაც თავი-ანთი წინამძღვრები (იღუმენები) გვავდათ. XIX ს-ის 50 — იან წლებამდე კი მონასტრის კრებულში ჩანან მგალობლებიც, მგა-ლობელთა გელათური სკოლა საუკუნეების განმავლობაში მთელ

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 8825 ფ. 1,4

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 8825 ფ. 1,2

3 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 2547 ფ. 17, ს. 4035 ფ. 2

4 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 24112 ფ. 33

საქართველოში სახელგანთქმული იყო.

მონასტრის წინამდღვარს საქართველოს ეგზარქოსის ბრძანებით ნიშნავდა რუსეთის უნივერსიტეტის სინოდი.<sup>1</sup> ჩვენ მივაკვლიეთ წინამდღვრის მისდამი რწმუნებულ მონასტერში შეყვანის (ჯურთხევის) ცერემონიალის აღნერას. რომელიც შემდეგი შინაარსისაა: (მოვკვავს მთლიანად)<sup>2</sup>

"Церемониал при введении настоятелей во вверенные им монастыри.

1. О времени введения архимандрита или же игумена в должность настоятеля вверенного ему монастыря извещается заблаговременно братия того монастыря для встречи его с колокольным звоном, в мантиях.

2. По прибытии настоятеля во вверенный ему монастырь вводится он настоятель при чиновнике Имеретинской епаршеской канцелярии / секретарь/ и одном архимандрите или игумене, облаченный в мантию, входит церковь, где братя встречают его с крестом и с водою и поют *тропарь Сиятого того дня и м-ца или же тропарь храмовому того монастыря празднику*, а новоопределенный настоятель прикладывается к местным иконам: по чтении тропаря секретарь Имеретинской епаршеской канцелярии читает указ Грузино-Имеретинской святейшего синода конторы об определении вводимого настоятелем того монастыря; который во время чтения указа стоит перед налоем, поставленным ниже амвона, на налое должны быть заблаговременно положены св. Евангелие и Крест.

3. По прочтении указа, настоятель читает пред св. Крестом и Евангелием обычную присягу, а потом возносится диаконом эктения сугубая с упоминанием имени настоятеля и по возгласе многолетие государю императору и августейшей фамилии, святейшему правительствуещему синоду и местному епархиальному архиерею, а настоятель в это время, стоя на амвоне, держит крест и осеняет оным. По окончании сего, братия монастыря подходит к настоятелю для обычного целования по чину иноческому, а вводящий настоятеля архимандрит или игумен

---

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ბ. 5960, ფ. 1

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ბ. 5960, ფ. 5, 6

напоминает братии оязанность послушания поставленному над ними настоятелю.

მონასტრის წინამძღვრის დადებული ფიცი კი შემდეგი შინაარსის იყო: ნიმუშად მოგვყავს 1854 წლის 19 მარტს წინამძღვარ გაბრიელის (ტუსკია) დადებული ფიცი - „ჩყნდ-ს წელსა მარტის ით-სა დღესა მე ქუემორე ამისა სახელდებული აღვსთქუამ და ვფიცავ ყოვლის შემძლებელსა ღმერთისა წინაშე წ-ისა სახარებისა და ცხოვრელმყოფელისა ჯვარისა, ამაზედა რომელ მე მნებავს და თანამდებ ვარ რათა მისა იმპერატორობითსა დიდებულობასა, ჩემსა ჭეშმარიტად ბუნებითსა ყ-დ უმოწყალესა დიდსა ხელმწიფესა იმპერატორს ნიკოლოზ პავლეს ძესა თვითმპყრობელსა ყოვლისა როსსისასა და მისის იმპერატორობითის დიდებულებისა ს-დ რუსეთის ტახტის მემკვიდრესა, მისის იმპერატორობით საუმაღლესობასა დიდსა მთავარსა ალექსანდრეს ნიკოლოზის ძესა, ერთგულად და პირუთნებელად ვემსახურო და ყოველსავე შ-ა დავემორჩილო დაუზოგველად სიცოცხლისა ჩემისა, ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე სისხლისა და ყოველთავე უმაღლესის მისის იმპერატორობითის დიდებულების თვითმპყრობელისა ძალისა და ხელმწიფებისადმი შესახვედრთა სამართალთა და უპირატესობათა დაწესებულთა და შემდგომში დაწესებადთა უკიდურესთა გულისმყოფელთა ძალითა და შემძლებლობითა გაუფრთხილდებოდე და მივექცეოდე და მისთანავე უკიდურესითა ზომითა ვმეცადინეობითა შემწეობასა მის რაიცავ მხოლოდ მისის იმპერატორობითის დიდებულების ერთგულსა სამსახურსა და სახელმწიფოსა სარგებლობასა ყოველთავე შემთხვევათა შინა შექებოდეს, ხ-ო განლევისათვის ვითარცა მსწრაფ ვსცნა იგი, არათუ კეთილგამიერად გამოვაცხადებდე, არამედ ყოვლითავე ღონისძიებითაცა ვმეცადინეობდე გარე მიქცევასა და არა მიშვებასა და ყოველსავე ჩემდა რწმუნებულსა საიდუმლოსა მტკიცედ დავიცავდე და რწმუნებულსა და დადებულსა ჩემზედა ხარისხსა ვითარცა ამას საზოგადოისა ეგრეთვე საკუთრისაცა განწესებულისა და უამითი უამამდე მისის იმპერატორებითის დიდებულების სახელითა წინათ დადგინებულთა ჩემზედა მთავართაგან განწესებულთა ინსტრუქცია და რელლამენტთა და უქასთაებრ ჯეროვნის სახითა სინიდისისა ჩემისათა ვმართებდე და ჩემის ანგარებისა, ნათესაობისა, მეგობრო-

ბისა და მტერობისათვის და წინააღმდეგ თანამდებობისა ჩემისა და ფიცისა არა მოვიქცეოდე და ესრეთითა სახითა ვყო თავი ჩემი და მოვაქციო ვითარცა ერთგულსა მისსა იმპერატორებითის დიდებულებისა ქვეშევრდომს შეეფერების და თანამდების და ესრეთ მე წინაშე ღვთისა და საშინელსა მისის სამსჯავროისა მარადის ამაზედ პასუხისგებად მეგულვების ვითარცა ნამდვილი უფალი ღმერთი სულიერად და ხორიელად შემენევის მე ხ-ო დასამტკუცებლად ამა ფიცისა ჩემისა ვემთხვევი წ-ასა სახარებასა და ჯვარსა მაცხოვრისასა.“<sup>1</sup> აღნიშნული ფიციდან კარგად ჩანს თუ როგორ უნდა ემოლვანა მომავალ მონასტრის წინამძღვარს, რომლისთვისაც ღმერთისა და იმპერატორებისადმი ერთგულება და სამსახური გათანაბრებული იყო.

ეგზარქოსობისდროინდელ გელათის მონასტერში მრავალ ღირსეულ ბერმონაზონს უმოლვანია (მონასტრის წინამძღვრებზე ცალკე ვისაუბრებთ). რომელთა შორის გამოვყოფთ შემდეგ პიროვნებებს, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით მონასტრის ბერები დაკრინებულად, მაგრამ მაინც ახერხებდნენ განეგრძოთ მონასტრის დაარსების დროინდელი ძმათა ტრადიციები, თუნდაც განდეგილი ცხოვრება. უკანასკნელი ასეთი ბერი ყოფილა მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზ მარტომყოფელი (მორჩაძე). 1788 წელს დაბადებულს, წარმოშობით იმერელ საბატონო ყმას განათლება მიუღია და მორჩილება გაუტარებია გელათის მონასტერში, მონაზვნად კი ჭელიშის მონასტერში აღუკვეციათ 1809 წელს. 1811 წელს ბერ-დიაკვნად უკურთხებია მიტროპოლიტ ეფთვიმე გენათელს გელათის მონასტერში. 1816 წელს კი — მღვდელ-მონაზვნად. 1819 წლიდან მას დაუწყია განდეგილი წესით ცხოვრება, როგორც მის ნამსახურებით სიაშია აღნიშნული „იმყოფებოდა ჩყით წლიდან მახლობლად გაენათის მონასტრისა გამოკვეთილსა მთაში ქვაბსა შინა“.<sup>2</sup> გარდაიცვალა 1858 წლის ოქტომბერში<sup>3</sup>. სიცოცხლის ბოლო წლები მას გელათის წმ.

1 ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს.5960, ფ.4,5

2 ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს.965, ფ.10,11

3 ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს.6978, ფ.3

გიორგის ეკლესიაში გაუტარებია. მიუხედავად ასკეტური ცხოვ-რებისა, მრევლთან კავშირი არ გაუწყვეტია, მონასტერზე ზრუნ-ვასთან ერთად სულიერ შვილებზეც, გამორჩეულად თავის მრა-ვალრიცხვან ნათლულებზეც ბევრი უზრუნია, ამის დასტურია მისი ანდერძი, რომელიც მთლიანად მოგვაქვს:

„სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა ამინ.

მიახლებულმა მხცოვანებისადმი და შთავარდნილმა გრძელ-უამიერსა სნეულებასა შინა და მყოფმან ჯერეთ სრულს მეხსი-ერებასა შინა გაენათის წ-ის გიორგის ეკკლესიაზე მდგომარემ მღვდელ-მონაზონმა ნიკოლოზ თანდასწრებითა სულიერისა მამისა ჩემისა და ქვემორე ხელის მომწერთა პირებთათა ვჰყავ ანდერძის წერილი ესე და ამით განვსაზღვრე ყოველნი საცხოვ-რებელნი და ქონებანი ჩემნი: ა-ჩემის შემოსვლის დროს ამ ეკკლე-სიაზედ დამიხვდა მე ეკკლესიისა მხოლოდ ერთი კოთხო სახლი რომელშიდაც დღეს ვსდგევარ, გაუპოლავი ძირს და ზევით და სრულებით გარდაუხურავი, გამიპოლავს ძირს და ზევით, გარ-დამიხურავს სამ გზის ყავრითა, ამომიყვანია შიგ საკმაოს ტანის ბუხარი თლილის ქვითა, მიმიდგამს იმ სადგომზე პატარა ფიცრის ოთახი თავის ბუხრის ამოყვანითა, გამიშენებია ვენახის ვაზები ორ ტალავრათ ქმნილი, ორის ჭურის დამარხვითა, შემიძენია ერ-თი ხელა ფიცრისა, ერთი ჯორის დასამბელი სამეჯინებო სად-გომი, ერთი ქვიტკირის სახაბაზო თავის თორნითა, ერთი წკენის საბძელი და ერთი საქათმო, ამათთან ჩემნი საკუთარნი ერთი ხელით შესამოსელი, ერთი დიდი ტანის სადღესასწაულოს წიგნი ერთი ჩემის ხელით დაწერილი სრული ნეტაფრასის წიგნი, ერთი პატარა სპილენძის ქვაბი და თუნგი და ერთი ნაჯახი გაენათის წ-ის გიორგის ეკკლესიისათვის შემინირავს. ბ- ჩემ მიერვე კე-თილშენაძენი ერთი ლოცვანი, ერთი უამნი, ერთი ბარაკლიტონი, ერთი სახარება და ერთი სამოციქულო. სამნი ხატნი რომელნიც ჩემს ოთახში მისვენებიან ერთი ქრისტეს აღდგომის და ორნი ღვთისმშობლისანი მოუჭედელნი, ერთი ფარჩის ფილონი, წითე-ლი ოლარი, სარტყელი და სამკლავები, წიგნების შესაკრავი იარაღი, საბათმანო სპილენძის ქვაბი, ერთი მორჩილი თუნგი, ორნი სპილენძი ქვაბქოთნები, ერთი ტაფა და ერთი ტაშტი სპი-

ლენძისავე და სხვანი წვრილმანი ოჯახის ალაფობა რაც იქმნება ქვეშაგებ ზესახურავით ოთხი სულის კამპეჩებისაგან დიმიტრი ობოლაძის ზიარათ რომ მყავს ორი დედაშვილის კამპეჩებისგან-ვე კიკოლა ბასილას ძის ობოლაძისას რომ მყავს მეოთხედ მე-ოთხედი ნაწილი მერგება და ნახევარი ჩემი საწილო ცხენი ბასი-ლა ობოლაძის რომ მყავს სანახევროთ მიცემული სამოც მანეთად ნასყიდი ჩემ მიერ და ერთი მარნის სადგომი თლილის ფიცრისა თავის განწყობილობით ჩემის ნათლულის პეტრია დადუნაშვილი-სათვის დამიტოვებია ნურავინ შეეხების დიდი ნამსახური არის ჩემზე სიყრმიდგან ინებებს გარდაიტანს და ინებებს მოადგილი-სა ჩემისა თუ სხვა ვინმე მსაჭიროებელთ პირთაგან ღირებულს ფასს აიღებს ვერავინ უნდა დააბრკოლოს რადგანაც ეკკლესიის არა ურევია რა შიგ არამედ ჩემის საკუთარის საფასით შემიძენია და ესე ყოველთა მონასტრის ძმებთაგან უწყებულ არს, გ- ერთი საოტკე ქვაბი სპილენძისა თავის განწყობილობით მისვე პეტრია-სა და მისის ძმების მიქელა და ეგნატე დადუნაშვილებისათვის მიმიცია ჩემი მონათლულები არიან და დიდი ნამსახურიც არი-ან ჩემზე უმეტნაკლებ ერთი მეორისა ქონდესთ სამთავე ძმებს , დ- ფული მაქვს თვალად მხოლოდ ასი მანეთი ვეცხლისა, რვა თუმანი გელათში მცხოვრებს ბიჭიელა გოგოლაშვილს ქონდა ჩემი საკუთარი სესხათ თავი რომ დაიხსნა მისის მებატონის მღვდლის სიმონ ჭირაქაძისაგან მას მერმეთ მართებს თამასუქ-სა ქუეშე, იმ რიცხვისაგან რადგან ღარიბი და შეუძლებელი არის ჩემის სულის სამადლოთ ნახევარი შემიწევია და ნახევარი უნდა მოიტანოს უმიზეზოთ და ხუთი მანეთი გელათშივე გაბრიელა კუბლაშვილის ძეს მიქელას მართებს კიდევ, და ხუთი თუმანი ჩემი ფული მამა არხიმანდრიტს გაბრიელს რომ ქონდა სესხათ ის რაოდენობა მისთვისვე მიმირთმევია საწირავათ და მოსახსე-ნებელად ჩემისა, ღმერთმან გარდაუხადოს დიდი მანუგეშებელი არის ჩემი . ე- ერთი თუმანი ფული, ანაფორა და კაბა, სამი ჯამის სპილენძის ქვაბი და ერთი მოჭედილი საბიჯგი ჯოხი ჩემის სული-ერის მამის ბლალოჩინის მღვდლის იოანე გაბადაძისათვის მიან-დერძებია. ვ- ჩემი ჯორი რომელიც დღეს სიმონ მესხთან მყავს მისვე სიმონის შვილის პატარა ივანე მესხისთვის მიმიცემია ჩემი

მონათლული არის ნურავინ შეეხების, და ერთი დობილოვანი ადგილი რომ მაქვს ნასყიდი სიმონ მესხის ეზოსთან მახლობლათ შემდგომ ჩემის მიცვალებისა მასვე სიმონ მესხს ქონდეს. მამისა მისისა სპირიდონ მესხის ხელშიდაც ამ პირობით ვიყიდე ის ადგილი რომ მას დარჩენოდა შემდგომ ჩემისა.

ზ- პირუტყვები მყავან გარეთ ცალი ხარი ბიჭიელა გოგოლაშვილს აბარია ჩემი ცალი ხარი გელათში პეტრია ჭირაქაძესთან მყავს, დედა შვილი ძროხა ბროლიქედში აზნაურს ნიკოლოზ ჭიჭინაძესთან ნახევარი ჩემია და ნახევარი მისი და ც- ამ ანდერდ ის წერილს ვარწმუნებ და მივანდობ ჩემს მანუგეშებელს მამა არხიმანდრიგს გაბრიელს და ვსთხოვ ღვთის სიყვარულისათვის იშრომოს ჩემს მიცვალებაზე. მეოთხე მუხლში მოხსენებულის ფულების რაოდენობიდამ ჩემის მოძლვრის თანდასწრებით ყდ სამლენდელოს მინირვინოს და მისის განსაზღვრებისაებრ იმ რაოდენობისაგან საწირავს მიმირთმევდეს კრებულითურთ მისით, მოძლვარს თავისას უბოძებდეს რაც დამიწერია ზემორე და დანაშთენსა მონასტრის ძმებზე გამიცემდეს საწირავებათ. და მეშვიდე მუხლში რომ პირუტყვები დამიწერია იმათ ჩემს აღაპზე დამიკვლევინებდეს და თუ ვინიცობა არის ჩემი სიცოცხლე გაგრძელდეს და მისი მაღალლირსებას უმაღლესს ხარისხზედ ალყვანით გაენათიდამ წაპრძანება ექნეს სადამე, მაშინ ეს ანდერდ ის წერილი ჩემს მოძლვარს მამა იოანე გაბადაძეს გარდასცეს და მან განაკარგულოს ზემო განცხადებისამებრ და უკანასკნელ ამასაც ვიტყვი რაცზე მორე ამისა არა მიჩვენებია რა მეტის მექონი არა ვარ და არცა სხვისი მმართებია რამე და არცა მაბარია ვისიმე რამე ფულათ თუ სხვა ნივთად და რომელ ანდერძის წერილი ესე შევადგინე უძლურებაში გარნა სრულს მეყსიერებაში თანდასწრებითა მოძლვრისა ჩემისა და ქვემორე ხელისმომწერთა პირებთათა მას შინა საკუთარს ხელს ვაწერ: ჩყნჲ-წელსა მაისის ა-დღესა: გაენათი

რომელ ანდერძის წერილი ესე შეადგინა მამა მღვდელმონაზონმა ნიკოლაოზმა სრულს მეხსიერებაში მას შ-ა საკუთარის ხელისმონერითა ჩვენითა ვემონმებით: მოძლვარი თვით ნიკო-

ლაოზისა ბლალოჩინი მღუდელი იოანე გაბადაძე.<sup>1</sup>

თავისი ასკეტური ცხოვრებით გამოირჩეოდა მწირი ბერი — სქემ-მონაზონი შიო. იგი დაბადებული იყო 1785 წელს, წარმოშობით იმერელი საბატონო ყმა-გლეხი. ქუთაისის საკათედრო ტაძარში განათლება მიღებული 1814 წელს აღიკვეცა მონაზვნად, 1820 წლიდან გელათის მონასტერშია.<sup>2</sup> როგორც მისი ეპიტაფი-იდან ჩანს ცხოვრების ბოლო 42 წელი (გარდაიცვალა 1868 წელს) გაუტარებია მდუმარებაში და მკაცრ მარხვაში.

XX ს-ის დასაწყისში (1913 წ.) გელათის მონასტრის კრებულში ჩანან სქემ-მონაზვნები — 62 წლის ანტონი<sup>3</sup> (ალექსი ხელაძე) და 47 წლის ექვთიმე<sup>4</sup> (ესტატე სოლომონის ძე კერესელიძე), ამჟამად წმინდანად შერაცხული (წმინდანად შერაცხა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა 2003 წლის 18 აგვისტოს სახელად ეწოდა წმიდა ექვთიმე აღმსარებელი და იხსენიება 2 თებერვალს — ძველი სტილით 20 იანვარს)<sup>5</sup> წმიდა ექვთიმემ, რომელსაც უდიდესი ღვანლი მიუძღვის ქართული საეკლესიო გალობის გადარჩენისა და სასულიერო ლიტერატურის გავრცელების საქმეში, სწორედ გელათის მონასტერში დაიწყო სამონაზვნო მოღვაწეობა. 1912 წელს გელათის მონასტერში მორჩილად განწესებული ამავე წლის 23 დეკემბერს აქვე იქნა აღკვეცილი მონაზვნად.<sup>6</sup> აქ მოღვაწეობდა ის 1923 წლის ივნისამდე — მონასტრის დაუქმებამდე.

გელათის მონასტერში თითქმის 20 წელი მოღვაწეობდა ცნობილი სასულიერო მოღვაწე სქემ-მონაზონი თეოდორე ერისთავი (1838 — 1905) ის იყო შვილიშვილის შვილი როსტომ რაჭის ერისთავისა, როსტომის შვილის — ბარძიმის შვილიშვილი.<sup>7</sup> ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის შემდეგ 1858 წლის სექტემბერ-

1 ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს.6978, ფ. 15-16

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 961, ფ.11,12

3 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 25114, ფ. 13, 14

4 იგივე

5 გაზ. „საპატრიარქოს უნიებანი“ 2003 წ. 29.08 — 4.09 №34, გვ. 7

6 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 25114, ფ. 13, 14

7 ქ.ც.ს.ა. ფ. 59, ს. 109, ფ. 1, 10; ფ. 1, ს. 7759, ფ. 78, ფ. 21, ს. 2453, ფ. 179

ში განწესებული იქნა გელათის მონასტერში მორჩილად.<sup>1</sup> 1860 წლის აპრილში აღკვეცილი იქნა მონაზვნად. 1866 წლის აპრილში გაბრიელ ეპისკოპოსისაგან ხელდასხმული იქნა ბერ-დიაკვნად. ამავე წლის 25 დეკემბერს კი მღვდელ-მონაზვნად. პირველად ის 1867 წელს ჩანს ათონის მონასტერში ჩასული, ხოლო XIX ს-ის 80-იანი წლების ბოლოდან მუდმივად იქ — ათონის ივერიის იოანე ღთისმეტყველის ქართველთა სავანეში მოღვაწეობდა. 1903 წელს გ. ნადარეიშვილი მასზე წერდა: „თავადი ერისთავი მამა თეოდორე, რომელიც ამშვენებს ქართველთა კრებულს და ასახელებს საქართველოს იმ უცხო ქვეყანაში სხვადასხვა ერთა შორის, დღეს მრავალი სხვადასხვა ეროვნებისანი ჰყავს მოწაფედ და სახელი გაითქვა სრულიად ათონის მთაში და რომლის სამოძღვრო მოღვაწეობას დღეს ბადალი არა ჰყავს ათონის მთაში<sup>2</sup> გელათში აღზრდილმა თეოდორე ერისთავმა რამდენიმე საეკლესიო ნივთი გამოუგზავნა მონასტერს, მათ შორის: „ერთი ხატი ხისა ამოჭრილი ათონის ხელობა ვერცხლის ბუდეში პეტრე და პავლესი“, „ხის ხატი ვერცხლის ბუდეში რგვალი ამავე ზომის წმ. ნიკოლოზის“, „ღვთისმშობლის გულსაკიდი მოოქრული ხატი ნაწილებით და ვერცხლის ჯაჭვით მოოქრილნი“<sup>3</sup>

გელათის მონასტრის ბოლო კრებულის შემადგენლობაში საინტერესო პიროვნებაა არქიმანდრიტი ანთიმოსი (ანტონ გიორგის ძე რობაქიძე) დაბადებული იყო 1841 წელს. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სასულიერო განათლება განავრძო ჯრუჭის მონასტერში, სადაც 1870 წელს აღკვეცილი იქნა მონაზვნად. 1892 წელს უკვე მღვდელ-მონაზონი გადმოყვანილი იქნა გელათის მონასტერში, სადაც 1892-1907 წლებში მსახურობდა ეკონომოსად. ხოლო 1911-1917 წლებში გელათის მონასტრის წინამდღვრის ნაცვალია. გარდაიცვალა 1920 წელს გელათში მოღვაწეობისას მონასტრის მახლობლად მონასტრის წყაროს სათავეზე განაახლა ღმრთისმშობლის წყა-

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 9041, ფ. 6, 7

2 გ. ნადარეიშვილი — ქართველთა ივერიის მონასტერი ათონის მთაზედ შურ. „მოგზაური“ 1903 წ. №4 გვ. 271-272

3 ქ.ც.ს.ა. ფ. 296, ს. 153 ფ. 157, 161

როცხოვრების სახელობის ეკლესია „თავის ყოვლის საფასითა, როგორც დახურვით ისე მოწყობილობითა ხატების და საჭირო ნიგნების შეძენით“. განახლებული ეკლესია აკურთხა მონასტრის ნინამდღვარმა არქიმანდრიტმა სერაპიონმა 1903 წლის 31 აგვისტოს.<sup>1</sup>

XIX ს-ის I ნახევარში გელათის მონასტერში მოღვაწეობდა ბერ-დიაკონი იოანე ბახტაძე (1784 – 1850)<sup>2</sup>, რომელიც ქვაზე და ხეზე კვეთის ცნობილი ოსტატი იყო. ამის გაკეთებულია გელათის წმ. გიორგის ეკლესიის დასავლეთ კედელზე წმ. გიორგის ბარელიეფი რომლის წარწერაშიც მოიხსენიება და რამდენიმე ჯვარი ხონის წმ. გიორგის ეკლესიაში, მასვე განუახლებია 1843 წელს გელათში წყალწითელაზე ძველი ქვის ხიდი, რომლის აღმნიშვნელ წარწერიანი ქვის სტელა დღეს ტყიბულის მხარეთ მცოდნეობის მუზეუმშია დაცული.

როგორც აღვნიშნეთ XIX სს-ის 60-იან წლებამდე ღმრთის-მშობლის შობის ტაძრის ეკვდრებს ჰყავდათ თავთავიანთი წინამდღვრები, კერძოდ: მაცხოვრის სამრიოველოს წინამდღვარი 1816-1837 წლებში, გარდაცვალებამდე იყო იღუმენი ვასილი (ლოსაბერიძე) — დაბადებული იყო 1774 წელს: განათლება მიღებული ჰქონდა მამამისთან მღვდელ დავით ლოსაბერიძესთან, 1789 წელს დიაკონად ხელი დაასხა გელათელმა მიტროპოლიტმა ეფვთიმემ, მღვლად ნაკურთხი იქნა 1793 წელს. დაქვრივების შემდეგ, 1809 წელს აღიკვეცა მონაზვნად.<sup>3</sup> ამის შვილი იყო გრიგოლ ხუცესი, რომელსაც როგორც ერთი საბუთიდან ჩანს იღუმენ ვასილის სიკვდილის შემდეგ გელათის მონასტერში მისი დანატოვები ქონების აღწერისას იღუმენმა სოფრონმა და მონაზონმა მარინემ (წერეთელი) ჩუმად მისცეს მამის ნაქონი „გულსაკიდი ხატი ოქროთი და ნაწილებით შემკობილი“<sup>4</sup>

1838 წლის ივლისში საქართველო-იმერეთის სინოდის კანტო-

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 24119, ფ. 18, 19, ს. 25114, ფ. 5, 6, 7

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 965, ფ. 11, 12

3 ქ.ც.ს.ა., ფ. 21. ს. 965 ფ. 9, 10

4 ქ.ც.ს.ა., ფ. 21. ს. 1413 ფ. 1, 2

რამ მაცხოვრის ეკვდრის წინამძღვრად დანიშნა მღვდელ-მონაზონი ნიკიფორე<sup>1</sup>, რომელიც გარდაცვალებამდე 1850 წლის 5 მაისამდე იყო ამ თანამდებობაზე<sup>2</sup>.

ნმ. ანდრია პირველწოდებულის სამწირველოს წინამძღვარი 1804-1849 წლებში იყო იღუმენი გრიგოლი (ლორთქიფანიძე). დაბადებული იყო 1765 წელს. განათლება მიიღო და მორჩილება გაატარა ცაიშელ მიტროპოლიტ გრიგოლისთან, მანვე აღკვეცა მონაზვნად 1791 წელს. 1793 წელს ხელდასმულია ბერ-დიაკონად ჭყონდიდელი მიტროპოლიტ ბესარიონის მიერ, მღვდელ-მონაზვნად კი 1795 წელს ჯუმათელ მიტროპოლიტ მაქსიმეს მიერ. 1804 წლიდან იღუმენია<sup>3</sup> 1849 წლის 2 მარტს.<sup>4</sup> იღუმენ გრიგოლის სულიერი მოძღვარი იყო ცნობილი გელათელი ბერი ნიკოლოზ მარტომყოფელი (მორჩაძე)<sup>5</sup>

ნმ. ქალწულ მონამე მარინეს სამწირველოს წინამძღვარი 1812-1835 წლებში იყო იღუმენი დავითი (ჩიგოგიძე). დაბადებული იყო 1754 წელს, განათლება მიიღო და მორჩილება გაატარა ხინონ-მინდელ არქიეპისკოპოსს იოანესთან. 1794 წელს მანვე აღკვეცა მონაზვნად. 1795 წელს აკურთხეს ბერ-დიაკონად. 1798 წელს კი მღვდელ-მონაზვნად.<sup>6</sup> გარდაიცვალა 1835 წელს. ამავე წლიდან აღნიშნული ეკვდრის წინამძღვარი გახდა მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი.<sup>7</sup>

1827 წლიდან, ჩვენი აზრით იღუმენ ეგნატეს გარდაცვალების შემდეგ, ღმრთისმშობლის შობის ტაძრის შმინდა ქალწულ მონამე მარინეს მეორე სამწირველის წინამძღვარი გახდა იღუმენი სოფრონი (ღოლობერიძე)<sup>8</sup>. იგი დაბადებული იყო 1778 წელს,

1 იქვე, ფ. 11. ს. 1945 ფ. 6

2 ქ.ც.ს.ა., ფ. 21. ს. 4658 ფ. 19

3 ქ.ც.ს.ა., ფ. 21. ს 965 ფ. 9,10 ს. 2163 ფ. 7,8

4 ქ.ც.ს.ა., ფ. 21. ს 4480, ფ. 10

5 იქვე. ფ. 14

6 ქ.ც.ს.ა., ფ. 21. ს 965 ფ. 9,10 ს. 678 ფ. 9 ს. 2163 ფ. 7

7 ქ.ც.ს.ა., ფ. 21. ს. 2163 ფ. 7 ს. 1945 ფ. 6 ს. 678 ფ. 12

8 ქ.ც.ს.ა., ფ. 21. ს. 488, ფ.7, ს. 678 ფ. 5

მორჩილება გაატარა და მონაზვნად აღიკვეცა ჯრუჭის მონასტერში წინამძღვრის არქიმანდრიტ სიმეონის მიერ, ბერ-დიაკ-ვნად აკურთხა ნიქოზელმა მიტროპოლიტმა ათანასემ 1801 წელს. მღვდელ-მონაზვნად მიტროპოლიტმა დავითმა 1806 წელს, იღუ-მენად ქუთათელმა მიტროპოლიტმა დოსითეოსმა 1818 წელს.<sup>1</sup>

XIX ს-ში გელათში მოღვაწე იღუმენებს შორის თავის ბიოგრაფიით გამოირჩევა იღუმენი იესე (გრიგოლაშვილი). მის შესახებ საინტერესო წერილი აქვს გამოაქვეყნებული პოლიევქტოს კარბელაშვილს უურნალ „მწყემსში“ (1884 წ. №24). მასში ვკითხულობთ: „გასულ საუკუნის ბოლოს და მდგომარის დასაწყისს ერთი ამ გვარის (გრიგოლაშვილი—მ.კ.) კაცი—იესე—ყველასაგან განირჩეოდა. იგი ყოფილა საკმაოდ განვითარებული გონებითა და თვისის დროის შესაფერად განათლებული კაცი. მისის პირადი ლირსებისა გამო, იესე, ჩამომავლობით მდაბალი აზნაური იმერეთის მეფეს სოლომონ პირველს შეურიცხავს „შუათანა აზნაურად“, ხოლო სოლომონ მეორეს თან-და-თან აღუმაღლებია, ჯერ მიუცია თავისი კარის მნირველობა, შემდეგ მდივნობა და ბოლოს იესე გამხადარა გელათის მონასტრის წინამძღვრად. იგი ამ ხარისხში აღესრულა. გვამი მისი დასაფლავებულია გელათის ტაძრის ჩრდილო-დასავლეთის კარში შესასვლელთან. საფლავის ქვა თითქმის გასწორებულია მინათან. წანაწერიც მასზედ მთლად წაქლესილა, არა სჩანს არც მისის დაბადების წელი და რიცხვი, არც გადარცვალებისა. ვერც სხვაგან ვიპოვე ნამდვილი ცნობა ამაზედ. წამდვილი მხოლოდ ის არის, რომ იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ დიდ-ხანს აღარ უცოცხლია იესეს. გამოცხადდა თუ არა 1810-ს წელს, თებერვლის ცხრას რუსთმთავრობის დამყარება დასავლეთ საქართველოშიაცა, ამასთანავე რაკი ტრაპიზონიდამ ამბავი მოვიდა ოსმალეთისაკენ გადახვენილის მეფის სოლომონ მეორის მოულოდნელი სიკვდილისა და მისთ იქ გადამყოლთ დარბაისელთ გაფანტვისა, მოხუცი იესე სევდისაგან ავად გახდა. კარგა ხანს იყო იგი ჩავარდნილი ლოგინად თავისს სასახლეში სოფ. ზარათს ხუთის ვერსის მანძ

1 ქ.ც.ს.ა., ფ. 21. ს. 965 ფ. 62,63, ს. 2163 ფ.8,9

ილზე გელათიდამ. იგრძნო თუ არა აღსასრულის მოახლოება, მან სთხოვა ჭირისუფლებს გელათს გადაყვანა: იქ უთუოდ მოვრჩებიო. გადიყვანეს ჯალავრით და მაშინვე მოკვდა<sup>1</sup> ამ ბიოგრაფიულ მონაცემებში ზოგიერთი ფაქტი დასაზუსტებელია. IX ს-ის დასაწყისში იქსე გრიგოლაშვილი მართლაც ჩანს როგორც სოლომონ II კარის მწირველი (მღვდელი)<sup>2</sup> რაც შეეხება მის გელათის მონასტრის წინამდლვრობას და გარდაცვალებას, უნდა აღვნიშნოთ, რომ იქსეს მონაზვნად აღკვეცა უნდა მომხდარიყო XIX ს-ის 10-იანი წლების დასაწყისში. მისი მონაზვნობით უნდა ავხსნათ საბუთებში მისი ორი სახელით იქსეთით და იოსებით მოხსენიება. მონასტრის წინამდლვრის თანამდებობა კი მას არა-სოდეს სჭერია, საბუთებით არც მისგან მონასტრის რომელიმე ეკვდრის წინამდლვრობა დასტურდება. ფაქტია, რომ ის ილუმენის ხარისხში გარდაიცალა 1829 წლის 21 მაისს გელათის მონასტერში. მონასტრის წინამდლვარი არქიმანდრიტი ნიკოლოზი 1829 წლის 24 მაისს იმერეთის არქიეპისკოპოსს სოფრონიოსს წერდა: „მყოფი გაენათის მონასტერსა შა ილუმენი იოსებ გრიგოლაშვილი განვიდა ამიერ სოფლით“<sup>3</sup>

**§1 გელათის მონასტრის წინამდლვრები** – გელათის მონასტრის საერთო ხელმძღვანელობას ეგზარქოსობის დროს, როგორც აღვნიშნეთ ახორციელებდა წინამდლვარი. 1820 წლის პრილიდან მონასტრის მართვა და ქუთაისისა და ვაკის ოლქების საეკლესიო ქონებისა და მოსახლეობის კამერალური აღწერა დაევალა არქიმანდრიტ ნიკოლოზს (ჩხეიძე) — ფაქტობრივად იგი ეგზარქოსობის დროის გელათის მონასტრის პირველი წინამდლვარი გახდა, მანამდე კი მონასტრის საერთო ხელმძღვანელობას გელათის (გენათელი) ეპისკოპოსები ახორციელებდნენ

1 „მწყემსი“ 1884 წ. 16.12. №24, გ. 10

2 ს. კაკაბაძე დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები წ. II ტფ. 1921 გვ. 139, 143, 151

ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, თბ., 1970, გვ. 1117

3 ქ.ც.ს.ა., ფ. 21. ს 565 ფ. 1

(უკანასკნელი გელათელი მიტროპოლიტი ეფთვიმე 1820 წლის მარტში იმერეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის რუსეთში გადაასახლეს), ამასთანავე მონასტერში მდებარე წმ. გიორგი-სა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიებს და ღმრთისმშობლის შობის ტაძ-რის სამწირველოებს თავთავიანთი წინამძღვრები ჰყავდათ (წმ. გიორგის ეკლესიის უკანასკნელი წინამძღვარი არქიმანდრიტი ზაქარია 1820 წელს ყალბ ბეჭედთა დამზადებისა და გამოყენების ბრალდებით რუსეთში გადაასახლეს. სამონასტრო ცხოვრება დიდად იყო დამოკიდებული მონასტრის წინამძღვარზე. 1904 წლის სექტემბერში „ილ. თეზ-ტელის“ ფსევდონიმით მოღვაწე ავტორის სიტყვები, რომ გელათის „მონასტერი რაც იყო ძველად, დღეს ის აღარაა, - მაგრამ მთელი საქართველოს თვალი მისკენაა მიქცეული.... გელათმაც, როგორც საქართველოს სხვა მონასტრებმაც დაჲკარგა თვისი ძველებური მნიშვნელობა, - თვისი დიადი გავლენა ერზე, - მაგრამ მაინც სასოების თვალით უცქერის ქართველი... ჩვენს მონასტერს ეჭირვება მხნე წინამძღვრები, დაუღალავი მეთაურები.... თუ მათ გულის შემატკივარი წინამძღვრები ეყოლებათ, - მათი საქმე კარგად წავა და მცირეოდენ სარგებლობას მაინც მოუტანენ ჩვენს ერსა“<sup>1</sup> — მთელი ეგზარქოსობის დროინდელი გელათის მონასტრის წინამძღვრების დიდ მოვალეობაზე მიუთითებს.

მონასტრის პირველი წინამძღვარი არქიმანდრიტი ნიკოლოზი ენერგიულად შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას, როგორც მისი ნამსახურების სიიდან ჩანს, დაბადებული იყო 1785 წ. სასულიერო წოდებაში შესვლამდე მსახურად იყო რაჭის არქიეპისკოპოსს სოფრონიოსთან (წულუკიძე, შემდეგში იმერეთის ეპარქიის მართველი): ბერად აღიკვეცა 1802 წ. 1804 წელს ხელდასმული იქნა მღვდელმონაზვნად, 1814 წ. არქიმანდრიტად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ის 1820 წლიდან გელათის მონასტრის წინამძღვარი და ქუთაისის და ვაკის ოლქების საეკლესიო ქონებათა და მოსახლეობის კამერალური აღწერის ხელმძღვანელია, სადაც მან თავი

1 გაზ. „ივერია“ 1904 წ. №224 29.09. გვ. 3

გამოიჩინა, როგორც იმერეთში საეკლესიო რეფორმის გატარების კარგმა ორგანიზატორმა, მისი ეს კარგი სამსახური რუსეთის ცარიზმა შესაბამისი ჯილდოთი აღნიშნა — 1826 წ. დაჯილდოებული იქნა წმ. ანას მე-2 ხარისხის ორდენით. 1823 წლიდან არქიმანდრიტი ნიკოლოზი საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ნევრია<sup>1</sup> ფაქტობრივად აქედან იწყება უთანხმოება მასსა და იმერეთის ეპარქიის მმართველ არქიეპისკოპოსს სოფრონიოსს შორის, რაც საბოლოოდ 1838 წ. არქიმანდრიტ ნიკოლოზის თანამდებობიდან გადაყენებით დასრულდა, როგორც მისი ძმა „ნადვორნი სოვეტნიკი“ დავით ჩხეიძე წერს: „ჩყლცვ(1838) წელს შინა შესმენისამებრ მიცვალებულის სოფრონიოს არქიეპისკოპოსისა მიერ მაღალ ყოვლადუსამღვდელოესობის ექსარხოსისადმი ძმაი ჩემი ნიკოლაოს არქიმანდრიტი გარდმოყენებულ იქნა გაენათის მონასტრისაგან“<sup>2</sup>.

არქიმანდრიტი ნიკოლოზი გარდაიცვალა 1841 წ.<sup>3</sup> მისი საფლავის ქვაზე მონასტრის ეზოში ასეთი წარწერაა: „მიმცა წარსულთა სიკვდილმან, საფლავსა ამას შთავაბნიე მტვერი — მტვერისა თავადის ტომით არხიმანდრიტი მონასტრის გენათის და წინამძღვარი ნიკოლოზ აღვესრულე ჩ ყ ნ გ წელსა (შეცდომაა — მ.კ.)- შობიდან მ ზ წელსა, ხოლო ძმისნულმან ჩ-მ-ზ ასულმან დავით ჩხეიძისმან კნენინა ლევან წულუკიძისამ ეკატერინამ ლოდით დამფარა მხილველთაგან ვითხოვ შენდობას“<sup>4</sup>.

არქიმანდრიტ ნიკოლოზის დროს მოხდა გელათის მონასტრის, როგორც საეკლესიო შტატის ორგანოს ორგანიზება. მისვე დროს გელათის მონასტერში ჩატარდა მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები, კერძოდ, 1837 წ საქართველოში რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ჩამოსვლასთან დაკავშირებით.<sup>5</sup>

1 ს.ც.ს.ს.ა. ფ. 489, ან. 1, ს. 2195 ფ. 872, 873; ფ 489, ან 1 ს. 1182 ფ. 181 ფ. 488, ს. 357 ფ. 164, 165

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 1615 ფ. 57

3 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 1537 ფ. 35

4 პირველად ეს წარწერა გამოაქვეყნა მ. გოგსაძემ წიგნში „ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან. თბ. 1948 გვ. 47

5 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 1465 ფ. 189

არქიმანდრიტი ნიკოლოზის გელათის მონასტრის წინამდებრობისაგან გადაყენების შემდეგ 1838-1841 წწ.-ში წინამდებრობის მოვალეობას ასრულებდა ვანის მონასტრის იღუმენი სვიმონი.<sup>1</sup> (1840 წელს რამდენიმე თვე მონასტრის წინამდლვრის მოვალეობას ასრულებდა მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი).<sup>2</sup>

იღუმენი სვიმონი იყო იმერელი თავადი (ლორთქითანიძე) დაბადებული 1777 წ. სასულიერო სწავლა-განათლება მიღებული კჰერინდა ხონის წმ. გიორგის ეკლესიაში. მორჩილობა გაატარა საირმის მონასტერში. 1800წ. აღიკვეცა მონაზვნად: 1804 წ.-დან მღვდელ-მონაზონია; 1814 წ.-დან იღუმენი და ვანის მონასტრის წინამდლვარი, გელათის მონასტრის წინამდლვრობა დაევალა 1838 წ. 13 სექტემბრიდან და განაგებდა 1842 წლის 7 იანვრამდე.<sup>3</sup> გარდაიცვალა 1847 წლის მარტში.<sup>4</sup>

1842 წ. იანვრიდან (დანიშვნით 1841 წლის 6 დეკემბრიდან) 1844 წ. ივნისამდე გელათის მონასტრის წინამდლვარი იყო არქიმანდრიტი ექვთიმე (წულუკიძე). იგი დაბადებული იყო 1792 წ. სასულიერო განათლება მიიღო და მორჩილობა გაატარა წინამდინდაში არქიეპისკოპოს სოფრონიოსთან. მონაზვნად აღკვეცეს ჭელიშის მონასტერში. 1821 წ.-დან იღუმენია და კაცხის მონასტრის წინამდლვარი. 1840 წ.-ის 10 ოქტომბრიდან 1841 წ.-ის 6 დეკემბრამდე იმერეთის ეპარქიის მმართველია არქიეპისკოპოსის სოფრონიოსის ავადმყოფობის გამო. 1841 წ. 6 დეკემბრიდან არქიმანდრიტი ექვთიმე დაინიშნა გელათის მონასტრის წინამდლვრად.<sup>5</sup> 1844 წ. 29 ივნისს აყვანილი იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და დაინიშნა გურიის ეპარქიის მმართველად (1844-1853 წწ.). 1853-1856 წწ.-ში კი გარდაცვალებამდე იმერეთის ეპისკოპოსი იყო.<sup>6</sup>

1 ქ.ც.სა. ფ. 21 ს. 1514 ფ. 45, 152

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 1808 ფ. 161

3 ქ.ც.სა. ფ. 21 ს. 1945 ფ. 4, 5, ფ. 21 ს. 2136 ფ. 15, 16, ს. 4352, ფ. 24

4 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 3766, ფ. 6,

5 ქ.ც.სა. ფ. 21 ს. 2163 ფ. 7, 8, ფ. 21 ს. 1930 ფ. 42

6 E. K. "История грузинской церкви и Экзархата," Тиф. 1901. стр. 72

1844 წ. ივნის —დეკემბერში მონასტრის წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი.<sup>1</sup>

1845 წ. დეკემბრიდან გელათის მონასტრის წინამძღვრად დაამტკიცეს არქიმანდრიტი სვიმონი (წულუკიძე). დაბადებული იყო 1778 წ. სასულიერო განათლება მიიღო და მორჩილება გაატარა ნიკორწმინდაში არქიეპისკოპოსს სოფრონიოსთან. 1811 წლიდან ილუმენია და ჭელიშის მონასტრის წინამძღვარი (1811-1827 წწ.). 1812 წლიდან არქიმანდრიტია. 1823-1826 წლებში ვაკის ოლქის საეკლესიო ქონების მმართველი. 1826 წ. დააჯილდოვეს წმ. ანას მე-3 ხარისხის ორდენით. 1827-1845 წლებში იმერეთის საეკლესიო შემოსავლის ხაზინადარია. 1845 წლის იანვრიდან დეკემბრამდე ჭელიშის მონასტრის წინამძღვარია. 1845 წ. დეკემბრიდან 1852 წ. აგვისტომდე (გარდაცვალებამდე) როგორც წინამძღვარი განაგებდა გელათის მონასტერს.<sup>2</sup> მისი საფლავის ქვაზე გელათის ღვთისმშობლის შობის მთავარ ტაძარში ასეთი ეპიტაფიაა „აქა განისვენებს მაღალლირსი არქიმანდრიტი და კავალერი სვიმონ. ტომით თავადი წულუკიძე 68 წლის, 8 წელს გამგებელი დიდის მონასტრის გელათის. გარდაცვალა 1852 წელსა 26 აგვისტოს, ხოლო ფიქალი ესე დავსდეთ სახსოვრად მეგობრობისა მისისა მეგრელიის თავადმა დადიანმა დავით“.

არქიმანდრიტ სვიმონის დროს გელათის მონასტერში 1846-1849 წლებში ჩატარდა დიდი სარემონტო სამუშაოები, რომელზედაც სულ დაიხარჯა 5102 მან. 40 კაპ.<sup>3</sup> შესრულებულ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა სპეციალური კომიტეტი არქიმანდრიტ სვიმონის თავმჯდომარეობით. შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაოები: გადაიხურა წმ. გიორგის და წმ. ნიკოლოზის ეკლესიები, სამრეკლო, შეიღება ეკლესიების და სხვა შენობათა სახურავები. მოავარაყეს წმ. გიორგის ეკლესიის ჯვარი. შეიღება წმ. გიორგის ეკლესიისა და სამრეკლოს ჯვრები. წმ. ნიკო-

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 2808 ფ. 10

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 4279 ფ. 67, 68

3 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 3605 ფ. 83

ლოზის ეკლესიაში გაკეთდა მოაჯირი და ფანჯრები, დიდ ტაძარში გადალებებს კანკელის კარები. შეკეთდა დავით აღმაშენებლის საფლავის სამლოცველო, მონასტრის გალავანი, მთავარი შესასვლელი და სანინამძღვრო სახლი.<sup>1</sup>

1852 წლის სექტემბრიდან 1853 წლის აგვისტომდე გელათის მონასტრის წინამძღვარია არქიმანდრიტი იოანე (იოსელიანი). იგი დაბადებული იყო 1787 წელს, აღიზარდა შიო-ლვიმის უდაბნოში. დიაკონად ეკურთხა 1813 წელს თბილისის მაცხოვრის ფერიცვალების მონასტერში, 1819 წლიდან მღვდელ-მონაზონია, 1831 წლიდან — იღუმენია. 1828 წლიდან 1835 წლამდე თბილისის სასულიერო სემინარიის ეკონომისია. 1838 წელს დააჯილდოვეს წმ. ანას მე-3 ხარისხის ორდენით. 1842 წლიდან არქიმანდრიტია. 1846 წლის მაისიდან ჭელიშის მონასტრის წინამძღვარია, საიდანაც გამოიყვანეს გელათის მონასტრის წინამძღვრად, აქედან კი გურიის ეპარქიის მართველად (1853-1858 წწ) გარდაიცვალა 1867 წელს დაკრძალულია გელათის მონასტრის დიდ ტაძარში.<sup>2</sup>

1853 წლის აგვისტოდან 1853 წლის ნოემბრამდე გელათის მონასტრის წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა იღუმენი იოსაფეტი.<sup>3</sup>

1853 წლის ნოემბრიდან გელათის მონასტრის წინამძღვარია არქიმანდრიტი თეოფანე (თეოფანე ვახუშტის ძე გაბუნია). იგი დაბადებული იყო 1809 წელს. სასულიერო განათლება მიიღო ცაგერის მონასტერში. 1825 წელს აღიკვეცა ბერად, იმავე წელს ეკურთხა იეროდიაკონად. მონაწილეობდა სამეგრელოს საეკლესიო ქონების პირველ აღნერაში, როგორც მდივანი. 1827 - 1833 წლებში ქრისტიანობას ქადაგებდა სადადიანო სვანეთში, სადაც მოაქცია 950 სული წარმართი. 1833 წელს ეკურთხა მღვდელ-მონაზვნათ და განაწესეს აფხაზეთში, როგორც ოსეთის სასულიერო კომისიის წევრი, სადაც ქადაგებით მოაქცია 5572 სული. 1841 წელს, როგორც აფხაზეთის მილიციის წევრი მონაწილეობდა ჩერქეზთა წინააღმდეგ ბრძოლაში. 1842-1846 წლებში ხელ-

1 ქ.ც.სა. ფ. 21 ს. 3605 ფ. 78, 89, 119

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 5259 ფ. 5

3 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 5104 ფ. 6

მძღვანელობდა აფხაზეთის სასულიერო მმართველობას, სადაც ააგო 4 ახალი ეკლესია და ქრისტიანობაზე მოაქცია 2413 აფხაზი. 1842 წლიდან იღუმენია, 1845 წელს დააჯილდოვეს გულსაკიდი ოქროს ჯვრით. 1846 წლიდან არქიმანდრიტია. ამავე წელს მოახდინა სამურზაყანოს საეკლესიო აღწერა და მოაქცია 256 სული წარმართი. 1848 წლიდან ცაგერის მონასტრის წინამძღვარია. 1853 წლის ნოემბრიდან 1854 წლის მარტამდე გელათის მონასტრის წინამძღვარია, საიდანაც გადაიყვანეს სამეგრელოს ეპისკოპოსად. გარდაიცვალა 1859 წლის პირველ ივნისს.<sup>1</sup>

1854 წლის მარტიდან გელათის მონასტრის წინამძღვარია არქიმანდრიტი გაბრიელი (ტუსკია). დაბადებული იყო 1800 წელს, სასულიერო აღზრდა-განათლება მიიღო გურიაში, ივანე ნათლისმცემლის უდაბნოში, აქვე აღიკვეცა ბერად 1815 წლიდან იეროდიაკონია. 1826 წლიდან მღვდელმონაზონი, 1830 წლიდან ამავე მონასტრის წინამძღვარია, 1836 წლიდან იღუმენია, 1842 წლიდან ჯუმათის მონასტრის წინამძღვარია, 1848 წლიდან არქიმანდრიტია, 1851 წლიდან გურიის ეპარქიის მონასტერთა ბლალოჩინია, 1852 წელს დაჯილდოებულ იქნა წმ. ანას მესამე ხარისხის ორდენით, 1854 წლის 13 დეკემბრიდან დაინიშნა გელათის მონასტრის წინამძღვრად. აქედან კი 1859 წლის 25 მარტს გადაიყვანეს გურიის ეპარქიის მმართველად, სადაც გარდაიცვალა 1881 წლის 11 სექტემბერს.<sup>2</sup>

არქიმანდრიტ გაბრიელის გელათში მოღვაწეობის დროს 1854-1856 წლებში, აქ ჩატარდა მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები, კერძოდ მთლიანად გადაიღება მონასტრის ეკლესიანაგებობათა სახურავები.<sup>3</sup>

1859 წლის 15 აპრილიდან 1860 წლის 31 ივნისამდე გელათის წინამძღვარი იყო არქიმანდრიტი ნიკოლოზი (ნიუარაძე) დაბადებული იყო 1800 წელს. სწავლა-განათლება მიიღო ჯრუჭის

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 5300 ფ. 11, 14, 15, 16

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 5960 ფ. 85, 86  
Е. К. "История грузинской церкви и Экзархата," Тиф. 1901. стр. 77

3 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 5492 ფ. 1, 27  
ს.ც.ს.ს.ა. ფ. 489 ან 1, ს 15449 ფ. 10

მონასტერში, აქვე აღიკვეცა ბერად 1817 წელს, 1882 წლიდან გელათშია. ის 1849-1853 წლებში იყო კაცხის, 1853-1856 წლებში ჭელეშის, 1856-1859 წლებში ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარი, საიდანაც გადაიყვანეს გელათში, გელათის მონასტერში მისი წინამძღვრობისას 1859 წლის 19 მაისს მოხდა დიდი უბედურება — უცნობი პირების მიერ მოპარული იქნა ცნობილი ხახულის ღვთისმმობლის ხატი. მართალია ამ საქმეში წინამძღვარი უდანაშაულოდ ცნეს, მაგრამ მისი მონასტრიდან გადაყვანა დაჩქარდა. გადაყვანილ იქნა კაცხის მონასტრის წინამძღვარად.<sup>1</sup>

1860 წლის ივნისიდან გელათის მონასტრის წინამძღვარია არქიმანდრიტი ონიფანტე ნადირაძე. დაბადებული იყო 1817 წელს, სასულიერო განათლება მიიღო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, 1842 წლიდან დიაკონია, 1844 წლიდან მღვდელი, 1855 წელს აღიკვეცა მონაზვნად, 1855-1859 წლებში ჭელიშის მონასტრის წინამძღვარია, სადაც მიიღო არქიმანდრიტის ხარისხი, 1860 - 1865 წლებში, გარდაცვალებამდე გელათის მონასტრის წინამძღვარია.<sup>2</sup>

არქიმანდრიტი ონიფანტეს წინამძღვრობისას გელათის მონასტერში ჩატარდა დიდი სარემონტო-აღმშენებლობითი სამუშაოები. კერძოდ, 1860 წელს დიდ ტაძარში დააგეს ახალი ქვის იატაკი. 1861 წელს ხელახლა გადაიღება მონასტრის ეკლესია- ნაგებობების სახურავი, 1863-1866 წლებში დიდ ტაძარში გაკეთდა ქვის ახალი კანკელი და შეიცვალა ფანჯრები.<sup>3</sup>

1865 წლის დეკემბრიდან 1875 წლის დეკემბრამდე გელათის მონასტრის წინამძღვარია არქიმანდრიტი ბესარიონი (ბესარიონ კაციას ძე დადიანი). დაიბადა 1820 წელს. სასულიერო აღზრდა-განათლება მიიღო მარტვილის მონასტერში. მორჩილება გაატარა ჯრუჭის მონასტერში, ბერად აღიკვეცა 1849 წელს, 1859 წლიდან არქიმანდრიტია, 1860-1865 წლებში ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარია, საიდანაც

1 ქ.ც.სა. ფ. 21 ს. 8059 ფ. 222, 223, ს. 7677

2 ქ.ც.სა. ფ. 21 ს. 8059 ფ. 218, 219

3 ქ.ც.ს. ა. ფ. 21 ს. 7271 ფ. 1; ფ. 21 ს. 353 ფ. 8; ფ. 21 ს. 8931 ფ. 21  
ს.ც.ს.ს.ა. ფ. 489 ან 1 ს. 22280 ფ. 1,  
ქ.ი.ქ.მ. ფ. 6466 166, 173, 159, 209, 223, 382, 162; ფ. 6861 ს. 56

გადაიყვანეს გელათის მონასტერში, 1869 წელს დაჯილდოებული იქნა წმინდა ანას მესამე ხარისხის ორდენით, 1871 წელს აირჩიეს უზმიდესი სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორის წევრად, 1853 წელს დააჯილდოვეს წმინდა ანას მე-2 ხარისხის ორდენით. გელათიდან 1874 წელს გადაიყვანეს სამეგრელოს ეპარქიის მმართველად, შემდეგში იყო აღავერდის ეპისკოპოსი, ბოლოს კი, გარდაცვალებამდე, 1898-1900 წლებში — იმერეთის ეპარქიის მმართველი.<sup>1</sup>

1871 წლის პირველ ნოემბრიდან 1872 წლის 14 ივნისამდე გელათის მონასტრის წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა მღვდელ-მონაზონი ნიკიფორე (კანდელაკი). დაბადებული იყო 1831 წელს, საეკლესიო განათლება მიიღო გელათის მონასტერში, სადაც აღიკვეცა მონაზვნად 1860 წელს. ამავე წელს ხელდასხმულ იქნა მღვდელ-მონაზვნად. 1866 წლიდან გელათის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარია და მონასტრის ეკონომოსი. 1872 წლის ივნისიდან გადაიყვანეს კაცხის მონასტრის წინამძღვრად.<sup>2</sup>

გელათის მონასტრის წინამძღვრებს შორის თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობით და ხანგრძლივობით გამორჩეულია არქიმანდრიტი სერაპიონი (ახვლედიანი), რომელიც 1875 წლის მაისიდან 1904 წლის ავგისტომდე განაგებდა მონასტერს. არქიმანდრიტი სერაპიონი დაბადებული იყო 1819 წელს (ეპიტაფიის თანახმად 1810 წელს, რაც ჩვენი აზრით საეჭვოა — მ.კ.). 1845 წლიდან მორჩილად იყო ჯრუჭის მონასტერში. 1846 წელს აღიკვეცა მონაზვნად, 1866 წლიდან არქიმანდრიტი. 1862-1866 წლებში მონამეთის მონასტრის წინამძღვარია, 1866-1875 წლებში კი ჯრუჭის, საიდანაც გადაიყვანეს გელათის მონასტრის წინამძღვრად. დაჯილდოებული იყო წმ. ანას მე-2 და მე-3 და წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენებით.<sup>3</sup>

არქიმანდრიტ სერაპიონის გელათში მოღვაწეობისას მონასტრის

1 ქ.ც.სა. ფ. 21 ს. 14379 ფ. 10, 11,

ე. კ. "История грузинской церкви и Экзархата," Тиф. 1901. стр. 77

2 ქ.ც.სა. ფ. 21 ს. 24119 ფ. 13, 14

3 იქვე 14, 15, 16

ეზოში აგებული იქმნა ეპისკოპოსის და წინამძღვრის სახლები, მონასტრის ძმათა საცხოვრებელი სახლი, რამდენჯერმე შეკეთდა მონასტრის ეკლესია-ნაგებობანი. აქ განუული დიდი ღვანწლისათვის ის მთავარი ტაძრის შიგნით, დასავლეთის მინაშენში დაკრძალეს. მის საფლავზე ასეთი ეპიტაფია — „ამა ლოდსა ქვეშე განისვენებს გაენათის მონასტრის არქიმანდრიტი და მოძღვარი ნეტარხსენებულის ეპისკოპოსის გაბრიელისა სერაფიონი ტომით ახვლედიანი შობიდან 101 წ. ემსახურა ამა დიდებულის მონასტერს წინამძღვრად 40 წ. გარდაიცვალა 1911 წელს 28 აპრილს“.

1904 წლის სექტემბრიდან არქიმანდრიტ სერაპიონის პენსიაზე გასვლის შემდეგ გელათის მონასტრის წინამძღვარი გახდა მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი (ნამორაძე). დაბადებული იყო 1872 წელს. დამთავრებული კქონდა პეტერბურგის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების ხარისხით. 1900 წელიდან ასწავლიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართულ ენას. 1902 წელს აღიკვეცა ბერად. წინამძღვრად დანიშვნისთანავე ებოძა არქიმანდრიტის ხარისხი. რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის 1906 წელს გაათავისუფლეს წინამდღვრობიდან და მიუსაჯეს რუსეთში გადასახლება სვიატოგორსკის მიძინების უდაბნოს (ხარკოვის ეპარქია) ძმათა წევრად, რუსეთის უწმ. სინოდის 1906 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით ანგისაეკლესიო და მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის,<sup>1</sup> თუმცა იგი იქ არ ჩასულა, თურქეთს შეაფარა თავი. 1917 წელს დაბრუნდა საქართველოში და 1917-1918 წლებში იყო ისევ გელათის მონასტრის წინამძღვარი, ხოლო 1918-1923 წლებში — მონამეთის მონასტრის წინამძღვარი. გარდაიცვალა 1923 წელს.<sup>2</sup>

არქიმანდრიტ ნიკოლოზის შემდეგ, 1906 წლის ნოემბრიდან 1911 წლის 13 დეკემბრამდე (გარდაცვალებამდე), გელათის მონასტრის წინამძღვარი იყო არქიმანდრიტი ნიკიფორე (წინამდღვრის მოვალეობას ასრულებდა 1871-1872 წლებში). აქ გადმოყვანამდე იგი წინამძღვარი იყო 1872-1892 წლებში კაცხის, 1892-1897 წლებში ჭელიშის და 1897-1906 წლებში ჯრუჭის მო-

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 22 ს. 22668 ფ. 1, 5

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 21933 ფ. 1, 2

ნასტრის. დაჯილდოებული იყო წმ. ანას მე-2 და მე-3 და წმ. ვლა-დიმერის მე-4 ხარისხის ორდენებით.<sup>1</sup>

რუსეთის უწმიდესმა სინოდმა 1912 წლის 11 აპრილს გელა-თის მონასტრის წინამძღვრად დანიშნა (ძველი ტრადიციის გათ-ვალისწინებით) იმერეთის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი გიორგი (ალადაშვილი), რომელიც ამ მოვალეობას ასრულებდა ფაქტიურად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგე-ნამდე. გელათში ადგილზე მას ჰყავდა თავის მოადგილე („ნამეს-ტნიკი“) იღუმენი ანთიმოსი (შემდგომში არქიმანდრიტი).

ეპისკოპოსი გიორგი (ერისკაცობაში დავით გიორგის ძე ალადაშ-ვილი) . დაბადებული იყო 1850 წელს. დამთავრებული კჰელინდა კიე-ვის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. 1899 წელს აღიკვეცა ბერად და აყვანილი იქნა არქიმანდრიტის ხარის-ხში. 1902 წელს დაინიშნა უწმიდესი სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორის წევრად და ოთანე ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვრად. 1905-1908 წლებში იყო გურია-სამეგრელოს ეპარქიის მმართველი. 1908-1917 წლებში იმერეთის ეპარქიის მმართველია. (გადაყენებულ იქნა 1917 წლის აპრილში). 1917-1920 წლებში განაგებდა წილკნის ეპარქიას, ხოლო 1920 წლიდან მიტროპოლიტია და ჭყონდიდისა და ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის მმართველი. გარდაიცვალა 1924 წელს. დაჯილდოებული იყო წმ. ანას 1, მე-2, მე-3 ხარისხის, წმ. ვლადიმერის მე-2, მე-3 და მე-4 ხარისხის ორდენებით და რამდენიმე მედლით.<sup>2</sup> იგი ეგზარქოსობის ხანის გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე იყო.

---

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 24119ფ. 13.14 ს. 24814 ფ. 2

2 მ. კეზევაძე — ეპისკოპოსი გიორგი — იმერეთის ეპარქიის უკანასკნე-ლი მმართველი. ქუთაისის ისტორიის ინსტიტუტის მასალები 5. ქუთაისი 2000 გვ. 34

ქ.ც.ს.ა ფ. 21, ს.24814, ფ.9

თავი მესამე

გელათის მონასტრის მამულები და მეურნეობა





საეკლესიო რეფორმის გატარებამ დასავლეთ საქართველოში საეკლესიო მიწათმფლობელობის წესებიც ძირეულად შეცვალა. დაიწყო მზადება საეკლესიო მამულების ხაზინისათვის გადაცემაზე, სანამ ეს მოხდებოდა (1871 წ.), გელათის მონასტერი რჩებოდა იმ მამულების მფლობელად (იმერეთის ეპარქიის მმართველობის ქვეშ), რომელიც საუკუნეების განმავლობაში დაიმკვიდრა. ჯერ კიდევ ღმთრისმმობლის შობის ტაძრის აგების დაწყებისთანავე, მეფე დავით აღმაშენებელმა მას „უზრუნველი ტრაპეზი გაუჩინა“.<sup>1</sup> „გელათს უპირატეს მდგომარეობას უქმნიდა ის გარემოებაც, რომ იგი მეფეთა საკუთარ საძვალე მონასტერს წარმოადგენდა“.<sup>2</sup> ამიტომ იყო, რომ თითქმის ყველა მეფე (რასაკვირველია, შემორჩენილი საბუთების სიმწირე ამას სრულად არ გვიჩვენებს) მოვალეობად თვლიდა ყმა-მამული შეენირა მონასტრისათვის „სოციალური სტრუქტურით, საერთოდ, გელათი ისე, როგორც სხვა მონასტრები და საეპისკოპოსოები საქართველოში, ფეოდალურ მიწათმფლობელ სამეურნეო ორგანიზაციას წარმოადგენს, როგორც საეკლესიო სენიორია გელათი საკმაოდ მსხვილი ერთეული იყო“.<sup>3</sup>

გელათის მონასტრის სამიწათმოქმედო სისტემის განხილვისას გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები, კერძოდ „საეკლესიო სენიორებში ქონების იურიდიულ მფლობელად წარმოდგენილია ის წმინდანი ან ღვთაება, რომლის სახელობაზეც არის დაფუძნებული მონასტერი — „ძმობა“ ამ „პატრონის“ სახელზე შედის ყოველგვარი შენირულებანი, ნასყიდი და სხვ. მონასტერი

1 „ცხოვრებად მეფეთ მეფისა დავითისა“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შანიძემ, თბ. 1992, გვ. 175.

2 ბ. ლომინაძე — გელათი, თბ. 1959, გვ. 13

3 იგივე

— „ძმობა“ ანხორციელებს იურიდიული პირის ყველა უფლებას, იგი ქონების კოლექტიურ-კოლეგიალური მფლობელია, მაგრამ მას არ შეუძლია საეკლესიო ქონების (ყმა-მამულის) გაყიდვა-გასხვისება (პრაქტიკულ მაგალითებში ამის არცერთი შემთხვევა-ვა არ ჩანს)... ეკლესიის ხელში ერთხელ გადაცემული ქონება ეკ-ლესიის სამუდამო შეუვალ კუთვნილებად იქცეოდა“!<sup>1</sup> XIX ს-ის დასაწყისისათვის გელათის მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა როგორც საკუთრივ გელათისათვის შენირული ყმა-მამული, ასევე აქ დაცული დიდი სინმინდეების ხახულის, ანურის და ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატებისადმი შენირულნიც. ამასთანავე, მონასტრის საერთო შემოსავალში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მთავარ ტაძართან (ღმრთისმშობლის შობის) არსებულ საწინამძღვრო ეკვდრების ქონებას. საწინამძღვრო ეკვდერი, რომელიც დამოუკიდებელი წვრილი სამეურნეო-ფეოდალური ერთეული იყო, სამწირველოს განვითარების შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა. საწინამძღვროს შექმნამ გამოიწვია მთლიანი სენიორის უფრო მკვეთრი დანაწილება. „საწინამძღვროებად“ დაშლილ საეკლესიო სენიორიაში ფაქტიურად ორგვარი ქონებაა: „სახასო“, რომელიც მთავარ ეკლესიას ეკუთვნის და „საწინამძღვრო-საეკვდრო“, რომელიც საწინამძღვროს ეკუთვნის. „საწინამძღვრო“ ორგანიზაციულად გაფორმებულია შემწირველის საფლავზე, იგი ცალკე ეკლესია (ე.ი. აქვს ცალკე საკურთხეველი რომელი-მე წმინდანის სახელობაზე). ამიტომ გელათის მონასტრის მიწათმფლობელობაზე საუბრისას გასათვალისწინებელია საწინამძღვროების არსებობა. „საბუთების სიმცირის გამო ჩვენ ვერ ვაზუსტებთ, თუ როდის რამდენი საწინამძღვრო არსებობდა... 1545 წელს გელათში ერთდროულად მოხსენიებულია შვიდი „მწირველი“ (საქ. სიძვ. I, გვ. 17, 18), ხოლო 1750 წელს კი — ოთხი „წინამძღვარი“ (დ.ს.ს.ს., II, გვ. 1). ცხადია, გელათის საფეოდალოში, ერთ შემთხვევაში შვიდი, ხოლო მეორე შემთხვევაში ორი საწი-

1 ბ. ლომინაძე — ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან სენიორები, თბ. 1967, გვ. 66

ნამძღვრო არსებობდა“.<sup>1</sup> ჩვენთვის საკვლევ პერიოდში, როგორც წინა თავში აღვნიშნავდით, გელათის ღმრთისმშობლის შობის ტაძარში მოქმედი ჩანს (წინამძღვარი უზის) არსებული 5 ეკვდერიდან სამს, ესენია: მაცხოვრის, ანდრია პირველწოდებულის და წმ. მარინესი. აღნიშნული ეკვდერები დაუქმებული ჩანან XIX ს-ის შუა ხანებში. ამას გვაფიქრებინებს მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ სვიმონის 1849 წლის ერთ-ერთ პატაკში (იმერეთის მიტროპოლიტ დავითისადმი) ნათქვამი: „გაენათის მონასტრის წმ. ანდრია მოციქულის და წმ. მარინეს ეკვდრებში წელინადში ორგზის არ იქმნება წირვა-ლოცვა“<sup>2</sup> და ის ფაქტი, რომ XIX ს-ის 50-იანი წლების შემდეგ მონასტრის ძმათა ნამსახურების სიებში აღარ ჩანან ეკვდრების წინამძღვრები, თუმცა იმერეთის საეკლესიო მამულების ხაზინაზე გადაცემამდე შემოსავლები მაინც ცალ-ცალკე, ეკვდრების მიხედვით აღინუსხებოდა.

ჩვენ არ განვიხილავთ ყველა იმ დოკუმენტს, რომელიც გელათის მონასტრის ყმებისა და მამულების შენირულობას ადასტურებს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დავით აღმაშენებლისაგან მძღავრად დაფუძნებული მონასტრის შენირულობა და მამულები XVI ს-ის დასაწყისისათვის საგრძნობლად დაკანინებულა. მისი განახლებისათვის დიდი ზრუნვა გამოუჩენია იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565 წ.წ.). მან გელათის მონასტერს შესწირა დიდძ ალი მამულები და 1529 წელს გელათი საეპისკოპოსოდ შექმნა. როგორც აფხაზეთის კათოლიკოსი მალაქია თავის სიგელში აღნიშნავს: „მეფეთ-მეფემან ბაგრატ მოგუახსენა და დაგუაჯერა, რათამცა გენათი საყდრად და საეპისკოპოსოდ შეგვექმნა ვის-მინეთ მოხსენება მათ... ვაკურთხეთ და დავსვით გეენათს კაცი უაღრესი ანგელოზთა და განუჩინეთ პატივი და საჯდომი ვითარ პატრიარქთა და მეფეთა განაჩენსა ძეგლსა შინა წერილ არს; და გაუჩინეთ სამწყსონი და საკურთხები: რიონსა და ქუთათისის ქალაქსა ზედა, ყვირილას გამოლმა და ვიდრე კაცხის ზღუარამდე და ხრეითს აქეთ რაჭის მთამდის, ოკრიბა სრულიად, ქუთაისის

1 ბ. ლომინაძე — ფეოდალური მინის მფლობელობის ისტორიიდან „სანინამძღვრო“, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ. 1954, გვ. 145

2 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 4637, ფ. 1

ქალაქსა შიგან, გაღმა და გამოღმა და ანუ დაბანი და სოფელი იყვნენ მიმო დათესული გლეხნი“.<sup>1</sup>

გელათის მონასტერს ბაგრატ III შემდეგ მნიშვნელოვანი შენირულობანი მისცეს იმერეთის მეფეებმა: გიორგი III, ალექსანდრე III და გამორჩეულად სოლომონ I და სოლომონ II, ასევე სხვადასხვა მაღალი იერარქიის სასულიერო პირებმა. განსაკუთრებით ალსანიშნავია მეფე სოლომონ I დამოკიდებულება გელათისადმი, 1755 წელს მან მონასტრის ყმები გაათავისუფლა საურის გადასახადისაგან: „....ასე დავამტკიცეთ რომ არც ჩემგან და არც შემდგომთა ჩემთა მეპატრონეთაგან ამ გელათის შემავალს არც აზნაურის შვილის ყმასა და არც გლეხს მისი საკუთარი სახასო ყმა სადაც იყოს არსად ჩვენგან და ჩვენის მორჩილისა და ბრძანების ნებამ მყოფილის კაცისაგან არასოდეს საურის გარდა-სახადი ხარაჯა არ ეთხოვებოდეს“.<sup>2</sup>

გელათის მონასტრის ყმა-მამულის მფლობელობაში განირჩევა ორი ფორმა: სახასო და საეკლესიო აზნაური. მფლობელობის ამ ორ სახეს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება ჩანს, ხშირად საეკლესიო აზნაურები ცდილობენ ხელთ იგდონ ეკლესის სახასო მამული. ბევჯერ ეს „უამთა ვითარებისაგან“ ხდებოდა, მაგრამ ეკლესია პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში ცდილობდა დაებრუნებინა თავისივე აზნაურის მიერ მიტაცებული ყმა-მამული. ასე მაგალითად, 1774 წელს აფხაზეთის კათოლიკოსი იოსებ გენათელი „ხახულისა, გელათისა და საკურთხევლისა“ ღმრთის-მშობელს უბრუნებს „უამთა ვითარებისა და უდროვობით შეტაცებულებისაგან დავიწყებულ გლეხს ლაფეთს გიორგი მახვილად ეს, რომელიც ჩვენსავე კაცს „იესე ნიშნიანიძეს და მის ძმას ყავდა უწიგნოთ, ჩუმად შერჩენდა დავიწყებით ჩენი ეკლესის ძირი გლეხი ამოვიყვანეთ სიტყვა არ ქონდა სადევოდ“.<sup>3</sup> დოკუმენტში

1 ი. დოლიძე — ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ. 1970, გვ. 249-250

2 ს. კაკაბაძე — დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ნ. II, ტფ. 1921, გვ. 5

3 ი. დოლიძე — ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ. 1970, გვ. 900, 901

იოსებ კათოლიკოსი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ გლეხი გიორგი მახვილაძე არის „ეკლესიის ძირი გლეხი“, „სამკვიდრო“, ამიტომ თუ ის საეკლესიო აზნაურის მფლობელობაში იქნებოდა, ასეთად აღარ ჩაითვლებოდა, რის შედეგადაც ეკლესიას ბეგარა-გადა-სახადი დააკლდებოდა. ამ მხრივ საინტერესოა 1812 წლის 1 აგ-ვისტოს შედგენილი ეფვთიმე გენათელის სიგელი<sup>1</sup>, რომლითაც სოფელ ქველობანს (დღევანდელი სოფ. კურსების ნაწილი — მ.კ.) მოსახლე გლეხებს ალფაიძე ნასხიტელას და მის ძმისწულებს და-ვითელას და ლაზარიკას სწირავს გელათის ეკლესიას, ისინი „პირველ ქველთაგანაც სახასოდ ეკლესიის გელათისათვის ყოფი-ლან“. ეს გლეხები ამ დროს (1812 წ.) ხოსკა ხოხიაშვილს და მის ძმას ივანიკას ეკუთვნოდნენ, რომლებიც თავის მხრივ „გელათის აზნაურიშვილები და ყმები იყვნენ“. ისინი „უამისაგან გარდაშენ-დნენ“ და მემკვიდრე აღარ დარჩათ. ეფვთიმე გენათელი განა-ჩენს: „ხახულისა ღთისმშობელს და გაენათის ღმთრისმშობელს საკუთრად სახასოდ მიგართვი რაც ბეგარა და სამსახური უნინ გქონდა და სახასო კაცი გმართებოდესთ, იმ ბეგრითა და იმ სამ-სახურით უნდა ემსახუროთ ეკლესიასაცა და იმათზე მჯდომ გე-ნათელსაც“, ე.ი. ქველობნელი ალფაიძეები სანამ გახდებოდნენ აზნაურ ხოხიაშვილთა ყმები, გელათის მონასტრისადმი ბეგა-რასა და სამსახურს ეწეოდნენ, მაგრამ შეიქმნენ რა სააზნაურო გლეხებად, მიუხედავად იმისა, რომ მათი მფლობელი აზნაუ-რებიც ამავე მონასტრებს ეკუთვნოდნენ, ასეთ ვალდებულებებს აღარ ასრულებდნენ. აშკარად ჩანს, რომ საეკლესიო აზნაურთა ყმების მხოლოდ ნაწილი უხდიდა ბეგარა-გადასახდს უშუალოდ გელათის მონასტრს, ხოლო მეორე ნაწილი კი უშუალოდ თავის აზნაურებს. ამის გამო ეკლესიის სახასო და სააზნაურო ყმა-მა-მული და შემოსავალი ჩვენთვის საკვლევ პერიოდში ცალ-ცალკე აღირიცხებოდა.

სხვადასხვა წლების მიხედვით გელათის მონასტრის სახასო მფლობელობა და შემოსავლები შემდეგ სურათს იძლევა:

<sup>1</sup> ი. დოლიძე — ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ. 1970, გვ. 1117, 1118

№	1820 <sup>1</sup>			1825 <sup>2</sup>		1847 <sup>3</sup>	1866 <sup>4</sup>
	სოფელი	კომლი	გადასახადი მან-ში	კომლი	გადასახადი მან-ში	გადასახადი მან-ში	გადასახადი მან-ში
1.	საწირე	14	87	14	100	100	100
2.	სოჩხეთი	8	58	10	65	65	65
3.	კისორეთი	5	31	5	42	42	42
4.	გურნა	10	61	12	70	70	70
5.	ჯვარისა	11	74	14	87	87	87
6.	ციხია	7	42	7	44	44	44
7.	ლაფეთი	5	24	6	30	30	30
8.	მანდიკორი	2	12	2	12	12	12
9.	გელათი	10	50	15	60	60	60
10.	კურსები	37	267	50	310	228	281
11.	რიონი	10	66	10	66	66	66
12.	სორმონი	4	25	6	35	35	35
13.	ნოღა	2	7	3	10	10	10
14.	ჭოლევი	1	3	1	3	3	3

1 ს. კავაბაძე — იმერეთის საეკლესიო ყმათმფლობელობა, 1820-1825 წე. აღწერათა მიხედვით „საისტორიო კრებული“, ნ. 4, ტფ. 1929, გვ. 78-80

2 იგივე

3 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 6888, ფ. 78

4 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 9830ა, ფ. 47

15.	ნაბოსლევი	22	147	23	151	143	143
16.	კოკა	15	98	15	98	67	67
17.	ოჯოლა	1	4	2	10	10	10
18.	გოდოგანი	—	146	23	146	146	146
19.	ვაკისუბანი	4	22	7	40	40	—
20.	ზემო ქვიტირი	—	—	—	—	45	—
21.	ქვემო ქვიტირი	4	25	5	31	31	—
22.	დიმი	2	14	2	14	14	—
23.	კორიში	3	18	3	18	18	—
24.	სიმონეთი	33	190	39	220	121	125
25.	ეწერი	11	96	14	115	115	115
26.	ძევრი	10	95	14	100	12	92
27.	ჩხარი (სომხები)	4	20	4	20	20	20
28.	ჩხარი (ქართველები)	14	107	18	120	120	120
29.	ტელეფა	—	30	3	30	20	20
30.	ღვანკითი	—	20	2	20	20	20
31.	ბოსლევი	—	146	25	146	146	—
32.	თერჯოლა	—	—	3	12	6	—
33.	საზანო	—	60	6	60	60	—
34.	მუხურა	—	32	5	32	32	—
35.	ალისუბანი	36	296	38	302	302	302

36.	თხილთწყარო	12	101	12	101	101	101
37.	ძიროვანი	6	29	7	42	42	42
38.	ნაგარევი	—	64	10	64	64	—
39.	ჭოგნარი	8	42	17	100	79	79
40.	ოდილაური	6	32	10	50	50	50
41.	სამტრედია	18	100	23	129	—	—
42.	მუსაყრუა	16	96	25	116	—	—
43.	ყუმისთავი	6	37	9	42	—	—
44.	ბანოჯა	4	18	7	38	—	—
45.	უძლოური	11	66	11	70	—	—
46.	ამაღლება	1	7	1	7	—	—
47.	კვაშნიეთი	17	106	17	120	—	—
48.	ბუგეული	3	17	3	17	—	—
49.	სხვავა	2	14	3	14	—	—
50.	ონი	1	6	1	6	—	—
51.	შავრა	4	24	5	25	—	—
52.	ლადიში	2	14	2	11	—	—
53.	ჯვარისა	6	35	5	30	—	—
54.	საჩხერე	1	8	—	—	—	—

გელათის მონასტრის კუთვნილ საეკლესიო მიწებზე მცხოვრებ აზნაურთა ყმათაგან შემოსავალი კი წლების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

№	1825 <sup>1</sup>		1847 <sup>2</sup>	
	სოფელი	კომლი	გადასახადი მან-ში	გადასახადი მან-ში
1.	კურსები	7	7	7
2.	გელათი	3	3	3
3.	ჭალასთავი	4	4	4
4.	ნოღა	1	1	1
5.	ჭოლევი	3	3	3
6.	ნაბოსლევი	6	6	6
7.	მესხეთი	5	5	5
8.	ქვემო ქვიტირი	13	13	9
9.	ალისუბანი	12	12	12
10.	ნაგარევი	2	2	2
11.	გოდოგანი	4	4	4
12.	რიონი	4	4	4
13.	ნაძვა	6	6	6

1 ს. კაკაბაძე — იმერეთის საეკლესიო ყმათმფლობელობა, 1820-1825 წე. აღწერათა მიხედვით „საისტორიო კრებული“, წ. 4, ტფ. 1929, გვ. 100 2 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 6888, ფ. 80

1825 წლის აღნერას დართული პქონდა იმ საეკლესიო ყმების სია, რომლებიც იმერეთიდან გაქცეულან ქართლ-კახეთში 1812 წელს ჟამი-ანობის დროს და იქვე დასახლებულან. ამ სიაში დასტურდება 67 სული მამაკაცი საგენათლო ყმა,<sup>1</sup> ხოლო 1844 წელს, როცა დაისვა საკითხი იმერეთიდან საქართველოს სხვადასხვა მხარეებში 1812-1820 წ.წ. გადა-სახლებულთა (ჟამიანობის გამო) უკან დაბრუნებაზე, აღრიცხულ 172 კომლში 61 ოკრიბიდან იყო,<sup>2</sup> უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი დიდი ნაწილი სწორედ გელათის მონასტრის ყმები იყვნენ.

საგენათლო აზნაურებისა და მათი ყმათა რაოდენობა და მამულები XIX ს-ის 20-იან წლებში ასეთია:<sup>3</sup>

სოფელი	კომლი	სული მამრი	ქცევა სახნავი	მოსავალი ღვინისა კოკობით
კურსები აზნ.	5	12	56	480
— ო— ყმა	7	16	61	449
გელათი აზნ.	5	15	77	261
— ო— ყმა	8	19	50	280
ჭალასთავი აზნ.	3	12	13	140
— ო— ყმა	4	13	17	170
ნოლა აზნ.	1	1	20	60
— ო— ყმა	1	3	10	40
ჭოლევი აზნ.	5	11	106	460
— ო— ყმა	3	9	19	105

1 ს. კაკაბაძე — იმერეთის საეკლესიო ყმათმფლობელობა 1820-1825 წწ აღნერათა მიხედვით „საისტორიო კრებული“, ნ. 4, ტფ. 1929, გვ. 100

2 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 2637

3 ს. კაკაბაძე — იმერეთის საეკლესიო ყმათმფლობელობა 1820-1825 წწ აღნერათა მიხედვით „საისტორიო კრებული“, ნ. 4, ტფ. 1929, გვ. 96

ნაბოსლევი აზნ.	1	2	50	200
— ო— ყმა	6	20	34	295
მესხეთი აზნ.	1	3	100	260
— ო— ყმა	5	18	28	200
ქვემო ქვიტირი აზნ.	1	1	15	60
— ო— ყმა	13	42	235	1030
ალისუბანი აზნ.	7	20	845	800
— ო— ყმა	12	40	96	720
ნაგარევი აზნ.	5	11	77	220
— ო— ყმა	2	8	20	60
გოდოგანი აზნ.	5	11	454	550
— ო— ყმა	6	30	45	320
რიონი აზნ.	3	5	95	236
— ო— ყმა	4	17	42	270
ნაძვა, აზნ.	3	9	70	400
— ო— ყმა	6	25	60	434

გელათის მონასტრის აზნაურებად ჩანან ცირლილაძები,<sup>1</sup> გო-  
გოლაშვილები,<sup>2</sup> ჭიჭინაძები,<sup>3</sup> ნიშნიანიძები,<sup>4</sup> ხოხიაშვილები<sup>5</sup>  
და სხვა.

<sup>1</sup> ი. დოლიძე — ქართული სამართლის ქადაგები, ტ. III, თბ., 1970, გვ. 260-261

<sup>2</sup> იგივე, გვ. 1043-1044

<sup>3</sup> იგივე, გვ. 506-513, 1131-1133, 1124, 1125

<sup>4</sup> იგივე, გვ. 828, 829, 1118, 1119, 1131-1133

<sup>5</sup> იგივე, გვ. 1117, 1118, 1119

იმერეთის არქიეპისკოპოს სოფრონიოსის 1827 წლის 12 იანვრის პატაკიდან საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისადმი ჩანს, რომ 1820 წელს ახლად შექმნილ იმერეთის ეპარქიაში (მათ შორის გელათის მონასტერშიც) საეკლესიო ყმებისაგან გადასახადი არ ეულობის (აჯანყების) გამო ფულად არ აკრებილა, არამედ ნატურით („ჯინშად“) ძველი წესასამებრ „საზრდოდ სამღვდელო გვამთა და ეკლესიისათვის“.<sup>1</sup> სხვა საბუთებიდან ჩანს, რომ 1820 წლის ანგარიშზე გადასახადი ფულად აუკრებიათ 1821 წელს.<sup>2</sup> თუ მონასტრის ნინამძღვარ არქიმანდრიტ ნიკოლოზის შედგენილ ნუსხას ვენდობით, 1820 წელს გელათის ეპარქიის საეკლესიო ყმებისაგან მხოლოდ ქუთაისის მაზრაში შემოვიდა 3768 მან. და 40 კაპ.<sup>3</sup> 1821 წელს 3573 მან. და 65 კაპ.<sup>4</sup> 1822 წელს 3351 მან.<sup>5</sup> და ა.შ. თითქმის ყოველ წელს შემოსავალი გარკვეული პროცენტის დანაკლისით შემოდიოდა. შემოსავლების დაკლების ძირითადი მიზეზი იყო ობლობა, ოჯახის ამონტვეტა-გადაშენება, ზოგჯერ კი სამოქალაქო მთავრობის სხვადასხვა გადაწყვეტილებები.<sup>6</sup> ნინა წლების გადასახადების ამონტება (დანაკლისის შევსება) პრაქტიკულად არ ხდებოდა, ასე მაგ. იმერეთის ეპარქიაში 1824 წელს 1823 წლის დანაკლისიდან ნაცვლად 660 მანეთისა შემოვიდა 4 მან.<sup>7</sup> ეგზარქოსობისდროინდელ გელათის მონასტერში მონასტრის კუთვნილ მამულებიდან გადასახადს კრებდა თავად ნინამძღვარი ან ნინამძღვრის დავალებით კრებულის რომელიმე წევრი.<sup>8</sup> 1844 წლის მონაცემით გელათის მონასტრის კუთვნილი გლეხის გადასახადი შეადგენდა: 1 კოკა ღვინოს, 1 ბათმან ღომს, 2 ბათმან სიმინდს, 1 ჯამ ლობიოს, 1 ქათამს და 5 კონა ჩალას.<sup>9</sup>

როგორც აღვნიშნეთ, გელათის მონასტრის ყმა-მამულთა სა-

1 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 377, ფ. 6

2 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 306, ფ. 2, 8, 79

3 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 306, ფ. 2

4 იქვე, ფ. 8

5 იქვე, ფ. 16

6 იქვე, ფ. 2, 24, 55

7 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 148, ფ. 3

8 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 780

9 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 2711, ფ. 1, 2

ერთო რაოდენობაში მნიშვნელოვანი ნაწილი ეჭირა მონასტრის ეკვდრებს.

**მაცხოვრის ეკვდრის მფლობელობა** — მაცხოვრის სახელობის ეკვდერი მდებარეობს ღმრთისმშობლის შობის ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. მასში დაკრძალული არიან იმერეთის მეფეები:<sup>1</sup> როსტომ I (+1605 წ.), გიორგი III (+1639 წ.), გიორგი VI (+1720 წ.).

მაცხოვრის ეკვდრის მიწათმფლობელობა წყაროებში პირველად ჩანს 1630 წლიდან, როცა იმერეთის მეფე გიორგი III და მისმა ვაჟებმა შესწირეს თავიანთ „ეკვდერს და სასაფლაოს... მაცხოვრის პირსა ღვთისასა... დადგინებულს წინამძღვარს ზაქარიას“ ლეყერეთს ქელბაქიანისეული ორი გლეხი შალიკიანები ლომინაი, ივანაი და გოჩიაი, რომლებიც „...ყოველს წელიწადს ბეგარის მაგიერ დიდს ხუთმაბათს თვითოს კელაპტარს ჩვენს საფლავზე დაანთებდნენ...“<sup>2</sup> აღნიშნული დოკუმენტიდან ივარაუდება, რომ ამ დროისათვის მაცხოვრის ეკვდერი უკვე ჩამოყალიბებული სამწირველოა, რომელსაც გარკვეული მამულები გააჩნია. რაც შეეხება აღნიშნული სიგელით შენირულ შალიკიანებს, მათი მემკვიდრეები მაცხოვრის ეკვდრის ხელში მეფე სოლომონ I დროსაც ჩანან, თუმცა განვლილი დროის მონაკვეთში ისინი „უამთა ვითარებისაგან წართმეულები იყვნენ“ მეფე სოლომონ I, დედოფალი მარიამი და მათი ძე ალექსანდრე წირავენ თავიანთ „ეკვდერს და სასაფლავოს მაცხოვარს და მის წინამძღვარს ჭიჭინაძეს იოაკიმს“ ლეყერეთს შვიდ კომლ შალიკიანებს მათი ბეგრით „თუ ითომ მოსახლეს ორ-ორი ჩარექი სანთელი, ოთხი კოდი ღომი, სამ-სამი თორმეტიანი ღვინო, თვისი ტვირთით მოგიტანდესთ“, აგრეთვე შალიკიანი ხაბელიკა მისი ცოლ-შვილით „პირველ შენირული ყოფილიყო“..., „გაუყიდიათ... და ქელბაქიანს გოგიტას ყავდა თვისი გამონალები თეთრიც მივეცით ქელბაქი-

1 ბ. ლომინაძე — გელათი, თბ. 1959, გვ. 2

მ. კეზევაძე — გელათის მონასტრის ნეკროპოლი, „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“, 2004 წ. 11, გვ. 9

2 ს. კაკაბაძე — დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფ. 1921, გვ. 48, 49

ანს... და ამ ეკვდერს შევსწირეთ“.<sup>1</sup> ეს სიგელი დაახლოებით 1776 წლითაა დათარიღებული, 1781 წელს კი სოლომონ I დედოფალ გულქანთან ერთად თავისი პაპის მეფე გიორგი VI დადებულ სიგელს აახლებს და სწირავს „გელათის მაცხოვრის ეკვდერს“ და მის წინამძღვარს მღვდელ-მონაზონ დომენტი ჭიჭინაძეს გელათს „მაცხოვრის კარის შემოსავლის გვერდზედ ერთი ქვიტკირის სახლი და ადგილი მცირედი მოზღუდვილი, შადრევაზზედ მოსახლე ერთი კუბულაშვილი გიორგი თავის ცოლ-შვილით და ადგილ-მამულით“... მანდიკორს „ასანბეგ კაკუშაძისეული სა-სახლე და ოთხის სხვა ძმის კაკუშაძისეული“ უშვილოდ გარდასულები იყვნენ და ერთი მოსახლე კაკუშაძე.<sup>2</sup>

1787 წელს მაცხოვრის ეკვდერს სვიმონ ჭიჭინაძემ შეწირა მამამისის ნაყიდი და შემდეგ თათრისადმი მისყიდული და სვიმონის მიერ თათრისაგან „მრავლითა შრომით“ დახსნილი დათუნიკა სვანიშვილი (თავის დროზე სვანეთიდან ჩამოყვანილი).<sup>3</sup>

1800 წელს მეფე სოლომონ II მაცხოვრის ეკვდერს უმტკიცებს წინა მეფეთაგან შეწირულ ყმა-მამულს — ლეყერეთს, შვიდ კომლ შალიკვანებს. „ესენი ყოველნი თავისითა ცოლ-შვილითა, ადგილ-მამულითა და თვისითა სამართლიანითა სამზღურითა და ბეგრითა ვითარცა ცხადყოფს ძველი მატიანე“. ისინი მეფეს „ყოველ-თა მაჭივრებელთა და მოხელეთაგან გაუთავისუფლებია“.<sup>4</sup>

მაცხოვრის ეკვდრის წინამძღვრებად ტრადიციულად ჩანან ჭიჭინაძები ყმა-გლეხებად კი — შალიკვანები, კაკუშაძეები, კუბლაშვილი და სვანიშვილი.

XIX ს-ში მაცხოვრის ეკვდრის ყმა-მამული და შემოსავლები შემდეგ სურათს იძლევა:

1 ს. კაკაბაძე — დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ნ. II, ტფ. 1921, გვ. 53, 54

2 იქვე, გვ. 72

3 იქვე, გვ. 188

4 იქვე, გვ. 118

№	სოფელი	1820 წ. <sup>8</sup>				1825 წ. <sup>9</sup>	1847 <sup>10</sup> გადასახადი მან-ში
		კომლი	სახნავი მინა ქცევებში	ლვინო კოკინით	გადასახადი მან-ში		
1	მანდიკორი	2	18	139	12	2	16
2	გელათი	1	8	40	6	1	6
3	ლეყუერეთი	6	63	460	35	6	35
4	პატრიკეთი	1	4	30	7	1	5

**წმინდა მარინეს ეკვდრის მფლობელობა — წმ. მარინეს ეკვდერი მდებარეობს ღმრთისმშობლის შობის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ამ ეკვდრის ყმა-მამულის მფლობელობაზე მსჯელობისას სიფრთხილეა საჭირო, რამდენადაც ტაძარში ამ სახელწოდების ორი ეკვდერია, ერთი ჩრდილოეთის მხარეზე, მეორე — სამხრეთით. ამ უკანასკნელში დასტურდება სოლომონ I მეუღლის მარიამის დაკრძალვა.<sup>4</sup> ბ. ლომინაძის აზრით ეს უნდა იყოს XVIII ს-ის საბუთებში ნახსენები „სადედოფლო ეკლესია“.<sup>5</sup> ამ ეკვდერზე გამორჩეულად ზრუნავდნენ იმერეთის მეფეები სოლომონ I და სოლომონ II. 1791 წლის 3 მარტს სოლომონ II პრძანება მისცა „ერთობით ყველა მოხელეს“ — მოურავს, ხელოსანს, ნაცვალს, მამასახლის, რომ სოლომონ I მიერ წმ. მარინეს ეკვდრისათვის და დედოფალ მარიამის საფლავისათვის შენი-**

1 ს. კაკაბაძე — იმერეთის საეკლესიო ყმათმფლობელობა, 1820-1825 წწ. აღნერათა მიხედვით „საისტორიო კრებული“, ნ. 4, ტფ. 1929, გვ. 100

2 იგივე

3 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 6888, ფ. 79

4 ბ. ლომინაძე — გელათი, თბ., 1955, გვ. 44

5 იგივე

რულ „გლეხებზე და ვაჭრებზედ საქმე არა აქვს“ წინამძღვრის მეტს არავისო, ე.ი. ეკვდერს სრული შეუვალობა უბოძა.<sup>1</sup>

XIX ს-ში ნმ. მარინეს ეკვდრის ყმა-მამული და შემოსავლები შემდეგ სურათს იძლევა:

№	1820 წ. <sup>2</sup>				1825 წ. <sup>3</sup>		1847 <sup>4</sup>	
	სოფელი	კომლი	სახნავი მინა ქცევებში	ლვინო კოკბით	გადასახადი მან-ში	კომლი	გადასახადი მან-ში	გადასახადი გან-ში
1	საწირე	—	12	100	—	1	7	7
2	გურნა	6	108	840	45	9	60	60
3	ბობოთი	1	6	60	2	1	2	2
4	შუყერი	4	64	600	31	6	41	41
5	მანდიკორი	4	47	407	28	5	34	34
6	ჯონია	3	33	211	18	3	20	20
7	გელათი	2	11	110	7	2	12	12
8	გოდოგანი	1	8	50	6	1	6	6
9	ივანოული <sup>5</sup>		19	120				12

ნმ. ანდრია მოციქულის ეკვდრის მფლობელობა — ეს ეკვდერი მდებარეობს ღმთრისმშობლის შობის ტაძრის სამხრეთ-აღმო-

1 ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საბუთი №106

2 ს. კაკაბაძე — იმერეთის საეკლესიო ყმათმფლობელობა, 1820-1825 წწ. აღნერათა მიხედვით „საისტორიო კრებული“, ნ. 4, ტფ. 1929, გვ. 86, 94

3 იგივე

4 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 6888, ფ. 79

5 ქ.ც.ს.ა., ფ. 18, ს. 1701

სავლეთ ნაწილში. ტრადიციულად ის თამარ მეფის სასაფლაო ეკვდრადაა მიჩნეული. XVIII ს-ის დასაწყისში ის გაუქმებული ყოფილა და მხოლოდ 1730 წელს საკუთარ სასაფლაოდ განუახლებია იმერეთის მეფე ალექსანდრე V, როცა აქ თავის მეუღლე მარიამი დაუკრძალავს, სახელიც მასვე უწოდებია ეკვდრი-სათვის. როგორც თავის ერთ საბუთში აღნიშნავს: „უამთა ვითა-რებისაგან არავინ უწყოდა თუ ვისი საძვალე ყოფილიყო ანუ სახელსა ზედა წმიდისა. შენება საყდრისა ხელვყავით გაშენებად და შემკობად მისსა... და მოვიმოწმეთ აფხაზეთისა კათალიკოსი გრიგოლი და სხვანი მიტროპოლიტნი და ეპისკოპოსი და აღვა-გებინე საკურთხეველი სახელსა ზედა ანდრია მოციქულისათა“.<sup>1</sup> განახლებული ეკვდერი ალექსადრე V სამეფოდ მიაჩნდა. ერთ საბუთში მეფე წერს: „ქ. კანდელაკის შვილი გალობელი ნწ მახვი-ლით აღესრულა და ვაჟი არ დარჩა. საყდროვანი ჩვენდა იყო სახასოდ. ისევ ანდრია მოციქულის ეკვდრისათვის შემოგვიწი-რავს“.<sup>2</sup> მეფის ამ ნათქამში საინტერესოა სწორედ ეს ფაქტი, წე-სით უმეტკვიდროდ დარჩენილი საეკლესიო მამული გენათელის განკარგულებაში უნდა დარჩენილიყო, მაგალითად უფრო მოგვი-ანებით ეფვთიმე გენათელი აცხადებს: „უშვილოდ გარდასრულის ეკლესის ყმის კაცის დანაშოომი ისევე ეკლესის დარჩებაო“<sup>3</sup> და „სამართლით უშვილოს კაცისეული ჩემი იყოო“.<sup>4</sup>

1730 წელს მეფე ალექსანდრე V ეკვდერს შენირა გოდოგან-ში გიორგი ჭარბაძე და მინდიაშვილი, ნაბოსლევში ორი გლეხი ქათამაძე და ხუჯაძე, „ტყიორბულს“ ორი კომლი ქასრაშვილი.<sup>5</sup> 1740-1750 წწ.-ში მეფე კვლავ წირავს ეკვდრებს ყმა-გლეხებს: გოდოგანში გაბრიჭიძეებსა და მიდიაშვილს.<sup>6</sup> უფრო სწორად

1 ს. კაკაბაძე — დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ნ. 1, ტფ. 1921, გვ. 120

2 იქვე, გვ. 119-125

3 ი. დოლიძე — ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ. 1970, გვ. 1131-1133

4 იქვე, გვ. 1043-1044

5 ს. კაკაბაძე — დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ნ. 1, ტფ. 1921, გვ. 119-125

6 იქვე, გვ. 158-161

ეკვდერს აღუდგენს ძველ მფლობელობას — „ამათსა ბეგარასა და სამსახურსა ძველი დავთარა აცხადებსო“, ასევე მათ გარდა ალექსანდრე V ეკვდრისათვის დაუმტკიცებია ამოწყვეტილი ნუზ კანდელაკის მამული და გლეხნი... რლსაც ძველი დავთარი აცხადებს“.

მოგვიანებით წმ. ანდრია მოციქულის ეკვდერს ნაბოსლევსა და ტყიდულში კუთვნილი ყმა-მამული დაუკარგავს, შესაძლოა 1812 წლის უამიანობის გამო. XIX ს-ში წმ. ანდრია მოციქულის ეკვდრის ყმა-მამული და შემოსავალი სხვადასხვა წლების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

№	1820 <sup>1</sup>					1825 <sup>2</sup>		1847 <sup>3</sup>	
	სოფელი	კომლი	სახნავი მინა ქცევებში	ლენიონ კოკებით	გადასახადი გან-ში	კომლი	გადასახადი გან-ში	გადასახადი გან-ში	
1	პატრიკეთი	9	118	620	63	9	63	63	
2	ზოვრეთი	2	17	162	13	2	13	13	
3	გოდოგანი	2	20	105	12	2	12	12	

როგორც აღვნიშნეთ ღმრთისმშობლის შობის ტაძარში გარდა ზემოთ განხილული 3 ეკვდერისა, კიდევ იყო 2 — წმ. მარინეს და წმ. ოოაკიმეს და ანას სახელობის. მათი მამულების და ყმათამფლობელობის შესახებ ჩვენი საკვლევი პერიოდის დოკუმენტებში აღარაფერია ნათქვამი (სამწუხაროდ, არც ძველ საბუთებში), რაც აიხსნება მათი ადრიდანვე დაუქმებით და მათი სამკვიდრებელის მონასტრის საერთო ქონებაში შეტანით, ანუ

1 ს. კაკაბაძე — იმერეთის საეკლესიო ყმათმფლობელობა, 1820-1825 წნ. აღნერათა მიხედვით „საისტორიო კრებული“, წ. 4, ტფ. 1929, გვ. 86, 94

2 იგივე

3 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 6888, ფ. 79

მათ მამულებსა და ყმებს ძველთაგანვე გელათის ეპისკოპოსი განაგებდა. ამ ეკვდრების მსგავსად არც წინა საუკუნეებში დადასტურებული მცირე სამწირველოების — დავით აღმაშენებლის, სოლომონ I-ის და ლორთქიფანიძეთა საფლავთათვის შენირული ყმა-მამული ჩანს ჩვენი საკვლევი დროის დოკუმენტებში, რაც შეეხება მონასტრის ეზოში მდგარ წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიების ყმა-მამულთა საკითხს, უკანასკნელი ხსენებული ეკვდრებისა და მცირე სამწირველოების ბედს იზიარებს, ხოლო წმ. გიორგის ეკლესიის კუთვნილი გლეხებისაგან შემოსავალი XIX ს-ის სხვადასხვა წლებში შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

№	1820 წ. <sup>1</sup>			1825 წ. <sup>2</sup>		1847 <sup>3</sup>
	სოფელი	კომლი	სახნაფი მინა ქცევებში	კომლი	გადასახადი გან-ბი	გადასახადი გან-ბი
1	ხრესილი	5	25	5	30	30
2	წყალწითელა	4	29	9	45	45
3	სორმონი	4	16	4	20	20
4	ჯიმასტარო	1	2	2	6	6
5	ოხომირა	6	26	6	26	26

გელათის მონასტრის ტრადიციულ სამეურნეო ქონებრივ მდგომარეობას და უფლებებს კარგად ასახავს გელათის მონასტრის წინამდლვრის არქიმანდრიტ ონიფანტეს 1860 წლის 1 დეკემბრის პატაკი იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისადმი. პატაკში,

1 ს. კაკაბაძე — იმერეთის საეკლესიო ყმათმფლობელობა, 1820-1825 წწ. აღნერათა მიხედვით „საისტორიო კრებული“, ნ. 4, ტფ. 1929, გვ. 85

2 იგივე

3 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 6888, ფ. 79

რომელიც მონამეთელი საეკლესიო ყმების ჭარხალაშვილების მიერ მდ. წყალწითელაზე უკანონოდ წისქვილის გამართვის სურვილის გამო გაიგზავნა, ვკითხულობთ: „მრთელს ოკრიბის ადგილებშიდ სადაცა სახლობენ თავადნი და აზნაურნიცა მრავალნი, გარდა საეკლესიო მამულთა, იმა უფლებით მდგომარეობს გაენათის მონასტრი ძველად გაენათლის დროშიდ და დღესაც მოუშლელი რომელ, მთა, საბალახე, ქვის მადენი, გიშრის და წყალწითელას წყალი, არავის არ შეუძლია თავისდა სასაკუთროდ მოიხმაროს გარდა ამა მონასტრისა; და კიდევაც შემიძლია დავამტკიცო თვითეულად ნაქერალას მთიდან, რამოდენიც უნდა ჯოგები გარდოდენონ თუმცა ცხოვრებლებთ ადგილებშიდ ბალახობენ გარნა, სადაცა უნდა აბალახონ ოკრიბის მხარეზე საბალახე, ადგილის ქირა შემოუდის ეკლესიასა და არა სხვა თავისუფალ პირთაცა, ქვა მერატაფა თუ საცეხველი ვის ადგილშიდაც უნდა გაითალოს მოდი მიაქვს ეკლესიას; მწვანეყვავილაშიდ ითხრება ქვა, სარგებლობს ეკლესია; გიშერს თხრიან სოჩხეთის ადგილებშიდ, როდესაცა მოთხრიან მოდი არის ეკლესიასა და ეგრეთვე წყალწითელაშიდ თუ თევზაობის ნებაც არა აქვს არავის და არა თუ გააკეთონ სასარგებლოდ მისდა წისქვილი“.<sup>1</sup> მონასტრის წინამდღვარი ეპისკოპოსს გაბრიელს თხოვდა რათა ჭარხალაშვილებს შეეჩერებინათ წისქვილის კეთება, რამდენადაც ეს ადგილი მონასტრისათვის სანისქვილედ თავად წინამდგვარს ჰქონია ამორჩეული. როგორც შემდგომი მიწერ-მოწერიდან ჩანს 1861 წლის გაზაფხულზე მოდავე ჭარხალაშვილებთან შეთანხმებით (მათგან იყიდეს მიწის ნაწილი) აუგიათ სამთვალიანი (სამდოლაბიანი) წისქვილი.<sup>2</sup>

იმერეთის საეკლესიო მამულების ხაზინაზე გადაცემამდე არსებულ გელათის მონასტრის შემოსავლებზე და სამეურნეო ყოფაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მონასტრის წინამდღვრის არქიმანდრიტ სერაპონის 1880 წლის 29 ოქტომბრის წერილი გაბრიელ ეპისკოპოსისადმი, რომელშიც წერს, რომ მონასტერს ჰყავდა 13 კომლი ოსტატები (ძირითადად ბერეკაშვი-

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 დ. ალ. ს. 324 ფ. 1

2 იქვე ფ. 3

ლები — მ.კ.) მონასტრის შენობათა და სენაკთა უფასოდ შესაკეთებლად, 12 კომლი მოჯალაბე, 8 კომლი მზარეული, ზაქარია არქიმანდრიტის დანატოვები შემოსავალი, წყალწითელაში 12 საპალნე ღვინო, ჯვარისაში 12 საპალნე, ცხრათავადან 200 კოდი ღომი და სიმინდი, მანდიკორიდან, შუერიდან და ლაფეთიდან — 100 კოდი, სოჩხეთიდან და ბუეთიდან — 100 კოდი, ძეძეულადან — 12 საპალნე ღვინო და 10 კოდი ღომი და სიმინდი, გელათში — ენერის ტყე, კოხის ადგილიდან 200 კოდი სიმინდი, რაჭიდან გადმოდენილ 1000 სულ ჯოგზე საბალახო 50 მან., კასპებისაგან საბალახო 100 მანეთამდე, სათევზე ადგილი ღრუდო და წისქვილები, სანთელი, სასებისკვერე პური და ზედაშის ღვინო.<sup>1</sup> რა თქმა უნდა, არქიმანდრიტის წარმოდგენილი ნუსხა სრულყოფილი არა საეკლესიო რეფორმამდელი გელათის მონასტრის ყმა-მამულების ქონების შესახებ, ასევე შეიძლება ვიმსჯელოთ იმ დროისათვის გადარჩენილი მონასტრის კუთვნილი სიგელ-გუჯრების რაოდენობით (ისინი ხომ ძირითადად ყმა-მამულებს ეხებიან) 1826 წელს<sup>2</sup>, როდესაც დამთავრდა იმერეთის დროებით მმართველობაში იმერეთის ეპარქიის საეკლესიო საბუთების (სიგელ-გუჯრების) რეგისტრაცია, გელათის მონასტერს (ოთხივე ეკვდრით) დაუბრუნდა 12 საბუთი და ასევე გელათის მონასტრისა და საკათალიკოსოსი — 138, ხოლო 1833 წლისათვის იმერეთის ეპარქიის კანცელარიასთან არსებულ კომიტეტში, რომელიც ძველი საეკლესიო სიგელ-გუჯრების დავთორებისა და წერილების შეგროვება-გარჩევას ახდენდა, შეკრებილი 472 საბუთიდან, 78 გელათისა და სოხასტერის მონასტრებს ეკუთვნოდა<sup>3</sup>.

1865 წელს მონასტრის უძრავ ქონებას (მამულებს) შეადგენდა: გელათში ტყე ენერი 40 ღესეტინა, გელათშივე ვენახი 1 ღესეტინა და 101 კვ. საჟენი, დუქანი და ქვის საჯინიბო 483 კვ. საჟენი მინით, ნავენახევში მდ. ჭიშურაზე ორთვალიანი წისქვილი და სათევზაო ადგილი ღრუდო, ძმუისში სახნავი ადგილი ცხრათავი 100 ღესეტინა და გელათსა და კურსებს შუა მდ. წყალწითელას

<sup>1</sup> ქ.ი.ე.მ., გელათის მონასტრის არქივი, №6466, ს. 591

<sup>2</sup> ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 495, ფ. 27

<sup>3</sup> ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 495გ ფ. 78

სანაპიროზე მდებარე ადგილი ძებულა 1,5 დესეტინა.<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, მონასტრის მამულებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ტყეებს და იქედან მიღებულ შემოსავალს. საკლესიო რეფორმის გატარებისას, როგორც აღვნიშნავდით, გელათის მონასტერზე მიწერილი იყო გოგნის უდაბნო, ხოლო 1838 წლიდან ამ უდაბნოს გაუქმების შემდეგ მისი ქონება, მათ შორის მამულები, გელათის მონასტერს გადაეცა. ამ უდაბნოს კუთვნილი შემოსავლებიდან ჩვენი ყურადღება მიიქცია 1870 წელს გოგნის უდაბნოს მამულში მოჭრილი ბზის ხეების იჯარიდან შემოსულმა 25 მანეთმა, რომელიც შემოტანილია „მოიჯარადრეთა თათორებთაგან“<sup>2</sup>.

ჯერ კიდევ 1853 წელს იყო გადაწყვეტილი დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრების კუთვნილი მიწების გადაცემა სახელმწიფო ხაზინისათვის, მაგრამ ამ ღონისძიების გატარებას ხელი შეუშალა ახლად დაწყებულმა რუსეთ-თურქეთის ომმა. საეკლესიო მამულების მდგომარეობის შესწავლის მიზნით კავკასიის მეფისნაცვალმა შექმნა სპეციალური კომისია, რომელმაც დაადგინა, რომ იმერეთის საეკლესიო მამულების შემოსავალი შეადგენდა 29641 მანეთს. აღნიშნული მამულები ხაზინას გადაცა 1861 წლის 4 აგვისტოს ბრძანებულებით 1873 წელს. აღნიშნული მამულების სანაცვლოდ იმერეთის ეპარქია ყოველწლიურად იღებდა სახელმწიფო ხაზინისაგან 28886 მანეთს.<sup>3</sup> საეკლესიო მამულების ხაზინაზე გადაცემამ გელათის მონასტრის შემოსავალი მნიშვნელოვნად შეამცირა. ამ გადაწყვეტილებით მონასტრის საკუთრებაში დატოვებული ზოგი მამული მონასტრისათვის გამოუყენებელი ხდებოა სიშორის გამო. ამის მაგალითად გამოდგება ცხრათავის მამულის ისტორია.

1887 წლის 12 იანვარს გაბრიელ ეპისკოპოსი წერდა კავკასიაში სახელმწიფო ქონების მინისტრის რწმუნებულს, რომ გელათის მონასტერს უძველესი დროიდან ქუთაისის მაზრაში ქონდა საკუთრებაში დიდი მამულები, რომელთა შემოსავლებითაც ის

1 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 9441, ფ. 3

2 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 10972, ფ. 203

3 მ. ხუციშვილი — საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX სს., თბ. 1987, გვ. 24.

ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 17283, ფ. 5, 6

იკმაყოფილებდა თავის „აუცილებელ მოთხოვნილებებს, მათ შორის იყო ცხრათავის მამული („დაჩა“). როცა 1871 წლის 4 აგვისტოს ბრძანებულებით იმერეთის საეკლესიო ქონება გადაეცა ხაზინას ცხრათავის „დაჩიდან“ მონასტერს დაუტოვეს 100 დესეტინა, რომელიც 1875 წელს სამოქალაქო მმართველობის განკარგულებით მიწათმომწყობმა გადასცა მონასტერს. მაგრამ იქაურ მცხოვრებლებთან ზოსიაშვილებთან და ლომთაძეებთან დავის გამო მონასტერმა სასამართლოს ძალით მალე დაკარგა ეს მამული და მხოლოდ 1882 წელს ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონების სამართველოს განკარგულებით იმავე ცხრათავის მამულში გადაეცათ სხვა ნაკვეთი 44 დესეტინა, მაგრამ აღნიშნულმა გლეხებმა აქაც დაუწყეს შევიწროება. ფაქტიურად არ უშვებდნენ იქ მონასტრის ძმებს. ასე ამრიგად, მონასტერს ეს ერთი შემოსავლიანი წყაროც დაეკარგა.

გაბრიელ ეპისკოპოსი წინადადებას აყენებს აღნიშნული „დაჩის“ ნაცვლად მონასტერს მიეცეს სხვა მამული, რამდენადაც მონასტრის მოხუც და უძლურ ბერებს არ შეუძლიათ ისარგებლონ ცხრათავით. თავაზობს ცხრათავი გადაუცვალონ მონასტერთან ახლო მდებარე სოფ. გოდოგანთან მდებარე „კოხის დაჩაზე“ (ეს სოფელი კვახჭირია — მ.კ.) ზომით 100 დესეტინამდე. გადაცვლა მოგვიანებით 1893 წლის 12 ივლისს იქნა დამტკიცებული.<sup>1</sup>

1901 წლის მდგომარეობით გელათის მონასტრის ქონებას შეადგენდა: გელათში ტყე ენერი 140 დესეტინა, აქვე სახნავი ვენახით და ბუჩქებით, ეზო 6 დესეტინა, აქვე სახნავი გელათის ჭალა 483 კვ. საუენი, გელათშივე სახნავი და ვენახი 1460 კვ. საუენი (უფლისასსეული), ჭალასთავთან სანისქვილე ადგილი წისქვილებით 1200 კვ. საუენი, სოფელ ჭოვნართან სათევზაო ადგალი მდ. ჭიშურასთან 350 კვ. საუენი და სოფ. კისორეთთან სახნავი ვენახი და ტყე (ცხრათავი) 551 დესეტინა.<sup>2</sup> ეს მამულები დარჩა ფაქტიურად მონასტერს საეკლესიო მამულების ხაზინაზე გადაცემის შემდეგ.

რუსეთის უნიდესი სინოდი მუდმივად ცდილობდა მონას-

1 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 17283, ფ. 5, 6, 7

2 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 20781, ფ. 23, 28

ტრების სამეურნეო ყოფა-საქმიანობის მოწესრიგებას. ამ მიზნით მან 1892 წლის 28 მაისს სპეციალური ბრძანება მიიღო. ამ ბრძანებისა და საქართველო-იმერეთს სინოდალური კანტორის მიწერილობის საფუძველზე 1893 წლის 20 მაისს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა ეპარქიის მონასტრების წინამდლვრებს შემდეგი შინაარსის ცირკულიარი დაურიგათ: „საფუძველსა ზედა უწმინდესის სინოდის ბრძანებისა, 28 მაისიდგან 1892 წლისა, №7 გაცნობებთ რომ უწმინდესის სინოდის ცნობამდის მიუწევია რომ მონასტრის წინამდლვრები ფულებს ინახავენ თავიანთ კელიებში თავის საკუთარ ფულებთან და ხარჯავენ უანგარიშოდ, სხვათა დაუკითხავად ხშირად მისთანა საგნებზედ, რომლებიც სრულებით საჭირო არ არიან მონასტრისათვის და არც შეეფერებათ, მაგალითად ამკობენ სანინამდლვრო სახლებს ძვირფასი მებელებით, ხალიჩებით, სურათებით, მართავენ ეკკლესიის დღესასწაულებშიდ ძვირფას სადილებს, ყავსთ ხოლმე წინამდლვრებს მონასტრებში დიდი ხნობით თავიანთი მონათესავები, ხშირად მოხდება ხოლმე ისე, რომ შემდეგ გარდაცვალებისა მონასტრის წინამდლვრისა ფულები და ნივთები მონასტრის ჩაუწერავნი არიან მონასტრის დოკუმენტებში და სხვა უწესობანი. ამისათვის სინოდისაგან არის დადგენილი შემდეგი: 1) მონასტრის მართვა ეკანომიურის მხრითაც ეკუთვნის წინამდლვარს და კეთილსაიმედო სინდისიანს დამსახურებულ ბერებთ ან მოლაზვნებთა: ამ პირებმა წინ და წინ უნდა მოილაპარაკონ, მოიფქრონ და გამოარკვიონ თუ რა ესაჭიროება მონასტრებს, რა უნდა შეკეთდეს, ვინ უნდა დაიქირაონ და რამდენთა. წინდაწინ უნდა შეადგინონ სმეტა მაზსეთ თუ წლის განმავლობაში დაახლოებით რამდენი რა უნდა იყიდონ, რომ ფული უანგარიშოთ არ იხარჯებოდეს და სხვა. 2) მონასტრის ფულები, რაც საჭიროა რის ხარჯისათვის, უნდა ინახებოდეს თვითონ მონასტრის ეკკლესიაშიდ, უშიშარ ადგილას ცალკე მაგარ და ბეჭდიან წინამდლვრის და ეკანომის ბეჭდებით ყუთში. დანარჩენი ფულები დაუყოვნებლივ უნდა იგზავნებოდეს დასაცველად სახელმწიფო ბანკებში ან მის კანტორებში. 3) ფულის ჩადება ან მისი ამოლება ყუთიდგან ენდობა ეკანომოს, თანდასწრებითა წინამდლვრისა და სხვათა უფროსთა

ბერეთა ან მოლაზვლებთა. 4) ყოველი შემოსავალი ფულისი უნდა მიიღოს ეკანომმა, მაშინვე შთანეროს და ჩადგას ფულის უფლისი. 5) ყოველ თვის პირველ რიცხვებში უნდა შემოწმდეს წიგნის შესავალ-გასავალი, თანდასწრებით წინამდღვრისა, ეკანომისა და დანიშნულ კეთილ საიმედო სინდისიანის უმფროსთ ბერებთან, ან მოლაზვნებისა. შემოწმების დროს უნდა გაიხსნას ყველა კრუშები და რაც ფულები აღმოჩნდეს უნდა ჩაინეროს წიგნში და ეს შემოწმება უნდა დაეწეროს ზედ წიგნზედ და ყველა ზემოთ ნახსენებმა პირებმა უნდა მოაწერონ ხელი. 6) ამიერიდგან აღეკრძალოს მონასტრის წინამდღვრებს იყოლიონ ნათესავები. 7) წლის ბოლოს უნდა შეამოწმონ წიგნი და შემოწმება დააწერონ ზედ წიგნზე. წიგნის უსწორმასწორობის, ურიგოდ წარმოებისათვის და ფულის უბრალოდ და უკანონოდ დახარჯვისათვის ყველა შემოწმებელნი, ხელისმომწერნი პასუხს აგებენ მთავრობის წინაშე. გაცნობებთ რა რომ ზემოხსენებულს წინ დაგიდებთ თქვენ ყოველი მიზეზის გარეშე აღასრულოთ თქვენ ყოველივე ზემოთ აღწერილი. წინააღმდეგ შემთხვევაში დანიშნული იქნებიან სასტიკად დასჯილნი.<sup>1</sup> გელათის მონასტრის წინამდღვრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ახერხებდნენ აღნიშული ცირკულიარის მოთხოვნების დაცვას. ეგზარქოსობის დროინდელ გელათის მონასტრი რაიმე ფინანსურ მაქინაციას ადგილი არ ქონია. არც ძვირფასი ავეჯით გაწყობილ სახლებში ცხოვრების უფლებას აძლევდნენ თავიანთ თავს (ამას ადასტურებს მონასტრის ქონებათა სხვადასხვა წლების აღწერილობანი).

როგორც 1903 წელს არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას (შემდეგში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) გელათის მონასტრის რევიზიის ანგარიშიდან ჩანს, შემოწმების დროს მონასტერს უნდა ჰქონოდა 250 დესეტინა მიწა, მაგრამ სინამდვილეში ჰქონდა 198 დესეტინა, აქედან მონასტრის მახლობლად 142 დესეტინა, ხოლო 56 დესეტინა მონასტრიდან 40 ვერსის დაშორებით ადგილ ცხრათავში. სანადელო სიით მონასტერს ამ ადგილში უნდა ჰქონოდა 100 დესეტინა მიწა, მაგრამ 44 ჯერ კიდევ არ გადაუციათ. ასევე 8 დესეტინა მიწა აკლდა მონასტერს საკუთ-

<sup>1</sup> ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 18951, ფ. 4, 5

რივ გელათში (ნაცვლად 150-სა აქვს 142), გელათში მდებარე მა-მულის ძირითადი ნაწილი ტყე იყო. სახნავად ვარგისი ფართობი კი სულ 7 დესეტინა იქნებოდა, რომელიც მონასტრის კრებულის სარგებლობაში იმყოფებოდა. აღნიშნული მიწა შემდეგი წესით მუშავდებოდა: ფართობის მესამედს დაქირავებული მუშებით ამუშავებდა მონასტრის წინამძღვარი, ხოლო დანარჩენ ორ წილს — კრებული.<sup>1</sup>

ამავე ანგარიშში არქიმანდრიტი ამბროსი მონასტრის სამეურნეო საქმიანობას არასწორად და არასაკმარისად თვლიდა. მისი აზრით მონასტერს გაცილებით მეტი შემოსავალი ექნებოდა, თუკი იმ შვიდ დესეტინა მიწაზე, სადაც ამჟამად მონასტრის კრებულს სიმინდი მოჰყავს, გააშენებდა ხილის ბალსა და ვენახს. ასევე კარგი იქნებოდა მონასტერთან ახლოს გამოსაჩენ ადგილზე თუ მოეწყობოდა დეკორატიული მცენარეების ბალი, რომელიც სასეირნოდ და დასასვენებლად გამოადგებოდათ მონასტერში მომსვლელთ, რომლებიც ახლა, განსაკუთრებით ზაფხულში ასეთი ადგილის უქონლობის გამო დილიდან საღამოდე მონასტრის ეზოში ბოლთას სცემდნენ. ასეთი ბალები ერთის მხრით დიდ შემოსავალს მოუტანდა მონასტერს, მეორე მხრით კი გაამშვენიერებდა მონასტერს და მეტ მომსვლელებს მიიზიდავდა ზაფხულის პერიოდში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისი შესანიშნავი მდებარეობითა (უმნიშვნელოვანესი — ქუთაისთან სიახლოვე) და კლიმატით მონასტრის მიმდებარე ტერიტორია საშუალებას იძლევა მოეწყოს პატარა დასასვენებელი სახლები ქუთაისის ინტელიგენციისა და ჩინოვნიკებისათვის. თუ მონასტრის მმართველობა ამას გააკეთებს, განეულ ხარჯებს მალე ამოილებს შენობების გაქირავებით, ამასთანავე სხვა მხრითაც გაიზრდება მონასტრის შემოსავლები: გაიყიდება მეტი სანთელი და გაიზრდება შემონირულობები, ამასთანავე მონასტერში მომსვლელთა რიცხვის ზრდას ხელს შეუწყობს მონასტრიდან გელათის რკინიგზის სადგურამდე, შესანიშნავ გზატკეცილზე, თუ დაინიშნება ერთი-ორი ეტლი. სამწუხაროდ, მონასტრის მართვე-

1 მ. კეზევაძე — იმერეთის სამონასტრო ცხოვრება XX ს-ის დამდეგს, „საისტორიო მოამბე“ №75-76, თბ. 2003, გვ. 247

ლობამ არქიმანდრიტ ამბროსის ვერც ერთი რეკომენდაცია ვერ შეასრულა.<sup>1</sup>

საინტერესოა ეგზარქოსობის დროინდელი გელათის მონასტრის ბოლო წლების შემოსავალ-გასავლები.

1914 წელს გელათის მონასტრის შემოსავალი შეადგენდა:

ხაზინიდან მიღებული თანხა 2730 მან.

ყულაბისა და ქირისაგან — 87 მან. 64 კაპ.

წმინდა მოგება სანთლისაგან — 224 მან. 77 კაპ.

ადგილ-მამულებისა და დუქნების იჯარისაგან — 307 მან.

შემონირულობანი — 280 მან. 20 კაპ.

ბანქში და სალაროში ქონებული თანხის სარგებელი — 132 მან. 17 კაპ.

სხვადასხვა მოულოდნელი შემოსავალი 1578 მან. 29 კაპ.

სულ — 5340 მან. 07 კაპ.

მთლიანად ყველა შემოსავალი წინა წლის ნაშთით (3038 მან. 42 კაპ.) შეადგენდა 8378 მან. და 49 კაპ.<sup>2</sup>

გასავალი კი შეადგენდა:

მონასტრის კრებულის ხელფასი — 2473 მან. 25 კაპ.

მონასტრის შენობათა შესაკეთებელი — 1043 მან. 30 კაპ.

საეკლესიო სამკაულის და შესამოსლის შეძენა — 22 მან. 70 კაპ.

სებისკვერის, საზედაშე ღვინის, ზეთისა და საკმევლის შეძენა — 182 მან. 20 კაპ.

სხვადასხვა წვრილი მოულოდნელი ხარჯები — 1653 მან. 99 კაპ.

სასულიერო ჟურნალებისა და გაზეთების გამოწერა — 14 მან.

სულ — 5389 მან. და 44 კაპ.

1915 წლისათვის ნაშთი შეადგენდა 2949\* მან. და 72 კაპ. აქედან ნაღდი იყო 39 მან და 33 კაპ. (\*სინამდვილეში 2989 მან. 05 კაპ.- მ.კ.).

ბილეთები 2910 მან. 39 კაპ.<sup>3</sup>

1915 წელს გელათის მონასტრის შემოსავალი შეადგენდა:

ხაზინიდან მიღებული თანხა 2730 მან.

1 იქვე, გვ. 250

2 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 260521, ფ. 31, 50

3 იქვე, გვ. 38, 43

ყულაბისა და ქირისაგან 144 მან. და 14 კაპ.

წმინდა მოგება სანთლისაგან 270 მან. და 12 კაპ.

ადგილ-მამულებისა და დუქნების იჯარისაგან 310 მან.

შემოწირულობანი 179 მან. 85 კაპ.

ბანკში და სალაროში ქონებული თანხის სარგებელი 634 მან.  
და 88 კაპ.

სხვადასხვა მოულოდნელი შემოსავალი 34701 მან. 03 კაპ.

სულ 7736 მან. და 02 კაპ.

მთლიანად ყველა შემოსავალი წინა წლის ნაშთით (2949 მან.  
და 72 კაპ.)

შეადგენდა 10685 მან. და 74 კაპ.<sup>1</sup>

გასავალი კი შეადგენდა:

მონასტრის კრებულის ხელფასი 2747 მან. და 68 კაპ.

მონასტრის შენობათა შესაკეთებელი 2353 მან. და 93 კაპ.

საეკლესიო სამკაულის და შესამოსელის შეძენა 26 მან. და  
25 კაპ.

სებისკვერის, საზედაშე ღვინის, ზეთისა და საკმევლის შეძენა  
— 457 მან. და 75 კაპ.

სხვადასხვა წვრილი მოულოდნელი ხარჯები 2115 მან. და 21 კაპ.

სასულიერო ურნალებისა და გაზეთების გამოწერა 5 მან. და  
20 კაპ.

სულ 7706 მან. და 02 კაპ.

1916 წლისათვის ნაშთი შეადგენდა 3180 მან. და 08 კაპ. აქედან  
ნაღდი იყო 69 მან. და 38 კაპ. და ბილეთები 3110 მან. და 75 კაპ.<sup>2</sup>

1916 წელს გელათის მონასტრის შემოსავალი შეადგენდა:

ხაზინიდან მიღებული თანხა 2730 მან.

ყულაბისა და ქირისაგან 333 მან. და 08 კაპ.

წმინდა მოგება სანთლისაგან 467 მან. და 59 კაპ.

ადგილ-მამულებისა და დუქნების იჯარისაგან 426 მან.

შემოწირულობანი 60 მან.

ბანკში და სალაროში ქონებული თანხის სარგებელი 137 მან.  
და 20 კაპ.

1 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 25962, ფ. 8

2 იქვე, ფ. 2

სხვადასხვა მოულოდნელი შემოსავალი 34027 მან. 16 კაპ.  
სულ 7581 მან. და 03 კაპ.  
მთლიანად ყველა შემოსავალი წინა წლის ნაშთით (3180 მან.  
და 08 კაპ.)  
შეადგენდა 10761 მან. და 11 კაპ.<sup>1</sup>  
გასავალი კი შეადგენდა:  
მონასტრის კრებულის ხელფასი 3604 მან. და 11 კაპ.  
მონასტრის შენობათა შესაკეთებელი 2979 მან. და 54 კაპ.  
საეკლესიო სამკაულის და შესამოსელის შეძენა 21 მან. და  
50 კაპ.  
სეპისკვერის, საზედაშე ღვინის, ზეთისა და საკმევლის შეძენა  
— 299 მან. და 83 კაპ.  
სხვადასხვა წვრილი მოულოდნელი ხარჯები 190 მან. და 50 კაპ.  
სასულიერო უურნალებისა და გაზეთების გამოწერა 5 მან. და  
20 კაპ.  
სულ 7100 მან. და 68 კაპ.

1917 წლისათვის ნაშთი შეადგენდა 3591 მან. და 45 კაპ. აქედან  
ნაღდი იყო 480 მან. და 35 კაპ. და ბილეთები 3111 მან. და 11 კაპ.<sup>2</sup>  
მომდევნო წლების გელათის მონასტრის შემოსავალ-გასავა-  
ლი ჩვენთვის უცნობია შესაბამისი დოკუმენტების არარსებობის  
გამო.

**§1 გზები და საგზაო ნაგებობები გელათში** – გელათის მო-  
ნასტრის მამულების (რომლებიც განფენილი იყვნენ მთელს იმე-  
რეთსა და რაჭაში) ექსპლოატაციისათვის სუცილებელი იყო მო-  
ნესრიგებული გზების არსებობა. გელათის მონასტრის წინამდ-  
ლვრები, მანამდე კი გელათელი ეპისკოპოსები მუდმივად ზრუ-  
ნავდნენ თავიანთი ეპარქიის სამწყსოში გზების მშენებლობაზე.  
ასე იყო ტრადიციულად და ასე გრძელდებოდა ეგზარქოსობის  
დროსაც. 1838 წელს, როდესაც მოხდა იმერეთის ეპარქიის სიძვე-  
ლეთა (ისტორიულ ძეგლთა) აღწერა. გელათის მონასტრის აღწე-  
რისას არქიმანდრიტი ნიკოლოზიც და დეკანოზი იესე ბაქრაძეც

1 ქ.ც.ს.ა., ფ.21, ს.26474, ფ.4,5

2 იქვე ფ.6,7

არქიეპისკოპოსს სოფრონიოსისადმი წარდგენილ პატაკებში მონასტრის ნაგებობებთან ერთად აღწერენ აქ არსებულ გზებს. არქიმანდრიტი ნიკოლოზის თქმით „გზანი შედიან მას მონასტერსა შინა, პირველი ქუთაისიდამ რომლისა მდინარე წყალწითელაზედ დასავლეთის კერძო არს ხიდის კურტნები ქვიტკირის და ზევით ფიცრებით გარდაჭედილი სამხრეთით კერძო ოკრიბიდამ შემომავალი გზა ძველადვე დამართებით მის მონასტრისადმი და მესამე სამხრეთ კერძო შემომავალი, რომელსაც ეწოდენ სახელად ელის ქედი.<sup>1</sup> დეკანოზ იესე ბაქრაძის პატაკებში ამ უკანასკნელი გზის მარშრუტი უფრო დაზუსტებულია: „სამხრით კერძო არგვეთიდამ შემომავალი რომელსაც ეწოდენ ელის ქედად“.<sup>2</sup> სანამ ევზარქოსობის დროს ამ გზებისა და ხიდის მოვლაზე ვისაუბრებდეთ, მანამდე მათ წარსულზე გვინდა გავიხსენოთ, რამდენადაც გელათზე გამავალი გზებისა და ხიდების ისტორია დღემდე არასათანადოდაა შესწავლილი.

როგორც აღვნიშნეთ, თავის დროზე გელათის მონასტრის დაარსება და დაწინაურება სხვა მიზეზებთან ერთად გაპირობებული იყო მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით. გელათი და მისი მიდამოები (საერთოდ წყალწითელას ხეობა) აქტიურ ურთიერთობაში იყო „ქუთაისის ქვეყნის“ ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ცხოვებაში. ეს ურთიერთობანი ხორციელდებოდა იმ გზების საშუალებით, რომლებიც უშუალოდ გელათზე გადიოდა. ამ გზების შესწავლა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც „გზებისა და მაშ ეკონომიკური ურთიერთობების გათვალისწინებით გასაგები ხდება ამათუ იმ პუნქტებისა თუ რაიონის დაწინაურება-აყვავება ისე როგორც მეორესი დაცემა-დაქვეითება, მივიწყება.“<sup>3</sup>

საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა ქვეყანაში არსებული გზების სიმრავლე და მნიშვნელობა. „მთელი საქართველო ღრმა ხევებად დაყოფილი ტერიტორიაა. ერთი ხევი მეორისაგან ბუნებრივად მოწყვეტილია და მათი შემართი საგან-

1 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 1623, ფ. 12

2 იქვე, ფ. 8

3 6. ბერძენიშვილი — საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, თბ. 1964, გვ. 24

გებოდ გადატანილი გზა შეიძლება იყოს მხოლოდ... ხევთა მეტი თუ ნაკლები რაოდენობა ქმნის ქვეყანას, რომელიც მეორე ქვეყნისაგან ასეთივე ბუნებრივი საზღვრებითაა შემოფარგლული. მთლიანი საქართველო რამოდენიმე ასეთ ქვეყანათა კომპლექსს წარმოადგენს, ამიტომ საქართველოში გზანი „უდაბურნი და უგზონი“ იშვიათად შეიძლებოდა ყოფილყო: ბუნებრივი პირობები ამის საშუალებას არ იძლეოდნენ. აქ ხევების და ქვეყნების მთლიან საქართველოდ გაერთიანება, მათ შორის სამიმოსვლო გზების სათანადო განვითარებულობას გულისხმობს, მას ემყარება“.<sup>1</sup>

ამ მრავალ გზათაგან ორი მნიშვნელოვანი გადიოდა ფეოდალური ხანის გელათზე. ეს იყო ქუთაისიდან გელათში შემომავალი გზა, რომელიც აქ ორად იყოფოდა. ერთი გადიოდა მდ. წყალწითელას მარცხენა სანაპიროზე და გელათის მონასტრისაკენ მიემართებოდა, მეორე კი მდინარის მარჯვენა მხრით მიუყვებოდა ხეობას „ოკრიბის ქვეყნისაკენ“, ე.ი. ორივე გზა ფაქტიურად გელათიდან იწყებოდა.

აკად. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით „გზა ქუთაისიდან გელათზე გავლით გადიოდა ცუცხვათისაკენ და აგრეთვე ქართლისაკენ, ორი ხიდი წყალწითელაზე და ჭიშურაზე ამ ჩემს მოსაზრებას უჭერს მხარს მწვანეყვავილა-წყალწითელა-ჭიშურა (გოდოგანი)-სიმონეთი-ძევრის ხიდი-სკანდე“.<sup>2</sup>

გელათზე გამავალ გზაზე თავის დღიურებში აკად. ნ. ბერძენიშვილი რამდენჯერმე მსჯელობს, ხოლო ცუცხვათ-ოხომირასა და ოხომირა-უქიმერიონის იდენტურობაზე საუბრისას, აღნიშნავს: სულ ადვილად წარმოსადგენია, რომ საგეოგრაფო სახელი ოხომირა მაშინ მთელ იმ „ქვეყანას“ (ცუცხვათის ქვეყანას) რქმეოდა ამ სალოცავის მნიშვნელობის გამო. რქმეოდა ის თვით იმ ციხესაც, მართლაც ყოვლად მიუვალ ადგილს, რომ აუგიათ ლაზებს ამ ქვეყანაზე საბატონოდ და ამ გზის ჩამკეტად, რომელიც როგორც ჩანს, შემდეგდროინდელ გელათს ჩამოუვლიდა და ცუცხვათ-ახალსოფლის გავლით ტყიბულს შედიოდა, რომ

1 ნ. ბერძენიშვილი — გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ. 1966 წ., გვ. 8.

2 ნ. ბერძენიშვილი — საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 8, თბ., 1975, გვ. 458-459

აქედან გაჭრილ- — ნაქერალათი სკვიმნიაში (ქვემო რაჭაში) და აქედან სვანეთში (ზემო რაჭაში) შესულიყო და ოსეთის გზით კავკასიონი გადაელახა“<sup>1</sup>.

ამ ამონარიდიდან ნათლად ჩანს გელათზე გამავალი გზის, როგორც მნიშვნელობა, ისე სიძველე. იგი „შემდეგადროინდელ გელათზე“ (იგულისხმება XII ს-ის და შემდგომი ხანის გელათი — მ.კ.) ბევრად ხანდაზმულია. რაც შეეხება მდ. წყალწითელაზე მარჯვენა მხარეზე გამავალ გზას აკად. ნ. ბერძენიშვილი მის შესახებ არაფერს აღნიშნავს.

გელათზე გამავალი გზების შესახებ ისტორიულ წყაროებში მნირი ცნობებია შემონახული, სამაგიეროდ საველე პრაქტიკული ძიებით მოპოვებული მასალებია ძალზე მრავლისმეტყველი და მნიშვნელოვანი. ჩვენს მიერ მიკვლეულია ორივე გზის ნაშთები, რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ გზების მიმართულება.

გზა, რომელიც ქუთაისიდან შემოდიოდა გელათში, მოადგებოდა მდ. წყალწითელას შენაკადს საკირიის ღელეს (აქვე ამ გზას მარჯვნივ ეყოფოდა მონამეთის მონასტერში მიმავალი გზა, რომელზედაც გვიან 1819 წელს გ. ავალიშვილი იტყვის: „გზაი... არს ძნელ სასლელი, ერთი და იგივე გენათით და ქუთათისით“).<sup>2</sup> ამ ღელზე დღემდე შემორჩენილია ქვის ბოგირი (ბოგირის არსებობა სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდის არ ჩანს), რომელიც განვითარებული ფეოდალური ხანით უნდა დათარიღდეს. ბოგირი ღელის შესართავიდან 150 მ-ზეა დაშორებული. იგი ერთთაღიანი კამაროვანი ნაგებობაა. მალის სიგრძე 3 მ-ია, მთლიანად ბოგირის კი — 5 მ. ბოგირის სავალი ნაწილის სიგანე თავდაპირველად 3,5 მ-ზე მეტი ყოფილა (ამას ადასტურებს ბოგირის გადარჩენილი ნაწილი, უფრო სავარაუდოა 4,5 მ. ყოფილიყო გზის პროფილის შესაბამისად), ამჟამად კი 2 მ-ია. სიმაღლე წყლის დონიდან 0,5 მ-ია, რაც საუკუნეების განმავლობაში ღელის კალაპოტის დაშლამვით უნდა ავხსნათ. ბოგირის თაღი შეკრულია კარ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 520

<sup>2</sup> გ. ავალიშვილი — მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმადე, თბ. 1967 წ., გვ. 21

გად გათლილი ადგილობრივი თეთრი კირქვისაგან. ნაგებობის სამხრეთისა და ჩრდილოეთ ფასადებს შორის ამჟამად განსხვავებაა. სამხრეთი ფასადი წარმოადგენს კამაროვანი ქვებისაგან აგებულ თაღს, ჩრდილოეთ მხარეს კი თაღი შეკრულია რადიალურად ნაწყობი ფილაქნებისაგან. წყობა ორშრიანია. ფილაქნები თითქმის ერთმანეთის ტოლია ( $ზომა = 18X0,48X0,38$ ) ფასადებს შორის განსხვავების დადგენას აძნელებს ის ფაქტი, რომ ბოგირის ჩრდილოეთი მხარის ნაწილი ჩამონგრეულია.

ბოგირის მისასვლელთან ვიპოვეთ ქვაფენილი, ძველი გზის ნაშთი, რომელიც აღმოჩნდა  $0,5$  მ. სიღრმეზე მიწის ფენის აღების შემდეგ. გზა დაფენილია ადგილობრივი თეთრი კირქვის უსწორმასწორო ფიქლებით, რომლებიც ერთმანეთან დუღაბითაა დაკავშირებული, ასეთივე ფიქლებია დაგებული ბოგირის სავალ ნაწილზე.

ამ ბოგირიდან აღმოსავლეთით,  $100$  მეტრის დაშორებით შემორჩენილია ძველი ქვის ხიდის ბურჯების ნაშთები, რომელთაგან ორი — თითქმის მინასთანაა გასწორებული, ერთი კი შედარებით გადარჩენილია. ბურჯები განლაგებულია მდ. წყალწილას მარჯვენა მხარეზე ერთ სწორ ხაზზე და ზემოთ აღწერილი ბოგირის პერპენდიკულარული მიმართულება აქვს.

ეს ხიდი ოთხთალიანი ყოფილა, საკმაოდ დიდი მოცულობის და, რაც მთავარია, გელათის ტერიტორიაზე არსებულ ხიდთაგან (სულ გელათში მდ. წყალწილითელაზე შემორჩენილია ხუთი ხიდის ნანგრევ-ნაკვალევი) ყველაზე უძველესი ჩანს. მთლიანად ხიდის სიგრძე  $50$  მეტრი უნდა ყოფილიყო. გადარჩენილი ბურჯის ზომებია  $5X5$  მ. სიმაღლე ამჟამად  $2,5$  მ-ია. ხიდი ნაგებია ადგილობრივი თეთრი კირქვით, რიყის ქვით და დუღაბით, წყობა სამშრიანია.

ბურჯების ნანგრევები მდინარის ახლანდელი კალაპოტიდან დაახლოებით  $50$  მ-ით არის დაშორებული (მდინარის კალაპოტი ამჟამად სამხრეთითაა გადაწეული). უნდა აღინიშნოს, რომ ხიდის არსებობა ამ ადგილზე ცოტა უცნაურიც კია, მაგრამ ბევრი მონაცემი უეჭველს ხდის ჩვენი მოსაზრების სისწორეს. მდინარის გაღმით, ამ ნაგებობის პირდაპირ, რამდენიმე ადგილას ჩვენს მიერ ნაპოვნია გელათის მონასტრისაკენ მიმავალი ძველი

ქვაფენილი, ე.ი. გზის ნაშთი. გადარჩენილ ბურჯში კარგად ჩანს კამარის ქვა და თაღის ქუსლი. ამჟამად ეს უკანასკნელი მიწის ზედაპირთან ახლოს 0,5 მეტრ სიმაღლეზეა. ეს უნდა აიხსნას მდინარის მიერ ტერიტორიის დაშლამვით და ამდენად ზევით აწევით. ბურჯებს შორის გაჭრილმასაცდელმა თხრილმა ამ ადგილზე მდინარის ძველი კალაპოტის არსებობა დაადასტურა. საკითხავია მხოლოდ, თუ რატომ ააგებდნენ მდინარის ასეთ ფართო კალაპოტი ხიდს. ამაზე შეიძლება ითქვას, რომ მათ სხვა გამოსავალი არ ექნებოდათ, რამდენადაც უფრო შევიწროებული კალაპოტი მდინარეს გელათის ამ უბანზე თითქმის არსად აქვს. მაინცდამა-ინც ამ ადგილზე ხიდის აგება მოსალოდნელია განაპირობა ადრე აქ არსებულმა სახიდე ნაგებობამ, რომელიც ჩვენთვის უცნობია, ან კიდევ აქ არსებულმა საფონე გადასასვლელმა. აღსანიშნავია, რომ ამ ხიდის ნანგრევებს ზემოთ დღესაც არის საფონე გადასასვლელი, რომელსაც ამჟამად არსებული კაპიტალური ხიდის აგებამდე ინტენსიურად იყენებდა ადგილობრივი მოსახლეობა საერთოდ, ასეთი ტრადიცია — ფონის ადგილზე ხიდის აგება იშვიათი მოვლენა არ არის საქართველოში.

ამრიგად, ქუთაისიდან მომავალი გზა, რომელიც გადმოივლიდა საკირიის ღელეზე არსებულ ბოგირზე დაახლოებით 100 მ-ის შემდეგ იყოფოდა ორად: ერთი გადაუხვევდა მარჯვნივ, გადადიოდა ზემოთ აღნერილ ხიდზე და მიემართებოდა გელათის მონასტრისაკენ. მეორე კი — ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მდ. წყალწითელას მარჯვენა მხარეზე, გადადიოდა მდ. ქორენაზე და შედიოდა უშუალოდ „ოკრიბის ქვეყანაში“.

გელათის მონასტრისაკენ მიმავალი გზის მიმართულების ჩვენებურ გააზრებაში გვეხმარება და დასტურად გამოდგება ნაპოვნი ძველი გზის ნაშთები და ამ გზის კიდეზე არსებული ციხე-კოშკი, რომელმაც ჩვენი აზრით მანამდე არსებული დავითის კონცხზე მდებარე დავითის ციხის ფუნქცია იკისრა. აკად. ნ. ბერძენიშვილი წერდა: „როგორც ირკვევა (მე ერთხელ უკვე გამოვთქვი ეს მოსაზრება) მხოლოდ ციხე კი არ მიინევდა გზისკენ, არამედ გზასაც ენეოდნენ ციხისაკენ, ე.ი. გზა ერთ-ერთი მთავარი სტიმული იყო ამ გზის აგებისა. მას ამიერიდან

ამ ციხის ქვეშ უნდა გაევლო („ციხის ქვეშ“ გავლა ყოველთვის ფიზიკურად „ქვეშს“ არ ნიშნავდა, მაგრამ ყოველთვის ნიშნავდა კონტროლს)... ამიერიდან გზა ციხის ძირას იმიტომ კი არ გაივლიდა, რომ ამ გზის მიმართულება ასე იყო დადგენილი და სხვა მიმართულებით სვლა ამ ქვეყანაში არ შეიძლებოდა: ციხე პოლიტიკური ხელისუფლების განსახიერება იყო და მისი წება ამ ქვეყანაში კანონი იყო“<sup>1</sup>.

ამრიგად, ციხის არსებობა თავისთავად მიგვანიშნებს ახლო-მახლო გზის არსებობას, რაც დასტურდება კიდეც ნაპოვნი ქვა-ფენილებით, რომელთა ნაშთები მონასტრის სამხრეთ კარიბჭემ-დე ვრცელდება. ეს კარიბჭე ხომ თავდაპირველად ძირითადი შესასვლელი იყო მონასტერში, რომლის აგება ამ მხარეზე გზის არსებობით იქნებოდა გაპირობებული, როგორც ჩანს აქ გზა მონასტრის აგებამდეც გადიოდა.

გელათის მონასტერთან მისული გზა ორად იყოფოდა: ერთი აღმოსავლეთით მიემართებოდა ცუცხვათისაკენ, მეორე კი სამხრეთი-საკენ გადაუხვევდა, გაივლიდა წმ. ილიას ეკლესიას და გოდოგნისა და სიმონეთის გავლით ქართლისაკენ მიემართებოდა. ამ გზაზე გოდოგნში შესვლამდე ჩვენს მიერ ნაპოვნია ძველი ქვის ხიდი. ორივე გზის ნაშთები ნაპოვნია. ცუცხვათისაკენ მიმავალ გზას და-რაჯობდა ელის ქედზე მდგარი ციხე-კოშკი „ბერის ციხე“, ამ გზას მარცხნივ მთაზე გადასვლამდე გამოეყოფოდა გზა, რომელიც კურსებისაკენ ეშვებოდა და ჩადიოდა „ზენობანის“ ეკლესიასთან (აქაც შემორჩენილია ძველი ციხე-კოშკის ნანგრევები). ეს ეკლესია XII ს-ით თარიღდება. ამ დროისათვის „კურსების ქვეყანა“ დაწინაურებულ მხარედ ჩანს. ცუცხვათში გადასული გზა გაივლიდა ცუცხვათის ციხესთან და აქედან, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, მიდიოდა ტყიბულსა და რაჭაში, აქედან ჩრდილო კავკასიაში, უნაგირას მთაზე გადასვლით კი ქართლისაკენ მიმავალ მაგისტრალთან შეიძლებოდა დაკავშირება. თუ ცუცხვათის ციხეს ლაზების აგებულად ჩავთვლით, მაშინ კიდევ უფრო ნათელი გახდება ამ გზის სიძველე.

1 6. ბერძენიშვილი — საქართველოს ისტორიის საკითხები, ნ. 1, თბ. 1964, გვ. 255

ცუცხვათისაკენ და ქართლისაკენ მიმავალი ეს გზები უმნიშვნელოვანესი იყვნენ მრავალი საუკუნის განმავლობაში ამ გზებზე XIX ს-სა და XX ს-ის დასაწყისშიდაც საკმაოდ ინტენსიური მიმოსვლა იყო, რაც გასაკვირი არაა — გზები ხომ საუკუნეების მანძილზე „ერთხელ გატანილ მიმართულებებს ინარჩუნებენ“ (ნ. ბერძენიშვილი).

გზა, რომელიც ამჟამად შედის გელათის მონასტერში, ზემოთ განხილულ გზასთან შედარებით უფრო გვიანდელია, მაგრამ არა უახლესი XVII ს-ისა. ამ გზით მისულან გელათის მონასტერში 1651 წლის 13 ივლისს რუსი ელჩები ტოლოჩანოვი და იევლევი. ტოლოჩანოვის თქმით: „აქ ცხენით მისასვლელი გზა არ არის. ფეხით დადიან“. ეს გზა ამ დროისათვის ახალი გაჭრილი ჩანს.

ქუთაისის ქვეყნის ოკრიბასთან დამაკავშირებელი ძირითადი მაგისტრალი მარჯვენა მხარეზე მიუყვებოდა წყალწითელას ხეობას. მდ. წყალწითელას გელათში მარჯვენა მხარეზე ერთის მდ. ქორენა. ამ მდინარეზე დღემდეა შემორჩენილი ძველი ქვის თაღიანი ხიდი. სწორედ ამ ხიდზე გადაივლიდა ეს გზა. გაივლიდა კურსებს (აქ გზის პირას დღემდეა შემორჩენილი განვითარებული ფეოდალური ხანის (ციხე-კოშკი) ოკრიბას და რაჭაში და ლეჩეუმში გადადიოდა, ძირითადად ნაქერალას უღელტეხილის გადავლით. ნაქერალას უღელტეხილი ძველად, ისევე როგორც დღეს, ნიკორწმინდას ტყიბულთან აკავშირებდა. აღნიშნული მაგისტრალი ამ მარშრუტს XX ს-ის 30-იან წლებამდე — ტყიბულში საავტომობილო გზის გაყვანამდე ინარჩუნებდა.

ნაქერალას უღელტეხილით დასავლეთით, წმინდა გიორგის ცნობილი ეკლესიის მიდამოებში, რაჭის მთას კიდევ ერთი უღელტეხილი გადაკვეთს, რომელიც რაჭას ჭელიშის მონასტრის გავლით ოკრიბის სოფელ ძმუსითან აკავშირებდა. ამ უღელტეხილზე ერთი ბილიკი სოფელ თხმორიდან მოდის. ეს სოფელი ადვილად მოსახერხებელი გზებით ოკრიბის სოფლებთან კისორეთთან და ხრესილთანაც არის დაკავშირებული.<sup>1</sup>

ამ გზებით კავშირურთიერთობა იყო დამყარებული არა მარ-

1 თ. ბერაძე — რაჭა ფეოდალურ ხანაში, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული 5, თბ. 1975 წ. გვ. 144

ტო ოკრიბასა და რაჭას შორის, არამედ იმერეთის სამეფოსა და რუსეთს შორისაც. ამ გზების მნიშვნელობას აძლიერებდა ოკრიბის ქვეყნის წარმოებითი გეოგრაფია, მისი აქტიური ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობა ქუთაისის ქვეყანასთან. ოკრიბა ხომ ძირითადი მომმარაგებელი იყო ქუთაისის ქვეყნისა ლითონის ნაწარმით.

ზემოთხსენებული ხიდი მდ. ქორენაზე წარმოადგენს ერთმა-ლიან თაღოვან ნაგებობას. იგი ნაგებია ადგილობრივი კირქვისა და რიყე ქვით, დუღაბის გამოყენებით. თაღი შეკრულია რადია-ლურად ნაწყობი ფილაქნებისაგან. წყობა ორშრიანია. ხიდის ზო-მებია: სიგრძე 8 მ., სიგანე 3,7 მ. სიმაღლე წყლის დონიდან—3 მ. მაღლის სიგრძე 6,5 მეტრია, სისქე კი 1,10 მეტრი. ხიდი განვითა-რებული ფეოდალური ხანის ნაგებობაა, იგი XII-XV ს-ის ძეგლად უნდა ჩავთვალოთ. ამ ხიდის ზემოთ მდინარეზე ვიპოვეთ კიდევ ორი ხიდის ნაგრევები, ისინი უფრო არქაული ჩანან. მდ. ქორენა-ზე არსებულ ხიდს ადგილობრივი მოსახლეობა „თამარის ხიდს“ ეძახის, ზოგი კიდევ — „დედაბრის ხიდს“. ხიდი უფრო ამ უკა-ნასკნელი სახელითაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაშიც. „დედაბრის ხიდზე“ გადასვლამდე ოკრიბაში შემავალ ამ გზას უერთდება სორმონიდან და მისი ახლომდებარე სოფლებიდან ჩა-მომავალი გზები.

როდესაც გელათის მონასტერში ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემავალი გზა (ამჟამინდელი) გახდა ძირითადი, ამან გამოიწვია მდ. წყალწითელაზე ხიდების შედარებით ჩრდილოეთით აგება. ჩვენი აზრით ეს თანდათანობით უნდა მომხდარიყო, ე.ი. ყოვე-ლი მომდევნო ხიდი მდინარეზე ჩრდილოეთისაკენ წინაზე უფრო ახალი უნდა იყოს. თუ ასე ვიმსჯელებთ, მაშინ ჩვენს მიერ ჭალა-ში ნაპოვნი ხიდი უნდა ჩავთვალოთ უძველესად — თანადროუ-ლად ან არაუგვიანესად გელათის მონასტრის აგებისა. ასეთ დი-დებულ მონასტერს მისასვლელი გზაც და ხიდიც ხომ შესაფერი-სი უნდა ჰქონოდა. ამ ხიდის ზემოთ მდ. წყალწითელაზე ფეოდა-ლური ხანის 3 ხიდის ნაშთია შემორჩენილი, რომელთაგან 1968 წლის ივლისში მომხდარ წყალდიდობამდე შედარებით უკეთ გადარჩენილი იყო ჩრდილოეთით მდებარე ბოლო ხიდის ნაგრე-

ვები (ბურჯებთან ერთად გადარჩენილი იყო მარცხენა მხარის მალი). ამ ხიდის შესახებ პროფ. დ. მშვენიერაძე წერს: „წყობის სისტემით განსაკუთრებით არქაულია ყველაზე ზემო ხიდი, სადაც შემორჩენილია მარცხენა ნაპირის მალი. საყრდენების ნაშთებიდან ჩანს, რომ ხიდი სამმალიანი ყოფილა. პირველი მარცხენა ნაპირის ბურჯები აგებულია კლდეზე. ხიდი შემაღლებული იყო წყალგამყოფით.

ხიდის საერთო სიგრძე 43 მეტრია, ცენტრალური მალი 15 მეტრი, ხიდის სიმაღლე მდინარის დონიდან 8 მეტრი იყო, ბურჯების სისქე — 3,5 და 5,5 მეტრი, მარცხენა ნაპირის მალი 8,5 მ., მარჯვენა ნაპირის მალი — 4,5 მ., ბურჯების სიგრძე — 4 მეტრი, ხიდის სიგანე — 3,5 მეტრი.

კამარები ადგილობრივი კირქვით არის ნაგები. ქვები დამუშავებულია ფილაქნებად და დალაგებულია რადიალურ ნაკერებად კირის დუღაბზე. ბურჯებისა და კამარების წყობა ყველგან სამშრიანია, გვერდის ქვებით და ქვებს შორის სივრცე ამოვსებულია ყორული ლორლილით კირის დუღაბზე. მარცხენა ნაპირის მალის დარჩენილი კამარა ძლიერ დაზიანებულია“!

მართალია, დ. მშვენიერაძე ამ ხიდს განსაკუთრებით „არქაულად“ მიიჩნევს, მაგრამ არ აზუსტებს აგების დროს. ჩვენი ვარაუდით იგი აგებული უნდა იყოს ან იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის (1510-1565 წნ.) დროს, როცა გელათში დიდი აღმშენებლობითი სამუშაოები ჩატარდა, ანდა ეპისკოპოს გედეონ ლორთქიფანიძის მიერ. როგორც XVII ს-ის ერთი ქრონიკა გვამცნობს, ჭიშურაზე ხიდის აგების მეორე წელს (ჭიშურის ხიდი ზედ არსებული წარწერით თარიღდება 1667 წლით,<sup>2</sup> ქრონიკა კი 1668 წელს აგებულად თვლის) გელათში წყალწითელაზე ნაშენება ხიდს, მაგრამ ვერ დაუმთავრებია, „არ დამაცალეს რაჭველებმა“<sup>3</sup>. ასე რომ, ერთი ხიდი გელათში ნამდვილად ეპისკოპოს გედეონ ლორთქიფანიძის აგებულია, თანაც ფეოდალური ხანის გელათისათვის უკანასკნელი, რამდენადაც XVII ს-ის 60-იანი წლებიდან ხომ „მთელი დასავლეთ საქართველო საშინელმა

<sup>1</sup> 6. კვეზერელი-კოპაძე — საქართველოს ძველი ხიდები, თბ. 1972, გვ. 97

<sup>2</sup> იქვე, გვ. 26

<sup>3</sup> ჯ. ოდიშელი — მცირე ქრონიკები, თბ. 1968, გვ. 73

ანარქიამ მოიცვა (ის დაახლოებით ას წელინადს გრძელდებოდა). მეფის თუ მთავრის ხელისუფლება კიდევ უფრო დაეცა. ქვეყანა თავადების სათარეშოდ იქცა<sup>1</sup>. ასეთ პირობებში კი მნიშვნელოვანი მშენებლობები შეუძლებელი იქნებოდა.

ზემოთ განხილული ხიდი მოგვიანებით, 1843 წ. განუახლებია გელათში მოღვაწე ბერს იოანე ბახტაძეს, რისი აღმნიშვნელი წარნერიანი ქვის სტელა 1978 წელს შემთხვევით იქნა ნაპოვნი მდინარის მარცხენა სანაპიროზე მინაში ღრმად ჩაფლული და ამჟამად ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. სტელაზე შემდეგი წარნერაა: „ჩყმგ წელთა ამ ხიდის კეთებისათვის ღთნ შეუნდოს ცოდვანი მისნი წებსიეთნი თუ უნებლიერთნი იოანე (ბახტა)ძეს“. ეს ხიდი ემსახურებოდა გელათის მონასტერს 1888 წლამდე, ახალი რკინის ხიდის აგებამდე. როგორც ჩანს, XIX ს-ის 40-იანი წლებისათვის ამ ხიდის ორი თუ არა ერთი მაღა მაინც ჩანგრეულია და მას ხის გადასასვლელი ცვლიდა, რომელიც 1843 წელს რაღაც შემთხვევით დამწვარა და მონასტრის მართველობას აღუდგენია.<sup>2</sup> გაზეთ „კავკაზის“ ცნობით კი 1881 წელს აქ 20 ნაბიჯის სიგრძის ხის კიდული ხიდია, რომელზედაც ფაეტონები თავისუფლად ვერ გადადიან<sup>3</sup>.

საერთოდ მონასტრის მმართველობა რომ მუდამ ზრუნავდა გელათში არსებულ გზებზე და ხიდებზე. ეს 1836 წლის ერთი საბუთიდანაც ჩანს, როცა გელათში მდ. წყალწითელაზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა წისქვილის მშენებლობა დაიწყეს, მონასტრის მმართველობამ აუკრძალათ, რამდენადაც ეკლესიასთან სარგებლობაზე შეთანხმება არ დადეს და, რაც მთავარია წისქვილით „ამოდენის ხნით გაკეთებული ხიდი ოხრდებაო“.<sup>4</sup>

ასევე ზრუნავდა მონასტრის მმართველობა ელის ქედზე გარდამავალი (ქართლისაკენ მიმავალი) გზის მუდამ წესრიგში ყოფნაზე. 1860 წლის 13 აგვისტოს მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ნიკოლოზი იმერეთის ეპისკოპოს გერმანეს თხოვდა

1 ნ. ბერძენიშვილი — საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. 6, თბ. 1973, გვ. 274

2 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 2484

3 გაზ. „კავკაზ“, 1881 წ. №167, სტრ. 3

4 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 1208, ფ. 3

გზის გასაფართოებლად „ერთ ფუთ წამალს“. როგორც აღნიშნავს: მონასტერს „არა აქვს ვარგებული გზა სამხრეთის მხრით სახელწოდებით ელის ქედზედ კლდისა და დიდის აღმართისა გამო, რაზედაც ყოველ შემთხვევაშიც არიან მონასტრის ძმანი შეშის მოტანისათვის და ყოველ საჭიროებისათვის შეიწროებულნი, და უმეტეს მისთვის რადგანაც ეხლა ზიდვენ იატაკის დასაფეხურის ქვებს“.<sup>1</sup>

როგორც ჩანს იოანე ბახტაძის მიერ განახლებული ხიდი XIX ს-ის 80-იან წლებში ჯეროვნად ვეღარ ემსახურებოდა მონასტერს, ამიტომ 1888 წლის 4 მარტს მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტისერაპიონითხოვდაგაბრიელეპისკოპოს წყალწითელაზე ხიდის გაკეთებას და გზის შეკეთებას. ეპისკოპოსმა აცნობა, რომ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით ხიდი აგვისტოში იმპერატორის ჩამოსვლისათვის (იმპერატორ ალექსანდრე III გეღათის მონასტერს ეწვია 1888 წლის ოქტომბერში) გაკეთებული იქნებაო.<sup>2</sup> მართლაც 1888 წლის ზაფხულში გელათში გაკეთდა გელათის რკინიგზის სადგურიდან მონასტერში მიმავალი გზა და რკინის ხიდი მდ. წყალწითელაზე. გზის მშენებელი იყო ინჟინერ-არქიტექტორი ოზეროვი.<sup>3</sup> აღნიშნული ხიდი 1914 წლის ზაფხულში წაიღო მდინარემ.

როგორც დავინახეთ, გელათის მონასტრის მმართველობა გამუდმებით ზრუნავდა მონასტრის მამულებზე გამავალი გზების მოწესრიგებაზე, რითაც დიდ სამსახურს უნევდა ადგილობრივ მოსახლეობას.

<sup>1</sup> ქ.ც.ბ.ა., ფ. 21, ს. 7271, ფ. 1

<sup>2</sup> ქ.ც.ბ.ა., ფ. 21, ს. 17748, ფ. 1, 4

<sup>3</sup> გამ. „Кутаисские губернские ведомости“, 1888 г., №44, стр. 1, 2

თავი ხორცე

გელათის მონასტერში ეგზარქოსობის დროს  
შესრულებული აღმაშენებლობით-შეკათვებითი  
სამუშაოები





გელათის მონასტერს — საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რელიგიურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს დაარსებიდან (XII ს.) არ მოჰკლებია ქართველ მეფეთა, საერო და სასულიერო პირთა დიდი ყურადღება, როგორც ეკონომიკური სიძლიერისათვის, ასევე გარევანი სიმშვენიერისათვის. სხვა მიზეზბთან ერთად ამანაც განაპირობა გელათის მონასტრის შედარებით დაუზიანებელი და თავდაპირველი სახით მოღწევა ჩვენამდე. უკანასკნელად აქ დიდი აღდგენა-განახლების სამუშაოები ჩაატარა იმერეთის მეფე სოლომონ I-მა (1752-1784). კერძოდ რუსეთიდან ჩამოტანილი რკინის ფურცლებით გადახურა ღმრთისმშობლის სახელობის მთავარი ტაძარი, შიგნით დააგო ახალი ქვის იატაკი, აუღდგინა გალავანი და სხვ.<sup>1</sup>

იმერეთის სამეფოს რუსეთთან შეერთებამ (1810 წ.) და იმერეთში საეკლესიო რეფორმის გატარებამ (1820 წ.) გელათის მონასტრის ეკონომიკური დასუსტება გამოიწვია — იგი ფეოდალური სენიორიდან საეკლესიო შტატის დაწესებულებად იქცა. ახალ უფლებებში ყოფნა მონასტერს გარეგნულადაც დაეტყო — ეკლესიები და სხვა შენობები დაძველებულნი და ავად სამზერნი შეიქმნენ, ამას ადასტურებენ როგორც აქ ჩამოსული მოგზაურები, ასევე მონასტრის მესვეურნი თავიანთ წერილებში.

1819 წლის ივლისს აქ ჩამოსული გიორგი ავალიშვილი აღწერს რა მონასტრის ეზოს, ეკლესიების გარდა სხვა შენობებზე წერს: „სახლი მწემსთავრისა და კელლიანი კრებულთა მისთა არად სანიშუნელნი“<sup>2</sup>. 1822 წლის ივლისში ფრანგი მოგზაური უაკ ფრან-

1 ბ. ლომინაძე, გელათი, თბ. 1955, გვ. 26

მ. გოქსაძე, ნარკვევები გელათის ქეგლის ისტორიიდან, თბ., 1948, გვ. 21, 22  
ქ.ი.ე.მ. ისტორიული საბუთი 703

2 გ. ავალიშვილი — მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, თბ. 1967,  
გვ. 20

სუა გამბაც თითქმის იგივეს წერს: „ორთავე ეკლესია (ლმრთის-მშობლის შობის და წმ. გიორგის — მ.კ.) უზარმაზარ ეზოს შუაგულში დგას. მათ ირგვლივ დღეს საკმაოდ მოყანყალებული პატარ-პატარა სახლებია განლაგებული, აქ ცხოვრობენ ბერძ ნული წესის მიმდევარი იმერელი ბერები. სახლები მიდგმულია ქონგურებიან და სათოფურებიან საკმაოდ სქელ გალავანზე. ეკლესისაგან ხელმარჯვნივ ქვის შენობაა წამოჭიმული. აქ ცხოვრობს არქიეპისკოპოსი, რომელიც ამავე დროს მონასტრის წინამდღვარია“.<sup>1</sup> აქ ავტორი ცდება. ამ დროს აქ არქიეპისკოპოსი აღარ ცხოვრობს. თავის ამ შეცდომას ის იქვე ასწორებს, როცა წერს: „გელათის მონასტრის წინამდღვარი იყო არქიეპისკოპოსი გენათელი, რომელიც დღეს რუსეთში იმყოფება“.<sup>2</sup>

უფრო ვრცლად და საინტერესოდ აგვინწერს ცნობილი შვეიცარიელი მეცნიერი მოგზაური (გამბას ერთგვარი ოპონენტი) ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე, რომელიც აქ 1833 წელს იმყოფებოდა. დიუბუა წერს: „ამ ეკლესიების მიმდებარე ეზო სრულიად მოუწესრიგებელია, აქ უამრავი სხვადასხვა სახის ნაგებობაა მიმოფანტული. აქვეა გომურები, ბერ-მონაზონთა საკუნები, სინამდვილეში ნახევრად ხისგან აშენებული პატარა სახლები, რომლებიც კლდეებზეა დადგმული, აგრეთვე სატრაპეზოები, არქიეპისკოპოს-მოძღვარისა და არქიმანდრიტის საცხოვრებელი. ამ ნაგებობათაგან ერთ-ერთი, რომელიც დღეს უფრო ძველის-ძველ სარდაფს ჰგავს, ვიდრე სხვა რამეს, უნინ რომელილაც დიდი პიროვნების სასახლე უნდა ყოფილიყო, რადგან მასზე მიდგმულია პორტიკი, რომელიც, მართალია, საქმაოდ მძიმეა, მაგრამ ორნამენტები არ აკლია. მისი თაღი რელიეფებითა და გრეხილი ფორმებითა მორთული“.<sup>3</sup> დიუბუას აღნერილი ეს უკანასკნელი ნაგებობა ჩვენი აზრით გელათის აკადემიის შენობაა, რომელიც როგორც ჩანს, უკვე სახურავჩანგრეულია, არადა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, 1828 წელს ის ჯერ კიდევ მთლიანად იდგა.

1 უაკ ფრანსუა გამბა — მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. 1, თბ. 1987, გვ. 187

2 იქვე

3 მ. მგალობლიშვილი, ლ. მიქიაშვილი — ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები გელათის შესახებ, „ანალები 2000“, გვ. 83

სამივე მოგზაურის აღწერებში ერთნაირად ჩანს მონასტრის მატერიალური შექმოვება. მონასტრის მმართველობა უკვე ველარ ახერხებდა ჯეროვნად ეზრუნა არსებული შენობების მოსახლესრიგებლად. ასეთივე მდგომარეობა დასტურდება საეკლესიო უწყების დოკუმენტებშიც. 1826 წელს მოსკოვში გამოცემული წიგნის „История Грузинской Иерархии“ ავტორი გელათის მონასტრის ეზოში სამ საცხოვრებელ სახლს გამოჰყოფს: სავათედრო ტაძრის (ღმრთისმშობლის შობის ტაძრის — მ.კ.) ჩრდილოეთით 11 საუენზე მდებარე გელათელი არქიელების საზაფხულო და საზამთრო სახლებს და წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთით 6 საუენით დაშორებულ მონასტრის წინამძღვრის 6-ოთახიან ხის სახლს<sup>1</sup>, ხოლო წმ. ნიკოლოზის ეკლესიის დასავლეთით ადასტურებს სატრაპეზოს არსებობას<sup>2</sup> (აკადემიის შენობას — მ.კ.), ე.ი. შენობა ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავის (გვიანდელ) ფუნქციას. ამასვე ადასტურებს 1827 წელს მონასტრის წინამძღვარ არქიმანდრიტ ნიკოლოზის შედგენილი გელათის მონასტრის აღწერილობაში დაცული ცნობა „ამავე ეკლესიიდამ (წმ. ნიკოლოზის — მ.კ.) დასავლეთისადმი, ამასთანავე სიშორეთი დიდი ქვიტკირისა კამარშეკრული ტრაპეზი რუცა არის სიგრძით თორმეტი ნახევარი საუენი და სიგანით ხუთნახევარი ხან არა ჯეროვანსა სახესა შა არის სიძველისა გამო მდგომარეობს“.<sup>3</sup>

უფრო რეალურ სურათს იძლევა გელათის მონასტრის წინამდღვრის არქიმანდრიტ ნიკოლოზის 1829 წლის 15 ივლისის წერილი იმერეთის არქიეპისკოპოს სოფრონიოსისადმი, რომელშიდაც წერს, რომ გელათის მონასტრი „არის სრულიად დარღვევისა და დაქცევასა შინა განსვენებულის გაენათლის ეფვთიმის (მიტროპოლიტი ეფვთიმე — გელათის ეპარქიის უკანასკნელი მმართველი. 1820 წლის მარტში იმერეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის გადაასახლეს რუსეთში — მ.კ.) გაყვანის შემდგომიდან არცა ჯანგარი, არცა ზეთი არა წასმია სახურავს მონასტრისას და წვიმისაგან არის სრულიად ერთიანად დახვრეტილი,

<sup>1</sup> История Грузинской Иерархии. Мос. 1826, стр. 53, 54

<sup>2</sup> იქვე, გვ. 52

<sup>3</sup> ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 386, ფ. 286

და შიგ ეკლესიაშიდ (ლმრთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი — მ.კ.) ჩასდის წყალი და ეგრეთვე სამწირველოებშიც, და ერთი-ანათ არს უკანასკნელს დაოხრებაშიდ, ხოლო შენობაში დიდი პალატა (აკადემიის შენობა). ხაზგასმა ყველგან ჩემია — მ.კ.), დავით აღმაშენებლის სასაფლავო, მაცხოვრის კარი და დიდი კარი, და ეგრეთვე სახლის შენობანი იქცევიან უსახურავობით<sup>1</sup>. ამ წერილის დაწერიდან ზუსტად 15 წელიწადი გავიდა, სანამ საქართველო-რუსეთის სინოდალური კანტორა გელათის მონასტერში დიდ სარემონტო სამუშაოებს შეასრულებდა. ამ 15 წელიწადში კი ბევრი რამ საბოლოოდ განადგურდა, რომელთაგან ყველაზე სამწუხარო იყო დიდი პალატის კამაროვანი ქვის სახურავის ჩაქცევა, რაც შემდეგ აღარასოდეს აღდგენილა.

სანამ ზემოთხსენებული სარემონტო სამუშაოები ჩატარდებოდა გელათის მონასტერში (1846 წ.), მანამდე 1837, 1840 და 1843 წლებში აქ ზოგი რამ დროებით შეაკეთეს. 1837 წლის სექტემბერში კავკასიაში უნდა ჩამოსულიყო რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I. მეფის მარშრუტში ქუთაისი და გელათიც შედიოდა. ამასთან დაკავშირებით გადაწყდა აქ არსებული ისტორიული ძეგლების შეკეთება-გამშვენიერება. ამ მიზნით უნდ. სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორამ ქუთაისში და გელათში მიავლინა თავისი არქიტექტორი რიპარდი. რიპარდმა შეამონმა მონასტრის ნაგებობანი და შეადგინა 13146,45 მანეთის (ვერცხლით) ღირებულების სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა.<sup>2</sup> უდროობისა (იმპერატორის ჩამოსვლამდე სამიოდე თვე რჩებოდა) და უფულობის გამო აღნიშნული სამუშაოების მხოლოდ მცირედი ნაწილი შესრულდა, კერძოდ, გელათის, მონასტრის წმ. გიორგის ეკლესიის დასავლეთი მინაშენი გადაიხურა კრამიტით, კარიბჭე და თვით ეკლესია შიგნით შეთეთრებული იქნა კაცის სიმაღლეზე და დააგეს ახალი ქვის იატაკი.<sup>3</sup>

თუ რამდენად მცირე იყო 1837 წელს ჩატარებული სამუშაოები და რა მდგომარეობაში იყო მონასტრის ნაგებობანი, კარ-

<sup>1</sup> ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 283, ფ. 3

<sup>2</sup> ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 20218, ფ. 1

<sup>3</sup> ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 1465, ფ. 189

გად ჩანს „გაენათის მონასტრის გამგებლის იღუმენის სიმეონის“ პატაკში იმერეთის არქიეპისკოპოს სოფრონიოსისადმი: „ამა მონასტერსა შინა არს ეკკლესია წმიდისა გიორგისა, რომელიცა სრულიად გაშიშვლდა დაუხურაობისა გამო და სწვიმს შიდ და უხდება კედლები, ეგრეთვე საარხიმანდრიტო სახლები და ოთახები სრულიად გარდაცარცვილ არიან და შესაძლო არ არის რომ ამა მომავალს ზაფხულისათვის არა დაიხუროს და აგრეთვე საზეთო პალატი და სხვა პალატებიც და ტოვნებიც უნდა გარდიხუროს ყველანი, უკეთუ ინებებს თქვენი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა დორზედ განკარგულებას თორემ დაირღვევა და დაიქცევა“<sup>1</sup>. პატაკი 1839 წლის 6 თებერვლითაა დათარიღებული. 1840 წლის ზაფხულში აქ ჩამოთვლილი სამუშაოებიდან ზოგიერთი ნაწილობრივ შესრულდა: შეკეთდა დიდი ტაძარი, წმ. გიორგის ეკლესია გადაიხურა ყავრით.<sup>2</sup> ყავრითვე გადაიხურა სხვა სახლებიც.<sup>3</sup>

გელათის მონასტრის მდგომარეობა ამის შემდეგაც საგანგაშო რჩებოდა, განსაკუთრებით ღმრთისმშობლის სახელობის დიდი ტაძრისა. სოლომონ I-ის მიერ გადახურულ რკინის ფურცლებში წყალი ჩადიოდა. 1843 წლის 9 ივნისს მონასტრის წინამდლვარი არქიმანდრიტი ეფთვიმე საქართველოს ვიკარს, გორის ეპისკოპოს ნიკიფორეს წერდა: „სახურავი ხსნებული მონასტრისა (დიდი ტაძრის — მ.კ.) ოთხივეს კერძო აგლეჯილი არს ქარისაგან და თითქმის სრულიად შერყყეულ არს ასრეთ ზომამდე, რომელ წვიმიანის დროს ხშირად მრავლის ადგილიდამ ჩამოდის შიგნით მონასტერში წვიმა“<sup>4</sup>. ეპისკოპოსმა ნიკიფორემ მონასტრის ასეთი მდგომარეობა უნდა. სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორას აცნობა, საიდანაც უპასუხეს: იმის გამო, რომ არქიტექტორ რიპარდს სხვადასხვა საქმეების გამო არ შეუძლია გელათში ნასვლა, ამიტომ იქნებ ადგილზევე ნახოთ ვინმე ისეთი პიროვნება, რომელიც, თუ შესაძლებელი იქნება, ისე შეაკეთებს დიდი

1 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 1540, ფ. 3

2 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 1865, ფ. 1

3 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 1675, ფ. 22

4 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 2018, ფ. 19

ტაძრის სახურავს, რომ 2-3 წელი წვიმა არ ჩავიდესო. ასეთი პი-როვნებები სულ მაღვ იპოვნება. ესენი იყვნენ სოფელ კურსებში მცხოვრები საეკლესიო გლეხები: ლევან, მიქელა, მოსე, ივანე, მოსე და დავით ბერეკაშვილები, სვიმონ და ბასილა უკლებები და ბასილა ბეროძე.<sup>1</sup> აღნიშნული გვარის საეკლესიო გლეხები (ასევე მაღლაქველიძეებიც) სულ 11 კომლი, როგორც ყველაზე საუკეთესო ხელოსნები ჯერ კიდევ იმერეთის მეფეების დროს, მათივე ნებართვით გელათელ მიტროპოლიტებს გათავისუფლებული ჰყავდათ ყველა საერო ვალდებულებებისაგან, სამაგიეროდ კი ისინი ანარმობდნენ მონასტრისა და სხვა შენობა-ნაგებობების შეკეთებას. ასე გრძელდებოდა რუსული მმართველობის შემოღების შემდეგაც, ვიდრე 1844 წლამდე. 1844 წელს კი საერო ხელისუფლებამ მოინდომა მათთვის აღნიშნული პრივილეგიების ჩამორთმევა, რაც დიდ ტრაგედიად მიიჩნია იმერეთის ეპარქიის მაშინდელმა მმართველმა მიტროპოლიტმა დავითმა, რომელიც 1844 წლის 15 ნოემბრის წერილში საქართველო-იმერეთის სა-მოქალაქო გუბერნატორისადმი მოითხოვდა მათ ძველ მდგომარეობაში დატოვებას. ამავე წერილში ის კიდევ ერთხელ აღნიშნავს: მონასტრი „შენახვის საშუალების უქონლობის გამო მივიდა დიდ მოშლილობამდე: რამოდენიმე სამონასტრო შენობები მთლიანადა დაინგრენენ, სხვები განსაკუთრებით დაძველდნენ და თვით ეკლესიები თითქმის მთლად დაზიანდნენ“.<sup>2</sup> ზემოთ აღნიშნულ ხელოსნებთან დადო კონტრაქტი 1843 წლის 2 აგვისტოს იმერეთის ეპარქიის მმართველობამ გელათის მონასტრის დიდი ტაძრის სახურავის შეკეთებაზე. კონტრაქტის თანახმად, მათ უნდა გადაეხადათ ტაძრის სახურავის სამი კალთა და გადაეჭედათ ხით ხელახლა, სახურავად ძველივე რკინის ფურცლები უნდა ეხმარათ, უნდა შეკეთებინათ გუმბათის ჯვრის ფეხი ისე, რომ წყალი აღარ ჩასულიყო, გუმბათის ფანჯრები, რომლებშიც წყალი შედიოდა, ხელახლა უნდა გამოეშენებინათ აგურით, გუმბათის გარშემო სახურავი უნდა დაეგოზათ საგოზავით — აღნიშნულ სამუშაოებში ითხოვდნენ 270 მანეთს და იძლეოდნენ

1 იქვე, ფ. 23, 33

2 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 2808, ფ. 4, 5

ორი წლის გარანტიას.<sup>1</sup> კონტრაქტის პირობები შესრულებული იქნა, ოღონდ ერთი დარღვევით, გარანტია ერთნაირი გამოდგა, ტაძარში ისევ ჩადიოდა წყალი.

1844 წლის შემოდგომაზე არქიტექტორმა რიპარდმა მოიცალა გელათში ჩასასვლელად. შეადგინა მონასტრის სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა გეგმებით და თავისი შეხედულებები ორ ვარიანტად მოახსენა სინოდის კანტორას. პირველი ვარიანტი ითვალისწინებდა მონასტრის ყველა ნაგებობის შეკეთებას, მეორეში კი რიპარდმა დააყენა საკითხი ღმრთისმშობლის შობის ტაძრის დასავლეთის მინაშენის და ნმ. ნიკოლოზის ეკლესიის დანგრევაზე, რის შედეგადაც, მისი აზრით, გაიხსნებოდა ტაძრის ხედი და შემცირდებოდა შეკეთების ხარჯები.<sup>2</sup> (ასევე მოითხოვა 1837 წელს ქუთაისში მყოფმა რიპარდმა ბაგრატის ტაძრის დანგრევა — მ.კ.) საბედნიეროდ, ამ შემთხვევაში სინოდის კანტორის მესვეურებმა წინდახედულობა გამოიჩინეს და რიპარდის ეს ვარიანტი უარყვეს, რამეთუ მათივე აზრით (რომელიც დავით მიტროპოლიტმა მიაწოდათ — მ.კ.) ამას შეიძლებოდა „იმერელ ხალხში“ არასწორი შეხედულებები შეექმნა მთავრობის განკარგულებებზე.<sup>3</sup> რიპარდს დაევალა უფრო მცირე მოცულობის სამუშაოების ახალი ხარჯთაღრიცხვის შედგენა.<sup>4</sup>

1845 წლის 22 დეკემბრის ბრძანებით, უწმიდესი სინოდის ბრძანების თანახმად, საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ გადაწყვიტა გელათის მონასტრის საფუძვლიანი შეკეთება, რისთვისაც გამოყო 7100 მან. და 85 კაპ. ვერცხლით.<sup>5</sup> 1846 წლის 19 აპრილს ჩასატარებელი სამუშაოების სახელმძღვანელოდ და სამეთვალყურეოდ იმერეთის ეპარქიის მმართველობასთან შეიქმნა სპეციალური კომიტეტი გელათის მონასტრის არქიმანდრიტ სვიმონის თავმჯდომარეობით. მონასტრის შენობები იხურებოდა თუნუქით, შეკეთებისათვის საჭირო მასა-

1 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 2018, ფ. 34

2 იქვე, ფ. 47

3 იქვე, ფ. 51

4 იქვე, ფ. 52, 53

5 იქვე

ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 3605, ფ. 1

ლების ადგილზე მიტანასთან ერთად, თუნუქის დამხურავი ოსტატიც იქნა ჩამოყვანილი, — ივანე სტეფანეს ძე კრასოვი — ორლოვის გუბერნიის ქალაქ ლინევიდან, მიზეზი მოწვევისა გახდა ის, რომ „მთელს ქუთაისის უეზდში არ იპოებოდა დამხურავი თუნუქისა“.<sup>1</sup>

1846 წლის 6 სექტემბერს კრასოვს თავის მოყვანილ ორ მუშასთან ერთად დაუწყია დიდი ტაძრის გადახურვა, რომელიც 10 ნოემბრისათვის დაუსრულებია. ამავე თვეში ტაძარი კიდეც გადაულებიათ. 1847 წლის თებერვლისათვის მთელი სამუშაო ძირითადად დასრულდა: გადაიხურა წმ. გიორგის და წმ. ნიკოლოზის ეკლესიები, სამრეკლო. სულ მალე სახურავები მწვანედ გადაღებეს. მოავარაყეს წმ. გიორგის ეკლესიის ჯვარი, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გაკეთდა მოაჯირი, დიდ ტაძარში გადაღებეს კანკელის კარები, შეიღება ჯვრები წმ. ნიკოლოზის ეკლესიის და სამრეკლოს გუმბათებზე, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გაკეთდა ფანჯარა.<sup>2</sup>

შეკეთების სამუშაოები ხარისხიანად ჩატარდა — „განზრახულს მუშაობაზედ კომიტეტმა დასდვა ყოველი შესაძლებელი მეცადინეობა და ასრულებდნენ ზემოხსენებულნი პირნი თავიანთსა მოვალეობასა მინდობისამებრ სიმარჯვით და ერთგულებით“.<sup>3</sup>

ჩატარებული სამუშაოების მასშტაბურობაზე სრულ წარმოდგენას გვიქმნის „სია მასალათა მოხმარებულთა გარდაჭედსა ზედა გაეხათის მონასტრისასა. წმიდის გიორგის და წმიდის ნიკოლოზის ეკლესიებთა სამრეკლოთურთ“, საიდანაც ვგებულობთ, რომ რემონტს დასჭირვებია: 1) სხვადასხვა ზომის 1000 წაბლის და 200 მუხის დათლილი ხეები ლარძაყინებად; 2) რკინის ფურცლები 479,25 ფუთის წონით, ზომით 1 ალაბი 1 ალაბზე; 3) 85 ფუთი რკინა ლურსმნებისა და კავებისათვის; 4) 19,75 ფუთი კანაფის ზეთი; 5) 13,5 ფუთი ზეთი; 6) 5 ფუთი და 6 ფუნტი ოლიფა; 7) ცარცი 3 ფუთი; 8) ყიზილობაია 1 ფუთი; 9) საჟი 1 ფუთი;

1 იქვე, ფ. 35, 36, 39

2 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 3605, ფ. 78, 89

3 იქვე, ფ. 80

10) თეთრი ფერი 11 ფუთი; 11) საგოზავი („ზამასკა“) 1,75 ფუთი; 12) ჯანგარი 2 ფუთი და 3 გირვანქა; 13) ნახშირი ლურსმნის მოსაჭრელად 6 ურემი; 14) ვარაყი ორი დასტა მოსაყვითლავად წმ. გიორგის ეკლესიის გუმბათის ჯვრისათვის.<sup>1</sup> ამ მასალის დიდი ნაწილი რუსეთიდან მოუტანიათ „ქუთაისელ მოქალაქე“ — „სტეფანე აკოფოვს და მის „ვექილს“ იაკობ ნიკოლაძეს<sup>2</sup> (ნიკო ნიკოლაძის მამას — მ.კ.). როგორც აღვნიშვნეთ, თუნუქით გადახურვის სამუშაოები ივანე კრასოვმა შეასრულა, თუნუქის გადაჭედისათვის საჭირო ხის სამუშაოები „დალარძაყინება — გადაფიცრა“ კი კურსებელმა ქვისა და ხის „ხუროებმა“ ბერეკაშვილებმა,<sup>3</sup> ბეროძებმა, უკლებებმა, ქაშიძაძეებმა და აბესაძეებმა.<sup>4</sup>

1846 წელს, როგორც დავინახეთ, ძირითადად ტაძრები და სამრეკლო შეკეთდა (თანაც მხოლოდ გადახურვით), სხვა ნაგებობები კი ისევ ძველ მდგომარეობაში დარჩნენ, ამიტომ წერდა: 1847 წლის 19 მარტს პატაკში გელათის მონასტრის ნინამძღვარი არქიმანდრიტი სიმონი იმერეთის ეპარქიის მმართველს მიტროპოლიტ დავითს, „როგორც აქამომდე იზრუნეთ დიდებულის გაენათის მონასტრის საიმედო არსებაში მოყვანისათვის გარდახურვითა ანცა იზრუნეთ და დაამატეთ ღვანწლი ღვანწლა ზედა. არა უცნობელ არს თქვენის მაღალ ყოვლად უსამღვდელოებისა მიერ, რომელ ადრიდგანვე ქებულნი და სახსოვარნი დიდი პალატა, თვით დავით აღმაშენებლის საფლავი მაცხოვრის კარად წოდებული და გალავნის დიდი კარი მიწევნილ არიან დაქცევისადმი გარდაუხურავობითა, არა კეთილ ინებებსა თქვენი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა პატივსადებადვე გაენათის მონასტრისა ესეცა ჰყოთ, რადგან ღირს სახსოვარნი ნიშანნი არიან შენობანი დადგებულისა მათ შინა დარუბანდის კარისა, რომელთა სანახავად მრავალნი უცხო კაცნი მოდიან და მით მონასტერი თითქმის პატივცემულ და ქებული არის“.<sup>5</sup> არქიმან-

1 იქვე, ფ. 138

2 იქვე, ფ. 80

3 ბერეკაშვილებზე დაწვრილებით იხილეთ — მ. კეზევაძე — ქვითხურონი ბერეკაშვილები, კრ. „ძეგლის მეგობარი“, 68, 1984 წ.

4 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 3689, ფ. 1-8

5 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 3605, ფ. 83

დრიტი ითხოვდა ამ შენობების რკინით გადახურვას. სინოდის კანტორამ რემონტისათვის საჭირო ფულის გამოყოფაზე უარი განაცხადა. არქიმანდრიტმა სიმონმა 1848 წლის 23 მარტის წერილში ისევ შეახსენა მიტროპოლიტ დავითს — „რწმუნებულსა ჩემდა გაენათის მონასტერსა შინა მდგომარე მაცხოვრის კარი სასაფლაო თვით დიდებულის მეფის დავითისა ზედ წოდებულისა აღმაშენებლად იქცევის დაუხურაობისა გამო“ — მორწმუნე არქიმანდრიტს ეს დიდ ცოდვად მიაჩნდა, რამდენადაც აქ „არიან ლირსახსოვარნი ნიშანნი, პირველი, რომ წმინდად შერაცხილ არს მართლმადიდებლის ეკკლესიისაგან მეფე იგი და მისი სასაფლაო, მეორე რომ იქონიების მას შინა სამაგალითო დარუბანდის რკინის კარი წარწერილი სხვა ენითა, რომლისა სანახავად მრავალნი დიდნი კაცნი მოდიან და თითქმის მით პატივიცემების ეკკლესია ესე“!<sup>1</sup> სახურავის სიძველის გამო ინგრეოდა აგრეთვე „საზეთე სახლი“, დიდი ოდა და სანინამძღვრო სახლი.

უწმიდესი სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორამ 1848 წლის სექტემბერში ნება დართო მონასტრის მმართველობას დავით აღმაშენებლის საფლავის, გალავნის მთავარი შესასვლელის და სანინამძღვრო სახლის შეკეთებაზე, რისთვისაც უნდა დახარჯულიყო 200 მანეთი,<sup>2</sup> სამუშაოები შესრულდა 1849 წელს.<sup>3</sup>

1846-1849 წლებში გელათის მონასტერში ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებზე დაიხარჯა სულ 5102 მან. და 40 კაპ.<sup>4</sup>

1852 წლის მარტში ძლიერ ქარს („დიდმა შფოთის ქარმა“) დიდად დაუზიანებია მონასტრის დიდი ტაძრისა და ეკლესიების ისე-დაც დაძველებული ფანჯრები, ზოგი ძირს გადმოუგდია, ზოგში კი მინები ჩაუმტვრევია, რის გამოც წერდა არქიმანდრიტი სიმონი: „ეკელესიაში ჩიტები დადიან და ქარიანს წვიმაში წვეთი ჩადის, და ახდენს კედელზედ წმინდათ ხატთა.“<sup>5</sup> ამავე დროს შენობების სახურავებიც დაძველდა, საჭიროებდა გადალებვას. 1854-1856

<sup>1</sup> იქვე, ფ. 101

<sup>2</sup> იქვე, ფ. 119

<sup>3</sup> იქვე, ფ. 148

<sup>4</sup> იქვე, ფ. 152

<sup>5</sup> ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 5116, ფ. 1, 7

წლებში ხელახლა გადაიღება ღმრთისმშობლის სახელობის ტაძრის, წმ. გიორგის და წმ. ნიკოლოზის ეკლესიების სახურავები, ოსტატი იყო როსტომა ჩხილავაძე.<sup>1</sup> ფანჯრები კი კვლავ უმინებოდა, გამოუცვლელი დარჩა.

1858 წელს გელათში დიდი მთავრის ნიკოლოზის, 1861 წელს კი იმპერატორ ალექსანდრე II-ის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ხელახლა გადაიღება მონასტრის შენობათა სახურავები, შეკეთდა დავით აღმაშენებლის საფლავზე ჩასასვლელი კიბე და, სადაც შესაძლებელი იყო, ფანჯრებში ჩასვეს მინები. ოსტატები იყვნენ ხარიტონ ხუციბერიძე და როსტომა ჩხილავაძე.<sup>2</sup>

1860 წელს ღმრთისმშობლის სახელობის დიდ ტაძარში დაიგო ქვის ახალი იატაკი.<sup>3</sup> 1863-1864 წლებში კი მასში გააკეთეს ქვის ახალი კანკელი (არსებული კანკელი XIX ს-ის დასაწყისში იყო გაკეთებული, მაგრამ უგემოვნოდ — მ.კ.), რომლის პროექტის ავტორი იყო ქუთაისის გუბერნიის არქიტექტორი ვასილიევი. კანკელის ქვის სამუშაოები შეასრულეს ბერეკაშვილებმა, ხის — ხარიტონ ხუციბერიძემ, ხატები დაწერა მხატვარმა ანფიმოვმა.<sup>4</sup> ახალი კანკელიც ვერ შეერწყა ტაძრის ინტერიერს, ამიტომ მოგვიანებით ისიც აიღეს. კანკელის გაკეთების ხარჯების დიდი ნაწილი გაიღო თანახმად ანდერძისა გურიის ყოფილმა ეპისკოპოსმა იოანემ.<sup>5</sup>

1864-1865 წლებში ოსტატებმა ფილიპე, იოსებ და კიკოლა ბერეკაშვილებმა დიდ ტაძარში გააკეთეს ახალი ფანჯრები (43 ცალი — აქედან 11 გუმბათში) და ჩასვეს მინები.<sup>6</sup> ცოტა მოგ-

1 ს.ც.ს.ს.ა., ფ. 489, ან. 1, ს. 15449, ფ. 10

ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 5492, ფ. 1, 27

2 ს.ც.ს.ს.ა., ფ. 489, ან. 1, ს. 18363, ს. 19154

ქ.ც.ს.ა., ფ. 21, დ.ა. ს. 353, ფ. 8

3 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 7271, ფ. 1

4 ქ.ი.ე.მ., ფ. 6466, ს. 112, 159, 162, 171, 173

ფ. 68621, ს. 56

ფ. 2862, ს. 171

5 ს.ც.ს.ს.ა., ფ. 489, ან. 1, ს. 22280, ფ. 1

6 ქ.ი.ე.მ., ფ. 6466, ს. 166, 209, 233, 382

ს.ც.ს.ს.ა., ფ. 489, ან. 1, ს. 23016, ფ. 2127

ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 8931

ვიანებით დანარჩენ ეკლესიებშიც და სამრეკლოშიც შეცვალეს ფანჯრები.

1872-1873 წლებში გელათის მონასტერში შეაკეთეს წყალსა-დენი.<sup>1</sup>

1875-1879 წლებში აქ აგებული იქნა მონასტრის წინამძღვრის ახალი სახლი და სასტუმრო დიდი ოდა, რომელიც ახლაც დგას.<sup>2</sup> ოსტატები იყვნენ ლევან და მოსე ბერეკაშვილები.<sup>3</sup>

1880-1881 წლებში კვლავ გადალებეს გელათის მონასტრის შენობათა სახურავები, ჩატარდა მცირეოდენი რემონტიც, რაზე-დაც სულ დაიხარჯა 2600 მანეთი.<sup>4</sup>

1893-1894 წლებში გელათის მონასტრის ეზოში არქიტექტორ ვერცინსკის პროექტით აგებული იქნა იმერეთის ეპარქიის მმართველის ეპისკოპოს გაბრიელის სახლი (საკუთარი ხარჯით). ააგო ოსტატმა ისიდორე ბერეკაშვილმა.<sup>5</sup> 1895 წელს ამ სახლის ირგვლივ გაკეთებული იქნა ქვის ახალი გალავანი 60 საუენ სიგრძ ეზე თავის რკინის ჭიშკრით.<sup>6</sup>

XIX ს-ის 90-იან წლებში გადაწყდა დავით აღმაშენებლის საფლავის განახლება. ამასთან დაკავშირებით 1896 წელს დავით აღმაშენებლის საფლავზე დასადგმელი საფლავის ქვა, თავისი კვარცხლბეკით გააკეთეს ოსტატებმა ანდრია და ისიდორე ბერეკაშვილებმა. კვარცხლბეკზე უნდა გაკეთებულიყო დავითაღმაშენებლის ბრინჯაოს ხატი და წარწერა. ყველაფერი ეს კეთდებოდა შემოწირული თანხებით.<sup>7</sup>

1896-1899 წლებში მრავალ ადგილზე იქნა შეკეთებული და აღდგენილი მონასტრის გალავანი.<sup>8</sup>

1 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 12530

ქ.ი.ე.მ., ფ. 6466, ს. 390

2 ქ.ი.ე.მ., ფ. 6861, ს. 81, 90, 102, 186

3 ქ.ი.ე.მ., ფ. 6466, ს. 408, 411, 760

4 ქ.ი.ე.მ., ფ. 6466, ს. 607, 653

ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 6888, ფ. 224, ს. 14211, ფ. 33, 34

5 ქ.ი.ე.მ., ფ. 6466, ს. 920, 931, 932

ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 18950

6 ქ.ი.ე.მ., ფ. 6466, ს. 1279

7 ქ.ი.ე.მ., ფ. 6466, ს. 757

8 ქ.ი.ე.მ., ფ. 6466, ს. 1064, 1070, 1107

ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 20675

მიუხედავად ჩამოთვლილი შეკეთებებისა, XX ს-ის დასაწყის-შიც გალათის მონასტრის ეზო და შენობები უნესრიგოდ გამოიყურებოდნენ. ეს კარგად ჩანს 1903 წელს არქიმანდრიტ ამბროსის (შემდეგში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) შედგენილ მონასტრის რევიზის ანგარიშში. რევიზის დროს მონასტრის ეზოში მრავლად ყოფილა სხვადასხვა შენობების ნანგრევები, ძმათა კელიები კი, გარდა წინამძღვრის შენობისა, თითქმის ყველა ხის იყო და უმეტეს შემთხვევაში თვით მათი საშუალებებით იყო აგებული ყოველგვარი გეგმის გარეშე. ამ კელიების გარეგან მდგომარეობას შეესატყვისებოდა მათი შინაგანი უღატაკესი მდგომარეობა, უსუფთაობა, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ბერის ერთი ოთახი ფაქტობრივად სამზარეულოც იყო და სასადილოც, სასტუმროც და საძინებელიც, ინტელიგენტი სტუმრების მისალებად განკუთვნილი ერთადერთი შენობაც საკმაოდ მოუვლელი იყო, განსაკუთრებით ზამთრის პირობებისათვის. კარებს და ფანჯრებს ხვრელები აქვთ, მოუწესრიგებელია ღუმელები, ასეთივე მდგომარეობაშია მონასტრის სხვა შენობებიც, გამონაკლისია გაბრიელ ეპისკოპოსის ყოფილი სახლი.<sup>1</sup>

არქიმანდრიტ ამბროსის იმის გათვალისწინებით, რომ მონასტერში ბევრი ისეთი შენობაა, რომელსაც არა აქვს ისტორიული მნიშვნელობა, მიზანშეწონილად მიაჩნდა: ა) აიღონ ძმათა სენაკები და მათ ნაცვლად ააგონ ერთი დიდი შენობა მონასტრის ძმათვის; ბ) აიღონ ყველა ისტორიულ ღირებულებას მოკლებული ნანგრევები; გ) მოსული მლოცველებისათვის ააგონ სპეციალური შენობა; დ) მონასტრის მთავარი შესასვლელი ჭიშკარი თავისი გალერეით შეაკეთონ ან საერთოდ აიღონ.<sup>2</sup> სამწუხაროდ, ეგზარქოსობის პერიოდში რევიზორის არც ერთი შენიშვნა არ იქნა გათვალისწინებული, თუმცა ამის შემდგომ წლებში მონასტერში მცირედი რამ მაინც გაკეთდა, კერძოდ 1906-1909 წწ. წინამძღვრის, არქიმანდრიტ ნიკიფორეს თაოსნობით მონასტრის მთავარი შემოსასვლელის მახლობლად სამონასტრო ადგილები

<sup>1</sup> მ. კეზევაძე — იმერეთის სამონასტრო ცხოვრება XX ს-ის დამდეგს, „საისტორიო მომებე“, 75-76, თბ. 2003, გვ. 246

<sup>2</sup> იქვე, გვ. 242

შემოზღუდული იქნა ქვის გალავნით და ნაცვლად ძველი ხის მარნისა აგებული იქნა ახალი ქვის მარანი.<sup>1</sup>

1911 წელს შეკეთდა მონასტრის წყალსადენი და შემოსასვლელში დაიგო თლილი ქვის იატაკი.<sup>2</sup>

1915 წელს გელათის მონასტერში ამოშენდა და გაიღესა სანისქვილე აუზები და გაკეთდა ორთვლიანი წისქვილი.<sup>3</sup>

ამის გარდა სხვა ცნობები ეგზარქოსობის დროინდელ გელათის მონასტერში ჩატარებულ აღმშენებლობით სამუშაოებზე არ მოგვეპოვება. აღსანიშნავია, რომ ამ მიზნით მონასტრის ბოლო წლების ბიუჯეტებში საკმაო თანხა იყო გამოყოფილი. 1914 წელს ამ მიზნით, „მონასტრის შენობათა შესაკეთებლად“ დაიხარჯა 1043 მან. და 30 კაპ.<sup>4</sup>, 1915 წელს — 2353 მან. და 93 კაპ.<sup>5</sup> 1916 წელს — 2979 მან. და 54 კაპ.<sup>6</sup>

ასევე აღნიშნვის ღირსად მიგვაჩნია 1901 წელს ღმრთის-მშობლის შობის ტაძარში გაბრიელ ეპისკოპოსის საფლავის კედელთან (სამხრეთის მხარეზე) სპეციალური კიოტის გაკეთება, რომელშიც მოთავსებული იყო მის დასაფლავებაზე მოტანილი ხატები. კიოტი 1901 წლის 4 თებერვალს აკურთხა იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ.<sup>7</sup>

1 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 24119, ფ. 14

ქ.ი.ე.მ., გელათის მონასტრის არქივი 6466, ს. 2364

2 ქ.ი.ე.მ., გელათის მონასტრის არქივი 6466, ს. 2634

3 ქ.ი.ე.მ., გელათის მონასტრის არქივი 6466, ს. 3065

4 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 26051, ფ. 38, 43

5 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 25962, ფ. 2

6 ქ.ც.ს.ა., ფ. 21, ს. 26474, ფ. 4, 7

7 ჟურ. „მწყემსი“, 1901, № 4, გვ. 2

თავი მესუთი  
გელათის მონასტრის ცეკვოპოლი





მეფე დავით ალმაშენებელმა თავისსავე დაარსებულ გელა-  
თის მონასტერს, იმდროინდელი მსოფლიო დონის სამეცნიერო  
და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს, „მეორედ იერუსა-  
ლიმად“ და „სხუად ათინად“ წოდებულს, კიდევ ერთი უმნიშვნე-  
ლოვანესი ფუნქცია მიანიჭა — გელათი საქართველოს მეფეთა  
საძვალედ გახადა. თავის ანდერძში ის წერს: „ხოლო დარჩა მო-  
ნასტერი სამარხავი ჩემი და საძვალე შკლთა ჩემთა უსრულად  
და წარმყუა მისთცა ტკივილი სამარადისო. ან შკილმან ჩემმან,  
მეფემან დიმიტრიმ, სრულჰყოს ყოვლითურთ საუკუნოდ  
სალოცავად ჩემთჯეს და მისთჯეს და მომავალთა ჩემთათვის“<sup>1</sup>.

საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურისა და წყაროების  
შესწავლა ადასტურებს, რომ გელათის მონასტერში (ამ ტერმინ-  
ში ვგულისხმობთ ღმრთისმშობლის შობის ტაძარს თავისი მინა-  
შენებით, წმ. გიორგის ეკლესიას და მონასტრის ეზოს) დაკრძ  
ალვის პატივით სარგებლობდნენ გაერთიანებული საქართვე-  
ლოს მეფეები (დავით ალმაშენებლით დაწყებული), იმერეთის  
მეფეები, გელათის მოძღვართ-მოძღვრები, დასავლეთ საქარ-  
თველოს (აფხაზეთის) კათოლიკოსები, გელათის ეპისკოპოსები,  
გელათის მონასტრის წინამძღვრები და კრებულის წევრები;  
თუმცა ზოგჯერ გამონაკლისიც ხდებოდა: აქ დაუსაფლავებიათ  
მეფეთა მეუღლებიც, უფლისნულებიც, სხვა ეპარქიის მმართვე-  
ლებიც და მონასტერთა წინამძღვრებიც.

სამწუხაროდ, ვიზუალურად გელათის მონასტერში საფლავ-  
თა მცირე რაოდენობა დასტურდება. აქ დაკრძალულთა დადგე-  
ნა ძირითადად ისტორიული საბუთებით ხერხდება, თუმცა სრუ-  
ლი სის შედგენა მაინც შეუძლებელია. საფლავების დაკარგვას

1 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XIII სს. შეადგინეს და  
გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა თბ.  
1984, გვ. 63.

ძირითადად, უამთა სვლასთან ერთად, ტაძრებში ჩატარებული რემონტები იწვევდა, კერძოდ, იატაკების განახლება, ზოგჯერ კიდევ უარესიც ხდებოდა — საფლავის ქვებს საამშენებლო მასალად იყენებდნენ. ასე მომხდარა კერძოდ, 1837 წელს, როდესაც გელათის წმ. გიორგის ეკლესიის კარნიზისათვის და იატაკისათვის უხმარიათ „დასაფლავებულთა მუნ მღვდელმთავრებთა და სხუთა გვამებთა“ საფლავის ქვები.<sup>1</sup>

გელათის ნეკროპოლი ძირითადად განთავსებულია ღმრთის-მშობლის შობის ტაძარზე არსებულ მინაშენებში, რომელთაგან დასავლეთის და სამხრეთის ტაძრის მშენებლობასთან ერთად ან მშენებლობის დამთავრების ახლო ხანში არიან აგებული და წმ. გიორგის ეკლესიაში. ეს უკანასკნელი „საძვალედ“ იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს განუახლებია. გელათისადმი 1545 წელს ბოძებულ შენირულობის სიგელში ის აღნიშნავს: „და ან ვიგულეთ და ვიგულმოსდგინეთ და ხელვყავით საყდრისა და მონასტრისა წმიდისა გიორგისა მეორედ აღშენებად. პირველად ოდესმე სადედოფლო ყოფილიყო აღარავინ ესაფლავებოდა და მოშლილიყო და ან ჩვენდა სამარხოდ და საძვალედ შევქმენით“.<sup>2</sup> სასაფლაოდ იყო გამოყენებული აგრეთვე მონასტრის ეზო.

გელათი, რომ გაერთიანებული საქართველოს და იმერეთის მეფეთა საძვალეს წარმოადგენდა, ამას ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს, მისი თქმით გელათში „დაფლულ არიან აღმაშენებელი, გიორგი, თამარ, ლაშა, რუსუდან, დავით, დავით და სხუანიცა და ანინდელნი მეფენი შემდგომად განყოფისა იფვლიან იმერთანი“.<sup>3</sup>

პირველი, ვინც გელათის მონასტერში დაუკრძალავთ გიორგი მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელია (გარდაიცვალა 1118 წელს). კონკრეტულად სად არის მისი საფლავი, უცნობია. როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს: „ხოლო მაშინ ოცესთს ყოფნასა მიიცვალა გიორგი ჭყონდიდელი, თავ-ადგა სიყრმით განთა პატრონისა მსახურებათათვის; და პატივითა დიდითა

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს.1465, ფ.189

2 ი. დოლიძე — ქართული სამართლის ქეგლები, ტ. II, თბ. 1965 გვ. 184

3 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973 გვ. 754

წარმოგზავნა მონასტერსა ახალსა (გელათის — მ.კ.) და მუნ დაემარხა.<sup>1</sup>

ისტორიული წყაროებით, გადარჩენილი საფლავის ქვებითა და საერთოდ საკითხის შესწავლით გელათის მონასტერში დასტურდება შემდეგი ისტორიული პიროვნებების დაკრძალვა:

### გაერთიანებული საქართველოს მეფეები

1. დავით IV აღმაშენებელი — გარდაიცვალა 1125 წელს „რამეთუ იყო მაშინ თუ იანვარი 24 დღე შპაბათი ოდეს ქრონიკონი იყო სამას ორმოთდახუთი ხოლო წელინადნი მისნი შიბითგანნი ორმოცდაცამეტნი“.<sup>2</sup> დაკრძალულია მონასტრის სამხრეთ შემოსასვლელში ე.ნ. „მაცხოვრის კარში“, საფლავზე შემდეგ სამლოცველი იქნა აგებული. ადევს საფლავის ქვა წარწერით „ეს ე არს განსასუენებელი ჩემი, უკუნითი უკუნისამდე; ეს ე მთნავს; აბა დავემკვდრო მე“.<sup>3</sup>

2. დემეტრე I (†1156) — ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თქმით „დემეტრი მეფე ბელტისციხეს მიიცვალა და გელათს წარიყვანეს მისგანვე კურთხეულსა ახალსა მონასტერსა. ქრონიკონი იყო სამას სამოცდათოთხმეტი“.<sup>4</sup>

3. დავით V დემეტრე I-ის ძე (†1155) — „დაფლეს მამათა თანა თუისა გელათსა“.<sup>5</sup>

4. გიორგი III (†1184) — ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თქმით გარდაიცვალა „სტაგირს კახეთისასა თუესა მარტსა 27-სა სამშაბათსა ვნებისასა და დამარხეს მცხეთას უამის სიძნელისაგან და მასსავე წელსა გელათს წაიყვანეს.“<sup>6</sup>

5. თამარ მეფე (†1213) — ბასილ ეზოსმოძღვარის თქმით „და თამარ დაიძინა ძილი იგი მართალთა თუესა იანვარს იმ... და

1 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, „სახელგამი“, თბ. 1955, ტ. I გვ. 337

2 იქვე, გვ. 363

3 დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკ. I, (IX-XIII სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოვავამ, თბ. 1980, „მეცნიერება“, გვ. 120

4 ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1955, გვ. 367

5 მ. გოგსაძე — ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან, თბ. 1948 გვ. 42

6 ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1955 გვ. 367

მერმე უკანასკნელ თვით მუნვე გელათის დაამკვიდრეს თვისსა შინა სამრხვოსა, დიდებად მუნ შინა დამკვიდრებულთა პაპათა და მამათა მისთა, სახელოვანთა დიდთა მეფეთა თანა“.<sup>1</sup> „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი კი წერს: „მიიცვალა მეფე თამარ მელსა დგომასა შინა. მოინია მწუხარება (დიდი) და მიუთხობელი (ყოველთა) მკვდრთა საქართველოსათა და წარიყვანეს სამკვდრებელსა მათსა გელათის და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა“,<sup>2</sup> ჯოლო ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თქმით: „აღვიდა წინაშე ღმრთისა სადა იგი მკვდრობენ წინასწარმეტულნი და მამათ-მთავარნი და მეფენი, თუესა იანვარსა თორმეტსა, დღესა ოთხშაბათსა, აგარათა სომხითისათა, ქრონიკონსა თოხას ოცდა შვიდსა. დამარხეს ახალსა მონასტერსა გელათის“.<sup>3</sup> ტრადიციულად თამარ მეფის საფლავად უთითებენ ღმრთის-მშობლის შობის ტაძრის სამხრეთ მხარეზე მდებარე წმ. ანდრია პირველწოდებულის ეკვდერს (სამწირველოს).

6. გიორგი IV ლაშა († 1223) — ჟამთა აღმწერლის თქმით ბაგავანს გარდაცვალებული ლაშა-გიორგი „წარიყვანეს სამკვიდრო-სა მათსა გელათის“,<sup>4</sup> ხოლო ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე წერს: „მოკუდა გიორგი მეფე ბაგავანს იანვარსა თურამეტსა, დღესა ოთხშაბათსა, ქრონიკონი იყო თოხას ორმოცდა ორი... წაიყვანეს მაშინვე გელათის, დამარხეს საფლავსა მამისა მისისა-სა“.<sup>5</sup>

7. მეფე რუსუდანი († 1245) — ჟამთა აღმწერელის თქმით მეფე რუსუდანი დაკრძალეს „სამარხისა მამათა მათთას — მონასტერისა გელათს“.<sup>6</sup>

8. დავით VI ნარინი († 1293) — დაკრძალულია ღმრთისმშობლის შობის ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეზე მდებარე წმ. ანდრია პირველწოდებულის ეკვდერში.<sup>7</sup>

1 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ. 1955 გვ. 146

2 იქვე, გვ. 113

3 ი. ლოლაშვილი — თამარ მეფის აკლდამა გელათში, თბ. 1989 გვ. 371

4 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ. 1955 გვ. 167

5 ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1955 გვ. 371

6 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ. 1955 გვ. 207

7 ი. ლოლაშვილი — თამარ-მეფის აკლდამა გელათში. თბ. 1989 გვ. 14

9. ვახტანგ II დავით ნარინის ძე / †1292 / — უამთა ალმწერელის თქმით „ვითარცა ცინა დავით დიმიტრი მეფის ძემან სიკუვდილი ვახტანგისი, განმწარდა სიკეთისა და სიჭაბუკისა მისისათვის და იგლოვა წესისამებრ და ფრიად პატივ სცა და წარგზავნა გელათს სამარხოსა მეფეთასა“.<sup>1</sup>

10. დავით IX (†1360) — ვახუშტი ბატონიშვილის თქმით მეფე დავით IX „გეგუთის ყოფასა შინა გარდაიცვალა... და დაფლეს გელათს.<sup>2</sup>

11. ბაგრატ VI (იმერეთში ბაგრატ II (†1478) — ვახუშტი ბატონიშვილის თქმით მეფე ბაგრატი „რაჭას დასწეულდა მუნ და მოკუდა... და დაფლეს გელათს“,<sup>3</sup> იგივეს აღნიშნავს ბერი ეგნატაშვილიც „მიიცვალა მეფე ბაგრატ რაჭას, იყო დიდი გლოვა და მწუხარება სამეფოსა ზედა, აღილეს და დამარხეს გელათს, მათსა სამარხოსა შიგან“.<sup>4</sup>

### იმერეთის მეფეები<sup>5</sup>

1. ალექსანდრე II (†1510) — ნიკო დადიანის ცნობით „ხოლო ამან ალექსანდრემან იმეფა მშვიდობით და მიიცვალა მშვიდობით ესეცა და ცოლიცა ამისი თამარ დედოფალი ქორონიკონსა ერთსა წელსა ქრისტესით 1510 და დაფლეს ორივე გელათს“.<sup>6</sup>

2. ბაგრატ III (†1565) — „ახალი ქართლის ცხოვრების“ ცნობით „მიიცვალა ბაგრატ მპყრობელი იმერეთისა და დამარხეს გელათს“. დაკრძალულია მისგანვე განახლებულ წმ. გიორგის ეკლესიაში.<sup>7</sup>

3. გიორგი II (†1586) — მას სიცოცხლეშივე ჰქონდა არჩეული სასაფლაო ადგილი გელათში. კლდიაშვილებისადმი წყალობის

1 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ. 1955 გვ. 295

2 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973 გვ. 261

3 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 807

4 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ. 1955 გვ. 362

5 ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ ქვემოთ ჩამოთვლილ თითქმის ყველა მეფესთან ერთად დაკრძალული არიან მათი მეუღლეებიც.

6 გ. გოგსაძე — ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან. თბ. 1948 გვ. 44

7 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ. 1955 გვ. 502

ნიგნში იგი აღნიშნავს: „სასაფლაო ერთი ტანი გელათს ჩემს საფერხეს გაძლიერ, მაგრამ არა მკადრე“<sup>-ო.</sup><sup>1</sup>

4. როსტომ I (†1605) — დაკრძალულია ღმრთისმშობლის შობის ტაძრის მაცხოვრის ეკვდერში.<sup>2</sup>

5. გიორგი III (†1639) — დაკრძალულია იქვე.<sup>3</sup>

6. ალექსანდრე III (†1660) — დაკრძალულია ღმრთისმშობლის შობის ტაძრის დასავლეთ მინაშენში.

7. ბაგრატ IV (†1681) — ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით „იმერეთს მოკუდა ბაგრატ მეფე... და დაფლეს გელათს“.<sup>4</sup>

8. გიორგი VI (†1720) — დაკრძალულია ღმრთისმშობლის შობის მაცხოვრის ეკვდერში.<sup>5</sup>

9. ალექსანდრე V (†1752) — დაკრძალულია ღმრთისმშობლის შობის ტაძრის წმ. ანდრია პირველწოდებულის ეკვდერში.<sup>6</sup>

10. თეიმურაზ მამუკას ძე ბატონიშვილი (†1772) — მესხეური იმერული ერთი ქორონიკონი გვამცნობს: 1772 წ. 5 ოქტომბერი — „თეიმურაზ მეფე მკვდარი მოიტანეს გელათს დასაფლავად“.<sup>7</sup>

11. სოლომონ I (†1784) — დაკრძალულია ღმრთისმშობლის შობის ტაძარში ჩრდილოეთის კედელთან. საფლავის ქვაზე წარწერაა:

„აქა განისვენებს გუამი იმერეთის მეფისა დიდი სოლომონისა. დაიბადა 1735 წ. და მიიცვალა 23-ს აპრილს 1782 წელსა, ჰყავდა ერთი ვაჟი ალექსანდრე და ორი ასული მარიამ მეუღლე ქსნის ერისთავის ელიზბარის და დარეჯან მეუღლე თავადის ქაიხოსრო აბაშიძისა“ (გარდაცვალების თარიღში შეცდომაა, უნდა ეწეროს 1784 წელი — მ.კ.).

გელათის გულანის კინკლოსის ერთ მინაწერს თუ ვენდობით, მეფე სოლომონ I პირველია, ვინც ღმრთისმშობლის შობის

1 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, წ. I, თბ. 1959 გვ. 17

2 ბ. ლომინაძე, გელათი, თბ. 1955 გვ. 42

3 იგივე

4 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973 გვ. 845

5 ბ. ლომინაძე — გელათი. თბ. 1955 გვ. 42

6 იგივე

7 ა. იოსელიანი — საქართველოს ისტორიის ქრონიკები, თბ. 1981 გვ. 262

ტაძრის შიგნით დაუსაფლავებიათ. მინაწერი გვაცნობს — „და-მარხეს პ“რვ-სა ამ---ერსა შ“ა რ“ლი არაოდეს იმარხე--- მეფეთა-განი ვინმე და არცა დამარხუ / ა / დ არს თვინიერ ამისასა: თთვე-სა აპრილსა: კვ: ქ ეს აქათ ჩლპდ (1784) დღესა სამშაბათსა: 6“ ქართულსა ქ“რონიკონსა: უობ:-“.<sup>1</sup>

12. სოლომონ II (†1815) — დაკრძალულია ღმრთისმშობლის შობის ტაძარში სამხრეთის კედელთან. გადმოსვენებულია ტრა-პიზონიდან 1990 წლის ნოემბერში. საფლავის ქვაზე იგივე წარ-ნერაა, როგორიც ჰქონდა ტრაპიზონში — „განმეძარცვა მე პირ-ველ ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველ და კლდემული საფლავსა ამას შინა ტომისაგან დავითისა შთა-მოსრული ბაგრატიონი ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისთვისაც ვითხოვ შენდობას. თებერვლის ზ. ქრონიკონსა ქრისტეს აქეთ ჩ ყ ი ე — გადმოსვენებულია ტრაპი-ზონიდან 1990 წლის ნოემბერში“.

### აფხაზეთის (დას. საქართველოს) კათოლიკოს-პატრიარქები

1. ევდემონ ჩხეტიძე (†1578) — დაკრძალულია წმ. გიორგის ეკლესიაში. მისი საფლავის ქვაზე ყოფილა შემდეგი წარწერა: „ქრისტე, განუსვენე სულსა შენისა მონისასა აფხაზეთის კათალი-კოზს ევდემონ ჩხეტიძეს და მე დამარხულმან საფლავთა შიდა მე-ფესათა დავახატვინე საყდარი ესე და შევამკე ხატი ბინჭვინთისა ლვთისმშობლის სახსენებლად სულისა ჩემისა, ამინ“.<sup>2</sup>

2. ზაქარია ქვარიანი (†1659) — დაკრძალულია ღმრთის-მშობლის შობის ტაძრის ჩრდილოეთ მინაშენის კარიბჭეში. საფ-ლავის ქვაზე წარწერაა: „ქ. ღმერთო შეინყალე კათალიკოზი ზა-ქარია. ესე საფლავი ჩემი არის და ვინცა ეს ჩემს უკან გახსნას, შეჩვენებული იყოს“.

3. ოსებ ბატონიშვილი (†1776) — დაკრძალულია ღმრთის-მშობლის შობის ტაძრის წმ. ოოაკიმეს და ანას ეკვდერში ტრაპე-ზის ქვეშ.<sup>3</sup>

1 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ნ. III, თბ., 1967 გვ. 383

2 ბ. ლომინაძე — გელათი. თბ. 1955 გვ. 51

3 ა. ოსელიანი — საქართველოს ისტორიის ქრონიკები, თბ. 1981 გვ. 273  
ქ.ც.ს.ა. ფ. № 21 საქ. 24112 ფ. 32

## გელათის ეპისკოპოსები

1. გედევან ლორთქიფანიძე (†1682) — დაკრძალულია ღმრთის-შობლის შობის ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ მინაშენში. საფლა-ვის ქვაზე წარწერაა: „ქ. ღმერთო შეინყალე გენათელი ლორ-თქიფანიძე გედეონ. ვინცა შენდობა ბძანოთ თქვენც შეგინდოს ღმერთმან. ამას წინათაც პაპა ჩემს ხელმწიფესაგან წყალობა საფლავი ეშვენა კარ შესავალს ესენიც და დედაჩემიცა იქ დაე-მარხნენ და ან ესე არს განსასვენებელი ჩემი ამას დავემკვიდრო უკუნისამდე. რამეთუ მთნავს ესე. ვინც კაცის დასამარხავად ეს გახსნას ჩემდამც მუქაფად განკითხვის მეორედ მოსვლას ქრონი-კონსა ტი“.

2. სვიმონი (მოღვაწეობის წლები უცნობია) — დაკრძალულია ღმრთის-შობლის შობის ტაძრის ჩრდილოეთ მინაშენში (წმ. მარი-ნეს ეკვდერში).<sup>1</sup>

3. ეფთვიმე შერვაშიძე (†1822) — დაკრძალულია ღმრთის-შობლის შობის ტაძარში. გადმოსვენებულია 2005 წელს პეტერ-ბურგიდან, საფლავის ქვაზე წარწერაა: „ამა ლოდსა ქვეშე განისვენებს ეფთვიმე შერვაშიძე, „სიყრმიდგან ვიდრე სიბერემდე სინმინდის მოყვარე სამთა მეფეთა მსახურებელი, ეკლესიათა კეთილად შემამკობელი მარხულობას შინაც ქებული“ . აღესრულა წმ. ალექსანდრე სვირელის მონასტერში რუსეთში, 1822 წლის 21 აპრილს, შობიდან 76 წლისა. გადმოსვენებულ იქნა 2005 წლის 27 მარტს“.

## გელათის მონასტრის წინამძღვრები

1. ნიკოლოზ ჩხეიძე (†1841) — დაკრძალულია მონასტრის ეზო-ში, საფლავის ქვაზე წარწერაა: „მომცა წარსულმა სიკვდილმან, საფლავსა ამას შთავაბნიე მტვერი — მტვერისა თავადის ტომით არხიმანდრიტი მონასტრის გენათის და წინამძღვარი ნიკოლოზ აღვასრულე ჩ. ყ. ნ. გ. (შეცდომაა — მ. კ.) წელსა შობიდან მ. ზ. წელ-სა, ხოლო ძმისნულმან ჩმნ ასულმან დავით ჩხეიძისგან კნეინა

1 ბ. ლომინაძე — გელათი. თბ. 1955 გვ. 41

ლევან წულუკიძისაგან ეკატერინამ ლოდით დამფარა და მხილ-ველთაგან ვითხოვ შენდობას“<sup>1</sup>.

2. სიმონ წულუკიძე (†1852) — დაკრძალულია ღმრთის-მშობლის შობის ტაძრის დასავლეთ მინაშენში. საფლავის ქვაზე წარწერაა: „აქა განისვენებს მაღალ ღირსი არქიმანდრიტი და კავალერი სვიმონ ტომით თავადი წულუკიძე 68 წლის, 8 წელს გამგებელი დიდის მონასტრის გელათისა, გარდაიცვალა 1852 წელსა, 26 აგვისტოს, ხოლო ფიქალი ესე დავსდევ სახსოვრად, მეგობრობისა მისისა მეგრელის თავადმან დადიანმან დავით“.

3. ონიფანტე ნადირაძე (†1865) — დაკრძალულია ღმრთის-მშობლის შობის ტაძრის ჩრდილოეთ მხარეზე მონასტრის ეზოში. საფლავის ქვაზე წარწერაა: „ესე არს განსასვენებელი ჩემი ამას დავემკვიდრო უკუნისამდე. ჩ.ყ.ღ.ე წელსა სექტემბრისა მიიცვალა მაღალ ღირსი არხიმანდრიტი ონიფანტე ტომით ნადირაძე, მკითხველო, გთხოვთ შენდობას“.<sup>2</sup>

4. სერაპიონ ახვლედიანი (†1911) — დაკრძალულია ღმრთის-მშობლის შობის ტაძრის დასავლეთ მინაშენში, საფლავის ქვაზე წარწერაა: „ამას ლოდსა ქვეშე განისვენებს გაენათის მონასტრის არხიმანდრიტი და მოძღვარი ნეტარ ხსენებულის ეპისკოპოსის გაბრიელისა სერაფიონი ტომით ახვლედიანი — შობიდან 101 წ. ემსახურა ამა დიდებულს მონასტერს წინამძღვრად 40 წ. გარდაიცვალა 1911 წ. 28 აპრილს“.

5. ნიკიფორე კანდელაკი (†1911) — დაკრძალულია მონასტრის ეზოში.<sup>3</sup>

## ს ხ ვ ა ს ა ს უ ლ ი ე რ თ პ ი რ ე ბ ი

1. ნმ. გაბრიელ ქიქოძე (†1896) იმერეთის ეპისკოპოსი — დაკრძალულია ღმთრისმშობლის შობის ტაძარში სამხრეთის კედელთან. საფლავის ქვას ადევს ლითონის 4 დისკო წარწერებით ქართულ და რუსულ ენებზე. წარწერა გვამცნობს: „ყოვლად სამღვდელო გაბრიელი მაქსიმე მღვდლის შვილი, ერისკაცობაში

1 ქ.ც.ს.ა. ფ. № 21 საქ. 24112 ფ. 33

2 იქვე, ფ. 34

3 ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს.24814, ფ. 1,2

გერასიმე ქიქოძე, დაიბადა 1825 წელს. პირველად სწავლობდა მამასთან, შემდეგში თბილისის და პეტერბურგის სასულიერო სემინარიებში. დაასრულა სწავლა პეტერბურლის სასულიერო აკადემიაში 1849 წ. და დანიშნულ იქმნა თბილისის სასულიერო სემინარის ინსპექტორად. 1850 წელში მიიღო მაღისტრის ხარისხი, 1854 წელში დანიშნული იქნა ამავე სემინარიაში მატემატიკის პროფესორად და ამიერკავკასიის საქალებო ინსტიტუტში საღვთო სჯულის მასწავლებლად, ამავე წელში იქნა ხელდასხმული მღვდლად. 1856 წელს აღიკვეცა ბერად, 1858 წ. აყვანილ იქნა არქიმანდრიტობის და მღვდელმთავრობის ხარისხზე და დაინიშნა გორის ეპისკოპოსად, 1860 წ. დანიშნულ იქნა იმერეთის ეპისკოპოსად. 1869-1886 წლებში მართავდა აფხაზეთის ეპარქიას და მოაქცია ქრისტიანობაზე 18000 აფხაზი. 1863-1886 წლებში მართავდა სამეგრელოს ეპარქიას და სვანეთს, უკანასკნელში აღადგინა ქრისტიანობა და დაქცეული ტაძრები. ჰქონდა ყველა მაღალი ორდენები წმ. ალექსანდრე ნეველის და ორდენი ანა.

უმაღლესად დაჯილდოებული იყო ოქროს პანალით, წარმოსთქვა მრავალი ქადაგებანი ან უკვე გამოცემული რუსულს, ინგლისურს და ქართულს ენებზე, გარდაიცვალა 25 იანვარს 1896 წ. დაკრძალულ არს გელათის მონასტერში<sup>1</sup>.

2. იაონე გაბაშვილი (†1798) ჯუმათელი მიტროპოლიტი (შვილი ცნობილი მოძღვრისა და მწიგნობრის ზაქარია გაბაშვილის) — დაკრძალულია წმ. გიორგის ეკლესიის ნინ.<sup>1\*</sup>

3. იოანე იოსელიანი (†1867) გურიის ეპისკოპოსი, გელათის მონასტრის ყოფილი წინამდღვარი — დაკრძალულია ღმრთის-მშობლის შობის ტაძრის დასავლეთ მინაშენში. საფლავის ქვაზე წარწერაა: „ესე არს განსასვენებელი ჩემი რომელიც მსთნავს ამას დავემკვიდრო. გურიის ყოფილი ეპისკოპოზი იოანე შობიდან ო.ვ. ის წლისა ჩ.ყ.ო.ზ.სა წელსა ოქტომბრის იდ სა ტომით იოსელიანი“.

1 მრავალთავი VI. თბ. 1978 გვ. 143

\* მასალის მოწოდებისათვის დიდ მაღლობას მოვახსენებთ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკს, ქალბატონ მაია ქებულაძეს.

4. ზაქარია გაბაშვილი (†1782) ცნობილი მოძღვარი და მწიგნობარი — დაკრძალულია ღმრთისმშობლის შობის ტაძრის იოაკიმეს და ანას ეკვდერში იოსებ კათალიკოსის მახლობლად (სხვა ცნობით ნმ. გიორგის ეკლესიის ნინ).<sup>1</sup>

5. გრიგოლ ჩხაიძე (†1912) ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარი — დაკრძალულია მონასტრის ეზოში ჩრდილოეთ მხარეზე. საფლავის ქვაზე წარწერაა: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა, აქა განისვენებს ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარი არხიმანდრიტი გრიგოლი ტომით ჩხაიძე, წინამძღვრად ემსახურა იმერეთის ეპარქიას, შობიდან 60 წელს გარდაიცვალა 1912 წელს, ღმერთო შეინყალე მონა ესე შენი“.<sup>2</sup>

6. სვიმონ კანდელაკი (†1852) გელათის მონასტრის დეკანოზი, ცნობილი მგალობელი — დაკრძალულია მონასტრის ეზოში სამხრეთ მხარეზე. საფლავის ქვაზე წარწერაა: „წელსა ჩ.წ.ნ.ბ. აგვისტოს და აქა ლოდსა მდებარე ვარ დეკანოზი გელათისა სიმეონი, მეწოდება გვარად კანდელაკი, ამ მიწასა მიმაბარეს მსურდა თქვენთან გალობის თქმა, თქვენთან არ მეღირსა ყოფნა დიმიტრი გთხოვთ შვილო ჩემო ნუ დაივინყებ სულსა ჩემსა, აღვესრულე 60 წლისა, მხილველთაგან გევედრები შენდობას თქვენცა ღირს იქმნეთ შენდობილი“.<sup>3</sup>

7. ილუმენი იოსაფეტი (†1869) — დაკრძალულია მონასტრის ეზოში სამხრეთის მხარეზე. საფლავის ქვაზე წარწერაა: „აქა მდებარე ილუმენი იოსაფეტი, ქვისა ამისა აღმომკითხველთა შენდობა მიბრძანეთ რათა ჩვენცა შეგენდვნეს ცოომანი თქვენი. აღვესრულე ჩყოთ წელსა აპრილის იე ე წლისა“.<sup>4</sup>

8. ილუმენი იესე გრიგოლაშვილი (†1829) — დაკრძალულია ღმრთისმშობლის შობის ტაძრის ჩრდილო-დასავლეთის კარიბჭესთან ეზოში.<sup>5</sup>

9. სქემ-მონაზონი შიო (†1868) — დაკრძალულია წმ. ნიკოლო-

1 მრავალთავი VI. თბ. 1978 გვ. 143

2 მ. გოგსაძე — ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან. თბ. 1948 გვ. 47

3 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 საქ. 24112 ფ. 33

4 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 საქ. 24112 ფ. 33

5 „მწყემსი“ 1884 წ. 16.12. №24, გ. 10

ზის ეკლესის სამხრეთით. საფლავის ქვაზე წარწერაა რუსულ ენაზე:

"На сем месте погребен прах блаженного подвижника Христова гру-  
зина схим монаха Шио почившего о Господ 1868 г. На сотом году от  
раждения в Гаенатской обители он подвизался 71 год, последние 42  
года молчал, не пил ни вина, ни воды, питался сурою пишею и масла  
никогда не употреблял, все времия до самой кончины проводил тру-  
дах. Мыр праху твоему доблестенныи труженик чести пред господом  
смерти преподобен его."

10. იეროდიაკონი იოანე (†185?) — დაკრძალულია წმ. გიორ-  
გის ეკლესის ჩრდილოეთით. საფლავის ქვაზე წარწერაა: „აქა  
მდებარე არს იეროდიაკონი ბახტაძე იოანე წლისა ორმოცის  
მხილველთა შენდობას ითხოვს ჩ ყ ნთა“ (აქ შეცდომაა, ის  
ცოცხალი ჩანს 1853 წელს — მ.კ.).<sup>1</sup>

11. მღვდელ-მონაზონი დანიელი (†1905) — დაკრძალულია  
ღმრთისმშობლის შობის ტაძრის დასავლეთით. საფლავის ქვაზე  
წარწერაა: „ამა მონასტრისა მღვდუელი მონაზონი — დანიილ,  
ტომით დავით თადეოზის ძე კუჭაძე შობითაგან 77 წლის 1828-  
1905 წ. 26 ივნისი 3 სექტემბერს აღმომკითხველთაგან ვითხოვ  
შენდობას“.<sup>2</sup>

12. მღვდელ-მონაზონი დიომიდე (†1886) — დაკრძალულია მო-  
ნასტრის ეზოს სამხრეთით, საფლავის ქვაზე წარწერაა: „სასუფე-  
ველზე შენსა მომიხსენე მე უფალო ოდეს მოხვიდე სუფევითა შე-  
ნითა, ლოდსა ამას ქვეშე მდებარე მღვდელი მონაზონი დიომიდე  
ნიკოლაძე შობითაგან 70 წ. გარდაიცვალა 1886 წ. ენკენის თვის 15  
აღმომკითხველობი შენდობას ვითხოვ“.<sup>3</sup>

13. მღვდელ-მონაზონი გაბრიელ (†1892) — დაკრძალულია მო-  
ნასტრის ეზოს სამხრეთით, საფლავის ქვაზე წარწერაა: „ღმერ-  
თო შეინყალე და აცხონე განსვენებული გაენათის იკონომოსი  
ბერ-მონაზონი გაბრიელი, ტომით გურული, შობითაგან 56 წლისა  
გარდაიცვალა 1892 წ-სა 2 ივნისს“.<sup>4</sup>

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 საქ. 7231 ფ. 4

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 საქ. 24112 ფ. 32

3 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 საქ. 24112 ფ. 32

4 იქვე, 33

14. მღვდელ-მონაზონი ისააკი (†1868) — დაკრძალულია მონასტრის ეზოს სამხრეთით, საფლავის ქვაზე წარწერაა: „ღმერთო შეინყალე უღირსი ისააკ ბერი ამინ. ჩყ ც ნოემბერი“.<sup>1</sup>

15. მღვდელ-მონაზონი იასონი (†1903) — დაკრძალულია წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთით. საფლავის ქვაზე წარწერაა: „მოიხსენე უფალო მღვდელ-მონაზონი იასონი, ერობაში მღვდელი იოანე ლეუავა დაიბადა 1819 წელს, გარდაიცვალა 1903 წელსა ოქტომბრის 20 დღეს დაუკინყარ გამზდელ ბიძას ძმისწულებისა-გან“.

16. ბერი გერმანე (†1787) — დაკრძალულია ღმრთისმშობლის შობის ტაძრის ჩრდილოეთით. საფლავის ქვაზე წარწერაა: „საფლავსა შინა მდებარე არს, ნეტარ სახსენებელი დაყუდებული გერმანე ყოველთა აღმომკითხველთა და მხილველთა გევედრებით შენდობას ყოფად ჩ დ პ ზ.“<sup>2</sup>

17. დავით კანდელაკი (†1847) მღვდელი — დაკრძალულია ღმრთისმშობლის შობის ტაძრის ჩრდილოეთით, საფლავის ქვაზე წარწერაა: „წელსა ჩ ყ მ ზ მარადის ღვთისა მისწრო უწყალო სიკვდილმან და დაუტევე საწუთო ესე სოფელი და ან მდებარე ვარ საფლავსა ამას შინა დიდის მონასტრის გაენათის დეკანოზის იოანეს ძე სობორის მღუდელი დავით კანდელაკი, წლისა ორმოცდაათისა. მღვდელი ვიყავ ოცდახუთისა — ამომკითხველთაგან შენდობას ვითხოვ რათა თქვენცა შეგინდვნეს ღმერთმან შეცოდებანი თქვენი.“<sup>3</sup>

ამრიგად გელათის მონასტერში დასტურდება ერთიანი საქართველოს 11 მეფის, იმერეთის 12 მეფის, დასავლეთ საქართველოს 3 კათოლიკოსის, გელათის 3 ეპისკოპოსის, გელათის მონასტრის 5 წინამდლორის და სხვა 16 სასულიერო პირის დაკრძალვა (სულ 50, სხვა მკვლევარებთან 30-მდე დასტურდება) და უმეტესობის საფლავებიც.

ზემოთ დასახელებულ პირთაგან, რამდენიმე საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად,

1 იქვე, 34

2 იგივე

3 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 საქ. 24112, ფ. 33

კერძოდ: ნმ. გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსი, ხსენების დღე 25 იანვარი (7 თებერვალი), ნმ. კეთილმსახურე მეფე დავით აღმაშენებელი — 26 იანვარი (8 თებერვალი), ქართველთა კეთილმორწმუნე ნმ. მეფე თამარი — 31 იანვარი (13 თებერვალი), 1 მაისი (14 მაისი), ღირსი დამიანე, მეფეყოფილი დიმიტრი — 23 მაისი (5 ივნისი), ნმ. სოლომონ II სამშობლოსათვის თავდადებული — 7 თებერვალი (20 თებერვალი), მღვდელმოწამე ექვთიმე (შარვაშიძე), გაენათელი მიტროპოლიტი — 21 აპრილი (4 მაისი), ნმ. მღველმთავარი გიორგი ჭყონდიდელი — 12 სექტემბერი (25 სექტემბერი).

გელათში ასევე, ისტორიული წყაროებით დასტურდება ქსნის ერისთავთა იმერეთის შტოს წარმომადგენელთა სასაფლაოდ ნმ. ნიკოლოზის ეკლესია.

მონასტრის ეზოში დაცულია აგრეთვე რამდენიმე საფლავი, რომელიც სოფელ გელათის მცხოვრებლებს ეკუთვნით.

თავი მიეძვე

გელათის მონასტრის საგანძურო  
ეგზარქოსობის დროს



22.



გელათის მონასტერი შუა საუკუნეების ქართული ხელოვნებისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. ის „საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა ერთ-ერთ უდიდეს კულტურულ ცენტრს, რომელმაც შთამომავლობას შემოუნახა ხელოვნების უთვალავი ფასდაუდებელი ძეგლი“! მიუხედავად მტერთა თავდასხმებისა და ძარცვისა, გელათის მონასტერში XX ს-ის 20-იან წლებამდე ინახებოდა მრავალი უძველესი ხელნაწერი, ძვირფას ლითონზე შესრულებული ჭედურობის უნიკალური ნიმუშები და სხვა ნივთები, რომელთაც მონასტრის გაუქმების შემდეგ საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში დაიდეს ბინა. მუზეუმებში დაუნჯებული, საუკუნეებგამოვლილი გელათის განძეულობა გაცილებით სრულყოფილი და მდიდრული იქნებოდა, რომ არ მომხდარიყო მონასტრის 1859 წლის 19 მაისისა და 1904 წლის 19 ივლისის გაძარცვები.

გელათის მონასტერი საუკუნეების განმავლობაში იყო სრულიად საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი და უმდიდრესი საეკლესიო ნივთ-სამკაულთა განძთსაცავი. აქ ინახებოდა, როგორც ადგილზე შექმნილი და სხვადასხვა პიროვნების მიერ მონასტრი-სადმი შემონირული საოქრომჭედლო ხელოვნების უძვირფასესი ნიმუშები, ასევე საქართველოს სხვადასხვა მხარიდან დასაცავად გადმოტანილი უმნიშვნელოვანესი საეკლესიო განძეულობა. ასე აღმოჩნდნენ გელათის მონასტერში დაცულნი ხახულისა, ბიჭვინთისა და ანუმრის ღმრთისმშობლის ხატები და კიდევ მრავალი სხვა სინმიდე. თუმცა ხანდახან პირიქითაც ხდებოდა — გელათის მონასტრიდან შიშიანობის გამო სხვაგან (ძირითადად რაჭა-ში, ჭელიშის მონასტერში) გადატანილი თუ დროებით ნათხოვა-

რი საეკლესიო ნივთ-სამკაული უკან აღარ დაუბრუნებიათ. ამის მაგალითად გამოდგება XIX ს-ის I ნახევარში, ჩვენი ვარაუდით არქიეპისკოპოს სოფრონიოსის დროს გელათის მონასტრიდან ქუთაისის ღმრთისმშობლის მიძინების (ბაგრატის) საკათედრო ტაძარში გადატანილი ნივთები.

სამწუხაროდ, ისტორიულმა წყაროებმა არ შემოგვინახა ეგზარქოსობამდელი გელათის მონასტრის ნივთ-სამკაულთა და სინშიდეთა სრული აღწერა, რომელიც, რა თქმა უნდა, იქნებოდა, მაგრამ ჩვენამდი არ მოუღწევია. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ჩვენს მიერ მიკვლეული აფხაზეთის კათოლიკოს მაქსიმე მაჭუტიძის დროს შედგენილი საკათალიკოსოს საეკლესიო სამკაულების, ხატების, ჯვრების და შესამოსლების ნუსხის აღწერა-ანოტაცია, თვით საპუთი მიუკვლეველია. მასზე მსჯელობა, უფრო სწორად XVII ს-ში ბიჭვინთის ტაძრიდან გელათში გადმოტანილ საკათალიკოსო ტახტთან ერთად აქ წამოღებულ ნივთ-სამკაულზე შეგვიძლია XVII ს-ის I ნახევარში შედგენილ აფხაზეთის კათოლიკოსს მალაქიას ორი შენირულობის წიგნით ვიმსჯელოთ.<sup>1</sup> ასევე 1652 წელს რუსი ელჩების ტოლოჩანოვისა და იევლევის აღწერილობებით. თუ ერთჯერადად ხდებოდა ასეთი დიდი შენირულობა, ადვილი წარმოსადგენია საუკუნეების განმავლობაში რა სიმდიდრე მოიყრიდა თავს კათოლიკოსის თუ ეპისკოპოსის საკათედრო ტაძარში, კონკრეტულად გელათის მონასტერში.

იმერეთის საეკლესიო რეფორმის ჩატარების დაწყებისთანავე, უფრო სწორად იმერეთის აჯანყების მოთავეთა დაპატიმრებისთანავე 1820 წლის 11 მარტს ჩატარდა გელათის მონასტრის ნივთ-სამკაულთა აღწერა, რომელიც კარგადაა შესწავლილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში.<sup>2</sup> როგორც ამ აღწერის პუბლიკაციის ავტორი დ. გორდეევი აღნიშნავდა, გელათის სიძველეები ზედმეტ-ნაკლებად დაწვრილებითაა აღწერილი ან რეგისტრირებული როგორც სპეციალურ აღწერებში, ასევე მოგზაურთა შრომებში. მაგალითად: 6. კონდაკოვისა და დ. ბაქრაძის ნაშრომში „Опись

1 ქართული სამართლის ძეგლები — ტ. III, თბ. 1970 გვ. 497-500

2 Д. Гордеев - Материалы к обследованию Гелатских древностей. „Саисტო-რიო მოამბე“, 6. 1, თბ. 1925 გვ. 113-132

памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии...#  
С.П.Б. 1890 г.

გელათის მკვლევართათვის 1820 წლის აღნერასთან ერთად  
ცნობილია 1878 წლის აღნერილობა.<sup>1</sup> ჩვენს მიერ მიკვლეული იქ-  
ნა 1842<sup>2</sup>, 1846<sup>3</sup>, 1853<sup>4</sup>, 1859<sup>5</sup>, 1860<sup>6</sup>, 1906<sup>7</sup> და 1923<sup>8</sup> წლების აღნე-  
რები. აქედან ყველაზე დეტალურია 1878 წლის აღნერა, ყველაზე  
სრულყოფილი კი — 1906 და 1923 წლების აღნერები.

მონასტრის ქონების აღნერილობები ძირითადად ხდებოდა მო-  
ნასტრის წინამდლვრის შეცვლისას ქონების გადაბარებისას, გა-  
მონაკლის წარმოადგენდა 1820 და 1878 წლების აღნერილობები,  
რომლებიც სპეციალური მიზნით ჩატარდა. სამწუხაროდ, აღნე-  
რილობები არ ტარდებოდა ზუსტად და დაწვრილებით. „ასე მა-  
გალითად, 1876 წ. სინოდის კანტორის ბრძანებაში აღნიშნულია,  
რომ სინოდის კანტორაში წარმოადგენილი გელათის ქონების  
აღნერის სია მიუღებელია, რადგან 1854 წ. აღნერის სიასთან შე-  
დარებით მასში დიდი განსხვავებაა. ამ ორ სიაში განსხვავდება  
თვით ნივთების აღნერაც, რის გამოც კანტორა ავალებს მონას-  
ტრის წინამდლვარს შეადგინოს ახალი სია, სადაც ნათლად იქნება  
აღნიშნული, თუ რა მოაკლდა ან მოემატა მონასტრის ქონებას  
1854 წ. შემდეგ. ამასთანავე მოცემული იქნას ნივთების ზუსტი  
აღნერა“<sup>9</sup>. სინოდალური კანტორის ამ შენიშვნის სისწორეს ადას-  
ტურებს როგორც ჩვენთვის ცნობილი მონასტრის ქონების აღნე-  
რილობათა ფურცლებრივი რაოდენობის დიდი სხვადასხვაობა,  
ასევე ჩვენთვის უცნობი 1855, 1866 და 1875 წლების აღნერი-  
ლობები, რომლებიც, როგორც საარქივო დოკუმენტი გვიჩვე-

1 ქ.ი.ე.მ. ს. 1057

2 ქ.ც.ს.ა. ს.1958, ფ.42-49

3 იქვე ფ.60-68

4 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 5960 ფ. 9-18

5 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 7116 ფ. 15-25

6 იქვე, ფ. 34-44

7 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს

8 ქ.ც.ს.ა. ფ. 296, ს. 153 ფ. 138, 165

9 რ. ყენია — ხახულის ღვთისმშობლის ხატის კარედის მოჭედილობა, თბ.  
1972 გვ. 32

ნებს, შესაბამისად ყოფილა 8, 13 და 57 ფურცლებზე დაწერილი.<sup>1</sup> ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ აღნერებს შორის ხდებოდა ნივთების დაკარგვა (ზოგჯერ უკვალიდ), მაგალითად 1906 წლის აღნერისას აღარ აღმოჩნდა 1878 წლის აღნერაში დაფიქსირებული 37 ნივთი, ხოლო 1923 წლის 24 ივნისს 1906 წლის აღნერასთან შედარებით 126 (!) ნივთი.<sup>2</sup>

ეგზარქოსობის დროინდელი გელათის მონასტრის საგანძურის შესწავლისას უნდა გამოვყოთ შემდეგი საკითხები: 1) მონასტრის სიწმიდეები (წმიდათა ნაწილები), 2) მონასტრის საეკლესიო ნივთ-სამკაულთა შემომწირველნი, 3) გელათის მონასტრიდან ქუთაისის ღმრთისმშობლის მიძინების (ბაგრატის) ტაძარში გადატანილი საეკლესიო ნივთ-სამკაული, 4) მონასტრის 1859 წლის 19 მაისის გაძარცვა, 5) მონასტრიდან XIX ს-ის 60-70-იან წლებში გატაცებული სიძველეები, 6) მონასტრის 1904 წლის 19 ივლისის გაძარცვა, 7) გელათის მონასტრიდან ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატის გადატანის მცდელობა.

### §1 გელათის მონასტრის სიმიღევა (წმიდათა ნაწილები) —

გელათის მონასტერი გამოირჩეოდა, როგორც საეკლესიო ნივთ-სამკაულების, ასევე სიწმიდეების სიმრავლითაც. საეკლესიო სიწმიდეები (წმიდა ნაწილები) ხომ ყოველი ეკლესია-მონასტრის სიძლიერის და სიამაყის საფუძველია, ამიტომაც მონასტრის დაარსებისთანავე უზრუნია მეფე დავით აღმაშენებელს ამაზე. როგორც მისი ისტორიკოსი წერს: „აღავსო სიწმიდეთა მიერ პატიოსანთა ნაწილთა წმიდათასა, და წმიდათა ხატთა მიერ და სიწმიდისა სამსახურებელთა ყოვლად დიდებულთა და სხუათა ნივთთა ძნიად საპოვნელთა“.<sup>3</sup> მათ შესახებ მოგვითხრობენ 1651 წელს გელათში მყოფი რუსი დიპლომატები ნ. ტოლოჩანოვი და ა. იევლევი, რომელთაც აქ მეფის ბეჭდით დალუქული ორი სა-

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 13424 ფ. 156

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 296, ს. 153, ფ. 162, 163

3 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, „სახელგამი“, თბ. 1955, ტ. I გვ. 330

ნაწილე უნახავთ.<sup>1</sup> მონასტრის აღწერილობებმა შემოგვინახეს ცნობები აქაური სიწმიდეების შესახებ. მოგვიანებით, ეგზარქო-სობის დროს გელათის მონასტერში დასტურდება შემდეგი სიწ-მიდეების არსებობა: მონასტერში იყო შედარებით დიდი ზომის წმიდათა ნაწილების შესანახი რამდენიმე სპეციალური ლუსკუ-მა-კიოტი, მათ შორის ყველაზე დიდი იდგა ღმრთისმშობლის შობის ტაძრის სამხრეთ კედელთან, სალაროს წინ. იგი დამზა-დებული იყო მუხის ხისგან. ლუსკუმს ჰქონდა სპეციალური სახურავი მხატვრობით, სადაც ჩამოთვლილი იყო წმინდანების ნაწილები. თითოეულ ნაწილს გადაკრული ჰქონდა ვერცხლის რკალი იმ წმინდანების სახელების წარწერით, რომლისაც იყო ეს ნაწილები. ეს ლუსკუმა მონასტერს შეწირა ახალი ათონის მონას-ტრის მღვდელ-მონაზონმა არსენმა<sup>2</sup> (ახალი ათონის მონასტრის ძმები რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს თავშე-ფარებულნი იყვნენ გელათში)<sup>3</sup>. ლუსკუმში ესვენა შემდეგი წმი-და ნაწილნი: „თავის ქალა წმიდისა მონამისა დიმიტრისა, ნაწილი თავის ქალისა წმიდისა მონამისა გიორგისა, პირის სახის ნაწილი წმ. თეოდორე ტირონისა, ნაწილი თეოდორე სტრატილატისა, ნა-წილი წმ. ემელიანესი, წმიდა ნაწილი სამსონ უცხოთ მიმღებისა, ნაწილი წმიდა ნიკოლოზ საკვირველომიქმედისა, ნაწილი წმ. იოანე ოქროპირისა, ნაწილი წმ. მოციქულის თომასი, ნაწილი წმ. თეოქტისტესი და სამი მოზრდილი ნაწილი რომლის სახელი არ არის ნაჩვენები“.<sup>4</sup> ამ ნაწილების ნასვენებ ძველ შუშიან კიოტ-ში (1833 წელს დამზადებულში) ყოფილა მეორე პატარა კიოტი, რომელშიდაც იყო ხუთი პატარა ნაწილი. გარდა ამ კიოტებისა იყო პატარა სპილოს ძვლის კიოტი და ორი პატარა ხატი წმიდა-თა ნაწილებით.<sup>5</sup>

1 ალ. იევლევის 1650-1652 წ.წ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარი-შო აღწერილობა. თბ. 1969 გვ. 131

2 ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა. თბ. 1970, გვ. 114

3 ქ.ც.ს.ა ფ. 21, ს. 22510 ფ. 10

4 ქ.ც.ს.ა ფ. 21, ს. 22510 ფ. 10

5 იგივე

გელათის მონასტრის დიდ სიწმიდეს წარმოადგენდა ხახულის ღმრთისმშობლის ხატზე შებმული ქრისტეს დაბადების დროს მოგვებისაგან შენირული ოთხკუთხა ოქრო თვალ-მარგალიტით შემკაბილი, ქრისტეს სუდარის ნაწილი.<sup>1</sup> სიწმიდეები იყო მოთავსებული თვით ხახულის ხატის კარედში, როგორც 1853 წლის აღნერიდან ჩანს „ხუთს ადგილს ბუდისასა ასვენია წმიდათ ნაწილები რომელთა ზედა არს ოქროს ვარდები“.<sup>2</sup> თვით ხატი ხომ იყო „დახატული ლუკა მახარებლისა ფიცარსა ზედა ბაგისასა რომელსა შინა მწოლარე იყო პირველ საუკუნო ყრმა“.<sup>3</sup>

გარდა ხახულის ხატისა წმიდა ნაწილები დაცული იყო მონასტრის სხვა ხატებშიც, რომელთაგან ყველაზე მეტი ნაწილი ესვენა გელათის ღმრთისმშობლის ხატში. ზემოთ ნახსენებ აღნერაში ვკითხულობთ „ხატი გაენათისა ღვთისმშობლისა სიმაღლით ათი და სიფართოვით რვა გრე. ბუდესა შინა კარებიანსა აღვსილი წმინდანთა ნაწილებით.“<sup>4</sup> იქვე შენიშვნაში წერია: „ერთს უჯრაში ნაწილი სრულებით არ არის და ორი არ არის სავსე“.<sup>5</sup> ასევე მრავლად ესვენა წმიდანთა ნაწილები ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატში, რომელიც წმ. გიორგის ეკლესიაში ესვენა. ხატის აღნერაში ვკითხულობთ: „ხატი ესე სავსეა წმიდა ნაწილებით“.<sup>6</sup>

წმიდათა ნაწილები იყო წმ. გიორგის გულსაკიდ ხატში მოქროვილ ვერცხლის მრგვალ ბუდეში. მასში ნაწილებს გარდა იყო „ორი მცირენი ნაჭერნი ხელით ნაჟღემი ტილოს მსგავსნი მესამე მცირე შალის ნაჭერი და მეოთხე შავი მორგვალებული ძნელად გასარჩევი თუ რაი არის“.<sup>7</sup> წმიდათა ნაწილები ინახებოდა სანაწილებში, კერძოდ „ხის სანაწილე მოჭრილი და მოხატულნი, რომელსა შინა არის ნაწილი მრავალი“,<sup>8</sup> „ერთი ოქროს სანაწილე რომელშიდაც არის ქრისტეს სუდარის ნაჭერი და ნათლისმცემ-

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 7231 ფ. 17-19

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 5960 ფ. 9

3 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 5960 ფ. 9

4 იგივე

5 იგივე

6 იქვე, ფ. 13

7 იგივე

8 იგივე

ლის ჩოხის ძაფი და აქვს ვეცხლის ჯაჭვი“,<sup>1</sup> „ერთი პატარა სანანილე ვეცხლისა“<sup>2</sup>. წმიდათა ნაწილები იყო ვერცხლის ჯვარში<sup>3</sup> და დავით აღმაშენებლის ოქროს საცერე ბეჭედში, თუმცა 1853 წელს ის ცარიელი ჩანს,<sup>4</sup> აგრეთვე ძველი ათონის მღვდელ-მონაზონ თეოდორე ერისთავისაგან შემოწირულ გულსაკიდ მოოქროვილ ხატში.<sup>5</sup>

მონასტრის სიძველეთა 1906 წლის აღწერაში სხვა სანანილებთან ერთად დასახელებულია „სანანილე ვერცხლისა მოოქრული წონით 4 გირ. სიმაღლე 12 1/2 ვერშოკი, აქვს ორი კოლოფი ვერცხლის ნაწილების შესანახად მაღლა არის აღდგომის ხატი და გვერდებზედ 4 ანგელოზი, რომელთაც ხელთა უჰყორათ „სამწერლობები“, „პატარა ვერცხლის სანანილე ქართულის ხელობისა ზედ არის გამოხატულება ჯვრისა მიმაღლე ორი და განი 1 1/2 ვერშოკი“<sup>6</sup> და „ვერცხლის სანანილე მოოქროვილ ორის უჯრით. წონით 2 გირ. 5 მისხალი“.<sup>7</sup>

მონასტრის სიამაყე იყო გულზედ საკიდი ოქროს სანანილე, რომელშიც ესვენა „ნაწილნი წმინდათ მონამეთანი და ნაწილაკი სამჭვლისა უფლისა“. ეს სანანილე 1853 წელს უკვე ქუთაისის საკათედრო ტაძარში ჩანს გადატანილი,<sup>8</sup> და „ჯვარი ოქროსი სიმაღლით 2 არშინი და 12 ვერშოკი. მაღლა აქვს გამოხატული ჯვარცმა ქრისტესი და ძირს ანგელოსთა და წმიდანებთა, რომელიც შემკობილია ფერადის სხვადასხვა იაგუნდის და ფირუზის ქვებითა რიცხვით 71 და სხვა და სხვა მარგალიტებით, ამ ჯვარზედ ჯვარცმის ქვეშ არის ხატი წმიდა ნიკოლოზის, რომელიცა იხმარება ნაწილთა შესანახის კარებად. ამ სანანილეზედ არის გამოყვანილი პატარა ჯვარი, რომელსაც ბოლოზედ ჯვრები აქვს. ეს ჯვარი იყო სავსე ცხოველს მყოფელის ჯვრის ნაწილებით,

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 5960 ფ. 13

2 იგივე

3 იგივე

4 იგივე

5 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 22510 ფ. 14

6 იქვე, ფ. 12

7 იქვე, ფ. 24

8 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 5960 ფ. 10

რომლიდანაც ახლა აკლია ბოლოებზედ პატარა ნაწილები“.<sup>1</sup>

მონასტრის წმიდა ნაწილთა სანაწილეებზე ცნობებს ვხვდებით 1919 წლის 23 ივნისს შემდგარ ღმრთისმშობლის შობის ტაძრისა (რომელიც უკვე 1 წლის დალუქული იყო შიშიანობის გამო) და ხალამბარას (სალაროს) შემოწმების აქტში. მასში და-სახელებულია: „1 ძველი სანაწილე — ხის კოლოფი, რომელშიდაც ბევრს ადგილას ნაწილები აღარ არის, ერთი ლითონის სანაწილე თავის ძენკვით და შიგ სხვადასხვა ნაწილები ქალალდში გახვეული, რომელ სანაწილეზედაც წარწერა იწყება ასე: „ქ. ემანუილ“ და სხვა... 1 ვერცხლის სანაწილე მღვდელ-მონაზონი თეოდორე-საგან შენირული. ხუთი ვერცხლის სანაწილე სხვადასხვა ზომის — ერთზედ ღვთისმშობლის და წმიდა გიორგის ხატია ამოჭრილი, მეორე პატარაზე — ღვთისმშობლისა“.<sup>2</sup>

გელათური წმიდათა ნაწილების და სანაწილეების უმეტესობა დღეს ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთ-ნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული.

**§2 გელათის მონასტრის საეპლესიო ნივთ-სამკაულოა შემომარიველნი** – საქართველოს ეკლესია-მონასტრებს შორის ნივთ-სამკაულთა სიმდიდრითა და უნიკალურობით გამორჩეული ადგილი უჭირავს გელათის მონასტერს. ამ ქონების დიდი ნაწილი შემოწირულია. შემოწირვის ტრადიციას გელათის მონასტერში სათავე დაუდო მისმა დამარსებელმა მეფე დავით აღმაშენებელმა, რომელმაც მისი ისტორიკოსის თქმით, გელათში: „დასხნა მუნვე დიდთა და ხოსროანთა მეფეთა ტახტნი და საყდარნი, სა-სანთლენი და კიდელნი ფერად-ფერადნი იაკარად მოხმულნი თვისნი და კუალად გვირგვინნი და მანიაკნი, ფიალანი და სა-სუმელნი“<sup>3</sup> ხოლო თვით მეფე თავის ანდერძში წერს „ჩემნი ლალ-ნი და თვალ-მარგალიტნი ხახულის ღვთისმშობლისადა შემინი-რაგს“ -ო.<sup>4</sup>

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 22510 ფ. 15

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 27642 ფ. 22

3 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხხიშვილის მიერ, „სახელგამი“, თბ. 1955, ტ. I გვ. 330

4 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IX-XIII სს. თბ. 1984 გვ.62

საარქივო დოკუმენტმა შემოგვინახა გელათის მონასტრის ქონების 1906 წლის 27 დეკემბრის აღნერილობა, სადაც კარგად ჩანს საუკუნეების მანძილზე მონასტრის ნივთ-სამკაულთა შემომწირველი. აღნიშნული დოკუმენტი გრძელდება 1923 წლის ივნისამდე, მონასტრის გაუქმებამდე (ქ.ც.ს.ა. ფ. 296 ან. 1 ს. 153). დოკუმენტში შემომწირველები შემდეგითანმიმდევრობითაა წარმოდგენილი:

1. ახალი ათონის მღვდელ-მონაზვნის არსენისაგან — „მუხის ხისაგან გაკეთებული ლუსკუმა რომელში ასვენია წმიდანი ნაწილნი“.

2. დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს ზაქარია ქვარიანისაგან — „გარდამოხსნა ქართულის ხელოვნებისა პეზმენტით ნაკერი შავ ხავერზედ“.

3. იმერეთის მეფე სოლომონის I-საგან სხვადასხვა წლებში — „გარდამოხსნა აბრეშუმზედ ნაკერი აბრეშუმის ძაფით“, „ხომლი ვერცხლისა, საშვალო ტანისა ჩამოკიდებული 9 სასანთლით წონით 10 გირვანქა“ და „შანდალი სპილენძისა ორი დიდრონი“, „ვერცხლის სურა წონით 116 მისხალი“, „ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა, კოვზი ვერცხლისა 2 გირ და 52 მისხალი, ორი პატარა სურა და ერთი ტაკუკი ვერცხლისა 1 გირვანქა და 20 მისხალი, ლანგარი და შანდალი ვერცხლისა 2 გირ და 79 მის., ხატი ღვთის-მშობლისა სივრცით 8X7 ვერშოკი ფიცარზედ რომელსა ხელთ უპყრია იესო ქრისტე ვერცხლის გვირგვინებით, გარშემო ხატი-სა არიან მოხატული 12 მოციქული, ხატი წინამორბედისა სივ-რცით 7X6 ვერშოკი, მოსია ვერცხლის პერანგი და გვირგვინი ხატი წმიდისა მარინესი სივრცით 5X4 ვერშოკი მოუჭედელი, ხატი მაცხოვრისა სივრცით 7X8 ვერშოკი ვერცხლის პერანგით და გვირგვინით დახატულია ფიცარზე, სახარება ხელთნაწერი 1 / 8 ფურცლისა ვერცხლის ოქროში დაფერილ ბუდეში, რომელზედაც არის გამოხატული: ბუდის ერთს პირზედ ჯვარცმა ქრისტესი და იქით-აქეთ მისსა ხატია ოთხი მახარებელნი და ბუდე იწონის 91 მისხალ ვერცხლს. ამავე ბუდეში ერთად სახარებისა დევს ვერცხლის ძენკვი“.

4. ნიკოლაძეებისაგან — „ერთი ლამპარი ვერცხლისა შუატანი-სა ექვსის სასანთლით წონით 1 გირ. და 5 მისხალი“.

5. დედოფალ გულქანისაგან 1774 წელს — „ხომლი საშუალო ტანისა საკურთხეველში ღვთისმშობლის ხატის წინ დაკიდებული ექვსი სასანთლით 8. 1 / 2 გირ.“

6. ნადეჟდა ნერეთელი-ზუბოვასაგან — „შანდალი ორი დიდი უბრალო“, „ლამპარი ვერცხლისა ოქროში დაფერილი 80 მისხალი“, „ხატი ღვთისმშობლისა ვერცხლით მოჭედილი, სიმაღლით 5 1 / 2 ვერშოკი“ და „ხატი წმიდის გიორგისა ვერცხლით მოჭედილი“.

7. დედოფალ მარიამ დადიანის ასულისაგან — „ვერცხლის ბარძიმი წონით 1 გირვანქა და 37 მისხალი“.

8. მთავარეპისკოპოსის ლიონოსისაგან — „სანაწილე ვერცხლისა მოქრული წონით 4 გირ. სიმაღლე 12 1 / 2 ვერშოკი, აქვს ორი კოლოფი ვერცხლის ნაწილების შესანახად, მაღლა არის აღდგომის ხატი და გვერდებზედ 4 ანგელოზი, რომელთაც ხელთა უპყრიათ სამწერლობლები“.

9. დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს იოსებისაგან — „ორი ვერცხლის დიდი საცეცხურები და სამ სანთლიანი და ორ სანთლიანი პატარა შანდლები ვერცხლისა წონით 1 გირ და 81 მისხალი“, „საიაზმე ვერცხლისა მისის სახურავით 4 გირ. 48 მისხალი“.

10. თინათინ აბაშიძისაგან — „ენქერი შეკერილი სხვადასხვა ფერის დიბის ფარჩისაგან ვერცხლის ძაფით და ჯვრებით წითელს სარჩულზედ“.

11. დედოფალ დარეჯანის დადიანის ასულისაგან — „ოლარი შეკერილი და მოქარგული ვერცხლის და ოქროს ძაფით ჭილოზედ დიდად ხელოვნურად და კარგად“.

12. ლუარსაბ აბაშიძისაგან — „ენქერი სრულიად ნაქარგი, ოქრო და ვერცხლის ძაფით ძვირფასის და კარგის ხელობისა, რომელზედაც არის ხატი მაცხოვრისა, ყდნ წმიდის ღვთისმშობლისა და იოანე ღვთისმეტყველისა“.

13. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს ასულანასაგან 1763 წელს — „სამი დაფარნები წითელს ატლასზედ მოქარგული ვერცხლის ჯვრებით ხავერდისა“.

14. ელენე ლევიძისაგან — „ერთი დაფარნა ნაქარგი ოქროს

და ვერცხლის ძაფით ხავერდზედ გვერდებზედ არის 4 ანგელოზის ხატი ნაქარგით“.

15. საქართველოს ეგზარხოსის მთავარეპისკოპოს ევსევისაგან — „ხატი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა ვერცხლით მოჭედილი“.

16. გურიის ეპისკოპოს იოანესაგან — „ხატი თორმეტი საუფლო დღესასწაულებისა ფიცარზედ დახატული სივრცე 12X9 1/2 ვერშოკი“, „ერთი დიდი ზარა 16 ფუთი და 13 გირ“, „ერთი დიდი ნაბეჭდი სახარება ხავერდის ყდით და ზედ ბრონზის ფინით-ტებით მორთული“.

17. იმერეთის მეფე ბაგრატ III-საგან და მისი მეუღლე ელენე-საგან — „ჯვარი იაშმისაგან მოჭედილი ვერცხლით და მოოქრული სივრცით 7 1/4X5 ვერშოკი შემკობილი 39 ფასიანის ქვებით, ბოლოს აქვს ჩაჯენილი შუშები“.

18. დავით მიქელაძისაგან — „პატარა ტანის ვერცხლის სანაწილე“.

19. იმპერატორ ალექსანდრე III-გან 1889 წელს — „ერთი ხელი წითელი სამღვდელო შესამოსელი“.

20. მღვდელ-მონაზონ პატიონტისაგან — „ერთი ხის ჯვარი მთაწმინდის ხელობისა მოჭედილი ვერცხლით“.

21. მღვდელ-მონაზონ პანტელეიმონისაგან რუსეთიდან — „ერთი ხელი სამღვდელო შესამოსელი ფარჩისა მათში სტიხარი შალისა და ერთი ტრაპეზზედ გადასაფარებელი“.

22. შავი ზღვის ჯარისკაცებისაგან 1893 წელს — „წმიდის გიორგის ხატი ვერცხლისა ხის რამკაში ჩაჯენილი სივრცით 7X6 ვერშოკი“.

23. მინისტრ კალიპოვისაგან 1895 წელს — „ერთი ფილონი შავის ხავერდისა“.

24. ამიერკავკასიის რკინიგზის მუშებისაგან — „ხომლი უბრალოს მეტალისა“.

25. საბინინისაგან — „დავით ალმაშენებლის სასაფლაოზე გადასაფარებელი ყვითელი ფარჩა“.

31. მწირ-მონაზონ იაკობისაგან — „ერთი მაცხოვრის და ერთი ღვთისმშობლის ხატი უბრალოს ლითონისა სივრცით 2X1 1/2 ვერშოკი“.

32. სიმონ მიტროპოლიტისაგან — „პატარა ვერცხლის ჯვარი“.

33. გელათის მიტროპოლიტი იოსებისაგან — „ბარძიმი ფეშუმი, კამარა, კოვზი ვერცხლისა მორჩილები წონით 1 გირ. 83 მისხალი“.

34. იეროდიაკონ იოსებისაგან — „ერთი წმიდის გიორგის წინ დასადგომელი დიდი შანდალი ფრაჟის“.

35. ნიკოლოზ კოკელაძისაგან — „ერთი ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატის წინ დასადგომელი ფრაჟის შანდალი, ამასთანავე შანდალი დავით აღმაშენებლის სასაფლაოში“.

36. ვლადიმერ ხიხაძისაგან — „ერთი იოაკიმ და ანას ეკვდერშიდ ღმრთისმშობლის წინ დასადგმელი შანდალი“.

37. კონდუქტორ ტიმოთე ვარონოვისაგან — „ერთი ხელი სამღვდელო და სადიაკვნო შესამოსელი ყოვლის სამკაულით თეთრის ფარჩითა“.

40. ტომსკის დედათა მონასტრის წინამძღვარ პარასკევასაგან — „სამი სამღვდელო შესამოსელი უსტიხოროდ წითელი, ყვითელი და მწვანე სახიანი სამივე ფარჩისა, ორი ხელი დაფარნა ერთი თეთრი და მეორე მწვანე ფარჩა ნაკერი“.

41. ქუთაისის სასულიერო სემინარის რექტორის, არქიმანდრიტ დიმიტრისაგან — „ერთი ხელი დაფარნა წითელი ხავერდისა“.

42. თეკლათის იღუმენისაგან 1899 წელს — „ერთი ხელი დაფარნა ნაკერი თეთრის ფარჩისა“.

43. მღვდელ სპირიდონ წიქრიძისაგან — „ვერცხლის ღვთისმშობლის ხატი ნაწილებით სივრცით ვერშოკზე ნაკლები“.

44. კურსკელ ანა ივანეს ასულ გლადკოვასაგან — „ერთი ხელი სამღვდელო შესამოსელი ყვითელი ფარჩა ყოვლის სამკაულით. ერთი ხელი შესამოსელი მიხაკის ფერის ატლასის ბედენიკს გარდა. სადიაკვნო სტიხარი ყვითელი ფარჩისა ყოვლის სამკაულით. ორი წყვილი დაფარნა ერთი მწვანე ატლასი და წითელი ხავერდისა. ოცი არშინი ატლასი წითელი თავის სასარჩულეთი და ბუზმენტით. აბრეშუმის ფოჩიანი ტრაპეზის საფარი. ოდიკის შალითა“.

45. ძველი ათონის მღვდელ-მონაზონ თეოდორე ერისთავი-

საგან — „ღვთისმშობლის, გულსაკიდი მოოქრული ხატი ნაწილებით და ვერცხლის ჯაჭვით მოოქვრილნი“, „ერთი ხატი ხისა ამოქრილი ათონის ხელობა ვერცხლის ბუდეში პეტრე და პავლესი. ზომით 1 ვერშ. და 1 / 4 X სიგანით ერთი ვერშოკი“, „ხის ხატი ვერცხლის ბუდეში რგვალი ამავე ზომის ნმ. ნიკოლოზის“.

46. ივანე სუხაშვილისაგან — „ერთი დიდი ტაძრის ტრაპეზის გადასაფარებელი“.

47. ფედოროვის ქალისაგან — „ორი ფილონი ერთი მათგანი სრული შესამოსელი გარდა სტიხრისა, ორი წყვილი დაფარნეები. ერთი სადიაკვნო, ოლარი, ექვსი ტრაპეზის და სადიაკვნო გადასაფარებელი“.

48. დავით ბაგრატიონისაგან — „ოქროს ჯაჭვი 53 მისხალი“.

49. ნატალია ინჯარაძისაგან — „ორი ნიგნი მხედრული ხელთნანერი... ნაქონი თავადი გრიგოლ წერეთლისა“.

50. თბილისელი ალექსანდრე უგუზოვისაგან — „ორი ხელი შესამოსელი თავის მოწყობილობით“!

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი შემომწირველი ამ აღნერაში აღარ იხსენიება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათი შემომწირული ნივთები ამ დროისათვის მონასტერში აღარ ინახებოდა — ან დაკარგული იყო, ან სიძველის გამო უვარგისი, ანდა სხვაგან გადატანილი. მათი სია დაცულია 1860 წლის 14 სექტემბერს შედგენილ მონასტრის სიძველეთა აღნერაში ესენია:

1. ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისაგან — „ერთი კანდელი ვერცხლისა ოთხი სანთლის ჩასამთები“.

2. ანტონ აბულაძის მიერ — „ერთი კანდელი ვერცხლისავე“.

3. დავით მიტროპოლიტის მიერ — „ერთი დიდი ჯვარი ვერცხლისა სვენებული პირველ ამ მონასტერში ოქროთი დაფერილი“, „ორი ვერცხლის მდაბალნი შანდალნი, სადიაკვნო ლობდნის ფურცლიანი სტიხარნი, ერთი ხელი დაფარნები თეთრის ფარჩითა არშიებითა“.

4. დადიანის ასულ მენიკის მიერ — „ერთი ვერცხლის სურა“.

5. ალექსანდრე არქიმანდრიტის მიერ — „ერთი ფარჩის ფილონი ოლარითურთ“.

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 296 ან 1 ს. 153 ფ. 138-160  
ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 22510

6. გურიის ეპისკოპოს იოანეს მიერ — „ერთი ხელი სამღვდელო შესამოსელი სტოფის და ერთი სადიაკვნო შესამოსელი სტოფისავე“, „ერთი სარტყლის ვერცხლის ბალთები“, ეპისკოპოს იანეს მიერ — „ერთი დიდი ზარა ორმოც თუმნად ნაყიდი“.

7. გიორგი ერისთავის (გურული თავადის) მიერ — „ერთი პატარა ნიტრა (დოქი — მ.კ.) ვერცხლის“.

8. მურავიევის მიერ — „ერთი წყვილი საახიმანდრიტო შესამოსელი, ფილონი და ოლარი“.

9. მარიამ დედოფლის მიერ „პატარა ხელნაწერი სახარება ვერცხლის ოქროში დაფერილს ბუდეში“!<sup>1</sup>

უფრო ადრინდელ 1842 წლის აღნერაში კი კიდევ ერთი შემოწირული ნივთი დასტურდება — ნიკო ბატონიშვილისაგან „ერთი ჯვარი ვეცხლისა რუსეთიდგან ჩამოტანილი ჯვარცმა ფინიკუტზედ დახატული“<sup>2</sup>

გარდა დასახელებული პიროვნებებისა მონასტერს ჰყავდა მრავალი „უცნობი შემოწირველი“, რომლებმაც არ ინებეს თავის ვინაობის გამჟღავნება.

§3 გელათის მონასტრიდან ძუთაისის ღმრთისამოგლის მიძინების (ბაგრატის) საკათედრო ტაძარში გადატანილი საეკლესიო ნივთ-სამაცული — ეგზარქოსობის დროს გელათის მონასტრიდან შიშიანობის გამო სხვაგან გადატანილი თუ დროებით ნათხოვარი საეკლესიო ნივთ-სამკაული ხშირად უკან აღარ დაუბრუნებიათ. ამის მაგალითად გამოდგება XIX ს-ის I წახევარში გელათის მონასტრიდან ქუთაისის მიძინების (ბაგრატის) საკათედრო ტაძარში წაღებული ნივთები. ჩვენი ვარაუდით ნივთების გადატანა მოხდა არქიეპისკოპოს სოფრონიოსისა და დავით მიტროპოლიტის დროს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს, ერთი მხრივ გელათის მონასტრის ქონებათა სხვადასხვა წლების აღნერილობათა ანალიზი და მეორე მხრივ ქუთაისის საკათედრო ტაძრის 1848 წლის აღნერილობა, სადაც ოქროს სანაწილეს ოქროს ძენკვზე ნათქვამია: „ოქროსი ძენკვი ოცდაათი მისხალი

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 7116 ფ. 34-44

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს.1958, ფ.49

რომელსაზედაც იყო დაკიდებლი ოქროსი სანაწილე (გელათური — მ.კ.) ჩვენებული ამას შინა ჩანერილად მეოთხეს მუხლსა შინა ნარმოგზავნილ არს (საიდან? — გელათიდან. მ.კ.) უსამღვდელოების მიტროპოლიტისა დავითისა კბ ნოემბრიდამ ამა ჩყმზ წლის №1261, რომელიც დაბმულ იქმნა საარქიერო პანალიაზედ, ხოლო ვეცხლის ძენკვი, რომელიცა ქონდა დაბმული პანალიას შენახულ არს ცალკე“<sup>1</sup>.

ქუთაისის საკათედრო ტაძარში გადატანილი ნივთების აღწერილობას ვპოულობთ გელათის მონასტრის ნივთ-სამკაულის 1842 და მომდევნო წლების აღწერებში, კერძოდ 1853 წლის აღწერიდან ჩანს, რომ მონასტრიდან ქუთაისში გადატანილია შემდეგი ნივთები: 1) „სანაწილე ოქროსი გულზედსაკიდი, რომელშიც აწყივი ნაწილნი წმიდათა მოწამეთანი და ნაწილაკი სამჭვლისა უფლისა. ზემოთ ფიცარზედ არის გამოსახული ჯვარცმა ნინამდგომარებითურთ და ქვემოზეთ სამნი ანგელოსნი და ნათლის-მცემელნი ყოველსავე მხრიდამ არს მოოჭვილი სხვა და სხვათა არა ძალიან კარგის თვლებით და საშუალის სიდიდის მექონის მარგარიტებითა აქვს ცალიერი ადგილები თორმეტი და აქვს ოქროს ჯაჭვი“<sup>2</sup>.

2) „პანალია დიდი ვეცხლისა ოქროშიდ ცვრეული ფინიკტი, ხატი უზის ქრისტე ალდგომისა გარე შემოვლებული ორს რიგზედ მარგარიტით შიგნითი რიგი მომსხოთი და მეორე საშვალითა. ამათგანმი პირველში უზის წვლილ-წვლილი ბუდეებში, მასზედ არის გვირგვინი სამ გრგოლიანი რომელთაცა უსხედს თითო დიდრონი მარგარიტი მოოჭვილი წვრილის მარგარიტებითა ამ გრგოლებს შუა არს ორი მარგარიტი საშუალი მავთულზედ გაკეთებული და მათ ქვეშ ბუდეებში ჩასმული ხუთი მარგარიტი რომელშიც არის ოთხი ლალი ბუდეებშიდ, საშუალოს რგოლზედ აქვს ერთი ლალი ბუდეებში ჩასმული და მას ზედა ჯვარი. ქვემოთ ჰყიდია სამი ბოლო რომელსაცა აქვს თითოს სამ-სამი მარგარიტი. ქვემოთ სამი მარგარიტი საკმაოდ დიდროიანები ამას არა აქვს ჯაჭვი.“<sup>3</sup>

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 4295, ფ. 7.

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 5960, ფ. 10

3 იგივე

3) „პანალია პატარა ვეცხლისა ოქროთი დაფერილი მათ ზე-და ხატი ფინიკუტისა წმიდის ნათლისმცემელისა მას ამას გარეშე ერთს რიგზედ აკლია მომსხო მარგარიტი ოცდაოთხი მარცვალი, ამათში არის ოთხი ლალი. მეორეს რიგზედ აკლია ლალები არა-დიდროიანები მსხდომარე ბუდეებში. ამასზედ არს გვირგვინი პა-ტარა ჯვარითურთ რომელსაც უსხედს ცამეტი წვლილი ქვა და ოცდაშვიდი წვლილი მარგარიტი. ძირს ჰკიდია ორი მარგარიტი ერთი მოდიდო და მეორე საშვალი და ერთი კიდევ დაკიდებული ბოლო აკლია. ამას აქვს ვეცხლის ჯაჭვი“.<sup>1</sup>

4) „ლამპარი ვეცხლისა მღვდელთმთავრის წირვაზედ სახმა-რებელი, რომელსაც აქვს ძირი ოთხკუთხი, წონით არის ხუთი გირვანქა და ოცი მისხალი.“<sup>2</sup>

5) „დიდიშესამოსლისდასაწყობივეცხლისსინინაკვთიანი, რო-მელიც არის წონით ოთხი გირვანქა და ოცდაცხრა მისხალი.“<sup>3</sup>

6) „კიდევ ორი ჭურჭელი იმაზედ უმცირესი ვეცხლისა ხელის მოსაკიდებლითა რომელიც ქონდა ყოვლად სამღვდელოსა და ვგონებ ერთი კიდეც დაკარგულია ქურდისაგან.“<sup>4</sup>

7) „სამღვდელმთავრო ჯოხი ხისა ბალადი და სადაფით შე-წებული თავი და ბუშტები აქვს ძვლისა, რომელიც ყოვლად სამ-ღვდელოს აქვს.“<sup>5</sup>

8) „საპუხრები მარგარიტით ნაკერი შავს ხავერდზედ დიად კარგები, რომელიც ყოვლად სამღვდელოს აქვს.“<sup>6</sup>

9) „სარტყელი ოქრომკედით და აბრეშუმით ნაკერი, ბალთები აქვს ვეცხლისა მოოქვრილი შუაზედ არის ხატი პეტრე მოციქუ-ლისა ოქროს ფინიკუტით. დიად ბევრი ქვები უსხედს, რომელნიცა ზოგი არიან ძვირფასნი და ზოგნი უბრალოები, რომელიც ყოვ-ლად სამღვდელოს აქვს.“<sup>7</sup>

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 5960 ფ. 10

2 იქვე, ფ. 11

3 იქვე, ფ. 12

4 იგივე

5 იგივე

6 იქვე, ფ. 13

7 იგივე

10) „მანგია მწვანის ჩიჩილაგისა, ზევით ტერფებზედ აქვს ოქ-  
რომკედით ნაკერი ჯვრები, ოთხი ვეცხლისა ღილი აკერია, რომე-  
ლიც ყოვლად სამღვდელოს აქვს“.<sup>1</sup>

ქუთაისში მყოფად ჩანან ზემოთ დასახელებული ნივთები გე-  
ლათის მონასტრის მომდევნო 1859 და 1860 წლების აღნერებშიც.  
ამ უკანასკნელ აღნერაში კიდევ ერთი ძვირფასი ნივთი ჩანს ქუ-  
თაისში ხელახლა წალებულად. (ჩვენი ვარაუდით იმერეთის ეპის-  
კოპოს გერმანეს მიერ). ეს არის „მიტრა ახალი წარმოგზავნილი  
რუსეთიდგან განსვენებულის კათალიკოზის მაქსიმესაგან. სრუ-  
ლებით ეს მიტრა მოვოჭილი არის სხვადასხვა ზომის მექონის მარ-  
გარიტებითა. მას ზედა არის ჯვარი შედგენილი თექვსმეტის ბრი-  
ლიანტისაგან, რომელიც არის მჭვრილად ჩასმული. ჯვარის ქვეშ  
არის დიდი ქვა სეილანი შავ-წითლის ფერისა როგორც ეს ეგრეთ-  
ვე ოთხი ფინიკტის ხატი არა ძალიან დიდროანი, რომელიც სხედს  
იმა მიტრაზედ გარშემოვლებულ არიან საკმაოდ მომსხროს მარ-  
გარიტითა, მაზედვე უსხედს წითელი სხვადასხვა ზომის თლილი  
იაგუნდი ვეცხლით ოქროთ დაფერილს ბუდეებში ას სამოცდა-  
თორმეტი და სახელდობრ გადაჯვარიდინებულზედ ოცდარვა.  
ამის კუთხებშიდ ოთხ-ოთხის ხატის გარშემო ოცდათორმეტი.  
ხატებს ქუეშ მიტრის გარეშე ექვსი გვირგვინი შედგენილი იაგუნ-  
დის და მარგარიტისაგან, რომელიც უსხედს ბუდეებშიდ ყოველ-  
სავე ამა გვირგვინებში სხედს ორმოცდათორმეტი იაგუნდი და  
გვირგვინების ქვეშ ექვსი ნაპირზედ ორ რიგად შემოვლებულს  
მარგარიტს შუა უსხედს სიმგარლივ იაგუნდებირიცხვით ორმოც-  
დარვა, ხოლო სრულებით იაგუნდი არის ას ორმოცდათორმეტი.  
და მარგარიტნი მრავალს ადგილს აკლია“.<sup>2</sup> ეს მიტრა 1842 წელს  
უკვე ქუთაისის საკათედრო ტაძარში ჩანდა გადატანილად<sup>3</sup>,  
ხოლო 1846 წლის გელათის მონასტრის ქონების აღნერილობაში  
ნათქვამია, რომ ის „არა დიდი ხანია“ წარმოგზავნილია ქუთაისის  
საკათედრო ტაძრიდან,<sup>4</sup> საკმაო ნაკლოვანებებით. ჩვენი აზრით

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 5960 ფ. 13

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 7116 ფ. 36

3 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 1958 ფ. 43

4 იქვე, ფ.61

ეს ის მიტრაა, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 1860 წელს ისევ ქუთაისშია გადატანილი და რომელიც 1919 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა ნახა ქუთაისის საკათედრო ტაძარში და ჩათვალა გელათიდან 1850 წელს გადატანილად, ხოლო მასზე მოხსნილი ჯვარი გრაფინია ლევაშოვასაგან წალებულად.<sup>1</sup>

გარდა ამ ნივთებისა, გელათის მონასტრის ქონების 1842 წლის აღწერაში ქუთაისის საკათედრო ტაძარში გადატანილად ჩანს „ერთი ჯვარი ვეცხლისა რუსეთიდგან ჩამოტანილი ჯვარცმა ფინიკზედ დახატული შემოწირული ნიკო ბატონიშვილისაგან.“<sup>2</sup>

არც ერთი ზემოთ დასახელებული ნივთი ქუთაისიდან გელათის მონასტერში აღარ დაუბრუნებიათ. სამწუხაროდ, ტაძრიდან ისინი არც რომელიმე მუზეუმში ჩანან გადატანილნი.

**§4 გელათის მონასტრის 1859 წლის 19 მაისის გადარცვა** – 1859 წლის 19 მაისს ღამით მოხდა გელათის მონასტრის უდიდესი გაძარცვა. გაძარცვის შედეგად ქართველი ერისათვის სამუდამოდ დაკარგულ მრავალ ნივთს შორის ყველაზე მეტად გულდასაწყვეტი იყო სიძვირფასით და სიწმინდით განთქმული ხახულის ღმრთისმშობლის ჭედური ხატის („ხახულისა ღვთის-მშობლისა გულის“) გატაცება. ხახულის ღმრთისმშობლის ხატის გატაცება და საერთოდ, გელათის მონასტრის ზემოთხსენებული გაძარცვა საქართველოს ისტორიის, ხელოვნების და ეკლესიის მკვლევართა აბსოლუტური უმეტესობის მიერ, დღემდე დაუმსახურებლად ბრალდება ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორს და სამოქალაქო მმართველს გრაფ ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვს. ჩვენს მიზანს არც ვ.ვ. ლევაშოვის გამართლება შეადგენს (ამ საქმეში უბრალეულოს სხვა მრავალი მსგავსი ცოდვა მიუძღვის ქართველი ხალხის წინაშე) და არც დიდ ავტორიტეტთა გაკრიტიკება — გვინდა შესაძლებელი სიცხადე შევიტანოთ გელათის მონასტრის 1859 წლის 19 მაისის უცნაურ გაძარცვაში, რომელიც დღემდე არ არის სათანადოდ შესწავლილი.

ამ გაძარცვის შესახებ აკად. შ. ამირანაშვილი, რომელსაც დი-

1 ს.ხ.ი. ე. თაყაიშვილის არქივი, ს. №482, ფ.8

2 ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს.1958, ფ.49

დი წვლილი მიუძღვის გელათის მეცნიერულ შესწავლაში, წერს: „ქართული განძეულობის გატაცებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქუთაისის ყოფ. გუბერნატორი ლევაშოვი, რომელმაც 1856 წ. მოაწყო ხუთი წლის წინასწარი მზადების შემდეგ გელათის მონასტრის სიძველეთა გატაცება“<sup>1</sup> და იქვე აგრძელებს: „როგორც გელათის მონასტრის საარქივო მასალებიდან ირკვევა, ქუთაისის ყოფ. გუბერნატორმა ლევაშოვმა შეადგინა მონასტრის გაძარცვის გეგმა, რომლის მთავარ ამოცანას შეადგენდა თვით ხახულის ტაძრის ღვთისმშობლის მინანქრის ხატის გატაცება. ეს ხატი ჩასვენებული იყო კარედი ხატის ბუდეში (კუბოში), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხატის ბუდე მდიდრულად იყო შემკული მინანქრებით. გუბერნატორმა მხატვარ ვასილიევს წინასწარ შეუკვეთა ღვთისმშობლის ახალი ხატის ესკიზი, რომლის მოჭედილობა ქართული ხატების მოჭედილობის სახეებს უდგებოდა. ამ ესკიზის მიხედვით საზიკოვმა დაამზადა მოჭედილობა ლევაშოვის შეკვეთით ქ. მოსკოვში. ლევაშოვმა მეორე დღესვე (სინამდვილეში 1865 წელს — მ.კ.), როგორც კი განხორციელდა ხახულის ხატის გატაცება, გელათის მონასტერს „საზემო“ ვითარებაში უძღვნა ახალი ხატი ღვთისმშობლისა საზიკოვის მიერ მოჭედილი... ღვთისმშობლის მინანქრის ხატი მოტაცებული გელათიდან ლევაშოვის მიერ, შეიძინა კოლექციონერმა ბოტკინმა“.<sup>2</sup> ამავე აზრს იმეორებს თავის ნაშრომში „საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება“, სადაც წერს: „საქართველოს განძეულობის გატაცებისა და მითვისების საქმეში დიდი „ღვანლი“ მიუძღვის ქუთაისის გუბერნატორ ლევაშოვს. 1856 წ. მან დიდი ზიანი მიაყენა გელათის მონასტრის საგანძუროს: წაილო და მიითვისა ღვთისმშობლის მინანქრის ხატი ვედრებისა (X საუკუნე — ხახულის ხატის ძირითადი ნაწილი)“.<sup>3</sup>

აღნიშნული გაძარცვის ფაქტები უფრო დაზუსტებულია აკადემიკოს შ. ამირანაშვილის მონოგრაფიაში „ხახულის კარე-

1 შ. ამირანაშვილი — ქართული ხელოვნების ისტორია, თბ. 1971, გვ. 308

2 იქვე, გვ. 309

3 შ. ამირანაშვილი — საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება, თბ. 1978, გვ. 4

დი“, რომელშიც აღნიშნავს, რომ გელათის მონასტრის გაძარცვა მოხდა 1859 წელს (თარიღი დაზუსტებულია — სხვაგან წერს „1856“), 1863 წელს (აქაც იგივე შემთხვევაა) საზიკოვმა მოსკოვში დაამზადა ახალი ჭედური ხატი, რომელიც ლევაშოვმა 1865 წელს „შესწირა“ (აქაც იგივე შემთხვევაა — სხვაგან წერს „მეორე დღეს“) გელათის მონასტერს. გატაცებული ხახულის ხატი ნაწილებათ დაუშლიათ და ისინი ხელში ჩავარდნიათ კოლექციონერებს მ. ბოტკინს და ა. ზვენიგოროვსკის. ხატის ფრაგმენტები 1923 წელს რუსეთის სფსრ მთავრობამ დაუბრუნა საქართველოს<sup>1</sup>.<sup>2</sup> აღნიშნული ფრაგმენტებისა და სხვა სიძველეთა დაპრუნების საქმეში დიდი ღვანჩლი მიუძღვის თავად შალვა ამირანაშვილს. თავის დროზე ის იმდენად იყო აღტაცებული „ხახულის ხატის“ ფრაგმენტების აღმოჩენით, რომ 1923 წლის 21 ივლისს პეტროგრადიდან თბილისში ცნობილ მეცნიერს სერგი გორგაძეს წერდა: „ბოტკინის კოლექციაში არის მინანქრიანი დიდი ხატი ღვთისმშობლისა, დაცულია მხოლოდ სახე და ორივე ხელი... ხატი უნიკუმია... კონდაკოვი ამტკიცებდა, რომ ეს ქართულია, ხოლო არ ამბობს არსად საითგან არის გატაცებული. აქ მე გამოვარკვიე, რომ მარტვილის მონასტრიდან არის ეს ხატი გატაცებული“.<sup>2</sup> ასე იქცა რამდენიმე წლის შემდეგ მარტვილის მონასტრიდან გატაცებული ხატი ხახულის ღმრთისმშობლის ხატად.

ხახულის ღმრთისმშობლის ხატის კარედის მოჭედილობა მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი პროფესორ რ. ყენიას. მონოგრაფიაში ხატის გაძარცვის შესახებ ნათქვამია: „გელათის მონასტერში ყოფნისას, ხატი რამდენჯერმე გაძარცვეს. პირველად 1859 წ. რის შედეგადაც დაიკარგა თვით ხახულის ღვთისმშობლის ვედრების ხატი. მინანქრით შემკული ღვთისმშობლის ვედრების ხატის დაკარგვა საიდუმლოებითაა მოცული. ის მცირედი ცნობები, რომლებც ჩვენამდეა მოღწეული, დამაჯერებლად არ გადმოგვცემს მისი დაკარგვის ამბავს. სავსებით ნათელია, რომ ხახულის მინანქრიანი ხატის დაღუპვაც... საქართველოს ეგ-

1 შ. ამირანაშვილი — ხახულის კარედი, თბ. 1972

2 ზ. აბაშიძე — მეცნიერთა და საზოგადო მოლვაწეთა წერილები სერგი გორგაძისადმი, „საისტორიო მოამბე“, 1987, № 55-56, გვ. 370

ზარქატის დაუდევრობისა და თავნებობის შედეგი იყო „1864 წელს იგი ხელმეორედ მოჭედეს“ (იგულისხმება საზიკოვის შესრულებული ხატი — მ.პ.). ეტყოფა პროფ. რ. ყენიას დაფიქსირებული ცნობა, რომ ეს ხატი ხელმეორედ მოჭედეს, შეუმჩნეველი დარჩა მკვლევარ თ. ალდამიძეს, რომელიც ამ ფაქტს საარქივო დოკუმენტიდან და დ. ლამბაშიძიდან იცნობს, ნინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ დაწერდა: „მკვლევარებს იგი შეუმჩნეველი დარჩათ“.<sup>1</sup>

ხახულის ხატის გაძარცვის შესახებ პროფ. ლ. ხუსკივაძე კი წერს: „ეს მინანქრული ხატი, რომელიც 1859 წელს გელათის მონასტრის გაძარცვის შედეგად გაიტაცეს, ბოტკინის კოლექციაში აღმოჩნდა და უკვე ძლიერ ფრაგმენტირებული მხოლოდ 1923 წელს დაუბრუნდა საქართველოს“.<sup>2</sup>

ჩვენს მიერ აქ მოტანილი სამი დიდი ქართველი ხელოვნებათ-მცოდნის აზრი ხახულის ხატის გაძარცვის დათარიღებაში თანხვედრილია — გაძარცვა მოხდა 1859 წელს (თუ არ ჩავთვლით შ. ამირანაშვილის მიერ ზოგჯერ 1856 წლის დასახელებას), აზრთა სხვადასხვაობაა გაძარცვის ორგანიზატორთა და-სახელებისას. შ. ამირანაშვილი გაძარცვის მთავარ ორგანიზა-ტორად ასახელებს ქუთაისის გუშერნატორ ლევაშოვს, რ. ყენია — საქართველოს ეგზარქატს, ლ. ხუსკივაძე კი თავს იკავებს ამ საკითხზე მსჯელობაზე. საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ არ-ცერთ მათგანს ხახულის ხატის გაძარცვის საკითხი სპეციალუ-რი კვლევის საგნად არ გაუხდიათ. ეს არცაა გასაკვირი, ისინი ხომ ხატს, როგორც ხელოვნების ნიმუშს ხელოვნებათმცოდნის თვალით განიხილავდნენ.

ხახულის ხატის გაძარცვის ისტორიაში ერთგვარი სიცხადე შეიტანა მკვლევარმა თ. ალდამიძემ. მის ბროშურაში „ხახულის ღვთისმშობლის ხატის ისტორიისათვის“ (თელავი, 1999) საქარ-თველოს პ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ დოკუმენტზე (შდ — 3041) დაყრდნობით დაწვრილებით მოგვითხრო ხატის გაძარცვა, ამასთანავე სამართლიანად გა-

1 თ. ალდამიძე — ხახულის ღვთისმშობლის ხატის ისტორიისათვის, თე-ლავი, 1999, გვ. 9

2 ლ. ხუსკივაძე — შუა საუკუნეების ტიხრული მინანქარი, თბ. 1984, გვ. 7

მორიცხა გაძარცვის ორგანიზატორად ლევაშოვი. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ბროშურის გამოსვლამდე 8 წლით ადრე, 1991 წლის 24 მაისს ჩვენი ასეთივე შეხედულება მოხსენებით „ერთი ტრაგიკული ფურცელი გელათის მონასტრის ისტორიიდან“ წარვადგინეთ ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა პირველ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომლის თეზისებიც დაიბეჭდა.<sup>1</sup> ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ არცერთი ზემოთ დასახელებული მკვლევარი, როგორც მათი ნაშრომებიდან ჩანს, არ იცნობს საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო და ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში დაცულ საქმეებს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით (იხ. ს.ც.ს.ს.ა. ფ. 489 ან. 1 ს. 19050. ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 7231).

სანამ ხახულის ხატის გაძარცვის ფაქტს დაწვრილებით განვიხილავდეთ, მიზანშენონილად მიგვაჩნია გავიხსენოთ ვ.ვ. ლევაშოვის ბიოგრაფია, რომელიც გადმოცემულია გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილ მის ნეკროლოგში — ქართულ პრესაში ერთად-ერთში. ნეკროლოგში აღნიშნულია: „პეტერბურგში 26 მაისს გარდაიცვალა არტილერიის გენერალი გრაფი ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვი. განსვენებული დაიბადა 1834 წ. 3 ნოემბერს, განათლება მიიღო მისი უდიდებულესობის პაჟთა კორპუსში, შემდეგ კურსი დამთავრა პირველი ხარისხით მიხეილის არტილერიის აკადემიაში. გრაფმა ლევაშოვმა ცხოველი მონაწილეობა მიიღო 1854-55 წწ. და 1863-64 წლების საომარ კამპანიებში, როგორც დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ადიუტანტმა. როცა დიდი მთავარი დანიშნულ იქმნა კავკასიის ნამესტნიკად, განსვენებული მსახურობდა მასთან საგანგებო მინდობილობათა ასასრულებლად, შემდეგ იყო კავკასიაში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად და სამოქალაქო ნაწილის მმართველად. 1876 წლიდან 1878 წლამდე გრაფი იყო ოდესის ქალაქის უფროსად და

1 მ. კეზევაძე — ერთი ტრაგიკული დღე გელათის ისტორიიდან — 1859 წ. 19 მაისი, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა პირველი სამეცნიერო კონფერენცია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, ქუთ. 1991, გვ. 80, 81

შემდეგ მსახურობდა სამხედრო სამინისტროში. არტილერიის გენერლობა ებოძა მას 1894 წელს“<sup>1</sup>.

აქ მოტანილ ფაქტებს დავუმატებთ, რომ ლევაშოვი დაჯილდოებული იყო რუსეთისა და უცხოეთის მრავალი ორდენითა და მედლით, ოქროს იარაღით. იგი იყო რუსეთის იუსტიციის მინისტრ ვრაფ პანინის სიძე და რაც მთავარია, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში — გელათის მონასტრის გაძარცვისას იგი დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ადიუტანტი, ლეიბ-გვარდიელთა საცხენოსნო არტილერიის კაპიტანი, შტუცერებისა და იარაღის გასაუმჯობესებელი კომიტეტის წევრად მსახურობდა 1858 წლის 2 დეკემბრიდან 1859 წლის 26 ნოემბრამდე. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად და სამოქალაქო ნაწილის მმართველად კი იყო 1867 წლის 16 აპრილიდან 1874 წლის 28 სექტემბრამდე.<sup>2</sup>

ამრიგად, ვ.ვ. ლევაშოვის უდანაშაულობა გელათის მონასტრის გაძარცვის საქმეში საეჭვო არაა. 1859 წელს ის საერთოდ არ იმყოფებოდა საქართველოში, დასახურებელი არც ისაა, რომ ქუთაისში გუბერნატორად ჩამოსულ ლევაშოვს გუბერნიის არქიტექტორი ვ.ვ. ვასილიევი აღარ დახვედრია — ამ თანამდებობას ს. მიანოვსკი ასრულებდა. ასე რომ, ლევაშოვ-ვასილიევის „დანაშაულებრივი კავშირიც“ არ დასტურდება.

ახლა თვით დაკარგული ნივთების შესახებ. გაძარცვისას გელათის მონასტრიდან, როგორც მონასტრის წინამდღვრის არქიმანდრიტი ნიკოლოზის პატაკიდან ჩანს, გაიტაცეს: „1) ხახულისა ღვთისმშობლის გული თავის შემკობილის თვლებით, მარგალიტით, ოქროებითა და ძვირფასის ოთხის ქვებითა ლალისა“ (რუსულ ტექსტში დაზუსტებულია — ხახულის ღვთისმშობლის ხატი კიოტის გარეშე ჩასმული ირგვლივ ოქროში „Икона Хахульская Божия Матери без киоты оправленная кругом золотом“). 2) ქრისტეს დაბადების დროს შენირული მოგვებთაგან ოთხკუთხიანი ოქრო თვალით და მარგარიტებით შემკობილი. 3) ქრისტეს სუდარი თავის ხატით და ძენკვით ვეცხლისა ოქროში დაფერილი (რუსულ ტექსტში აქაც დაზუსტებულია — „сущадаრის ნაწილი“).

1 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898 წ., 4.04 № 549, გვ. 4

2 ც.ს.ი.ა.ლ. ფ. 1284 ან. 51 ს. 180-1880

4) პატარა ვეცხლის ხატი ღვთისმშობლისა. 5) გელათისა ღვთის-მშობლის წინ დიდი კანდელი ვეცხლისა (რუსულ ტექსტში აქაც დაზუსტებულია — გელათის ღვთისმშობლის ხატის წინ დაკი-დებული). 6) ბარძიმი, ფეხშუმი, კოვზი და კამარა ოქროსი. 7) ორი ვეცხლის სურა. 8) სამი ლანგარი ვეცხლისა დიდი და პატარანი სებისკვერის გასაჭრელი. 9) ერთი ვეცხლის შანდალი. 10) ერთი დიდი შანდლის თავი ნაკლადნის ვერცხლისა. 11) თერთმეტი ოქ-როსი შარნები და ორი ამათგან დიდრონი. 12) ცამეტი ბეჭედი და სამი საყურე ვეცხლისა. 13) სამი ოქრო ხუთმანეთიანი. 14) ორი ვეცხლის ტაკუკები“<sup>1</sup>.

გელათის მონასტრის მღვდელ-მონაზონ ისააკის მიერ კი, რო-მელიც მომსწრე იყო გაძარცვისა, გატაცებული ნივთები ასეა აღნერილი: „ხატი ყოვლადწმიდისა ხახულისა მღთის მშობლისა თვისით სამკაულითურთ. ესე მრავალთა სმენილ არს, ხატი ესე ყოვლადწმიდისა მღთის მშობლისა მხატვრობითა ხელოვნებისა-თა დახატულ არს ლუკა მახარებლისა მიერ, ფიცარსა ზედა მას, რომელსაც ზედა იშვა თანადაუსაბამი მამისა ხორცითა იესუ, ძე მღთისა. ხოლო თვით სძითა ყოვლადწმიდისა მღვთის მშობლისა-თა შემზადით იყო ნამალი იგი მხატვრობისა, ვითა ცხოვრება მისი მოგვითხრობს. და სამკაული მას ზედა დიდი მეფის დავით აღმაშენებლის მიერ, რომელიც კეისრისაგან მოეძლვნა მარგა-ლიტითა თლვითა და ანთრაკითა, რომელ ვერცა რიტორთა და ფილოსოფოსთა შესაძლებელი არს ნივთთა ფასდადებად. ხოლო რაოდენიმე თამარ მეფისა მიერცა შენირულნი ნივთნიცა მას ზე-და და ყოვლად მეფებთაგანაც შენირულნი ნივთნი. ხოლო სამნი იგითვალნიშენირულნი დავით აღმაშენებლისი მიერ შუბლისათა-ნა იყო ყოვლად წმიდისა, რომელ მხილველნი ყოველნი განკვირ-ვებულ იყვნენ და არცა თანა სწორი მათსა პოვნილ არს. რომელ-თა სახელები ესე არს: ობოლი, კერძულა და მედევა...“ „და აცნა რომელნიცა ნივთნი მას დღესა მიტაცებული იქმნა მონასტერსა ამას გაენათისასა ესე არს: საყდარი ქრისტესი რაოდენიმე ნაწი-ლი თვის ოქროს ჭურჭლითა და მას ზედა დაბმული ვერცხლის ჯაჭვითა და ოდეს შობასა უფლისასა აღმოსავლით მოიწივნენ

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 7231 ფ. 17, 19

მოგვნი ახლად შობილისა უფლისა ძლვნისა შეწირვად და შეწირეს მას ოქრო, გუნდრუკი და მური. ხოლო ოქროთი იგი სრულიად მონასტერსა შიდა დასვენებულ იყო წინაშე მღვთისმშობლისა. სუდართა თანა დიდაბალთა ნივთთაგან შემკული, რომელსაც აქვნდა სიგრძე და სივრცე უმეტეს ხუთისა ვერშოკისა. და დიდისა მეფისა სოლომონის ძისა ალექსანდრეს მიერ ჩილპ (1780) წელსა შინა შეწირული ფეშუმი, კამარა და კობძი. ხოლო ვერცხლისა ტაკუკი ორი, ნალბაქი ვერცხლისა სამი და სასანთლე ვერცხლისა ორი და ამასთანავე ერთი ფრიად დიდი კანდელი ვერცხლისა. ყოველნივე ნივთი ზემოაღწერილი ერთბაშად მოტაცებულ არს“!

ხახულის ღმრთისმშობლის ხატის ყველაზე ადრინდელი და სრული აღნერა დაცულია რუსი ელჩების ტოლოჩანოვისა და იევლევის იმერეთში ელჩობის „მუხლობრივ აღნერილობებში“. კერძოდ, ალექსი იევლევი (გელათში იყო 1651 წლის 13 ივლისს), რომელიც ტოლოჩანოვზე „უფრო კეთილსინდისიერად გვამცნობს ფაქტებს“ და საეკლესიო საქმეებს „უფრო მეტ ადგილს უთმობს თავის აღნერილობაში“, აღნიშნავს: „საკურთხევლის ჩრდილო კარებთან მიტროპოლიტის ადგილისა და მარცხნა სამგალობლოს პირდაპირ რვაფურცლოვანი ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატია, წელსზედა გამოსახულების, მღლოცველი, ისე, როგორც მაცხოვრის „ვედრების“ ხატზე იხატება, ხელებაპყრობილი უფლისადმი, საუცხოოდ შემკულია. მიტროპოლიტმა გვიამბო, რომ ეს ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატი წმიდა, მსოფლიო მოციქულის, ლუკა მახარობლის დახატულიაო. ღვთისმშობლის ხატს პირისახე და ხელები მთელი აქვს, სურათი შესანიშნავად დახატული იყო, მაგრამ ახლა სამოსელი ჩამოცვენილია. გვირგვინი და არშიები ოქროთი არის მოჭედილი. გვირგვინში და არშიებზე ოცდაოთხი ჟოლოს ფერი იაგუნდია დიდი და საშუალო კაკლის ოდენა, ცისფერი და ყვითელი იაგუნდი და ზურმუხტი ორმოცდაორი ქვა, დიდი და საშუალო რუსული კაკლის ოდენა. გვირგვინის ქვების და ხატის კიდეები ორმუზდის დიდი მარგა-

1 თ. ალდამიძე — ხახულის ღვთისმშობლის ხატის ისტორიისათვის, თელავი, 1999, გვ. 6, 7

ლიტებით არის შემოყოლებული: ღვთისმშობელს შუბლზე კავი-ან ოქროს ბალთაზე ორმუზის რუსულ დიდი კაკლის ოდენა მარგალიტი აქვს. ღვთისმშობელს მკერდზე კომლის ფერი ალმასი აქვს, ხატიფია მცირე წახნაგებად, რუსულ კაკალზე მოზრდილია. ხატის შიგა ბუდე ოქროთი არის მოჭედილი და იაგუნდითა და ზურმუხტებით არის შემკული, საშუალო და მცირე ზომის ქვებით და მრავალი მარგალიტით, ხოლო დღესასწაულები, წმინდანები და ფირფიტები მინანქრით არის გამოსახული, ხოლო გარეგანი დიდი ბუდე მისი საკეტები და ბუდის თავი იმ ხატს ოქროთი დაფერილი ვერცხლით აქვს მოჭედილი, ბუდეზე და საკეტებზე დღესასწაულები და წმინდანებია ამოტვიფრული<sup>1</sup>. მოგვებისაგან ნაჩუქარ ოქროზე იევლევთან დაცულია ცნობა ზაქარია მიტროპოლიტის ნაამბობი, რომ გელათის დიდ ტაძარში დასვენებული დიდი ჯვრის „კიდობანი და მისი საკეტი იმ ოქროსაგან არის გაკეთებულიო, რომელიც ქრისტეს დაბადების ღამეს ღვთისმშობელს საჩუქრად მიართვეს სპარსელმა მოგვებმა“<sup>2</sup>.

ასეთივე ცნობებია დაცული ტოლოჩანოვთანაც, აქ დაზუსტებულია, რომ ღმრთისმშობელი „მარადიული ყრმით არ არის გამოსახულიო“<sup>3</sup>.

გაძარცვამდე ორი თვით ადრე, 1859 წლის 15 მარტს შედგენილ გელათის მონასტრის ნივთ-სამკაულთა აღწერილობაში ვკითხულობთ: „ხატი ხახულის ღვთის მშობლისა დახატული ლუკა მახარობლისა ფიცარსა ზედა ბაგისასა, რომელსა შინა მწოლარე იყო პირველ საუკუნო ყრმა სიმაღლით არის ათი და სივრცით რვა გრედმდე (გრე ტოლია დაახლოებით 6 სმ-ის). ასვენია ბუდე-სა შინა კარებიანსა. სრულიად და ხატის ბუდე და კარები შეჭედილი ოქროთი ფრიად მდიდრად შემკული სხვადასხვა ადგილთა ზე-და ძვირფასის დიდროანის, საშუალოს და წვრილის ქვებითა და მარგალიტითა მსხვილითა და საშუალითა. ხუთს ადგილს ბუდი-სასა ასვენია წმინდანთა ნაწილები, რომელთა ზედა არის ოქრო-

1 ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, თბ. 1969, გვ. 130, 131

2 იქვე, გვ. 131

3 ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა 1650-1652 წწ., თბ., 1970 წ., გვ. 113

სი ვარდები. ბუდე სიმაღლით არის ორს ადლამდე. მის წინაშე არს ოთხკუთხიანი ოქროს ფიცარი სიმაღლით და სივრცით სამ გრე ნახევარი. მას ზედა არს გამოხატული ოთხი ხატი: მაცხოვრისა, ღვთისმშობლისა, ნათლისმცემლისა და მთავარანგელოსისა, რომელიცა არის შემკული სხვადასხვა ძვირფასის ქვებითა და მარგალიტითა. ამას აკლია ექვსი მარგალიტი და ორი თვალი დიდის ხნით ამოცვენილი, ხატსა ზედა არს დამოკიდებული ოქროს შარნა ორი დიდი და მცირე ცხრა, ცხრამეტი ბეჭედი, სამი საყურე, ხატის წინაშე არს დამოკიდებული კანდელი ოქროსი, ექვსის არადიდრონის მოხრილის სასანთლებითა, ზევით თავზე რგოლის ქვეშე უზის ერთი იაგუნდი მოწითალო ლურჯი და ერთი ზურმუხტი ოთკუთხიანები. კიდევ მის წინაშე არს კანდელი არადიდი ვერცხლისა რომელიცა ჰყიდია დღეს მაცხოვრის წინაშე“!<sup>1</sup>

ასეთ განძს წარმოადგენდა გაძარცვული ხატი. ამიტომაც წერდა პირველსავე ავისმაუწყებელ პატაკში 1859 წლის 19 მაისს გელათის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ნიკოლოზი იმერეთის ეპისკოპოსს გერმანეს „დაფასება ამა ძვირფასისა ხატისა და ნივთებისა ჩემის მხრით ვერა ძალვლევ და ვერც სხვათა შესძლებს“<sup>2</sup> მღვდელმონაზონ ისააკის თქმით კი „ვერცა რიტორთა და ფილოსოფოსთა შესაძლებელ არის ნივთთა მათთა ფასდადება“.<sup>3</sup> სამაგიეროდ ნაძარცვი ადვილად შეაფასეს იმერეთის ეპარქიის მესვეურებმა. საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში გაგზავნილ მოხსენებაში მათ ხახულის ხატი 10 ათას მანეთად შეაფასეს, ოთხკუხა ოქრო — 600 მანეთად, სუდარა 100 მანეთად, ვერცხლის ხატი 50 მანეთად<sup>4</sup> (შედარებისათვის — 1899 წელს გელათის მონასტრის ეკლესიები შეფასებული იყო შემდეგნაირად: ღმრითსმშობლის შობის ტაძარი — 150 ათასი მანეთად, წმ. გიორგის ეკლესია — 30 ათასი მან., წმ. ნიკოლოზის — 20 ათასი მან. და სამრეკლო 13 ათასი მან).<sup>5</sup>

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 7116 ფ. 15

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 7231 ფ. 16

3 კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი № 3041

4 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 7231 ფ. 19

5 ქ.ი.ე.მ. გელათის მონასტრის არქივი, ფ. 6466, ს. 1297

მძარცველები ჩანს ძალიან ჩქარობდნენ — ხახულის ომრთის-მშობლის ხატი გაუტანიათ თუ არა მონასტრის ეზოდან, იქვე „დიდ კართან“ ჭედური ხატი აუგლეჯიათ ხის დაფაზე, დაფა კი ზევით, ყორის ძირში დაუგდიათ. მეორე დილით ნაპოვნ ორად გახეთქილ დაფაზე აღმოჩნდა აუგლეჯელი, „თექვსმეტი თვლები და ცხრა მარგარიტი, მარცხენა გვერდზედ ოქროს სალტით ამოცვენილის ერთის დიდის ქვით, და სამის პატარათი, ერთი მარცვლის მარჯნით ორის ვეცხლის ღილის ას ოთხმოცდათის მარგალიტით ერთის ბეჭდით და ორის პატარა ნაჭერის ოქროთი“.!<sup>1</sup> ამ შემთხვევით გადარჩენილი ძვირფასი თვლებიდან ერთი ლეგენდებში ნახსენები კედელა იყო, მარგალიტების ნაწილი კი საზიკოვის დამზადებული ახალი ხატის (რომელიც ძველი ხატის დაფაზე იყო გადაკრული) მშვენება გახდა. ახალი ხატი კი 1906 წელს შემდეგნაირადაა აღნერილი: „ხატი ხახულისა ღვთის-მშობლისა სივრცით 12X9 ვერშოკი, ფიცარზედ მოხატული და ფრიად დაძველებული რის გამოთ წამალი გადასულა და ხატს მკრთალი ფერი დასდებია: უზის 68 სხვადასხვა თვალი, იმათში ერთი მეტად დიდია — კედელა — და 87 მარგალიტი“.<sup>2</sup>

ახლა იმის შესახებ, თუ რა ვითარებაში მოხდა გელათის მონასტრის გაძარცვა. გაძარცვისას მონასტრის წინამძღვარი იყო არქიმანდრიტი ნიკოლოზი (ნიუარაძე), რომელიც ამ მოვალეობას ასრულებდა 1859 წლის 9 აპრილიდან<sup>3</sup> (მანამდე ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარი იყო). იმერეთის ეპარქიას მართავდა ეპისკოპოსი გერმანე (ვოგოლაშვილი), საქართველოს ეგზარქოსი კი — მთავარეპისკოპოსი ევსევი (ილინსკი), შემდეგში გაპრიელ ეპისკოპოსის დიდი მოძულე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონასტრის გაძარცვა მოხდა 1859 წლის 18-19 მაისის ღამეს. იმ ღამეს არქიმანდრიტი ნიკოლოზი მონასტერში არ იმყოფებოდა — ეპისკოპოს გერმანესადმი 19 მაისს გაგზავნილ პატაკში ის წერდა: „გუშინდელს რიცხვსა დილის მერვე საათზედ მე წამოვედი რწმუნებულის ჩემდამო გაენათის მონასტრიდამ ქალაქსა

<sup>1</sup> ქ.ი.ე.მ. გელათის მონასტრის არქივი, ფ. 6466, ს.1297, ფ.17

<sup>2</sup> ქ.ც.ს.ა. ფ. 296 ს. 153 ფ. 139

<sup>3</sup> ქ.ც.ს.ა ფ. 21 ს. 7231 ფ. 26

ქუთაისს საჭიროს საქმისათვის, სადაცა დღევანდელსა რიცხვსა დილით მეშვიდე საათზედ მომივიდნენ მოამბეთ მღვდელ-მონაზონი ვენედიქტე და მოსნავლე მღვდლის შვილი ესტატე ჯიშკარიანი, სამწუხაროდ ჩემდა განმიცხადეს გაქურდვა წუხანდელს ლამეს მომხდარი გაენათის მონასტრის, რომლიდგან გაუტანიათ ძვირფასნი ხატნი და ნივთები<sup>1</sup>. არქიმანდრიტ ნიკოლოზის ეს პატაკი, რომელიც 19 მაისსა დანერილი, როგორც ირკვევა გელათში რატომდაც იმერეთის ეპარქიის კანცელარიაში 22 მაისს მიღებულადაა გატარებული (?)! არადა 19 და 20 მაისს გელათის მონასტერში ქუთაისის გუბერნიის სასამართლომ ეპარქიის კანცელარიისგან (თუ ეპისკოპოსისგან?)! ინფორმირებულმა დათვალიერება-დაკითხვა ჩაატარა, რომელსაც სასულიერო მხრიდან ესწრებოდა მღვდელი ბერეკაშვილი, რომელსაც 19 მაისს ეს მისია „სხვაგან მყოფობისა გამო ეპისკოპოსისა“ დეკანოზმა გიორგი გამრეკელმა დაავალა.<sup>2</sup> როგორც ჩანს იმერეთის ეპისკოპოსი გერმანე იმუამად ქუთაისში არ იმყოფებოდა, ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ეპისკოპოსმა მომხდარ გაძარცვაზე საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას მხოლოდ 23 მაისს აცნობა.<sup>3</sup>

საგამომძიებლო კომისია დაინტერესდა თუ რატომ არ იცავდნენ მონასტერს გაძარცვისას დარაჯები, მაშინ, როცა როგორც ეპისკოპოსი გერმანე წერდა, მონასტერში მუდმივად დარაჯების ყოფნაზე არსებობდა ქუთაისის მაზრის უფროსის 1858 წლის 30 ივნისის განკარგულება. სამწუხაროდ თვით ეპისკოპოსიც ვერ ხსნიდა თუ რატომ არ სრულდებოდა ეს განკარგულება.<sup>4</sup> არც უნინდესი სინოდის ის გადაწყვეტილება სრულდებოდა, რომლის ძალითაც 1822 წლიდან 7 საეკლესიო გლეხი გათავისუფლებული იყო ყოველგვარი გადასახადი ვალდებულებისაგან რათა გელათის მონასტერში ეყარაულებინათ.<sup>5</sup>

გელათის მონასტრის წინამდღვარმა არქიმანდრიტმა ნიკო-

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 7231 ფ. 16

2 იქვე, ფ. 11

3 იქვე, ფ. 18

4 იქვე, ფ. 27

5 ს.ც.ს.ს.ა. ფ. 489 ან 1 ს. 19050 ფ. 18

ლოზმა ეჭვი გაძარცვაზე მიიტანა მონასტრის „კლიუჩერზე“ (კლიტემპყრობელზე), მღვდელ სვიმონ ჭირაქაძეზე,<sup>1</sup> რომელიც იმუამად 75-ზე მეტი წლის იყო და საერთოდ დადებითად ხასიათ-დებოდა და მის შვილზე მღვდელ-მონაზონ ვენედიქტეზე, მანამ-დე კი დაიკითხნენ შემდეგი პირები: პეტრე ავალიანი, ანადაგოვი, მაზაპაშვილი, აბაშიძე და სხვები, თუმცა ვერაფერი სამხილი ვერ უპოვეს.<sup>2</sup> გამოძიება მღვდელ-მონაზონ ვენედიქტეს (ბესარიონი) ბრალეულობაზე განსაკუთრებით იმიტომ შეჩერდა, რომ მის გამო ბოლო 10 წლის განმავლობაში სინოდის კანტორაში ორი საქმე იყო უკვე შექმნილი მის უწესო, ბერისათვის შეუფერებელ საქციელზე და მისსავე სიტყვებზე, რომ „მონასტრის გაძარცვას თქვათ ვიღებ ჩემ თავზე მაგრამ ნივთებზე არაფერი არ შემიძლია ვთქვა“ და რომ უცო პირი ვინაც არ იცოდა ვერავინ ვერ გააღებდა და ამოიღებდა დაუზიანებლად ხახულის კარედიდან ხატს. ამას ამბობდა იმ დროს, როცა მამამისი მღვდელი სიმონ ჭირაქაძე ამტკიცებდა, რომ კარედის გასაღები ინახებოდა მასთან, ხანდახან კი მის ვაჟთან ვენედიქტესთან.<sup>3</sup>

1859 წლის დეკემბერში ეპისკოპოს გერმანეს წინადადებით დაპატიმრებული იქნენ მამა-შვილი სვიმონ და ვენედიქტე ჭირაქაძები.<sup>4</sup> მანამდე კი 1859 წლის 3 ოქტომბერს მღვდელ-მონაზონი ვენედიქტე წერდა საგამომძიებლო კომისიის წევრებს მიზანდაროვს და ბაქრაძეს თუ რატომ გაათავისუფლეს კომისიის შემადგენლობიდან სასულიერო მხრიდან დანიშნული დეპუტატი მღვდელი დავით ბერეკაშვილი და მოითხოვს მის მავივრად დანიშნული მღვდლის, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასნავლებლის თადეოზ კანდელაკის გადაყენებას, რომელიც არიქმანდრიტ ნიკოლოზის „მირონი“ იყო, მას უჭერდა მხარს და გამოძიებას დიდი სიმკაცრით ატარებდა. ვენედიქტეს ამ თხოვნის პასუხად საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ 1860 წლის 15 მარტს ქუთაისის გუბერნატორს მიწერა, რათა არ და-

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 7231 ფ. 34

2 იქვე, ფ. 110

3 იქვე, ფ. 116, 117

4 იქვე, ფ. 41

თანხმებულიყვნენ („არაფრით არ შეიძლება“) კანდელაკის გადა-  
ყენებას, მიზანდაროვი კი შეეცვალათ.<sup>1</sup>

კომისიის მოძიებული საქმე ქუთაისის სამოქალაქო გუბერ-  
ნატორმა 1860 წლის 18 ივნისს ქუთაისის საგუბერნიო სასამარ-  
თლოს გადასცა.<sup>2</sup> 1860 წლის 7 დეკემბერს საქმე განხილული  
იქნა, სადაც როგორც ვენედიქტე წერს: „მე განმათავისუფლა  
სახორციელო მსაჯულმან, აღმოჩენისამებრ ჩემის სიმართლისა.  
ხოლო ერთად საქმისთანა გამგზავნეს ეპისკოპოსთანა (გაბრიელ  
ეპისკოპოსთან — მ.კ.), რომელსაცა მიაჩემეს განთავისუფლება  
ჩემი, გარნა მისმა მეუფესობამ არა ინება განთავისუფლება ჩემი  
ტყვეობისაგან, არამედ მიუხედავად ყოვლის ჩემის სიმართლისა  
და უცნობელის ჩემდა მიზეზისა დამამტყვევა კვალათ ნაუბახთსა  
შინა“.<sup>3</sup> სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ქუთაისის  
სამოქალაქო გუბერნატორმა გადაწყვიტა საქმე წარედგინა კავ-  
კასიის მფილისნაცვლისათვის სენატში განსახილველად, მანამდე  
კი ბრალდებული ყოფილიყო ეპისკოპოსის ზედამხედველობის  
ქვეშ, რაზედაც გაბრიელ ეპისკოპოსმა უპასუხა, რომ ეს საკითხი  
ეპარქიის სამღვდელოების კომპეტენციაში არ შედის და კონსის-  
ტორიის საქმეა.<sup>4</sup> გელათის მონასტრის გაძარცვის საქმე 1863  
წელს მართლაც განიხილა რუსეთის სენატმა, რომლის გადაწ-  
ყვეტილების საფუძველზე ქუთაისის გუბერნიის სასამართლომ  
მღვდელ-მონაზონი ვენედიქტე, როგორც გაძარცვაში უდანაშაუ-  
ლო გაათავისუფლა და 1863 წლის 10 აპრილს გადასცა გაბრიელ  
ეპისკოპოსს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გა-  
დაწყვეტილების აღსასრულებლად, რომელიც ითვალისწინებდა  
მღვდელ-მონაზონი ვენედიქტე ყოფილიყო მკაცრი ზედამხედვე-  
ლობის ქვეშ როგორც სხვა, ბერისათვის შეუფერებელ საქციელ-  
ში (უზნეო, საარშიყოცხოვრება და სხვა) შენიშნული. მას არ ჰქონ-  
და უფლება ეცხოვრა გელათის მონასტერში, უნდა გაეგზავნათ  
სადმეშორეულ მონასტერში. ასეთ მონასტრად გაბრიელ ეპისკო-  
პოსმა ჩათვალა შორაპნის მაზრაში მდებარე ვანის მონასტერი,

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 7231, ფ. 34, 37, 42, 54

2 იქვე, ფ. 65

3 იქვე, ფ. 98

4 იქვე, ფ. 92

სადაც 27 აპრილს ჩავიდა წოდება-ხარისხ აყრილი ვენედიქტე (ბესარიონ ჭირაქაძე). აქ იყო ის მონასტრის გაუქმებამდე, ხოლო შემდეგ გადაყვანილი იქნა ჯრუჭის მონასტერში, სადაც შეხვდა მას 1903 წელს სარევიზოდ ჩასული არქიმანდრიტი (შემდეგში კათალიკოს პატრიარქი) ამბროსი (ხელაია), რომელიც თანაგრძნობით აღწერს ვენედიქტეს მძიმე მდგომარეობას მის პატიოსან მოღვაწეობას, ავტორიტეტს და სურვილს, რომ სიკვდილამდე ეღირსოს სასულიერო ხარისხის დაბრუნება.<sup>1</sup> რაც შექება მამამისს, ის უფრო ადრე იქნა ცნობილი უდანაშაულოდ, მაგრამ სიბერის გამო კლიტეთმპურობელი მღვდლის თანამდებობიდან 1861 წლის მაისში გაათავისუფლეს.<sup>2</sup>

ასე დასრულდა ოფიციალურად 1859 წლის 19 მაისს მომხდარი გელათის მონასტრის გაძარცვის სასამართლო საქმე, თუმცა შემდეგაც გამოჩნდებოდნენ ხოლმე გატაცებული ნივთების მნახველნი, რომელთაგან გამოკვეთილად ჩანს ორი ვერსია: პირველი უკავშირდება დეკანოზ გიორგი გამრეკელის მოძიებულ ფაქტებს. 1865 წლის 16 ივნისს ის ახალციხიდან გაბრიელ ეპისკოპოსს შემდეგ წერილს წერს: „....ყ “დ უსამღვდელოესო მეუფეო! ვისწრაფი მოხსენებათ გელათის ნივთების გარემოებასა ზედა, რა გიახელით მე და ივან ივანიჩი ახალციხეს აქ ორი სომები აქაურნი ვაჭარნი გიახლნენ ჩვენთან და მოგახსენესთ, რომ იმათ არზრუმს ენახათ გელათის გამტეხნი და ნამდვილად შეეტყოთ თუ ნივთები ვის მიხვდათ და დღესაც იციან სადაც საცეცხლური კიდია ვინ ბარძიმ ფეშუმი დაამტკრია და ოქროები ვისა აქვს. ჩვენ მრავალგზი გამოვიკითხეთ დაწვრილებით რომ არ შევიქმნეთ დატყუებულნი ფიცით აღვითქვეს უკე თუ ამაზედ მთავრობა ყურადღებას მოილებსო ესრეთ, რომ ერთი კეთილსაიმედოვნო ჩინოვნიკი გაგვატანონ არზრუმის სარასკართან რომ იქაურმა ჩვენმა კონსულმა ჟაბამ არ იცოდესო, რადგან იმისი პერევოდ-ჩიკები ურევია ამ საქმეში და იმათაც მიხვდათ ნაწილი გელათის

<sup>1</sup> ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 7231, ფ. 120, 121, 126

<sup>მ.</sup> კეზევაძე, იმერეთის სამონასტრო ცხოვრება მე-20 ს-ის დამდეგს. „საისტორიო მოამბე“ № 75-76, თბ. 2002-2003, გვ. 257-258

<sup>2</sup> იქვე, ფ. 95

ნივთებისა, ეს საქმე არ უნდა იცოდეს არც უ. დომბროვსკიმ (ახალციხის მაზრის უფროსი — მ.კ.), რადგან ამასაც ეს კაცები დაულახავს, როდესაც მოუხსენებიათ გელათის გარემოებაი და ამათი მიცემული განცხადება ჩაუღუპავს განზრახვით. ამ საცოდავებმა გუშინ საიდუმლოდ ბორჯომს წავიდნენ და ღენერალ-ლუბერნატორს თავის საქმეზე და ამაზედაც არზა მიართვეს და იხვენებიან თქვენის მეუფების მხრით შემწეობას ბაშფორთისა (პასპორტი — მ.კ.) და შემწეობის მიცემაზედ.

მე ასე ვსჯი ამ საქმისათვის, ნუ დაიშურვებს თქვენი მეუფება გაენათის მონასტრისათვის ნურცა შრომასა და ნურცალა მცირედსა ხარჯსა ეკულესიისაგან, ის კაცები როგორც საზოგადოებისაგან საიდუმლოდ გამოვიყითხე არიან სანდონი და სრულიად ნურც იმათზედ დავენდობით ივან ივანიჩიც წავატანოთ და გაენათის ღმრთისმშობლის მეოხებით იმოქმედონ და იქმნება ინებოს ღმერთმან და არ დაჰფაროს დიდის ხნით მართლმადიდებელთაგან პატივცემულის ხატის განძარცვად და თქვენის მღვდელმთავრობის დროს გამობრწყინდეს საქმე სიხარულევანი ყოველთა მართლმადიდებელთათვის და თითქმის სასწაულიც იქმნება ამ საქმის აღმოჩენა. ნუ დაიშურვებთ თქვენს მოწყალებასა ამას ზედა მეუფეო ჩემი და ეკლესიათათვის, რწმუნებულთა თქვენისა მწყემსმთავრულისა კვერთხისადმი კეთილმზრუნველო და ღვიძარებით ზედა მდგომელო, ეს საქმე სხვა საქმეს არა ჰგავს“.<sup>1</sup> ამ წერილის მიღებისთანავე გაბრიელ ეპისკოპოსმა საქმის კურსში ჩააყენა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-ადიუტანტი თავადი სვიატოპოლკ-მირსკი და საქართველოს ეგზარქოსი. დოკუმენტებიდაგნ ირკვევა, რომ თავიდან დომბროვსკის კარგად დაუწყია საქმის გამოძიება, მაგრამ შემდეგ პირიქით დაშინება დაუწყია და უცემია კიდეც მოენე სომეხი ვაჭრები მარტიროსოვი და კასპაროვი, რომლებიც პირდაპირ ხელს ადებდნენ ერზრუმში რუსეთის კონსულს და მის თარჯიმანს გაჯი აკოფ ყაუხჩივს დაკარგული ნივთების კვალის დაფარვაში. 1866 წლის 7 მაისით დათარიღებულ მიმართვაში კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის ბარონ ნიკოლაისაგან ქუთაი-

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 7231, ფ. 146

სის გენერალ-გუბერნატორისადმი კარგად ჩანს თუ როგორ იქნენ დაშინებული მარტიროსოვი და კასპაროვირუსი ჩინოვნიკებისა-გან თუ მათგან მიწოდებული ფაქტები არ დადასტურდებოდა.<sup>1</sup> ფაქტიურად ასე მთავრდება დეკანოზ გამრეკელის ვერსია.

მეორე ვერსია უკავშირდება არქიმანდრიტ (შემდეგში კათოლიკოს-პატრიარქ) ამბროსი ხელისა სახელს. გელათის მონასტრის რევიზის დროს 1903 წელს მას ერთ-ერთი ბერისაგან მოუსმენია, ამ უკანასკნელისათვის კი 7 წლის უკან ძველი ათონის ქართველთა სავანის ბერს თეოდორეს (ბათლომე დონდუას) უამბნია, რომ ვინმე ქუთასელ ვაჭარ-კათოლიკ შეუძნია ძვირფასი საეკლესიო ნივთები უცნობი გზით და წაუღია რუსეთში გასაყიდლად. მდიდარ ვაჭარს, რომლისთვისაც მას ეს ნივთები შეუთავაზებია, უნახავს რა, უარი უთქვამს ყიდვაზე, რამდენადაც ისინი ისე ძვირფასი იყვნენ, რომ მას მათ შესაძნად თანხა არ ეყოფოდა და რაც მთავარია, ეს ნივთები უთქველად ეკუთვნოდა რომელიმე მდიდარ ეკლესიას და შეუძლებლად მიაჩნდა მისი ასე ღიად გაყიდვა. ქუთასელი ვაჭარი ისე შეაშინა მისმა ნაამბობმა, რომ თხოვა არ გაემხილა ეს საიდუმლოება, მიეცა სამგზავრო თანხა და დაუტოვა ნივთები. რუს ვაჭარს მისთვის მიუცია 300 მანეთი და ქუთასეში დაბრუნებულა. არქიმანდრიტ ამბროსის თქმით ბერს ეჭვი არ ეპარებოდა ამ ფაქტის სისწორეში და, რომ ეს საეკლესიო ნივთები გელათის მონასტერს ეკუთვნოდა და რომლებიც 1859 წლის 19 მაისს გაიტაცეს.<sup>2</sup>

ძნელი სათქმელია რა აქვს ამ ორ ვერსიას საერთო და საერთოდ ორივეს რამდენად რეალურად აქვს შეხება ზემოთხსენებულ გაძარცვასთან. მხოლოდ ძალიან დიდი რისკის ფასად შეიძლება ვარაუდი, ხომ არაფერი კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან ქუთასელ კათოლიკე ვაჭარს და რუსეთის საკონსულოს თარჯიმანს ყაუხხოვს? სამწუხაროდ ეს ვარაუდიც ისევე დაუსაბუთებელი რჩება, როგორც მძარცველთა ვინაობა.

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 7231, ფ. 147-154

2 მ. კეზევაძე — იმერეთის სამონასტრო ცხოვრება მე-20 ს-ის დამდეგს, „საისტორიო მოამბე“, № 75-76, თბ. 2002-2003, გვ. 245

§5 XIX ს-ის 60-70-იან წლებში გელათის მონასტრიდან გათაცებული სიძველეები – 1859 წლის 19 მაისს გელათის მონასტრიდან ხახულის ხატის გაძარცვას XIX ს-ის 60-70-იან წლებში მოჰყვა ამავე მონასტრიდან მრავალი ძვირფასი ნივთ-სამკაულის დაკარგვა, რის შესახებაც თავის დროზე ერთეულებმა იცოდნენ. საქმის გახმაურება განაპირობა 1875 წელს გაზეთებში „Голос“-სა და „დროება“-ში მოთავსებულმა პუბლიკაციებმა. გაზეთები ამ პუბლიკაციებით აღნიშნულ ფაქტზე ბრალს დებდნენ იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს და გელათის მონასტრის წინამდლვარს არქიმანდრიტ ბესარიონს (შემდგომში სამეგრელოს ეპისკოპოსს). საკითხის შესწავლით დასტურდება, რომ 1869 წელსაა გატანილი მონასტრიდან ის ნივთები, რომლის სავარაუდო სიაც დაბეჭდეს ხსენებულმა გაზეთებმა. „გაზეთში შავით თეთრზე ეწერა: 1) შეცვლილია ძველი ხელნაწერი ევანგელიეს ძვირფასი ყდა, 2) დაზიანებულია ოქროთი მოსირმული პატრიარქის სამოსელი, 3) გაქრა ღვთისმშობლის ხატი ძვირფასი ქვებით შემკული, 4) სვანეთიდან კი – ძველი ევანგელე და სხვ. გაზეთი ამატებს: „აი, ამ ხმებმა აღაშფოთა საერთოდ აუღელვებელი და მორჩილი მოსახლეობა (მხედველობაში ჰყავთ ქართველები – ნ.ნ.). ან ვის არ აღაშფოთებდა ასეთი უცერემონიო დამოკიდებულება ხალხისათვის საგოგმანებ ნივთებთან“. უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთი ვერც გატანილი ნივთების სიის უტყუარობას ადასტურებს და ვერც იმას ბედავს, რომ ამ ფაქტების უცილობლობაში დაარწმუნოს მკითხველი<sup>1</sup>. აღნიშნულ საგაზეთო პუბლიკაციებთან ერთად 1875 წლის 3 მარტს ქუთაისიდან საქართველოს ეგზარქოს ევსევის სახელზე გაიგზავნა დასმენა გაბრიელ ეპისკოპოსზე, რომლითაც ბრალი ედებოდა ეკლესია-მონასტრებიდან სხვადასხვა ძვირფასი ნივთების დაკარგვაში. ცოტა მოგვიანებით ასეთივე შინაარსის ნერილი გაეგზავნა რუსეთის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორ გრაფ დ. ტოლსტოის, ორივე ნერილს ერთი ხელმოწერა ჰქონდა — „სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთგული შვილები.“<sup>2</sup>

1 6. ნადარაია — „გელათის საქმე“ და გაბრიელ ქიქოძე. „სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი“ №37-39, თბ. 1980 გვ. 56

2 ს.ც.ს.ს.ა. ფ. 489, ან. 1, ს. 33128 ფ. 1, 7, 83

სანამ დასახელებული დაკარგული ნივთების შემდგომ ბედზე ვისაუბრებდეთ, უფრო დეტალურად აღვნიშნავთ მათ შესახებ ნ. დურნოვოს წიგნზე („ქართული ეკლესის ბედი“, მოსკოვი 1907) დაყრდნობით შემდეგს: „გელათის მონასტრის საეკლესიო სალაროში 1870 წლამდე ინახებოდა მილიონად ღირებული განძ ეულობა; მათ შორის იყო: 1) ოქროთი მოჭედილი, ტიხორული მინანქრით გაწყობილი XI საუკუნის უძველესი ქართული სახარება“. „ეს სახარება ეგზარქოს ევსევის ნებართვით გელათიდან გაიტანა ქუთაისის გუბერნატორმა ლევაშევმა, რომელმაც მოხსნა ოქროს მოჭედილობა და იგი შეცვალა საზიკოვის იაფთასიანი ვერცხლის ნახელავით. ამჟამად ეს ძვირფასი ოქროს მოჭედილობა ინახება პეტერბურგში, სტროგანოვის მუზეუმში, სადაც იგი გრაფ პანინის მიერ იქნა ჩატანილი. ინგლისელები სახარების ოქროს მოჭედილობაში იძლეოდნენ ასი ათას ფუნტ სტერლინგს. 2) ოქრომკერდით მოქარგული და მსხვილი მარგალიტით მორთული აბრეშუმის სქელი ქსოვილისაგან შეკერილი იმერეთის კათალიკოსების პატრიარქის შესამოსელი...“

„ეს ძვირფასი შესამოსელი კონსტანტინოპოლის დაცემამდე იყო დამზადებული, მისგან 8 ფუნტი ოქრო გამოადნეს, ხოლო ლალი და მარგალიტი გამოყენებული იქნა გულქანდების დასამზადებლად...“

იმერეთის კათალიკოსის პატრიარქის შესამოსელზე, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ცნობილია შემდეგი: სამღვდელმთავრო ბისონზე ამოქარგული იყო რწმენის სიმბოლო ბერძნულ ენაზე, მარჯვენა სახელოზე — რწმენის სიმბოლოს პირველი წევრი, ბისონის წინა ნახევარზე (რომელიც გაყოფილი იყო ამოქარგული 12 მოციქულის ეპიტრაქილით) შემდეგი ექვსი წევრი, მარცხენა სახელოზე — მერვე, მეცხრე, მეათე; უკანა მხარეზე გამოსახული იყო ტახტზე დაბრძანებული მაცხოვარი ქრისტე წიგნით ხელში. მის ზემოთ მეთერთმეტე წევრის სიტყვები, ქვემოთ კი — მეთორმეტის. როცა პატრიარქი კათედრაზე დაჯდებოდა, სამოსელის უკანა ნახევარი გადაიფინებოდა. ასე რომ, სარწმუნოების გამოცხადებას ყველა ხედავდა. მარგალიტით მოოჭვილი მიტრა დამშვენებული იყო ბრილიანტის ჯვრით,

რომელიც ერთ დროს მეფე ვახტანგის (446-491) გვირგვინს ამ-კობდა. ეს მსხვილი ბრილიანტი ვახტანგ მეფემ სპარსეთში ლაშ-ქრობის დროს მოიპოვა.

ჯვარი, რომელიც იმერეთის კათალიკოსს მიუძღვდა წინ, მთლიანი ლალისა იყო, ამჟამად სარდიონის ქვისაგანაა შეცვლილი<sup>1</sup> და იქვე ავტორი წერს: „განძეულის დატაცებასა და ძარცვა-ში ადანაშაულებდნენ გრაფ პანინსა და გენერალ ლევაშევს, რომ-ლებმაც ნებართვა ეგზარქოსს ევსევისაგან აიღეს“.<sup>2</sup> რეალურად საქმე მართლაც ასე იყო, თუმცა ზემოთხსენებული საგაზეთო პუბლიკაციებით დაწყებული კამპანია გაბრიელ ეპისკოპოსის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ უკანასკნელმა, რათა თავიდან აეცილებინა ხმები „თითქოს მან აჩუქა, გადასცა სამონასტრო საგანძურები უცხო პირებს“, მოითხოვა აღნიშნულ საკითხზე გა-მოძიება. საგამომძიებლო კომისიამ, რომელშიც საქართველოს ეგზარქოსს ევსევისთან ერთად გაბრიელ ეპისკოპოსი და სხვა სასულიერო პირები შედიოდნენ, გელათის მონასტრისა და გაზე-თებში ნახსენები სხვა ეკლესია-მონასტრების შემოწმების შემ-დეგ რუსეთის უწმინდეს სინოდს აცნობა, „რომ გაზეთების ცი-ლისწამება ძირითადში არ შეესაბამება სიმართლეს“.<sup>3</sup> პასუხით უკმაყოფილო ცილისმწამებლებმა უწმიდეს სინოდს ახალი კო-მისიის დანიშვნა მოთხოვეს. მართლაც 1876 წელს ეგზარქოსმა დანიშნა ახალი კომისია საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პროკურორის ანდრეევისა და კანტორის წევრის არ-ქიმანდრიტ მაკარის შემადგენლობით ქუთაისისა და გელათის ეკლესია-მონასტრების შესამოწმებლად.

როგორც მკვლევარი ნ. ნადარაია აღნიშნავს: „ამ კომისიის მუშაობის შედეგად ცნობილი გახდა, რომ 1869 წელს გრაფი-ნია ლევაშოვამ, თვით გამოთქვა სურვილი გელათის მონას-ტრისა და ქუთაისის საკათედრო ეკლესიებისათვის სამღვდელ-თმსახურო სამოსელის შეკეთებისა, რაც გაკეთდა უშუალოდ გელათის მონასტრის მაშინდელი წინამდლვრის ბესარიონისა და

1 ნ. დურნოვო — ქართული ეკლესიის ბედი. ჟურ. „განთიადი“ 1990 №10 გვ. 40, 41.

2 იქვე, გვ. 41

3 ნ. ნადარაია — „გელათის საქმე“ და გაბრიელ ქიქოძე. „სამეცნიერო-სა-ინფორმაციო ბიულეტენი“, №37-38, თბ. 1980 გვ. 56

გაბრიელ ეპისკოპოსის უშუალო თანხმობით. შეირჩა უამრავი მოძველებული, დაზიანებული და არამაღალმხატვრული ნივთი, რომელთა განახლების შემდეგ შეიძლებოდა მათი გამოყენება მღვდელთმსახურებისათვის. ეგზარქოსის ამ მოხსენებით ბარათ-ში ჩამოთვლილი ყველა ის ნივთი, რომელიც უნდა გაყიდულიყო (ნაკლებღირებული) ან შეკეთებულიყო პეტერბურგში, რათა მათ ნაცვლად შექმნილიყო სამღვდელ-მსახურო საჭიროების საგნები. ყოველივე ეს გაფორმდა ოფიციალურად და ხელმოწერით გრაფინია ლევაშოვას მხრიდან, ეგზარქოსი ჩამოთვლის ზუსტ სიას, რა გაიტანა და განახლების შემდეგ რა დააბრუნა ლევაშოვამ. უფრო მეტი სიცხადისათვის აქვე დავასახელებთ ზოგ ნივთს, რომელიც ლევაშოვას გადაეცა. მაგ.: „ქვები ნაკლებღირებული, სერდოლიკის, მთის ბროლი გაიყიდოს, რათა თანხა გამოყენებული იქნას შესამოსელის შესაძნად, სხვადასხვა ვერცხლის პატარა ნივთები, ღილები გაიყიდოს წონითა და შესაბამისი ფასით, და მონაგები გამოყენებულ იქნას მონასტრის საჭიროებისამებრ, დიდი მიტრა, ძველი, უკვე დაცვეთილი უხვად შემკული ვარდისფერი ლალითა და მარგალიტით, გადაკეთდეს“ და ა.შ. გარდა ამისა, წერს ევსევი, გრაფ პანინს, გრაფინია ლევაშოვას ძმას მისი სურვილისამებრ გადაეცა ძველი ხელნაწერი სახარება დაზიანებული ყდით, რომელიც მან საკუთარი სახსრებით შეაკეთა, გაუკეთა ვერცხლის ახალი ჩარჩო, ოღონდ არ დააბრუნა ძველ ყდაზე დამაგრებული ორი ტიხორული მედალიონი, რომელიც გაცილებით ძვირადღირებული იყო. ეგზარქოსი ამტკიცებს, რომ ამ საგამომდ იებლო კომისიის მუშაობის შემდეგ მან პირადად დათვალიერა გელათისა და ქუთაისის ტაძრები და ვერ აღმოაჩინა დაკარგული ღვთისმშობლის ხატი. ყველაზე დიდ დანაკარგად იგი თვლის აღმასის ჯვარს კათალიკოსის მიტრაზე დამაგრებულს, სასწაულ-მოქმედს ხალხის რწმენით, პანინის მიერ წალებულ ტიხორულ მედალიონებს და გრაფ ლევაშოვის მიერ სვანეთიდან 50 მანეთად შესყიდულ ძველ ბერძნულ ევანგელეს. დანარჩენი ნივთები, რომლებზეც ასე ახმაურდა გაზეთები, ადგილზე აღმოჩნდა დაუზიანებელი“.<sup>1</sup>

1 ნ. ნადარაია — „გელათის საქმე“ და გაბრიელ ქიქოძე. „სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი“, №37-38, თბ. 1980, გვ. 55, 57, 58

გაბრიელ ეპისკოპოსის ყოველგვარი ცდა დაებრუნებინა ზე-მოთ ხსენებული ნივთები, გარდა გუბრენატორ ლევაშოვის მიერ სვანეთში ნაყიდი სახარებისა, უშედეგო აღმოჩნდა. გრაფ პანი-ნის მიერ გელათის სახარების ყდაზე ახსნილი ორი ტირზულმი-ნანქრიანი მედალიონი მოსკოვის ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმში აღმოჩნდა მუზეუმის ერთ-ერთი დამაარსებლის ბალა-შოვის მეშვეობით, ხოლო გუბრენატორ ლევაშოვის მიერ სვანე-თიდან გატანილი სახარება კი კავკასიის მუზეუმში, საიდანაც ის კავკასიის მეფისნაცვლის ნებით გაბრიელ ეპისკოპოს გადაეცა, ამ უკანასკნელმა კი გელათის მონასტერში დაუდო ბინა. ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმში მოხვედრილი მედალიონები კი მოგვიანებით გაბრიელ ეპისკოპოსის მუზეუმისათვის „ნებაყოფ-ლობით“ გადაცემულად დაფიქსირდა.<sup>1</sup>

1886 წელს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში გელათის მონასტრის ბერ-დიაკონმა ვენედიქტემ (ბენედიქტე) ორი საჩივარი შეიტანა მონასტრის წინამდღვარ არქიმანდრიტ სერაპიონზე, მის უუნარობაზე და მისგან საეკლესიო სიწმინ-დეების უპატივცემულობაზე, საეკლესიო ქონების განივებაზე. საჩივრების კონკრეტული ტექსტი ჩვენთვის უცნობია, ფაქტი ერთია, საქართველოს ეგზარქოსმა არქიეპისკოპოსმა პავლემ 1886 წლის 1 სექტემბერს ორივე საჩივარი კონფიდენციალურად გამოუგზავნა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს რეაგირებისათ-ვის და შესაბამისი პასუხის გასაცემად.<sup>2</sup> სწორედ გაბრიელ ეპის-კოპოსის მიერ ეგზარქოსისათვის გაგზავნილი პასუხიდან სჩანს კონკრეტულად რა პირობებში დაწერილა საჩივრები და რაზე იყო მათში საუბარი: 1886 წლის ივლისში ქუთაისში გაბრიელ ეპისკოპოსთან მისულა გელათის მონასტრის მღვდელ-მონა-ზონი დანიელი და მოუხსენებია, რომ ბერ-დიაკონ ვენედიქტეს უნდაო უმაღლეს მთავრობაში არქიმანდრიტ სერაპიონზე გააგ-ზავნოს საჩივარი გელათში ძველი ხატებიდან ძვირფასი ქვების დაკარგვაზე, რომლებიც ვარაუდით ამავე მონასტრის ბერების

1 ნადარაია — „გელათის საქმე“ და გაბრიელ ქიქოძე. „სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი“, №37-38, თბ. 1980,, გვ. 60, 61, 62

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 17031, ფ 9.

მიერ უნდა იყოს მოპარულიო. დანიელის ამ სიტყვებს გაბრიელ ეპისკოპოსი დაუეჭვებია, თვით მან ხომ არ შთააგონა ვენედიქტე საჩივარზეო, ამასთანავე დანიელისათვის უთქვამს, რომ მაღლე ჩავიდოდა გელათის მონასტერში რამდენიმე კვირით დასარჩენათ და დაკითხავდა ვენედიქტეს.

გელათში ჩასულ გაბრიელ ეპისკოპოსს ბერ-დიაკონმა ვენედიქტემ დაუდასტურა, რომ უნდა გააგზავნოს საჩივარი ხახულის ხატიდან ძვირფასი ქვების დაკარგვის გამო. ეპისკოპოსმა აუხსნა, რომ საჩივრის გაგზავნამდე თუკი მას შეუძლია დაამტკიცოს ეს ბრალდება, წერილობით მოახსენოს ადგილობრივ ეპისკოპოსს (ე.ი. გაბრიელს—მ.კ.) და ის გააკეთებს შესაბამის რეაგირებას. გასულა რამდენიმე დღე, ეპისკოპოსს კი წერილი არ მიუღია. ცოტა მოგვიანებით მონასტრის წინამდებარებას არქიმანდრიტ სერაპიონს სიტყვიერად მოუხსენებია, რომ ბერ-დიაკონი ვენედიქტე დაუკითხავად ყოველ დღეს დილაობით მიდის და გვიან, წირვის შემდეგ ბრუნდება ქუთაისიდანო. გაბრიელ ეპისკოპოსს დაუბარებია ვენედიქტე, მკაცრად შეუხსენებია მისთვის წერილობით მოხსენებაზე და გაუფრთხილებია წინამდვრის დაუკითხავად მონასტრილან გასვლაზე. სამწუხაროდ ბერ-დიაკონ ვენედიქტეს მეორე დღესვე დაურღვევია ეპისკოპოსის გაფრთხილება და კვლავ დაუკითხავად წასულა მონასტრიდან. ბერ-დიაკონ ვენედიქტეს საქციელისათვის სხვა ბერებსაც, რომ არ მიებაძათ მეორე დღესვე გაბრიელ ეპისკოპოსს შეუკრებია მონასტრის მთელი კრებული, გაუცვნია მათთვის ვენედიქტეს საქციელი, რომ ის იქცევა თავისი წოდების ღირსების შემლახველად, უბრძანა მას ანაფორის გახდა და აუკრძალა საკურთხეველში შესვლა, სანამ მის საკითხს არ განიხილავდა უმაღლესი სასულიერო მთავრობა. ბერ-დიაკონ ვენედიქტეს უსიტყვოდ შეუსრულებია ეპისკოპოსის ბრძანება — თვითონ გაუხდია ანაფორა. ვენედიქტეს ქცევით აღელვებული მონასტრის ძმების დასამშვიდებლად და რაც მთავარია სიმართლის დასადგენად ეპისკოპოსს მონამეთის მონასტრის წინამდღვარ არქიმანდრიტ ბესარიონისათვის დაუვალებია გელათის მონასტრის ქონების შემოწმება.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ქცსა ფ. 21, ს. 17031, ფ 10.11.12.

1886 წლის 11 აგვისტოს გაბრიელ ეპისკოპოსმა მოწამეთის მონასტრის წინამდლვარს არქიმანდრიტ ბესარიონს შემდეგი წერილი მისწერა: „გელათის მონასტრის იეროდიაკონმა ვენედიკ-ტემ როგორც მომახსენა ლვდელმონაზონმა იმავე მონასტრისა დანიელმა მოინდომა გაგზავნა სინოდში არძისა ანუ დონისისა იმაზევითომც მონასტერშიიკარგებაძვირფასითვლებიხატებიდგან და სხვა უწესობანი მოხთებიან. თუმცა მე იგი დავიბარე და უბრძანე, რომ ჯერემ ჩემთვის ვითარც ადგილობითი ეპისკოპოსისადმი მოეხსენებია სახელდობ რა დაიკარგა, ვის აბრალებს ამ საქმეს, მაგრამ მან ჩემი ბრძანება არ აასრულა და გაუგზავნა არძა სადაც უნდოდა.

ამისთვის საჭიროდ ვრაცხ მოგანდოთ თქვენ თვით მოკლე დროს, ესე იგი არა უშორეს ორისა კვირისა მიხვიდეთ გელათის მონასტერში, მოითხოვოთ ანერილობანი გელათის ეკლესიების ქონებათა ყოველთა და შეამოწმოთ ყოველნი შთანერილნი მას შინა ქონებანი არიან თუ არა დაცულნი მოუკლებელად. მოუწოდოთ დროსა შემოწმებისასა ძმათა უფროსთა, მაგალითებ ეკონომოს-სა გაბრიელს, მღვდელმონაზონთა მაკარის, დანიელს, იასონს და სხვათა და ბოლოს მოუწოდეთ თვით მედანოსეს იეროდიაკონს ვენედიქტეს, ჩამოართვათ მას ჩვენება რა დაიკარგა სახელდობრ ვის აბრალებს მათი მოპარვას და მოსთხოვოთ დამტკიცება; თუ არ მოგცეს ჩვენება არ ვერ დაამტკიცოს შეადგინეთ სიგელი და შემდგომისათვის ყოველივე მომახსენოთ დაწვრილებით“.<sup>1</sup>

აღნიშნულ ფაქტზე გაბრიელ ეპისკოპოსმა აცნობა აგრეთვე გელათის მონასტრის წინამდლვარს არქიმანდრიტ სერაპიონს და დაავალა დაესწროს შემოწმებას.<sup>2</sup>

1886 წლის 21 აგვისტოს არქიმანდრიტმა ბესარიონმა ეპისკოპოსს შემოწმების შედეგები აცნობა, რომ მას მონასტრის ქონების შემოწმება მოუხდენია 1878 წელს შედგენილი აღნერილობის მიხედვით და აღმოჩენილია ყოველივე უკლებლივ, მხოლოდ წმ. გიორგი ეკლესიის ღმრთიმშობლის კარედიან ხატს (ბიჭვინთისას?! — მ.კ.) აკლდა სამი თვალი<sup>3</sup> (მღვდელ-მონაზონ

1 ქცსა ფ. 21, ს. 17031, ფ 1,2

2 იქვე ფ.3

3 იქვე ფ.4,5

ამბერკის აზრით ესეც ძველი აღწერის შეცდომა უნდა ყოფილი-ყო<sup>1</sup>). რაც შეეხება ბერ-დიაკონ ვენედიქტეს, მას არავითარი ჩვე-ნება არ მიუცია იმ მიზეზით, რომ ელოდებოდა პასუხს სინოდის კანტორაში გაგზავნილ საჩივარზე.<sup>2</sup> სინოდის კანტორამ საჩივა-რი უსაფუძვლოდ ცნო,<sup>3</sup> ბერ-დიაკონი ვენედიქტე კი ჭელიშის მო-ნასტერში მორჩილის ხარისხით იქნა გადაყვანილი.<sup>4</sup> მას მხოლოდ 1888 წლის ოქტომბრიდან მიეცა წირვა-ლოცვისა და ანაფორის ჩაცმის ნებართვა.<sup>5</sup>

არანაკლებ გახმაურებული ფაქტი გახდა 1889 წლის ზაფხულ-ში ისევ გელათის მონასტრიდან თითქოსდა დაკარგული ნივ-თების გამო დაწყებული პოლემიკა გაბრიელ ეპისკოპოსსა და საქართველოს ეგზარქოს პალადის შორის.

1889 წლის 3 ივნისს გაბრიელ ეპისკოპოსი ეგზარქოსისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა — „სანამ თქვენ ამა წლის 2 მაისის №515 მომართვაზე გიპასუხებდეთ, რომელიც შეეხებოდა გელათის მონასტრისა და იმერეთის ეპარქიის სხვა ეკლესიების კუთვნილი ძვირფასი ნივთების (ისტორიული სიძველეების) გა-ყიდვას, მანამდე ამასთან დაკავშირებით, გავიხსენებ შემთხვე-ვას, რომელსაც ადგილი ჰქონდა გელათის მონასტერში სამი თუ ოთხი წლის უკან და რომელსაც შეუძლია გვიჩვენოს თუ რამდენად სამართლიანად და საფუძვლიანად შეიძლება ჩაით-ვალოს იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებისადმი წაყენებული ბრალდება ძვირფასეულობათა გაყიდვაზე. სამი თუ ოთხი წლის უკან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი მაღალი თანამდებობის პირი (როგორც მე მახსოვს მის სავიზიტო ბარათზე აღნიშნული იყო: — „სტატს სეკრეტარი ზვენიგოროდსკი“) ეწვია გელათის მონასტერს. დაათვალიერა რა მონასტრის სიძველეები და ნივთ-სამკაულები, საკურთხეველში შენიშნა ღვთისმშობლის ხატზე დამაგრებული პატარა ხატი. დიდი ხნის თვალიერების შემდეგ მონასტრის წინამდლვარს და ბერებს თხოვა მიეყიდათ მისთვის

1 ქცსა ფ. 21, ს. 17031, ფ.6

2 იქვე ფ.4

3 იქვე ფ.32

4 იქვე ფ.17,26

5 იქვე ფ.6

ეს ხატი, რისთვისაც იხდიდა 700 მანეთს. მონასტრის ძმებმა უარი განუცხადეს. ზენიგორონდასკი არ ეშვებოდა მათ და ფასსაც თანდათან უმატებდა. როდესაც ამ უკანასკნელმა თავი მოაპეზრა ბერებს, მათ ურჩიეს „სტუმარს“ მოემართა ჩემთვის. ზენიგორონდასკი მოვიდა ჩემთან ქუთაისში და დიდი გულითადობითა და მოკრძალებით მევედრებოდა ნება მიმეცა ბერებისათვის გაეყიდათ ეს ხატი. შემომთავაზა, რომ გადაიხდიდა 1000 მანეთს და თუ საჭირო იქნებოდა, მეტსაც. ამით გაკვირვებულმა და გაბრაზებულმა ვუთხარი არა თუ 1000 მანეთს, არამედ ახლავე მილიონი მანეთი რომ გაიღოთ, მაშინაც კი არ დაგთანხმდებით, იმიტომ, რომ სამარცხვინოა და ულმერთობა ხატებისა და სხვა წმინდა საეკლესიო ნივთების გაყიდვა.

ეს ჭეშმარიტი შემთხვევა ჩემი აზრით სრულებით არ ამტკიცებს მას, რაშიც ბრალს დებენ გელათელ ბერებს გრაფინია უვაროვა და გრაფი ბობრინსკი, პირიქით, ის ნათლად გვიჩვენებს, სრულად ამის საპირისპიროს. ხატი, რომელსაც ეხება საუბარი, იმდენად შეუმჩნეველი იყო, რომ მე თვითონ პირველად მივაქციე ყურადღება ზემოთ აღნერილი შემთხვევის შეძლევ, თუმცა ათასჯერ მექნებოდა შენახედი ის დიდი ხატი, რომელზედაც არის დამაგრებული. ეს იყო ყველაზე მოხერხებული შემთხვევა, რათა გელათელ ბერებს გაეყიდათ ხატი, მიეღოთ მნიშვნელოვანი თანხა ისე, რომ მნიშვნელოვნად არაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ ისინი ამაზე არ წავიდნენ.

აღნერილი შემთხვევა ამასთანავე ნათლად გვიჩვენებს, როგორ სიბრმავემდე მიჰყავს ზოგიერთი ადამიანები სურვილს მოიპოვონ ძველებური ნივთები. ამასთანავე არ რცხვენიათ მოატყვილონ ღარიბი ბერები დიდი თანხით, და არ ფიქრობენ, რომ უდიდესი დანაშაულია ეკლესიებიდან წმინდა ნივთების ყიდვა და მათი გადაცემა მუზეუმებში შესანახად. ეს არის მათი გამასხარავება. სამართლიანია ამის გამო თბილისის საეკლესიო-არქეოლოგიური განყოფილების წევრების შენიშვნა, რომ გრაფ ბობრინსკის უნდა ეცნობებია მონასტრის წინამდღვრისათვის ანდა ადგილობრივი არქიელისათვის თუ ზუსტად გელათის მონასტრის, რომელმა ბერმა შესთავაზა მას საყიდლად რაღაც ძველი საეკ-

ლესიო ნივთი. დავუშვათ, რომ ასეც მომხდარიყო, აუცილებლად რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ნივთი იყო ეკლესიის და არა საკუთარი, წინაპრებისაგან დანატოვარი. არამარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიდაც, როგორც სასულიერო, ასევე საერო პირებსაც აქვთ მეტნაკლებად სიძველითა და სიძვირფასით შესანიშნავი ხატები, ჯვრები და სხვა წმინდა ნივთები, რომლებიც შეიძლება იქნენ გაჩუქებულნი ან გაყიდულნი, თუმცა ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენით არ შეიძლება, რომ მოვიწონოთ ასეთი ვაჭრობა, რაც შეეხება გრაფინია უვაროვას, როგორც ჩანს მისი არქეოლოგიური გატაცება წმინდა ფანატიზმამდე მიდის. ასეთ მდგომარეობაში ადამიანს ბუზი მოეჩვენება სპილოდ. სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას მისი გადაწყვეტილება ასე გააშავოს ამიერკავკასიის მთელი სამღვდელოება, დაადანაშაულოს ის მკრეხელობაში.

ნასულ 23 ივნისს თქვენი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის ზემოთ ხსენებული მომართვის თანახმად მე ვენვიე გელათის მონასტერს და პირადად ვანარმოე დაკითხვა ამ საქმის გამო. მონასტრის ძმები დიდად განაწყენებული და გაკვირვებულნი დარჩნენ, როცა გაიგეს თუ რაში ედებოდათ ბრალი. მათ არ ახსოვთ არავინ ბობრინსკი და არავითარი მოლაპარაკება მასთან, მათ სრულებით არ იციან რუსული ენა. მთარგმნელის შუამავლობით კი, თუკი ასეთი გამოჩნდებოდა, მაინც ვერ გაბედავდნენ ასეთ საშიშ მოლაპარაკებას. გელათის მონასტრის ბერებიდან მხოლოდ ერთ მღვდელ-მონაზონს შეუძლია დიდი გაჭირვებით რუსულად რაიმეს გაებინება, მაგრამ შეუძლებელია ის ეჭვმიტანილი იქნეს ისეთ ცუდ საქმეში, როგორც საეკლესიო ნივთების გაყიდვაა.<sup>1</sup>

ასე დაიცვა გაბრიელ ეპისკოპოსმა გრაფ ბობრინსკის, გრაფინია უვაროვასა და ეგზარქოს პალადისაგან საეკლესიო სინმიდეების გატაცება-გაყიდვაში უდანაშაულო გელათელი ბერები.

<sup>1</sup> ქ.ც.ს.ა ფ. 21 ს. 17958 ფ. 10-13

ს.ხ.ი. ქ. შარაშიძის ფონდი ს. 103 ფ. 14-17

Toncmelis - Правда об автокефалии Грузинской церкви. Кут. 1905 стр. 158, 159

## §6 გელათის მონასტრის 1904 წლის 19 ივლისის გაძარცვა

– გელათის მონასტრის ცხრასაუკუნოვან მატიანეში ოთხი განსაკუთრებით ტკივილიანი „ქორონიკონი“ შეიძლება გამოვყოთ: 1510 წ. — გელათის მონასტრის აოხრება და დაწვა თურქების მიერ, 1759 წ. — ასეთივე აქტი ლევებისაგან განხორციელებული, 1859 წლის 19 მაისი — მონასტრის გაძარცვა (ხახულის ხატისა და სხვა სინმინდეების გატაცება), 1904 წლის 19 ივლისი — ასეთივე აქტი დაყაჩალების სახით (კვლავ სინმინდეების გატაცება). როგორც ნინა გაძარცვა, ეს დაყაჩალებაც გაუხსნელ საქმედ დარჩა, გატაცებული ნივთები კი სამუდამოდ დაიკარგა.

1904 წლის 19 ივლისს გელათის მონასტერში მომხდარი ყაჩალობა კარგადაა ასახული იმ დროინდელ ქართულ პრესაში, გამორჩეულად — გაზეთებში „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“, არქივებში კი აღნიშნულ ფაქტზე მხოლოდ ერთი საქმე შემოგვინახა — ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის „იმერეთის ეპარქიის კანცელარიის“ ფონდში დაცული საქმე № 21969.

როგორც „ივერიის“ კორესპონდენციიდან ირკვევა, მონასტრის დაყაჩალებამდე სამი დღით ადრე 1904 წლის 16 ივლისს, პარასკევს „მონასტერში მისულა სამი უცნობი კაცი, ორი ჩოხებში გამოწყობილი და ერთიც, უფრო ახალგაზრდა, პალტოთი და შლიაპით, შიგნით კი „ბლუზა“ სცმია. რადგან ეს სტუმრები მეტის ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ მონასტრის ეზოს და გარშემო ადგილებს, ერთს ბერთაგანს ეჭვი შეპარვია და უკითხავს: ვინ ბრძანდებით და ან ვის ეძებთ? პალტოიანს უპასუხია, რომ ის რაჭველია და ორი კი სამტრედიელნი, თან გვარებიც დაუსახელებია. აქ იმიტომ მოვედით, რომ გვინდა ვისა-დილოთ ქალებთან ერთად, რომლებიც ადრევე გამოვამგზავრეთ და ეხლა ველარ გვიპოვიაო. ბერი მაშინვე მიმხვდარა, რომ ისინი სამივენი გურულები იყვნენ, ეს ცხადად ჩანდა იმათ ლაპარაკიდან (თვით ის ბერიც გურულია), მაგრამ ვერ გაეგო, თუ რის-თვის მალავდნენ თავის ვინაობას. ბერს მაინც ამ გარემოებისათვის ყურადღება არ მიუქცევია და უთქვამს, აქ დღეს ქალები არ ყოფილან, ამ სიტყვის შემდეგ ისინიც მალე განშორებიან“.<sup>1</sup>

1 გაზ. „ივერია“, 1904 წ. 27 ივლისი № 172 გვ. 2

როგორც ჩანს, ამ სამმა უცნობმა კარგად დაზვერა მონასტრის ეზო და შენობები და უკვე მომზადებულები თავის ამხანაგებთან (ყაჩაღებთან) ერთად 19 ივლისს, ორშაბათს, საღამოს 4-5 საათზე (ზოგი ცნობით 6 საათზე) საძარცველად მივიდნენ მონასტერში, „ივერიის“ ზემოხსენებული კორესპოდენცია მოვითხობს: „ორშაბათს, ნაშუადღევს 4-5 საათზე, ბერები ლოცვად დამდგარან. რადგან ორშაბათი იყო და თან წვიმიანი დღე, გარეშე მლოცველთაგან არავინ ყოფილა (ერთი კვირის შემდეგ გელათში ჩასულ სარგის კაკაბაძეს ეტყვიან, „ერის კაცთაგან მხოლოდ ორი მოხუცი იყოო“. — მ.კ.). სწორედ შუა ლოცვა ყოფილა, როდესაც ეკლესიაში შემოსულა ისევ ის პალტოიანი ყმანვილი, მისულა ბერთან და ორი შაურის სანთელი უყიდნია და ხატებისათვის აუნთია; ცოტა ხნის შემდეგ გარეთ გამოსულა და დაუძახნია: „მზად არის“. არ გასულა ორი წუთი, რომ ეს ყმანვილი, რომელიც წინათ ხატის წინ გულმოდგინედ ლოცულობდა, ამოღებულის ხანჯლით ხელში და ექვსი ჩაქურათ ჩაცმული, ბერდანკებით შეიარაღებული ყაჩაღები დასავლეთის კარებიდან შემოცვინულან და ერთხმად დაუძახნიათ: „დანევით ყველანი იატაკზე, თორემ დაგხოცავთო“. თავზარ-დაცემულნი ბერები ყველანი მინაზე დაცემულან და თვალები დაუხუჭიათ, მხოლოდ გურული ბერი ზოგიერთის სახეებს დაჰკვირვებია. გარდა ამ ექვსი ყაჩაღისა და ერთის ბელადისა, როგორც მერე გამოირკვა, რამდენიმე გარეთ დარჩენილა სადარაჯოდ და აგრეთვე მონასტრის ეზოს დიდ და პატარა კარებთან. როდესაც ბერები ყველანი იატაკზე დანოლილან, პალტოიანი ყმანვილი მისულა იმ ბერთან (მონასტრის ეკონომის ანთიმოსთან. — მ.კ.), რომელსაც ძვირფასი ნივთები აბარია და ძალით მიუყვანია იმ ადგილას, სადაც ეს ნივთები ინახება, ბერს გაუღია სალარო, ყაჩაღები მივარდნიან და დიდი სისწრაფით გადმოუღაებიათ ზემოთ აღნიშნული ნივთები (აღნიშნულ ნივთებზე ქვემოთ გვექნება საუბარი. — მ.კ.). ამ ფაცა-ფუცში ერთ ბერს (მღვდელ-მონაზონ მათე ბერეკაშვილს. — მღვდელ-მონაზონი მათე (მარკოზ ბერეკაშვილი) — დაბ. 1847 წელს. სასულიერო განათლება მიიღო გელათის მონასტერში. კაშის, საფარის, დავით-გარეჯისა და შიო-მლვიმის ეკლესია-მონასტრებში მოღვა-

წეობის შემდეგ, 1891 წელს, დაბრუნდა გელათის მონასტერში. აქ ის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მწირველი იყო, ამ ეკლესიას „შესძინა თვისის საკუთრების საშუალებით სამღვდელო შესამოსელი, ხატები, აგრეთვე საეკლესიო ნივთები, ბრონზით მოჭედილი სახარება. ამავე ეკლესიაში დააგო ცემენტის იატაკი... 1907 წელში თვისი საკუთრის ხარჯით, რომელიც დაუჯდა უმეტეს ოთხმოცის მანეთისა, გალესა დიდი ეკლესიის (ლვის მშობლის ტაძარი. — მ.კ.) სამკვეთელო და კიდევაც შეღება შესაფერად“. მღვდელ-მონაზონი მათე აქ მონასტრის გაუქმებამდე (1923 წ.) მოღვაწეობდა.<sup>1</sup> მ.კ.), რომელიც საკურთხეველში დარჩენილა, ყაჩალების შეუმჩნევლად მოუხერხებია გარეთ გამოსვლა, წაუვლია ბანრისათვის ხელი და ზარი რამდენჯერმე დაურეკნია, მაგრამ ამ დროს მივარდნილა ერთი ყაჩალთაგანი, რომელიც კარებთან დარაჯობდა, და უცბათ ბანარი ხანჯლით გადაუჭრია და ამ დროს 14-15 წლის სვანი, რომელიც ერთ-ერთ ბერთან ყოფილა მოსამსახურედ, შევარდნილა სამრეკლოზედ და მეტისმეტის სიჩქარით დაუწყნია ზარების რეკვა (როგორც რეკენ ცეცხლის გაჩენის დროს). ეკლესიის კარებზე მდგომ ყაჩალს რამდენჯერმე თოფი დაუხლია ბავშვისათვის, მაგრამ ის ამოფარებია ქვის სვეტებს და რეკა არ შეუჩერებია. მაშინ კი ყაჩალი მოვარდნილა სამრეკლოზე, ბავშვი ძირს ჩამოუთრევია და ეკლესიაში შეუგდია, მაგრამ აჩქარებულმა ზარის რეკვამ აცნობა ახლო-მახლო მცხოვრებთ, რომ მონასტერში რაღაც უბედურება ხდებოდა. ამავე დროს ერთი მედავითნე, რომელიც ლოცვაზე არ ყოფილა ავად-მყოფობის გამო, გამოსულა სავანიდან, მონასტრის ზღუდეზე გადამხტარა და სოფელში ყვირილი დაუწყია, გვიშველეთ ყაჩალები დაგვეცნენო. იქვე მონასტრის მამულში მუშები ყოფილიყვნენ, როგორც გაუგიათ ზარების რეკვა და ყვირილი, დაუვლიათ ხელი თოფისათვის და გაქცეულან მონასტრისაკენ, მაგრამ აქ კარებში ყაჩალები დახვედრიან და თოფები დაუხლიათ, საბედნიეროდ, არავინ არ დაშავებულა. ეს ამბავი ისე სწრაფად მომხდარა, რომ ათი წუთიც არ გასულა ეკლესიაში მყოფ ყაჩალებს, როგორც გაუგონი-

1 ქ.ც.ს.ა ფ. 21, ს. 24119 ფ. 19, 20, 21  
ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 25114 ფ. 9, 10

ათ ზარების რეკვა და თოფის ხმა, სიჩქარით წაუვლიათ ხელი, რაც მოუხელთებიათ, უცებ გარეთ გამოცვილულან და ტყეში გადახვენილან“.<sup>1</sup>

როცა მონასტრის ბერები გონიერები მოვიდნენ, მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა სერაპიონმა ტელეგრამა გაუგზავნა (გელათის რკინიგზის სადგურიდან) ქუთაისში იმერეთის ეპარქიის მმართველს ეპისკოპოს ლეონიდეს<sup>2</sup>, რომელშიც სულ სამი სიტყვა ეწერა: „გელათის მონასტერი გაძარცვეს,“<sup>3</sup> წერილობით კი შემდეგი „პატაკი“ გაუგზავნა ეპისკოპოსს „დღეს, მნუხრის ლოცვის დროს, ექვს საათზედ, როცა ვლოცულობთ, მონასტერს დაეცენ შვიდი შეიარაღებული ავაზაკი, რომელებმაც წაიღეს დავით ალმაშენებლის ბეჭედი, ერთი ოქროს ბარძიმი, ორი ვერცხლის ბარძიმი და ფულიც. კრუჟკები დაამტვრიეს და დაცალეს, ჩვენ, კრებული, დაგვიჭირეს და იატაკზედ დაგვახეთქა თავდაღმა და დაგვადგენ თავზედ ბერდენკებით, ხანჯლებით, ზეით არ აგვახედეს, ვინემ ესეები არ წაიღეს. ამათ გარდა გარეთაც იყვნენ, როგორც სოფლელები ამცხადებენ და შიგნით არავინ შემოუშვეს. გარეთ იყო სასტიკი ბერდენკის სროლა, რომელსაც უმორჩილესად მოვახსენებთ თქვენს მეუფებას“.<sup>4</sup> წერილი 19 ივლისსა დაწერილი, იმ დროს, როცა ზუსტად ჯერ კიდევ არ იციან, თუ რა წაიღეს ყაჩაღებმა. ეს მეორე დღეს, ეპისკოპოს ლეონიდეს გელათში ამოსვლის შემდეგ დაზუსტდება. „მეორე დღეს, ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, ყოვლად სამღვდელო გაემგზავრა გელათისკენ, დაწვრილებით დაათვალიერა ნაშთნი და აღნიშნა დაკარგული ნივთები, აღმოჩნდა, რომ ყაჩაღებს სიჩქარისა გამო წაეღოთ შემდეგი შვიდი ნივთი: 1) ბეჭედი დავით ალმაშენებლისა, 2) ოქროს ბარძიმი, თვლებით მოჭედილი, 3) სარტყელი, ძვირფასის თვლებით მორთული, 4) ოქროს პანალია, 5) ორი ვერცხლის ბარძიმი და ვერცხლის სტაქანი. ფულად კი 252 მანეთამდის“.<sup>5</sup> ამავე დროს მონასტრის კრებულმა (ძმებმა) შემდეგი განცხადებით

1 გაზ. „ივერია“, 1904 წ. 27 ივლისი №172 გვ. 2

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 21968 ფ. 4

3 გაზ. „ივერია“ 1904 წ. 27 ივლისი №172 გვ. 2

4 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 21969 ფ. 1

5 გაზ. „ივერია“ 1904 წ. 27 ივლისი №172 გვ. 2

მიმართა არქიმანდრიტ სერაპიონს, როგორც წინამძღვარს: „გუშინდელმა ავაზაკების ლოცვის დროს თავდასხმამ და ჩვენი სასიქადულო დიდებულის მონასტრის გაცარცვამ, იმდენად შეგვაძრნუნა და შეგვაშინა, რომ გვიჭირს და ვშიშობთ ჩვეულებრივათ ლოცვას მონასტერში, მისთვის კი არა, რომ ჩვენ ამოგვწყვეტენ, არამედ შეიძლება კიდევ განიმეორონ ესრეთი თავდასხმა და, თუ რამე გადარჩა გუშინდელ გაცარცვას, კვლავ გაგვიცარცონ მონასტერი. ამისათვის ვსთხოვთ თქვენს მაღალ ღირსებას გვიშუამდგომლოთ ვისდამიც ჯერარს, რომ სტრაჟების პოსტი, რომელიც არის დანიშნული გელათის სტანციაზედ, იქნეს გადმოტანილი მონასტერში იმ წესით და რიგით, როგორც დღეს იქ არიან, ხოლო ჩვენ მონასტერის საშუალებით მივსცეთ მათ ბინა წესიერი“.<sup>1</sup> როცა 23 ივლისს აღნიშნულ განცხადებას ეპისკოპოსი ლეონიდე გაეცნო, ასეთი რეზოლუცია დაადო: „ამაზე უკვე მოლაპარაკებულია გუბერნატორთან და დღედღეზე მივიღებთ გადაწყვეტილებას ამ საკითხზე.“<sup>2</sup>

ამავე დღეს ეპისკოპოსმა გელათში მომხდარი ყაჩაღობის შესახებ ვრცელი „პატაკი“ გავზავნა უნმიდესი სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორაში.<sup>3</sup> საარქივო დოკუმენტებმა შემოგვინახეს ეპისკოპოს ლეონიდეს მიერ შედგენილი გატაცებული ნივთების დეტალური აღწერა, საიდანაც ვგებულობთ, რომ სარტყელი შეკერილი ყოფილა შავი აბრეშუმის ქსოვილი-საგან და მდიდრულად შემკული მრავალრიცხოვანი მარგალიტებით. სარტყელს, რომლის სიგრძე იყო 1 არშინი და 2 ვერშოკი (დაახლოებით 80 სმ.), ჰქონია ოქროს ბალთა თავისი ძენკვით, ბალთის ერთი ნაწილი იყო 4 ვერშოკი (18 სმ), მეორე კი — 3 ვერშოკი (13 სმ), რომლებიც შემკულნი იყვნენ სხვადასხვა ძვირფასი ქვებით, რომელთაგან 204 მარგალიტი და 59 ზურმუხტი და ფირუზი იყო. სარგის კაკაბაძის ცნობით, ხალხი ამ სარტყელს თამარ მეფის საკუთრებად მიიჩნევდა,<sup>4</sup> ეპისკოპოსი ლეონიდე კი

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 21969 ფ. 2

2 იგივე

3 იქვე ფ. 4, 5

4 გაზ. „ივერია“ 1904 წ. 29 ივლისი №174 გვ. 2

— არქიერისად<sup>1</sup>. გატაცებული ოქროს ბარძიმი მთლიანად ოქროსი ყოფილა, წონით 2 ფუნტი და 20 ზოლოგნიკი (დაახლოებით 900 გრ.), შემკული მრავალი წვრილი იაგუნდითა და ფირუზით. ეს ბარძიმი ცნობილ ნ. კონდაკოვის ქართული სიძველეების აღნერაში 29-ე ნომრითაა შეტანილი,<sup>2</sup> დავით ალმაშენებლის ოქროს დიდი ბეჭედი, რომლის ზედა ნაწილზე გამოსახული იყო წმინდა გიორგი, რომელიც ბეჭედის წმინდა სანაწილეს ფარავდა და რომელიც კონდაკოვთან 35-ე ნომრადაა შეტანილი,<sup>3</sup> ოქროს პატარა საარქიერო პანალია, ნ. კონდაკოვთან 33-ე ნომერი, ესეც ძვირფასი ქვებით შემკული.<sup>4</sup> (უფრო დაწვრილებით ამ ნივთების აღნერა შეიძლება ნახოთ გელათის მონასტრის ნივთ-სამკაულთა 1859 და 1878 წლების აღნერებში).

„ივერიის“ პირველ პუბლიკაციაში, რომელიც გაზეთის 27 ივლისის ნომერშია მოთავსებული (გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ 24 ივლისის ნომერში მისცა პირველი ინფორმაცია), კორესპონდენტი იმედოვნებდა: „პოლიცია დიდის ენერგიით და გულმოდგინეთ შეუდგა ყაჩალების აღმოჩენას და ვიმედოვნებთ, რომ დაკარგული ნივთები ისევ დაუბრუნდება მონასტერს“.<sup>5</sup> ამ წერილის დაბეჭვდამდე ერთი დღით ადრე გელათში ჩასული ახალგაზრდა ისტორიკოსი სარგის კავაბაძე კი სკეპტიკურად წერდა: „ასე და ამგვარად, ერთს დღეს დავკარგეთ, და იქნებ სამუდამოდაც, ძვირფასი ისტორიული ნივთები“.<sup>6</sup> სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი სიტყვები რეალობად იქცა. სარგის კავაბაძის მოსაზრება, რომ მონასტრის გაძარცვა დაუდევრობამ განაპირობა, უარყო ეპისკოპოსმა ლეონიდემ, რომლის აზრითაც „სარწმუნოებრივი გრძნობის უქონლობამ გახადა შესაძლოდ გელათის სინმინდეთა

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 21969 ფ. 4

2 იქვე ფ. 9

Н. Кондаков - Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях грузии. С.-Петербург 1890 стр. 39

3 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 21969 ფ. 9

Н. Кондаков... стр. 41

4 იგივე

5 გაზ. ივერია 1904 ნ. 27 ივლისი №172 გვ. 2

6 გაზ. ივერია 1904 ნ. 29 ივლისი №174 გვ. 2

შეგინება და არა უებგურობამ“.<sup>1</sup> ჭეშმარიტებას ბრძანებდა მისი მეუფება, — ხახულის ხატის გაძარცვის შემდეგ (1859 წ.) გელათის მონასტერს ღამლამობით ორი შეიარაღებული დარაჯი იცავდა, დღისით დაყაჩალებას კი ალბათ ვერც ნარმოიდგენდნენ.

პოლიციამ თავიდან თითქოს ენერგიულად დაიწყო ძიება. 31 ივლისის ნომერში გაზ. „ივერია“ გაზ. „ცნობის ფურცელზე“ დაყრდნობით წერდა, რომ ერთი ყაჩალი, გვარად ბალანჩივაძე, „პოლიციას კიდევაც შეუპყრია. სხვების დასაჭერად საგანგებო ღონისძიებანია მიღებული“.<sup>2</sup> დაახლოებით ორი თვის შემდეგ გაზეთებმა „ივერიამ“ და „ცნობის ფურცელმა“ თითქმის ერთდროულად ახარეს სრულიად საქართველოს: „სვირის სადგურზედ შეუპყრიათ სამი კაცი: ალექსი ჩხეიძე, სილიბისტრო სვანიძე და გიორგი კანდელაკი, რომელთაც 19 ივლისს გელათის მონასტრის გაძარცვა ბრალდებათ“.<sup>3</sup> სანამ მათ დასჯაზე ვისაუბრებდეთ, ვნახოთ როგორ გამოეხმაურა აკაკი წერეთელი ამ ყაჩალობას წერილით „სამძიმარი“, რომელიც გაზ. „ივერიის“ 1904 წლის 8 აგვისტოს № 182-ში დაიბეჭდა. აკაკი გულდაწყვეტილია, რომ მამა-პაპათა ნაანდერძევი ბევრი რამ დღეს „დაკარგულ-დავინყებულია“. მისთვის მიუღებელია სამშობლოს სიძველეებისადმი და სარწმუნოებისადმი ასეთი დამოკიდებულება, პოეტი გულისტკივილით დაასკვნის: „ბევრი დრო არ ნდომებია ხალხის გადარჯულებას, გაუკუღმართებას და გაპირუტყვებას“. ამ სიტყვების დასტურად მაგალითი ისევ გელათის მონასტრის ისტორიიდან მოჰყავს: „პირველად რომ გელათიდან სახარება გაიტანეს და ძველი ოქრო-ჭედილ შესამოსლები ვერცხლად გადაადვნეს (XIX საუკუნის 60-იან წლებში. — მ.კ.), დასავლეთი საქართველო ფეხზე დადგა, სამგლოვიარო ჩაიცვა და ფეხშიშველა მიეშურებოდა გელათისაკენ, მაგრამ დროს თავისი მოაქვს და ადამიანიც ყველაფერს ეჩვევა!..“<sup>4</sup> სწორედ იმ დღეებში დაიწერა აკაკის ლექსი, ვახტანგ ორბელიანისადმი მიმართული, რომელსაც საოცრად ტკივილიანი დასასრული აქვს:

1 გაზ. ივერია 1904 წ. 4 აგვისტო № 179 გვ. 2

2 გაზ. ივერია 1904 წ. 31 ივლისი № 176 გვ. 2

3 გაზ. ივერია 1904 წ. 23 სექტემბერი № 219 გვ. 2

4 გაზ. ივერია 1904 წ. 8 აგვისტო № 182 გვ. 2

„ველარა ვხედავ იმას, მგოსანო,  
რაც რომ გელათზე შენ დაგვიწერე!  
და ნეტავი შენ, რომ შენც ჩემსავით  
ამ წამხდარ დროის აღარ ხარ დამსწრე“.

როგორც ზემოთაღვიძენეთ, 1904წლის სექტემბერში დაპატიმრებულნი იქნენ გაძარცვაში ეჭვმიტანილნი. ჩვენთვის უცნობია, რას ეყრდნობოდა მკვლევარი ირაკლი იაკობაშვილი, როცა მათ-ზე წერს: „მძარცველები დაისაჯნენ, მაგრამ რამდენადაც დღეს ცნობილია, ამ დამნაშავეთა დაპატიმრებას თვით ნივთთა პოვნა არ მოჰყოლია.“<sup>1</sup> სამწუხაროდ, მძარცველების დასჯა ჩვენს მიერ მიკვლეული საარქივო მასალით არ დასტურდება (ამაზე ქვემოთ). გაძარცვის შემდეგ მოვლენები (ზემოთ აღნიშვნილს გარდა) შემდეგნაირად წარიმართა: 1904 წლის აგვისტოში პენსიაზე იქნა გაშვებული მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი სერაპიონი (მასზე დაწვრილებით იხილეთ მეორე თავში). მის ადგილზე „რევოლუციონერი არქიმანდრიტი“ ნიკოლოზ ნამორაძე დაინიშნა (მასზე დაწვრილებით იხილეთ იქვე). 1906 წლის 17 სექტემბერს გელათის მონასტრის ეკონომოსი მღვდელ-მონაზონი ანთიმოსი თხოვდა ეპისკოპოსს ლეონიდეს, რათა მონასტრის ხარჯებში გაეწერა 150 მანეთი, რომელიც იღუმენ სოფრომს და ტყიბულის ყოფილ ბოქაულს არსენიშვილს 1904 წელს მიცემიათ მონასტრიდან დაკარგული ნივთების საძებნელად და მგზავრობაში დახარჯვიათ (ე.ი. სასულიერო მმართველობა თავის მხრივ ეძებდა დამნაშავეებს. — მ.კ.).<sup>2</sup> 1907 წლის ივლისში უწმიდესი სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორას მოუსმენია ცნობა გელათის მონასტრის გაძარცვის შესახებ (როგორც დოკუმენტიდან ჩანს, უფრო ადრე 1904 წლის 11 სექტემბერს მიულია კანტორას ბრძანებულება ამ საკითხზე.<sup>3</sup>) და რაღაც დავალებები მიუცია ეპისკოპოს ლეონიდესათვის, რის აღსასრულებლადაც მან 1907 წლის 13 აგვისტოს ქუთაისის საოლქო სასამართლოს პრო-

1 გაზ. „24 საათი“ 2004 წ. №170 გვ. 3

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 21969 ფ. 10

3 იქვე, ფ. 11

კურორს მიმართა, ეცნობებინათ, რით დამთავრდა 1904 წლის 19 ივლისს ყაჩაღებისაგან გელათის მონასტრის გაძარცვის საქმე.<sup>1</sup>

ეპისკოპოსი ლეონიდე ისე გადავიდა იმერეთის ეპარქიიდან გურია-სამეგრელოს ეპარქიის მმართველად, რომ ამის პასუხი არ მიუღია, ამიტომ იმერეთის ეპარქიის ახალმა მმართველმა ეპისკოპოსმა გიორგიმ იმავე თხოვნით 1908 წლის 3 ოქტომბერს გრიფით „სასწრაფო“ კვლავ მიმართა საოლქო სასამართლოს, საიდანაც იმავე წლის 18 დეკემბერს შემდეგი შეტყობინება მიიღო: გელათის მონასტრის გაძარცვის საქმე ქუთაისის საოლქო სასამართლოს 1904 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით შემდგომი წარმოებით შეწყდათ. ჩვენი აზრით, 1904 წლის სექტემბერში დაკავებული ეჭვმიტანილები რომ სასამართლოს დამნაშავედ ეცნო, მაშინ საქმე შეწყვეტილად კი არა, დასრულებულად იქნებოდა მოხსენიებული და დამნაშავეებზეც ითქმოდა რამე. ამ პასუხის მიღებამდე ეპისკოპოს გიორგისა და პროკურორს შორის მიმოწერაში საინტერესო და კურიოზულია ერთი ფაქტი: 1908 წლის 27 ნოემბერს პროკურორი ეპისკოპოსს თავისი 23 ოქტომბრის წერილზე დამატებით სთხოვს, აცნობოს „სად მდებარეობს გელათი მონასტერი“. ეპისკოპოსმა თხოვნას სასწრაფოდ დაადიო რეზოლუცია: „დაუყოვნებლივ ეცნობოს“ და 10 დეკემბერს „ბატონ პროკურორს“ შემდეგი ცნობა გაუგზავნა: „Честь имею сообщить Вашему высокоблагородию на отнаждение от 27 ноября сего года за № 8622, что Гаенатский монастырь расположен на возвышенности при селении Гелаты Кутаисского уезда к северо-востоку от города Кутаиси и на таком расстоянии, что оный монастырь должно быть виден и из верхнего этажа помещения Кут. Окр. суда“.<sup>2</sup>

როცა სამართალნარმოება საქმეში ასე „კარგად გარკვეული“ მოხელეების ხელში იყო, ამის შემდეგ დიდად გასაკვირი არ არის, თუ რატომ ვერ იპოვეს მართლმსაჯულებმა დამნაშავეები და დაკარგული ნივთები.

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 21969, ფ. 12

2 იქვე, ფ. 15

**ჭ7 გელათის მონასტრიდან პიჭვინოის ღმრთისამობლის  
სატის გადატანის მცდელობა** – ცნობილი ფაქტია, რომ XVI  
ს-ში, კერძოდ 1545-1565 წლებს შორის მოხდა აფხაზეთის საკა-  
თოლიკოსო ტახტის გადმოტანა ბიჭვინთიდან გელათში. კათო-  
ლიკოსის გადმოსვლა იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის ერთ-ერთი  
უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო, რომელიც მიზნად ისახავდა  
იმერეთის სამეფოს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას  
ეკლესიის მოკავშირეობით, ამასთანავე, უფრო ხელსაყრელი პი-  
რობები ექმნებოდა კათოლიკოსს ნორმალური და უშიშარი მოღ-  
ვანეობისათვის. კათოლიკოსის გადმოსვლასთან ერთად (ახლო  
ხანებში), გელათში გადმოტანილი იქნა საკათოლიკოსო ტახტის  
კუთვნილი საეკლესიო ნივთ-სამკაული, რომელთა შორის იყო  
ბიჭვინთის ღმთრისმშობლის ხატი.<sup>1</sup> ეს ხატი ამჟამად (1945 წლი-  
დან) საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია და-  
ცული. მუზეუმში მოთავსებამდე გელათის წმ. გიორგის ეკლე-  
სიაში დასვენებულმა ამ ხატმა ბევრი განსაცდელი გადაიტანა.  
XIX ს-ის II ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში იგი ორჯერ გახდა  
დავის საკითხი ქართველებსა და აფხაზებს შორის, რომლებიც  
ხატის აფხაზეთში, ბიჭვინთაში დაბრუნებას ითხოვდნენ. სანამ  
ხსენებულ დავებზე ვისაუბრებდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ 1885  
წლის ივლისისათვის ბიჭვინთის ტაძრიდან გადმოტანილი ნივ-  
თსამკაულის ნაწილი გელათის მონასტრიდან უკვე დაბრუნებული  
ჩანს 1885 წლის 31 ივლისს გაბრიელ ეპისკოპოსი წერდა მონას-  
ტრის ნინამძღვარს არქ. სერაპიონს, რათა ეცნობებინა „რა და  
რა ნივთები კუთვნილ პიცუნდის სობოროსადმი ინახებოდა რწმუ-  
ნებულს თქვენდამი მონასტერში და დაუბრუნდა თუ არა ისინი  
კუთვნილისამებრ და არს რამე მათს მიღებაზე ხელწერილი და  
ვისგან სახელდობრ“.<sup>2</sup> არქიმანდრიტის 17 აგვისტოს პასუხიდან  
ჩანს, „რომ გადაუცია სიით მღვდელ-მონაზონ მაკარისათვის,  
რომ სხვა ნივთები გელათში არაა.“<sup>3</sup> აღნიშნული პასუხი არ გვაძ-

1 ბ. ლომინაძე — ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიდან (სე-  
ნიორები) I თბ. 1966 გვ. 186

2 ქ.ი.ე.მ. გელათის მონასტრის არქივი ფ. 6466 ს. 739 ფ. 1

3 იქვე. ფ.2

ლევს უფლებას დაბრუნებული ნივთები უცილობლად XVI ს-ში გელათში გადმოტანილ ნივთებად მივიჩნიოთ. ცნობილი ფაქტია, რომ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს გელათის მონასტერს თავი შეაფარეს ახალი ათონის მონასტრის ბერებმა.<sup>1</sup> არქ. სერაპიონის დაბრუნებული ნივთები ბიჭვინთიდან მათ მიერ ხომ არ იყო წამოღებული, ანდა მათთან ერთად გელათში ბიჭვინთის ტაძრის კრებულიც ხომ არ აფარებდა თავს? სამწუხაროდ, ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთები ჩვენთვის ხელმიუნვდომელია, ფაქტი ერთია, რომ აფხაზეთთან სადაო ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატი 1921 წლამდე გელათის მონასტერში იყო დასვენებული. მის შესახებ მონასტრის სიძველეთა 1906 წლის აღწერილობაში ვკითხულობთ: „ბიჭვინტისა ღვთისმშობლის ხატი 9X7 1 / 2 ვერშოკი გამოხატულია ღვთისმშობელი საუკუნო ყრმით, წმიდა ოქროსი, ორი ანგელოზით, ოოანნე ღვთისმეტყველით და ოოანნე წინამორბედით, საკმაოდ მდიდრულად შემკობილია მრავლის იაგუნდებით, ზურმუხტებით და ფირუზის ქვებით, სათვალავით 137 და მარგალიტით 135. ხატი ესე სავსეა წმიდა ნანილებით. დაკარგვია მხოლოდ ერთი ქვა და ერთი მარგალიტი“.<sup>2</sup>

საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატის დაბრუნების მცდელობა აფხაზებს 1851-1911 წლებში ორჯერ ჰქონიათ და როგორც ჩანს ორივეჯერ სხვებისაგან წაქეზებულებს (ერთხელ, საქართველოს ეგზარქოს პავლეს დროს XIX ს-ის 80-იან წლებში ქუთაისის საკათედრო ტაძარში დაცული ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატის, ბიჭვინთის მეორე ხატის დაბრუნებაც სცადეს).<sup>3</sup>

ცნობილი ფაქტია, რომ 1851 წლის აპრილში მოხდა აფხაზეთის საეპისკოპოსო კათედრის აღდგენა, რომლის პირველი მმართველი გახლდათ არქიმანდრიტი გერმანე გოგოლაშვილი (შემდეგში იმერეთის ეპარქიის მმართველი). ქრისტიანული საეკლესიო ცხოვრების აღდგენას აფხაზეთში სამღვდელოებასთან

1 გაზ. „მწყემსი“, 1887, №21, 30.09. გვ.10

2 ქ.ც.ს.ა. ფ.21 ს. 22510, ფ.23

3 გაზ. „შინაური საქმეები“ 1910 26 გვ. 9

ერთად გამორჩეულად მზრუნველობდნენ სამხედროები. სწორედ სამხედრო პირის — კავკასიის ცალკე კორპუსის საინჟინრო განყოფილების შტაბის უფროსის, ვინმე ვოლსკის 1851 წლის 17 აგვისტოს ეგზარქოსისადმი წერილშია დასმული საკითხი, რომ კარგი იქნება თუ ბიჭვინთაში საზეიმოდ გადმოვიტანთ გელათში დასვენებულ ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატსო. სამგვერდიან წერილში ბატონი ოფიცერი ამ აზრს ოჯჯერ იმეორებს და თანაც დაუშინებით.<sup>1</sup> საბედნიეროდ, აფხაზების გულშემატკივარი ამ სამხედრო მეთაურის ეს სურვილი იმუამად ეგზარქოსის კანცელარიას არ გასცილებია.

1910 წლის 4 აგვისტოს სოხუმის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (ქუთაისის ყოფილი სასულიერო სემინარიის ყოფილმა რექტორმა) საქართველოს ეგზარქოსა არქიეპისკოპოსს ინოკენტს აცნობა, რომ სოხუმის ოლქის უფროსს მისთვის გადაუცია სოხუმის ოკრუგის კოდორისა და გუდაუთის უბნების 20 საზოგადოების ძირეული აფხაზი მოსახლეობის განჩინებები (კრების ოქმები) 1658 წელს კათოლიკოს ზაქარისაგან გელათში წალებული ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატის (იმდროისათვის ასე ითვლებოდა) უკან დაბრუნებაზე. ეპისკოპოსი დიმიტრი ხაზგასმით აღნიშნავდა უკანასკნელ დროს აფხაზთა ქრისტიანობისაკენ მობრუნებას, რომ შექმნილია კომისია, რომელიც თარგმნის სალვაზისახურო წიგნებს აფხაზურ ენაზე, რომ მათ გაქრისტიანების საქმეში დიდი მნიშვნელობა ექნება ბიჭვინთის ხატის დაბრუნებას რისთვისაც თხოვდა დახმარებას.<sup>2</sup>

როგორც მიმოწერიდან ჩანს, უფრო ადრე, ივნისში იგივე საკითხი კავკასიის მეფისნაცვლის გრაფ ვორონცოვ-დაშვილის წინაშე დაუყენებია სოხუმის ოკრუგის უფროსს პოლკოვნიკ კროპაჩევს, რის შესახებაც 5 ივნისს მეფისნაცვალმა აცნობა ეგზარქოსს ინოკენტს. ეგზარქოსისადმი წერილში იგი აღნიშნავს, რომ პოლკოვნიკ კროპაჩევის შუამავლობა იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას და თხოვს აღმოუჩინოს დახმარება ამ შუამავლობის დაკმაყოფილებაში, ე.ი. ხატის დაბრუნებაში.<sup>3</sup>

1 ს.ც.ს.ს.ა. ფ. 488 ს. 15529 ფ. 1, 2

2 ს.ც.ს.ს.ა. ფ. 489 ს. 52995 ფ. 1, 2

3 იქვე, ფ. 3

6 ივლისს ეგზარქოსმა ამ საკითხზე გამოხმაურება და დასკვნა სთხოვა იმერეთის ეპისკოპოსს გიორგის.<sup>1</sup> 30 სექტემბერს ეპისკოპოსმა გიორგიმ შვიდ დებულებად ჩამოყალიბებულ წერილში (რომელსაც აქვე გაგაცნობთ) საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას დაუმტკიცა აფხაზთა მოთხოვნის უსუსურობა. 14 ოქტომბერს მსგავსი წერილით მიმართა კავკასიის მეფისნაცვალს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვსა და ეგზარქოსს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძლოლმა თავადმა ნ. წერეთელმა.

ეპისკოპოს გიორგის მიერ საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში გაგზავნილ წერილში ნათქვამია, I — ხატი იყო კათოლიკოს ევდემონის საკუთრება, როგორც წარწერიდან ჩანს, მან მოაჭედვინა და შეამკო (1568 წ.) და კი არ შეუწირავს ბიჭვინთის ტაძრისათვის, არამედ სალოცავად დაასვენა „ტაძარსა წმინდა ღვთისმშობლისასა“. II — ეს ხატი იყო რა კათოლიკოს ევდემონის საკუთრება (საკათოლიკოსო) მისი ბედის განკარგვის უფლება პეტონდათ შემდეგდორინდელ კათოლიკოსებსაც, მათ შორის ზაქარია ქვარიანსაც, რომელმაც ეს ხატი გელათში გადმოასვენა (რაც შეცდომაა და როგორც აღვნიშნეთ, იმდროინდელი ისტორიოგრაფია ასე მიიჩნევდა. ეპისკოპოსს გიორგის მოჰყავს არქიმანდრიტ სერაპიონის მონათხრობი ამ ხატის გადმოსვენებაზე ზაქარია ქვარიანის დროს და რომელიც მას მიჰტროპოპოლიტ დავით წერეთლისაგან მოუსმენია. ჩვენიაზრით დავით მიტროპოლიტისგან უნდა პეტონდეს ეს ლეგენდა მოსმენილი რუს არქეოლოგს ანდრია მურავიოვსაც, რომელიც ასევე მიიჩნევდა ამ ფაქტს).<sup>2</sup> III — ხატის დაბრუნება იმ მოტივით, რომ კათოლიკოსმა ევდემონმა ის თავის დროზე ბიჭვინთაში დაასვენა, ბუნდოვანს ხდის საკუთრების ცნებას. რამდენია ასეთი ნივთები დღეს იმერეთის ეპარქიის ეკლესიებში შესაბამისი წარწერებით, რომლებიც ადასტურებენ, რომ ადრე ისინი ეკუთვნოდნენ სამეგრელოს, გურიას, ქართლს, აფხაზეთს, სამცხე-საათაბაგოს და სხვ. და პირიქით, იგივე სამეგრელოს, ქართლის, სვანეთის ეკლესიებში ინახებიან საეკლესიო ნივთები და სინმიდეები, რომლებიც აქ იმერეთის ეკ-

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ბ. 24559 ფ. 5, 6

2 Муравьев \_ Грузия и Армения, ч. III, СПБ 1848 стр.169

ლესიებიდან მოხვდნენ და დღემდე არავის გაუბედია მათი უკან  
დაბრუნების მოთხოვნა. თუ დასახელებული ხატი დაბრუნებული  
იქნება ბიჭვინთის ახლად განახლებულ ტაძარში, რომლებშიც  
რუსი ბერები ცხოვრობენ, ეს იქნება დასაწყისი დაუმთავრებელი  
დავისა სხვადასხვა ეკლესიებსა და სამრევლოებს შორის. თუ ეს  
ხატი ჩემს რწმუნებულ გელათის მონასტრიდან გადატანილი იქ-  
ნება, მაშინ მე როგორც იმერეთის მწყემსმთავარი, პირველი და-  
ვაყენებ საკითხს კიევ-პეჩორის ლავრიდან და კიევის წმ. სოფიოს  
საკათედრო ტაძრის საგანძუროდან ქართული წარმოშობის საეკ-  
ლესიო ნივთების დაბრუნებაზე. კიევ-პეჩორის ლავრაში დღემდე  
ინახება ორი მიტრა, რომლიდანაც ერთი ეკუთვნის აფხაზეთის  
უკანასკნელ კათოლიკოს მაქსიმეს (გარდ. 1795 წ.), რომელმაც  
თავის ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა ამ ლავრაში.  
აფხაზების ლოგიკით გელათის მონასტერს, როგორც კათოლი-  
კოს მაქსიმეს ყოფილ სამფლობელოს უფლება აქვს ითხოვოს  
დასახელებული მიტრისა და გარდაცვლილის სხვა ნივთების  
დაბრუნება. რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ასევე მრავლად  
ინახება სხვადასხვა გარემოების გამო საქართველოდან გატა-  
ნილი საეკლესიო ნივთები. ვინ დააბრუნებს მათ თავიანთ პირ-  
ვანდელ ადგილებში? ჩვენ ამ პრეტენზიას არავინ არ დაუშვებს.  
ეს თავად მე მაქს მწარედ გამოცდილი, როდესაც XIX ს-ის 80-  
იან წლებში თბილისში მზადდებოდა რუსეთის არქეოლოგიური  
ყრილობა და რომელსაც კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამ-  
მართველო ამზადებდა. ამავე სამმართველოსაგან დავალებული  
მქონდა მე, როგორც კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტს  
კიევის ტაძრების დათვალიერება და მათ განძისაცავებსა და  
ბიბლიოთეკებში საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის  
ურთიერთობის ამსახველი მასალების მოპოვება და მათი ჩამო-  
ტანა თბილისში არქეოლოგთა ყრილობის დროს. მქონდა რა ხელ-  
ზე ამ სამმართველოს განკარგულება, რომელიც მეფისნაცვლის  
სახელით მავალებდა დავალების შესრულებას, ვფიქრობდი, რომ  
ჩემთვის დაუბრკოლებრივ გაიღებოდა კიევის ტაძრების სიძვე-  
ლეთსაცავებისა და ბიბლიოთეკების კარები, მაგრამ შევცდი.  
ეს მხოლოდ კიევის მიტროპოლიტის განკარგულების შემდეგ

მოხდა, თუმცა მათი ფოტოგრაფირებისათვის მიტროპოლიტის მეორე განკარგულება დამჭირდა. ჩემი თხოვნა, რომ ჩემს მიერ მიკვლეული ნივთები გამოეგზავნათ თბილისში მეფისნაცვლის სახელზე ყრილობისათვის, დაცინვით უარყვეს. კიევის აკადე-მიასთან არსებულ არქეოლოგიურ მუზეუმში იყო საარქიელო კვერთხი ღდესალაც საქართველოდან წალებული. ჩემი თხოვნის პასუხად, ამ კვერთხის თბილისში გაგზავნაზე მუზეუმის გამგემ ხუმრობით „აზიატი“ მიწოდა. ჩემს მიერ მოპოვებული კიევში და-ცული ქართული წარმოშობის სინმიდეების წუსხები და ზოგიერ-თთა ფოტოები ასახულია 1881 წელს თბილისში გამართული არქე-ოლოგიური ყრილობის შრომებში, ხოლო მოპოვებული ცნობების საფუძველზე მეფისნაცვლის საბჭოს წევრმა დ. ფურცელაძემ ამ ყრილობაზე წაიკითხა რეფერატი. თუ ეს ხატი დაბრუნდება ბიჭ-ვინთაში, მაშინ ყველა მოითხოვს თავიანთ ძველ ადგილზე იქნეს დაბრუნებული საეკლესიო სინმიდეები. IV — აფხაზთა სოფლების საზოგადოებების განჩინება ხატის დაბრუნებაზე ჩემი ღრმა რწმენით ხელოვნურია, გარეშე პირთა გავლენით შექმნილი. მათ ხატის დაბრუნება განახლებული ბიჭვინთის ტაძარში, სადაც უკ-ვე რუსი ბერები ცხოვრობენ და ფაქტიურად მონასტერია, უფრო აქ რუსი მომლოცველების მოსაზიდად ჭირდებათ. დღევანდელ აფხაზებს არაფერი არ ახსოვთ ბიჭვინთის ხატზე, არავითარი მოგონება მათზე არა აქვთ და არც არავის ახსოვს გელათში ჩა-სული ამ ხატის თაყვანისმცემელი აფხაზი მომლოცველი. V — ამ ხატის დაბრუნებით არ შეიძლება დაკამაყოფილებად ჩავთვა-ლოთ დღევანდელი ბიჭვინთელების და საერთოდ აფხაზების პრეტენზიები. ჩემის აზრით ეს მხოლოდ წარმატების მოსინჯვაა, გაგრძელება იქნება შემდეგ. ამას მოყვება მათი პრეტენზიები სხვადასხვა ადგილზე დაცულ დღეს უკვე არქეოლოგთა მიერ აღ-ნერილ ბიჭვინთის სხვა სინმიდეების დაბრუნებაზე და რომლის შესახებაც იცის ყოვლად სამღვდელო დიმიტრიმ ყოფილი ქუთაი-სის სასულიერო სემინარიის ყოფილმა რექტორმა. ხატის დაბრუ-ნებას ბიჭვინთაში შეიძლება მოჰყვეს დაუსრულებელი დავები და საჩივრები სამრევლოებსა და საზოგადოებებს შორის, რაღაც იმის მსგავსი რაც საქართველოსათვის უბედურ დროს XVI-XVIII

სს-ში ხდებოდა, როცა ერთმორნმუნე და ერთი სისხლის ხალხები ერთმანეთში ეწეოდნენ იმებს, რომლის დროსაც გამარჯვებულს მიჰქონდა არა მარტო სამხედრო ნადავლი, არამედ საეკლესიოც: ხატები, ჯვრები და სხვ. VI — თუკი აფხაზებში დღეს იღვიძებს ქრისტიანული სიწმიდეებისადმი პატივისცემა, იმერლებში ეს გრძნობა ფანატიზმამდეა ასული. ისინი არა თუ ასეთი სიწმიდეების ეპარქიიდან გატანას დათანხმდებიან, არამედ არქეოლოგებსაც კი ძალიან ფრთხილად აჩვენებენ. მე პირადად ვერ მოვახერხე უბისის ტაძრის სახარების გაგზავნა მოსკოვში შესწავლის მიზნით მრევლის წინააღმდეგობის გამო. ამჟამად ეს არქეოლოგები თბილისში ჩამოდიან მის შესასწავლად, მაგრამ იქ წალებაზეც წინააღმდეგობის მრევლი. თუკი პატარა უბისის მრევლი ასეთ წინააღმდეგობას მიწევს ამ საკითხზე, წარმოიდგინეთ რას იტყვის მთელი ეპარქია, თუ მე გადავწყვეტ ხატის ბიჭვინთაში დაბრუნებას — ვერ გავექცევი მე სახალხო რისხვას, წყველას და სამშობლოსა და მშობლიური ეკლესიის მოღალატის სახელს. VII უპრიანი იქნება საქმე გადაწყვიტოს სასამართლომ. დაინტერესებულმა მხარემ სოხუმის ეპარქიიდან აღძრას საქმე.<sup>1</sup>

ეპისკოპოს გიორგისა და თავად წერეთლის წერილებმა აიძულეს ეგზარქოსი, რომ 1911 წლის 15 თებერვალს მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვისათვის მოეხსენებია: ბიჭვინთის ხატი აფხაზთა ხალხის კუთვნილებად არ დასტურდება, პირიქით, ამ ხატზე წარწერები ადასტურებს, რომ ეს საკუთარი ხატი კათალიკოსმა ევდემონ ჩხეტიძემ ბიჭვინთაში მიიტანა სალოცავად და მასზე ამ უფლებას მუდამ ინარჩუნებდაო, რომ სინოდის კანტორამ 1910 წლის 26 ოქტომბერს დაადგინა უარი ეთქვათ აფხაზებს მათ უკანონო თხოვნაზე.

ამრიგად, მეორედაც გადარჩა ხატი გელათიდან გატანას. თუმცა მას ერთი განსაცდელი კიდევ ელოდა: 1921 წელს ის სხვა განძეულობასთან ერთად იქნა გატანილი საფრანგეთში, საიდანაც 1945 წელს იქნა დაბრუნებული და როგორც აღვნიშნეთ, ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

---

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 24559 ფ. 5-12

თავი მიშვიდე

გელათის მონასტრის სიძველეების მეცნიერული  
კვლევის ისტორიიდან ეგზარქოსობის დროს.  
გელათის მონასტერი — კულტურულ-  
საგანგანათლებლო კერა





გელათის მონასტრის სიძველების მეცნიერული კვლევა XIX ს-ის შუა ხანებიდან იწყება (ქრისტიან ფრენის, მარი ბროსეს და სხვათა მიერ), როცა ისინი აქ ჩამოსულ მოგზაურთა (გამბა, დიუბუა და მონპერე და სხვ.) აღნერილობების წყალობით სპეციალისტთა კვლევის თვალსაწიერში მოექცენენ. მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს ხელნაწერები და ოქრომჭედლობის ნივთები იქცევდნენ, რომლებიც ყოველთვის ხელმისაწვდომი იყო, როგორც ადგილზე, ასევე პეტერბურგსა და მოსკოვში გაგზავნით (მიუხედავად ზემოთხსენებული ზოგიერთი მკვლევარის — უვაროვა, ბობრინსკი და სხვ. უმაღურობისა და ბრალდებებისა). მკვლევარებს განსაკუთრებით მზრუნველობდა გაბრიელ ეპისკოპოსი. ამის ნათელი დადასტურებაა ქვემოთ მოტანილი მისი ორი წერილი გელათის მონასტრის წინამძღვარ არქიმანდრიტ სერაპიონისადმი. პირველ წერილში, რომელიც 1880 წლის 15 იანვრითაა დათარილებული, ვკითხულობთ: „გაენათის წინამძღვარს, არქიმანდრიტს სერაფიონს მოგიწერ თქვენ ამ მიწერ-მოწერის მომტანს ბ. გიორგი ეფთვიმეს ძეს წერეთელს უჩინოთ რწმუნებულს თქვენდამი მონასტერშიდ საწინამძღვრო სახლში ბინა, შეიძლება ჩემი სადგომი ოთახი მისცეთ რამდენ ხანსაც დარჩეს მონასტერში აღსასრულებლად მისდამი არხეოლგიურის საზოგადოებისაგან მინდობილობისა და ამ დროის განმავლობაში მისცეთ ნება მას განიხილოს ყოველივე ძველი ქონება იმა მონასტრისა დაწეროს იგინი და ყოველი სამკაულნი, წიგნი და ხელნაწერი და ხატები ნიადაგის თანდასწრებითა მოლარის (ხიზნიჩი) მღვდელ-მონაზვნის გერასიმეს და მღვდელ-მონაზონის თეოდორესა (ერისთავის) და აღსრულებისათვის ამისა მომახსენეთ მე“.<sup>1</sup> (გელათში გ. წერეთლის ამ მივლინების შედეგად

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 14960 ფ. 3

შეიქმნა მისი შესანიშნავი ნაშრომები: „О некоторых древностях в Гелатском Монастыре“ (1882 г.)<sup>1</sup> და „Полное собрание надписей на стенах и камнях и приписок к рукописям Гелатского Монастыря“, რომელიც 1891 წელს დაიბეჭდა.

ხოლო 1889 წელს, როცა გელათის სიძველეების შესწავლას იწყებდა პროფესორი ნ. კონდაკოვი, გაბრიელ ეპისკოპოსი მონასტრის ნინამდღვარს წერდა: „მოგინერთ თქვენ აღმოუჩინოთ ჯეროვანი შემწეობა იმპერატორის არხეოლოგიური კომისიის მწევრს პროფესორს კონდაკოვს და მასთან დანიშნულს უფ. ბაქ-რაძეს, რათა მათ აღწერონ შესანიშნავი ნივთნი ძველი დროისა, რომლებიც იმოქონებიან თქვენდამი რწმუნებულ მონასტერში თანახმად მათი იმპერატორობითის ბრძანებისა“.<sup>1</sup> ნ. კონდაკოვს, ცნობილია საქართველოში ამ მეორე მოგზაურობის დროს თან ახლდა დ. ბაქრაძე, რომლებმაც 1890 წელს პეტერბურგში ერთობლივად გამოსცეს შესანიშნავი ნაშრომი „Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии“ გელათის ხატები და ტიხორული მინანქრები განხილული იქნა აგრეთვე ნ. კონდაკოვის შრომებში: „История и памятники византийской эмали. Византийские эмали собрания А.Б. Звенигородского“, СПБ 1892 გ. და „Иконография Богоматери“ СПБ. т. I 1914 გ. т. II 1915 გ.

ასევე მზრუნველობით მოკიდა გელათის მონასტრის მმართველობა 1914 წლის ივლისში აქ ჩამოსულ კორნელი კეკელიძეს — იმუამად თბილისის ეპარქიალური ქალთა სასწავლებლის ინსპექტორს, დეკანოზს. როგორც იმდროინდელი გაზეთები აღნიშნავდნენ: „მას განძრახვა აქვს შეისწავლოს გელათის სიძველეები და წმინდანების ცხოვრება“.<sup>2</sup> მან ეს განზრახვა ბრწყინვალედ შეასრულა, თუმცა მის მიერ შედგენილი გელათის მონასტრის ხელნაწერთა (ბიბლიოთეკის) აღწერა დღემდე არ არის გამოქვეყნებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გელათში კ. კეკელიძეს ბევრი ადრე აქ დაცული ხელნაწერი არ დახვედრია. ამ ფაქტს ჯერ კიდევ ადრე 1925 წელს მიაქცია ყურადღება დ. გორდეევმა. გორ-

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 18219 ფ. 3

2 გაზ. „ჩვენი აზრი“ 1914 წ. №4 გვ. 1  
გაზ. „იმერეთი“ 1914 წ. №113 გვ. 3

დევის თქმით გელათის ძველი ხელნაწერები და ძველნაბეჭდი წიგნები დანაწევრდა სამნანილად. პირველს მიეკუთვნებიან ხელნაწერები, რომლებიც უკვე დიდი ხანია მოხვდნენ სიონის სიძველეთსაცავში — თბილისის საეკლესიო მუზეუმში (რომელიც შემდეგ გადაეცათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს), მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ის ხელნაწერები, რომლებიც თავის დროზე მონასტრიდან თედო ჟორდანიას მიერ იყო წაღებული და, რომლებიც ასევე შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოჩნდა, ხოლო მესამეს კი — ხელნაწერები და ძველნაბეჭდი წიგნები, რომლებიც მონასტრის დაუქმების შემდეგ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში იქნენ გადატანილნი.<sup>1</sup> ხელნაწერებისა და ძველნაბეჭდი წიგნების გორდევისეული დაყოფა პირობითია. ის ეყრდნობა არა მათ ხარისხობრივ დანაწილებას, არამედ გეოგრაფიულს — იმის მიხედვით, თუ რომელი სად აღმოჩნდა. რომ ეს ასე არ იყოს, მაშინ, აღბათ, პირველ ჯგუფში აღმოჩნდებოდა 1923 წელს გელათიდან ქუთაისის მუზეუმში გადატანილი ბიზანტიული მწერლის იოანე ქსიფილინოსის 5-ტომიანი მეტაფრასული კრებული. ამ კრებულის მნიშვნელობას უნიკალურს ხდის ის ფაქტი, რომ მისი ორიგინალი ბერძნულ ენაზე აღარ არსებობს. ეს კრებული უნიკალურია თავის ზომითა და მოცულობითაც 41X37 სმ ზომის ხუთივე წიგნის მოცულობა 6000 გვერდს შეიცავს და გელათის მონასტრისეულ აქ დაცულ 67 ხელნაწერს შორის სამართლიანად პირველობს (1912 წელს გელათის მონასტერში 300-მდე ხელნაწერი იყო)<sup>2</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, გელათის სიძველეებს (ძირითადად ხელნაწერებს) ხშირად ითხოვდნენ შესწავლის მიზნით პეტერბურგსა და მოსკოვში იქაური სწავლულები. მათ გაგზავნა-დაბრუნებას ძირითადად საქართველოს ეგზარქოსი აწესრიგებდა. 1851 წელს გელათის ცნობილ სახარებას ხელმეორედ ითხოვდა ეგზარქოსი ისიდორე (პირველად ნათხოვარი 1855 წელს დაუბრუნებია პლატონ იოსელიანის ხელით) 13 აპრილის წერილში იგი იმერეთის

1 Д. Гордеев - Материалы к обследованию Гелатских древностей. „Саисტორიო მოამბე“ ნ. 1 ტფ. 1925 ნ. გვ. 130

2 ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს.25114, ფ.2

ეპარქიის დროებით მმართველს, გელათის მონასტრის წინამდ ღვარს არქ. გაბრიელს ავალებს წერილის მიღებისთანავე პირ-ველივე ფოსტით გაუგზავნოს „ძველი სახარება გაენათის მონასტრისა ძველის კარტინგბითა ვერცხლით მორთული, თვით იგი, რომელიც წინათ წამოღებული იყო ტფილისში, და შარშან უკანვე გამოგზავნილი პლატონ იოსელიანის ხელითა. უკეთუ ის წალებული იყოს რაჭის უეზდეში, იქიდან ჯერეთ არ გამოუგზავნიათ უკანა სხვათა გაენათის მონასტრის საეკლესიო ნივთა შორის, გაგზავნეთ ვინმე, იქა და აღასრულეთ ამისამებრ მცირედისა დაუყონებლივ, რადგანთ მასში არის დიდი საჭიროება, რომელიც არა ითხოვს დაგვიანებასა“<sup>1</sup>.

ჩვენთვის უცნობია ვისთვის და რისთვის ითხოვდა თანაც ასე სასწრაფოდ ეგზარქოსი გელათის სახარებას. 13 აპრილს თბილი-სიდან გამოგზავნილი წერილი 17-ში ქუთაისში იყო. 18 აპრილს კი არქ. გაბრიელმა გაუგზავნა გამოთხოვილი სახარება თანადართული წერილით, რომლისგანაც ვებულობთ, რომ 1855 წელს მართლაც ყოფილა განზრახული გელათის მონასტრის ნივთ-სამკაულის რაჭის მაზრაში გადატანა, მაგრამ თურქთა კორპუსის იმერეთის საზღვრისგან განშორების გამო არ გადაუტანიათ და რომ ეს სწორედ ის სახარებაა, რომელიც პლატონ იოსელიანის ხელით იყო დაბრუნებული.<sup>2</sup>

ეს სახარება ეგზარქოსმა ისიდორემ 1857 წლის 20 ნოემბერს დაუბრუნა იმერეთის ეპისკოპოსს გერმანეს, ამ უკანასკნელმა კი მონასტრის წინამდლვარს არქ. გაბრიელს ჩააბარა,<sup>3</sup>

აღნიშნული თუ სხვა გელათური სახარებით უსარგებლია ცნობილ ისტორიკოსს დიმიტრის ფურცელაძეს, რომელიც 1860 წლის 11 ივნისს დაუბრუნებია მონასტრისთვის.<sup>4</sup>

1863 წლის 20 დეკემბერს საქართველო-იმერეთის სინოდა-ლურმა კანტორამ იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს გამოუგზავნა ბრძანება, რომელიც ავალებდა კანტორისთვის მიენოდებინა

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 6022 ფ. 1, 2

2 იქვე ფ 2,3

3 ქცსა ფ. 21, ს. 6553, ფ 1,2

4 ქცსა ფ. 21, ს. 7758, ფ 2

ცნობები თუ რომელი ძველი ხელნაწერი ქართული წიგნები ინახებოდნენ იმერეთის ეპარქიის ეკლესია-მონასტრებში. სინო-დალური კანტორის ამ ბრძანების საფუძველი იყო თბილისის სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელობის თხოვნა აღნიშნულ საკითხზე საქართველოს ეგზარქოსისადმი იმ მოტივით, რომ სე-მინარიის მოსწავლეებს გაეძლიერებინათ ქართული ენის შესწავლა<sup>1</sup>(?!).

აღნიშნული წერილის საფუძველზე გელათის მონასტრის წინამძღვარმა არქ. ონიფანტემ გაბრიელ ეპისკოპოსს 14 და-სახელების ხელნაწერთა სია წარუდგინა.<sup>2</sup>

როგორც ჩანს თბილისის სასულიერო სემინარიის ხელ-მძღვანელობა, რომელიც ვფიქრობთ მარტო საკუთარი გადაწყვეტილებით არ მოქმედებდა, არ დააკმაყოფილა შეგროვილმა ცნობებმა და მოგვიანებით 1876 წელს ხალახლა დაიწყო ცნობების შეგროვება, იმ განსხვავებით, რომ გაგზავნილ პასუხებში აღნიშნული უნდა ყოფილიყო სიაში ჩამოთვლილ წიგნებს და ხელნაწერებს საკუთრებაში (ე.ი. საჩუქრად) გადასცემდნენ სემინარიას თუ დროებით სარგებლობაში.<sup>3</sup> საბედნიეროდ საარქივო დოკუ-მენტში ამ საკითხზე გაცემული პასუხები ყველა უარყოფითია! (იმუამად გელათის მონასტრის არც ერთი ხელნაწერი სემინარიაში არ გაგზავნილა).

1886 წლის იანვარში პეტერბურგის სასულიერო აკადემიამ პროფესორ ნიკოლოზ პოკროვსკისათვის გაითხოვა გიორგი მთაწმინდელის ნათარგმნი XI ს-ის ხელნაწერი სახარება, რომელიც მათთვის ცნობილი იყო ბროსეს, კონდაკოვის და ბაქრაძის შრომებით და XIV-XV საუკუნეების მინიატურებიანი სახარება. ამ მოთხოვნის აღსასრულებლად გაბრიელ ეპისკოპოსმა 7 აპ-რილს მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტ სერაპიონს მიწერა, რათა მისთვის მიეტანათ ის სახარება, რომელიც ერთხელ „კიდევ ყოფილა გაგზავნილი პეტერბურგში გასასინჯავად და მალე ისევ უკან დაუბრუნებიათ, ამასთანავე გადაამთვალიე-

1 ქცსა ფ. 21, ს. 9003, ფ 1

2 იქვე ფ. 7.

3 ქცსა ა. ფ. 21, ს. 13782, ფ 1

რეთ ეს სახარება და ბოლოში გააკეთეთ თქვენი შენიშვნა ცალკე ქაღალდზე დაწერილი მასზე თუ რამდენი ფურცელია მასში და რანაირი მხატვრობანი, შენიშვნა უნდა იყოს ხელმოწერილი თქვენგან“.<sup>1</sup> 24 აპრილს არქიმანდრიტმა სერაპიონმა მართლაც მიუტანა სახარება შემდეგი შენიშვნით: „არის ეტრატზედ დაწერილი ფურცელი ორას ოთხმოცდათორმეტი, რომლებზედაც თითოეულის სიტყვაობაზედ არის ოქროს ვარაყით მხატვრობანი, თვითეულთა სახარების მოთხოვნათა სასწაულებთანი; ხოლო დაუწერელნი პატივად ხუთი ფურცელი ეტრატი ხოლო გარედგან არის მოჭედილი ვეცხლით ხატებით მეორეს მხრით აღდგომა და აყვანა უკანა მხარეზედ ოთხი მახარებელი და ერთის მხრით ორმოცდაოთხის სხვადასხვა გვარის ძველის ქვებით“.<sup>2</sup>

1886 წლის 25 აპრილს პეტერბურგში გაგზავნილი ეს სახარება, უკან დაბრუნებული 1887 წლის 8 აგვისტოს ჩაიბარა არქიმანდრიტმა სერაპიონმა.<sup>3</sup>

1901 წლის 23 მარტს გელათის მონასტრის წინამძღვარმა იმერეთის ეპისკოპოსს ლეონიდესაგან შემდეგი წერილი მიიღო: „ამას წინათ ყველა სამღვდელო კირიონს რწმუნებულ თქვენდამო მონასტერში აღურჩევია ძველი ხელთნაწერი წიგნაკები და წერილები, რომლებისათვის შეუდგენიათ ცალკე სია და ის სია მასში მოქცეული წიგნაკებით და წერილებით დაუტოვებია მად თქვენთან. ეხლა მე პირად მოხოვა იმავე ყოვლად სამღვდელომ, რომ იგი წიგნები სიით ხელწერილ ქვეშ გადასცეთ თეოდორე დავითის ძე უორდანიას მისართმევად ყველა სამღვდელო კირიონსადმი. ეს ძველი წიგნები ეჭივრებათ საარხეოლოგიო გამოფენისათვის, რომელიცა მოხდება წელს ქ. თბილისში და უეჭველად ამავე წლის დამლევამდის უკლისად დაუბრუნდება მონასტერს კუთვნილისამებრ. გაცნობებთ რა ამაზე წინა დაგიდებთ თქვენ გაუგზავნოთ მოხსენებული საჭიროებისათვის ნათხოვრად ყველა სამ-

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 17083 ფ. 1,7

2 იქვე, ფ. 8

3 იქვე, ფ. 10, 11

ქ.ი.ე.მ. ფ. 6466 ს. 807

ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 17888

ღვდელო კირიონს მისგანვე ამორჩეული ძველი წიგნები და ხელ-თნაწერები სიით; აგრეთვე ძველი ორი დაბადებანი, რომლებიც მათ ბაგრატის ტაძარზედ მიშენებული ეკვლესიიდგან ყოფილან გადმოცემული და ისიც ამავე სიაში მოაქციეთ და ესეები ხელ-წერილ ქვეშ ჩააბარეთ ყ“დ სამღვდელო კირიონის მისართმევად თეოდორე დავითის ძე უორდანიას მით, რომ იგი წიგნები და ხელ-თნაწერები ყველა უკლისად დააპრუნონ მონასტერში არა უგვი-ანეს ამა წლის დამლევისა და შესრულება ამისა მომახსენოთ მე და მასთან წარმომიდგინეთ პირი იმა სიისა, რომლითაც ბ. უორ-დანია მიიღებს აღნიშნულ წიგნებს და ძველ ხელთნაწერებს; წიგ-ნები უნდა გადაინომროს და სიაში თვითეულის დაწერილი ფურ-ცლების რაოდენობა უნდა იქნეს აღნიშნული“.<sup>1</sup>

არქიმანდრიტმა სერაპიონმა ეპისკოპოსის დავალება შეას-რულა — თედო უორდანიას ეპისკოპოსს კირიონისათვის გადასა-ცემი 18 ხელნაწერი გაატანა. ხელნაწერების მიღება-ჩაბარების აქტი (ხელნაწერების სიით) ეპისკოპოსს მიართვა შემდეგი წერი-ლის დართვით „მე მარადის მზა ვარ თქვენი ბრძანების მორჩი-ლი, მაგრამ არა უცნობელია თქვენი ყ“დ უსამღვდელოესობა — თქვენს წინა მოადგილეს გაბრიელ ეპისკოპოსს რა ამბოხებაც შეამთხვა ამგვარმა საქმემ ჯერეთაც დაუკინყებელია, მე რო-გორც მოხუცებული კაცი, თუმცა თქვენიც მეშინია ამგვარის მო-ნერისათვის და საზოგადოების ხმისაც და იმედია არ მიწყენთ“.<sup>2</sup> მოხუცებული არქიმანდრიტი ეპისკოპოსს ლეონიდეს გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ ვრაფინია ლევაშოვასათვის გატანებულ სახარებას გულისხმობდა, რომელიც ყდაშეცვლილი იქნა დაბრუ-ნებული გელათის მონასტერში. ამ ფაქტისაგან განსხვავებით სამ-წუხაროდ თედო უორდანიასაგან წაღებული ხელნაწერები უკან აღარასოდეს დაუბრუნებიათ (ისე როგორც გაბრიელ ეპისკოპო-სის ნებართვით მღვდელ-მონაზონ ვენედიქტეს მიერ მთაწმინდა-ზე წაღებული ხელნაწერი გულანი)<sup>3</sup>. წაღებულ ხელნაწერთა ჩა-მონათვალი კი ასეთია: „1) ძველი აღთქმის ისტორია. ოთხას ოც-

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 21136 ფ. 1

ქ.ი.ე.მ. — გელათის მონასტრის არქივი, ფ. 6466 ს., ს. 1479

2 იქვე, ფ. 2

3 ქ.ც.ს.ა. ფ.296, ს.153, ფ.150

დაოთხი ფურცელი უთავბოლო 2) სახარება ბერძნული, ტყავზედ დაწერილი. ორას ორმოცდაშვილი ფურცელი 3) ნეტაფრასი ხელნაწერი. ქალალდზედ უთავბოლო ექვსას ოცდა ცხრამეტი ფურცელი 4) ნეტაფრასი და საკითხავი მარხვისათვის. უთავბოლო ქალალდზედ ასი ფურცელი 5) ძველი აღთქმის ისტორია და სხვათა. ორას სამოცდა თექვსმეტი ფურცელი 6) სადღესასწაულო. სამას ოთხმოცდა თხუთმეტი ფურცელი ქალალდზედ 7) იოანე ღვთისმეტყველის წიგნი. ქალალდზედ უთავბოლო სამას სამი ფურცელი 8) ტიბიკონი. უთავბოლო ქალალდზედ ას ოცდა ექვსი ფურცელი 9) ეფრემის სწავლა. ორას თოთხმეტი ფურცელი ქალალდზედ 10) ღვთისმშობლის საგალობელი. უთავბოლო ორას თორმეტი ფურცელი 11) სამთვენი. ხელთნაწერი ას ორმოცდა სამი ფურცელი 12) ნაწყვეტი სახარებისა. ცხრამეტი ფურცელი ტყავზედ 13) კურთხევანის ნაწილი. ოთხმოცდაორი ფურცელი 14) ხელთნაწერი სახარება. სამას ცამეტი ფურცელი 15) სამოციქულო. უთავბოლო ტყავზედ ზოგი ქალალდზედ ორას ორმოცდა ცხრა ფურცელი 16) ლავსაიკონი. უთავბოლო ორას ოთხმოცდა ცამეტი ფურცელი 17) სამოციქულო. უთავბოლო სამას ოცდაექვსი ფურცელი 18) ნეტაფრასი. უთავბოლო ქალალდზედ სამას ოცდაათი ფურცელი“.<sup>1</sup>

როცა 1902 წლის 24 აგვისტოს არქიმანდრიტმა სერაპიონმა ეპისკოპოსს ლეონიდეს წალებული წიგნების „სასარგებლონი მონასტრის ძმებთათვის ხშირად საკითხავების“ უკან დაბრუნება შეახსენა, უფრო სწორად დაუბრუნებლობა, თავის მდგომარეობაც აუხსნა: „ვეძლევი ხშირს საყვედურშიდ როგორც კრებულისაგან, რომლებიც ხშირად კითხულობდენ ამ წიგნებს და ხელთნაწერებს აგრეთვე კერძო პირებისაგან. ამისათვის უმორჩილესად ვსთხოვ თქვენს ყდ უსამღვდელოესობას რათა კეთილი ინებოთ განკარგულება მასზედ, რომ მონასტერს თვისი წიგნები და ხელთნაწერები უკლისად დაუბრნუდეს რითაც გადამარჩინოთ ნიადაგ საყვედურს როგორც კრებულისა ისე საზოგადოებისაგან.“<sup>2</sup> არქიმანდრიტის წერილს ეპისკოპოსმა ასეთი

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 21136, ფ. 3

2 იქვე, ფ. 6

რეზოლუცია დაადო: „ამ საქმეზე უკვე მოხდენილია განკარგულება“, რომელიც სამწუხაროდ არ აღსრულებულა.

თუ ასე დასრულდა ეპისკოპოსს ლეონიდეს დამოკიდებულება თ. ჟორდანიასაგან ნალებულ ხელნაწერებზე, უკომპრომისო იყო ის, როდესაც 1907 წელს მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ გელათის ძველი მინიატურებიანი სახარების (1886 წელს ერთხელ უკვე პეტერბურში განაგზავნის) გაგზავნა მოითხოვა, როცა ეპისკოპოსმა ქუთაისში მასთან მიტანილი ეს სახარება ნახა, მისი ფიზიკური მდგომარეობის გამო დასკვნა, რომ მისი არსად გაგზავნა არ შეიძლებოდა.<sup>1</sup>

გელათის სიძველეების შესწავლისათვის მნიშვნელოვანი იყო მათი ფოტოგრაფირება და ჩანახატების გაკეთება. XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში გარდა დ. ერმაკოვისა მათი ფოტოგრაფირება მოუხდენია 1899 წელს ფოტოგრაფ პავლე ვაჭარაძეს.<sup>2</sup> 1910 წელს ფილოსოფიის დოქტორს თეოდორ კლიუგეს, რომელიც ბერლინისა და გეტინგენის მეცნიერებათა აკადემიების მიერ იყო მივლინებული.<sup>3</sup> გელათის სიძველეების ფოტოგრაფირებისა და ჩანახატების ნებართვას თხოვდა 1904 წლის 29 სექტემბრის წერილით მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოება საქართველოს ეგზარქოსს ალექსის საზოგადოების წევრზე პრასკოვაია სერგის ასულ უვაროვაზე, რომელიც იმავე წლის ოქტომბერში უნდა ჩამოსულიყო გელათში.<sup>4</sup> იგივე საზოგადეობა 1905 წლის აპრილში თხოვდა იმერეთის ეპისკოპოსს ლეონიდეს, რომ მონასტერში სამუშაოდ დაეშვა და დახმარებოდა მხატვარ სერგი ნიკოლოზის ძე პოლტარაცკის ხახულის ღმრთისმშობლის ხატის ემალების და გელათის ცნობილი სახარების მინიატურების ჩასახატად.<sup>5</sup> წინა წელს, 1903 წლის ივნისში ასეთივე დახმარება აღმოუჩინა ეპისკოპოსმა ლეონიდმა მხატვარ ანდრია სვიმონის ძე სლავცევს. მის შესახებ ეპისკოპოსი მონასტრის წინაძლვარს წერდა: „ამით მოგიწერ რომ როდესაც გამოცხადდეს

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 22237 ფ. 7

2 ქ.ც.ს.ა ფ. 21, ს. 22669 ფ. 1

3 ქ.ც.ს.ა ფ. 21, ს. 24528

4 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 22100 ფ. 1, 2

5 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 22205 ფ. 1

თქვენდამო რწმუნებულ მონასტერში მხატვარი ანდრია სვიმონის ძე სლავცევი მისცეთ დაუყოვნებლივ ნებართვა ზოგიერთთა ნახატთა გადაღებისა, მიუჩინოთ ბინა და რამდენათაც კი შესაძლოა ხელი შეეწყოთ მუშაობაში“.<sup>1</sup>

იყო შემთხვევა, როცა დახმარებას რუსი მკვლევარებისათვის კი არ თხოვდნენ იმერეთის ეპარქიის ხელმძღვანელობას, პირდაპირ ავალებდნენ. ასე, მაგალითად 1912 წელს, როცა რუსეთის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტის მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის დიდი მთავრინა მარია პავლეს ასულის რესკრიპტით დაევალა უწმინდეს სინოდს, ხოლო ამ უკანასკნელმა კი თავის მხრით იმერეთის ეპისკოპოსს გიორგის, რათა დახმარება გაეწიათ საეკლესიო სიძველეების ჩახატვასა და ფოტოგრაფირებაში მხატვარ თეოდორ კრიჩევსკისათვის.<sup>2</sup>

უნდა ალინიშნოს, რომ ზემოთ ხსენებული ფოტოგრაფებისა და მხატვრების შესრულებული ნამუშევრების აბსოლუტური უმრავლესობა დღემდე მიუკვლეველია.

გელათის სიძველეებიდან მკვლევართა ყურადღებას ყოველთვის იქცევდა დავით ალმაშენებლის საფლავზე მონასტრის სამხრეთ შესასვლელში დაცული განძის (განჯის) კარები. ამ რკინის კარებზე მრავალი ლეგენდა არსებობს. ლეგენდებში ის ძირითადად დარუბანდის კარების სახელითაა ცნობილი და მისი გელათში ჩამოტანა დავით ალმაშენებელს უკავშირდება, სხვათა შორის ამ მოსაზრებას ადასტურებდა ვახუშტი ბატონიშვილიც, უფრო ადრე კი — 1651 წელს გელათში მყოფ რუს დიპლომატის ნ. ტოლოჩანოვს ამასვე ეუბნება მიტროპოლიტი ზაქარია, „რომ ეს კარები ყიზილბაშების ქვეყნიდანაა ჩამოტანილი ქ. დერბენდიდან, როცა მეფე დავითი იქ საომრად იყო წასული“. ამასვე იმეორებდა ფრანგი მოგზაური და კონსული ჟაკ ფრანსუა გამბა, ხოლო დიუბუა დე მონპერემ იგი ანისის კარებად მიიჩნია, რომელიც დავითმა 1124 წელს დაღაშქრა. ყველა ზემოთ დასახელებული მეცნიერი, დიპლომატი თუ მოგზაური ცდებოდა — კარები არც დარუბნადის იყო და არც დავით ალმაშენებელს

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 21873 ფ. 1

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21, ს. 25412 ფ. 1, 2

ჩამოეტანა გელაში. შეიძლება მათ ეს შეცდომა არ მოსვლოდათ, რომ ამოეკითხათ რკინის კარებზე შემორჩენილი წარწერა.

პირველად სწორედ ამ წარწერის წაკითხვის (არაზუსტი) საფუძველზე კარების დარუბანდიდან წარმოშობა უარყო ცნობილ-მა ორიგენტალისტმა, არაბისტმა, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიისა და პარიზის აზიური საზოგადოების წევრმა ქრისტი-ან ფრენმა 1835 წელს. მან კარები არანიდან (ყარაბალიდან) ჩამოტანილად მიიჩნია, რაც ასევე არასწორი იყო. მხოლოდ აკადემიკოსმა მარი ბროსემ შეძლო კარებზე არსებული წარწერის სწორი წაკითხვა (როგორც არაბულის, ასევე ქართულის), რითაც (ასევე სომეხი ისტორიკოსის კირაკოზ განძელის ნაშრომზე დაყრდნობით) დაადგინა, რომ კარები გელათში ჩამოტანილია მეფე დემეტრე I მიერ განჯიდან 1139 წელს წარმატებული ლაშქრობის შედეგად. მარი ბროსეს ეს მოსაზრება დღეს ქართულ ისტორიოგ-რაფიაში მიღებულია, რაშიდაც ასევე მნიშვნელოვანია აკად. გ. წერეთლის ღვანლი, რომელმაც სრულად და ზუსტად წაიკითხა და თარგმნა არაბული წარწერა, რომელშიც ვკითხულობთ: „სახელითა ალლაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა! ამ კარების დამზადება ბრძანა ჩვენმა მბრძანებელმა, სახელოვანმა ამირამ ას-სეიიდ შავერ ბენ ალ-ფადლმა, ალლაჰჰმაც ახანგრძლივოს მი-სი მბრძანებლობა! — კადი აბი-ლ-ფარაჯმუჰჰამმად ბენ აბდალ-ლაჰის — ალლაჰჰმაც ახანგრძლივოს მისი წარმატებები! — ხელმ-დლვანებლობით. გაკეთებულია მჭედელი ალ-ჰაყყად იბრაჰიმ ბენ უსმან ბენ ანვაიჰის მიერ წელსა 445-სა“. ქალაქ განძის ალაყა-ფის ეს რკინის კარები გაჭედილი იყო 1062 წელს.

დღეს გელათის მონასტერში ამ კარების მხოლოდ ერთი ფრთაა გადარჩენილი. მეორე ნახევარი მეფე სოლომონ I-ის დროს ღმრთისმშობლის შობის ტაძრის რკინით გადახურვისას ლურსმნის მოსაჭრელად გაუხმარიათ.<sup>1</sup>

სხვადასხვა დროს გელათის მონასტრის სიძველეები ზოგა-დად ალწერილი და შესწავლილი აქვთ: დიუბუა დე მონპერეს, მა-რი ბროსეს, ა. მურავიოვს, ვ. პერევალენკოს, პ. იოსელიანს და

1 ი. ენიკოლოფოვი — გელათის რკინის კარები. „მნათობი“ 1980 №6 გვ. 169-173

სხვებს. გელათური სიძველეების უმეტესობა ადგილზეა შექმნილი.

**გელათის მონასტერი — კულტურულ-საგანმანათლებლო პერა** — მიუხედავად იმისა, რომ XVI ს-ში დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებულმა გელათის აკადემიამ არსებობა შეწყვიტა, გელათის მონასტერი რჩებოდა დასავლეთ საქართველოს უპირველეს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად. ასე გრძელდებოდა XIX ს-ის დასაწყისშიაც.

ისტორიული დოკუმენტებით დასტურდება რომ იმდროინდელ გელათის მონასტერში არსებობდა სკოლა, სადაც ძირითადად მომავალი სასულიერო პირები შეისწავლიდნენ წერა-კითხვას, საღმრთო წერილს, საეკლესიო ტიბიკონს და გალობას. გალობის გელათური სკოლა მთელ საქართველოში სახელგანთქმული იყო. სწორედ აქაური მგალობელი მღვდელი სვიმონი იქნა გაგზავნილი თბილისში საგალობლების ნოტებზე გადასაღებად 1833 წელს საქართველოს ეგზარქოსს მოსესთან.<sup>1</sup>

გალობის შესწავლის საუკუნოვან ტრადიციასთან ერთად XIX ს-ის დასაწყისში გელათში არსებობას განაგრძობდა საგადამწერლო კალიგრაფიული სკოლა, ასე მაგალითად: „მღვდელ-მონაზონმა ნიკოლოზ მორჩაძემ 1825 წელს გელათში გადაწერა მოზრდილი მეტაფრასი (რ №18), მანვე მოაჭედვინა რიონის საყდრის სახარება (რ №75); 1853 წელს გელათელმა მღვდელ-მონაზონმა ისააკმა, რომელიც აღრე დავითის ლავრაში მოღვაწეობდა, აღწერა ლეკთაგან ლავრის დარბევა 1851 წელს (კ №649) და სხვ.“<sup>2</sup>

არსებობას განაგრძობდა ხატწერის სკოლაც, როგორც დიუბუა დე მონპერე აღნიშნავს, ბერები „როცა ეკლესიაში თავიანთი მოვალეობის შესრულებისაგან თავისუფლდებიან, ხატავენ სურათებს ან ხისგან კვეთენ ეკლესიებსა და ჯვრების პატარა ფიგურებს“.<sup>3</sup> ეს იყო ძველი ტრადიციების ერთგვარი გაგრძელება.

XIX ს-ის 80-90-იან წლებში როცა საქართველოში მასიურად

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 966 ფ. 1

2 ლ. მენაბდე — ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. I, ნაკ. II თბ. 1962 გვ. 545

3 მ. მგალობლიშვილი; ლ. მიქიაშვილი — ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები გელათის შესახებ. „ანალები 2000“ გვ. 85

დაიწყო საეკლესიო-სამრევლო სკოლების გახსნა. 1898 წლის ნოემბერში გელათის მონასტერშიც დაარსდა ერთკლასიანი სამრევლო სკოლა (ძირითადად შემონიღული თანხით). სკოლა მოთავსებული იქნა მონასტრის ეზოში მდებარე გაბრიელ ეპისკოპოსის სახლში (2 ოთახში).<sup>1</sup> სკოლის მმართველი იყო მონასტრის წინამდღვარი არქიმანდრიტი სერაპიონი, მასწავლებელი კი სერაპიონ ჭირაქაძე. 1899 წლისათვის სკოლაში უკვე სწავლობდა 70-ზე მეტი ბავშვი, რომელებიც გელათიდან და მეზობელი სოფლებიდან დადიოდნენ.<sup>2</sup> სწავლა სამწლიანი იყო და ისწავლებოდა: საღვთო სჯული, გალობა, წერა-კითხვა მშობლიურ ენაზე, რუსული ენა და დაწყებითი ართმეტიკა.

იმის გამო, რომ 1901 წლის (ზოგიც ნობით 1903 წელს) აგვისტოში გელათში საცხოვრებლად უნდა ჩამოსულიყო გრიგოლ ეპისკოპოსი, საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ საცხოვრებლად მას სწორედ ის შენობა (გაბრიელ ეპისკოპოსის სახლი) გამოუყო, რომელშიდაც იმუამად სკოლა იყო მოთავსებული. სკოლა ამ სახლიდან გადატანილი იქნა სოფელში, სადაც სულ მალე დაიხურა, გრიგოლ ეპისკოპოსი კი გელათის ნაცვლად მარტილში დაბინავდა,<sup>3</sup> თუმცა არც მარტო უბინაობა ყოფილა სკოლის დახურვის მიზეზი, როგორც 1909 წლის 23 დეკემბრით დათარიღებულ ერთ დოკუმენტში ჩანს, სკოლა დახურულა „რა მხოლოდ მისთვის, რომ გრიგოლ ეპისკოპოსი იყო გადმოყვანილი გელათში, არამედ უმეტეს მისთვის, რომ ყოფილი მასწავლებლები სულ სხვადასხვა მიმართულების იყო ვინემ მონასტერს შეშვენოდა“.<sup>4</sup>

1906 წელს მონასტრის წინამდღვარმა არქიმანდრიტმა ნიკოფორემ განიზრახა ხელახლა გაეხსნა სამრევლო სკოლა, მაგრამ თავისუფალი შენობა არ აღმოჩნდა. მხოლოდ 1910 წელს გახდა ეს შესაძლებელი. 25 იანვარს იმერეთის ეპარქიის სასწავლებელთა საბჭომ დაამტკიცა გელათის მონასტერში სკოლის გახსნა

1 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 28180 ფ. 1

2 გაზ. „ივერია“ 1899 წ. 17.09 №199 გვ. 2

3 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 28180 ფ. 1

გაზ. „შინაური საქმეები“ 1910 №15 გვ. 15

4 ქ.ი.ე.მ. — გელათის მონასტრის არქივი 6466 ს. 2422

და მასნავლებლად დაამტკიცა სევასტი ნიორაძე.<sup>1</sup> სკოლას იმერეთის საეკლესიო ხაზინა ინახავდა.<sup>2</sup> სკოლა გაიხსნა 1910 წლის 10 მარტს. როგორც მონასტრის მღვდელ-მონაზონი ილარიონი წერდა გაზეთ „შინაური საქმეების“ პუბლიკაციაში: ამ დღეს „მონასტრის წინამდლვარი არქიმანდრიტი ნიკიფორე კრებული-თურთ გაემართენ ხატებით და ჯვრით გარდაცვალებულის ყოვლად სამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოსის აღშენებულ სახლში, სადაც გარდახდილ იქმნა პარაკლისი და შემდეგ პარაკლისისა, ჩვეულებრივი ჩამოლოცვისა და მრავალ უამიერისა, სახლი ესე და დამსწრენი ასხურა წინამდლვარმა წმიდა აიაზმით. მიზეზი ესრეთისა იყო ის, რომ ამ სახლს კიდევ ელირსა გახსნა სამრევლო შკოლად, სადაც დღეს ორმოცდა ერთი მოწაფე ზის.“<sup>3</sup>

აღნიშნული სკოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ არასრულ კომპლექსურ სკოლად გადაკეთდა.

---

1 ქ.ი.ე.მ. — გელათის მონასტრის არქივი 6466 ს. 2463

2 ქ.ც.ს.ა. ფ. 21 ს. 25114 ფ. 2

3 გაზ. „შინაური საქმეები“ 1910 №15 გვ. 15

## ძირითადი ბასავნები

ეგზარქოსობის დროის გელათის მონასტრის შესწავლამ კიდევ ერთხელ დაგვარნმუნა, რომ მას საქართველოს სახელმწიფო ბრივი თუ საეკლესიო დაკრინების ხანაშიდაც კი ღირსეული ადგილი ეჭირა ჩვენი ერის ისტორიაში. იგი ყოველთვის იყო რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის უქრობი კერა.

იმერეთის სამეფოს გაუქმებამ (1810 წ.), საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ და ეგზარქოსობის დაწესებამ (1811 წ.) და საეკლესიო რეფორმის გატარებამ იმერეთში (1820 წ.) ძირეულად შეცვალა გელათის მონასტრის მდგომარეობა. ცვლილებები უპირველესად მონასტრის მართვა-გამგეობას შეეხო. ადრე მას დამოუკიდებელი ავტონომიური მმართველობა ჰქონდა, რეფორმის შემდეგ ის რუსეთის იმპერიის სხვა მონასტრების მსგავსად უწმიდესი სინოდის რეგლამენტირებული უფლებებით არსებობდა. თუ რეფორმამდე გელათის მონასტრის საერთო ხელმძღვანელობას გელათის ეპისკოპოსი ასრულებდა, 1820 წლის მარტიდან კი — დაწესდა მონასტრის წინამძღვრის თანამდებობა. ახლო ხანებში ჩანს რეგლამენტირებული მონასტრის კრებულიც. ეგზარქოსობის დროს მონასტრის კრებულის შტატებმა რამდენჯერმე განიცადა ცვლილება. მისი ბოლო რეგლამენტირება 1882 წელს მოხდა, რომელმაც ავტოკეფალიის აღდგენამდე იარსება. მონასტრის კრებულს საეკლესიო ხაზინა ინახავდა. ეგზარქოსობის დროს სხვადასხვა წლებში გელათის მონასტერს მართავდა 17 წინამძღვრი. ჩვენ შევისწავლეთ თითოეულის ცხოვრება-მოღვაწეობა და ღვაწლი მონასტრის მართვა-გამგეობაში. მათთან ერთად შესწავლილი გვაქვს კრებულის ზოგიერთი გამორჩეული წევრის მოღვაწეობა.

საეკლესიო რეფორმის გატარებამ ასევე ძირეულად შეცვალა მონასტრის მიწათმთვლობელობისა და მეურნეობის წესებიც. გელათი, როგორც მსხვილი საეკლესიო სენიორია, რომელსაც XIX ს-ის

20-იან წლებში 54 სოფელში 574 კომლი ყმა-გლეხი ჰყავდა (ჩვენს ისტორიოგრაფიაში 42 სოფელს და 395 კომლს მიიჩნევდნენ), თანდა-თან დასუსტებას იწყებს, რაც 1871 წელს მთელი მისი ქონების ხაზი-ნაზე გადაცემით დასრულდა. შევისწავლეთ ცალკეული წლების მიხედვით მონასტრის ყმათა-მფლობელობა და შემოსავლები.

რამდენადაც მონასტრის მამულების (რომლებიც განფენილნი იყვნენ მთელ იმერეთსა და რაჭაში) ექსპლოატაცია დიდად იყო დამოკიდებული ნორმალური გზების არსებობაზე. სპეციალუ-რად შევისწავლეთ გელათში ისტორიულად არსებული გზები და საგზაო ნაგებობანი. დავადგინეთ გელათზე გამავალი ორი დიდი მაგისტრალის არსებობა — ერთი გელათზე გავლით ქართლისა-კენ მიემართებოდა, მეორე კი რაჭაში გადადიოდა. მივაკვლიეთ ამ მაგისტრალებზე არსებულ დღემდე უცნობი სამი ხიდის ნაშ-თებს და ერთ ქვის ბოგირს.

თუ გელათის მონასტრის მთავარმა ნაგებობებმა დღემდე მოაღ-ნიეს, თანაც დიდი ცვლილებების გარეშე, შედეგია იმ სარემონტო სამუშაოებისა, რომელიც აქ ეგზარქოსობის დროს ჩატარდა. შე-კეთებით სამუშაოებთან ერთად აგებული იქნა ბერ-მონაზონთა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, რომელთა შორის გამოირჩევა გაბრიელ ეპისკოპოსის სახლი, რომელიც ახლაც დგას.

ცნობილია, რომ დაარსებიდან გელათის მონასტერი ით-ვლებოდა საქართველოს მეფეთა საძვალედ (სამარხად). ნეკრო-პოლის ფუნქცია მას ეგზარქოსობის დროსაც დარჩა. საკითხის შესწავლით ჩვენს მიერ გელათში დასტურდება ერთიანი საქარ-თველოს 11 მეფის, იმერეთის 12 მეფის, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) 3 კათოლიკოს-პატრიარქის, გელათის 3 ეპისკო-პოსის, გელათის მონასტრის 5 წინამძღვრის და სხვა 16 სასულიე-რო პირის დაკრძალვა და (სულ 50, სხვა მკვლევარებთან 30-მდე დასტურდება) და უმეტესობის საფლავებიც. ამ პირთა შორის რამდენიმე საქართველოს ეკლესიის წმინდანია (დავით აღმაშე-ნებელი, გაბრიელ ეპისკოპოსი, სოლომონ II და სხვ.).

გელათის მონასტერი საუკუნეების განმავლობაში იყო სრუ-ლიად საქართველოს ერთერთი უდიდესი და უმდიდრესი საეკ-ლესიო ნივთ-სამკაულთა განძთსაცავი. აქ ინახებოდა, როგორც ადგილზე შექმნილი და სხვადასხვა პიროვნების მიერ მონასტრი-

სადმი შემონირული საოქრომჭედლო ხელოვნების უძვირფასესი ნიმუშები, ასევე საქართველოს სხვადასხვა მხარიდან დასაცავად გადმოტანილი უმნიშვნელოვანესი საეკლესიო განძეულობა. ასე აღმოჩნდნენ გელათის მონასტერში დაცული ხახულისა და აწყურის ღმთრისმშობლის ხატები და კიდევ მრავალი სხვა სინ-მიდე. თუმცა ხანდახან პირიქითაც ხდებოდა — გელათის მონასტრიდან შიშიანობის გამო სხვაგან (ძირითადად რაჭაში, ჭელიშის მონასტერში) გადატანილი თუ დროებით ნათხოვარი საეკლესიო ნივთ-სამკაული უკან აღარ დაუბრუნებიათ.

ჩვენს მიერ პირველად, შედარებით სრულყოფილად იქნა შეს-ნავლილი გელათის მონასტრის საგანძუროს დაცვისა და შესწავ-ლის მდგომარეობა ეგზარქოსობის დროს. მივაკვლიერ გელათის მონასტრის ქონების დღემდე უცნობ რამდენიმე აღწერას. მათ მონასტრის აღწერების ანალიზმა გვიჩვენა, რომ აღწერებს შო-რის ხდებოდა ნივთების დაკარგვა (ზოგჯერ უკვალოდ).

მონასტრის საგანძუროს შესწავლისას ჩვენს მიერ პირველად იქნა ყურადღება მიქცეული გელათში დაცულ სინმინდებზე — წმიდათა ნაწილებზე. დადგენილი იქნა მათი ნუსხა და შესა-ნახი სანაწილები და ლუსკუმები, ასევე პირველად დავადგინერ მონასტერში დაცული შემონირულ ნივთ-სამკაულთა და შემომ-ნირველთა ნუსხა (გელათს ხომ ამის დიდი ტრადიცია ჰქონდა), დავადგინერ XIX ს-ის I ნახევარში გელათის მონასტრიდან ქუთა-ისის ღმთრისმშობლის მიძინების (ბაგრატის) საკათედრო ტაძარ-ში გადატანილი საეკლესიო ნივთ-სამკაულის ნუსხა, რომელიც უკან აღარ დაუბრუნებიათ.

როცა, ამ ნაშრომის შესავალში ეგზარქოსობის პერიოდს გელა-თის მონასტრის ისტორიაში ტკივილიან ხანად მოვიხსენიებდით, უპირველესად მხედველობაში გვქონდა აქ დაცული საგანძუროს რამდენჯერმე გაძარცვა სწორედ ეგზარქოსობის დროს. ამ გაძარ-ცვების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: 1) საქართველოს საეგზარქოსოს მმართველობა და სასამართლო-საპოლიციო დაწესებულებები არასოდეს არ იყ-ვნენ მონდომებული გაძარცვის ფაქტის გახსნით, 2) საეგზარ-ქოსოს მესვეურები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ საგანძუროს საიმედო დაცვას, პირიქით, ისინი ხშირად მძარცველთა ხელშემ-

წყობად გამოდიოდნენ, 3) 1859 წლის 19 მაისს ხახულის ღმრთის-მშობლის ხატის გაძარცვასთან ერთად გელათის მონასტრიდან გატაცებული იქნა და სამუდამოდ დაკარგული 13 დასახელების ძვირფასი ნივთი, 5) ჩვენს მიერ უარყოფილია ის პრალდებები, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი და მაღალჩინოსანი უყენებდა გელათის მონასტრის კრებულს და გაბრიელ ეპისკოპოსს საგან-ძურის უგულოდ მოვლა-პატრონობაში, ასევე უარყოფილია ქუთაისის გუბერნატორ ვ. ლევაშოვის მონაწილეობა ხახულის ხატის 1859 წლის 19 მაისის გაძარცვაში, 6) შედარებით დაწვრილებითაა შესწავლილი მონასტრის 1904 წლის 19 ივლისის გაძარცვა, 7) პირველადაა შესწავლილი ეგზარქოსობის დროს გელათის მონასტრიდან ბიჭვინთის ღმრთისმოობლის ხატის ბიჭვინთაში გადატანის ორი მცდელობა. გამოაშკარავებულია ამ იდეის ნამდვილი ავტორები და აღნიშნულია ის აქტიური პოზიცია, რომელიც იმ დროს იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობამ დაიკავა.

გელათის საგანძუროს შესწავლასთან ერთად გამოკვლეული იქნა მონასტრის ცალკეული სიძველეების, ძირითადად ხელნაწერების მეცნიერული კვლევის ისტორიის დღემდე უცნობი, ან ნაკლებად ცნობილი ფაქტები, დადგენილია მონასტრიდან ხელნაწერების ნაღების მოტივები და ნუსხა, აღნიშნულია გაბრიელ ეპისკოპოსის განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა გელათში ჩამოსულ მკვლევარ-მეცნიერებისადმი და სხვ.

ეგზარქოსობის დროინდელი გელათის მონასტრის შესწავლასთან ერთად ნაშრომის პირველ თავში შეძლებისდაგვარადაა შესწავლილი და ნარმოჩინებული „გელათის ქვეყნის“ 30-მდე ისტორიული ძეგლი, რომელთაგან ზოგიერთი პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო ბრუნვაში.

საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917 წ.) გელათის მონასტერში ახალი ცხოვრება დაიწყო, რომელიც სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა. 1921 წლის თებერვალში საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსულმა ბოლშევიკებმა 1923 წლის ივნისში მონასტრის ლიკვიდაცია მოახდინეს.

## დანართი

საარქივო დოკუმენტები



**გელათის მონასტრის ქონების  
1842 წლის აღწერილობა  
(არასრული)**

აღნერა

გაენათის მონასტრის ნივთთა და სამკაულთა შემოწმებითურთ იმა სიისამებრ რომლისამებრც იღუმენ სიმეონს პოლიციის ჩინოვნიკის თანდასწრებით მიუღია ჩვენებითა შესწავებაში ნაკლულევანებისაცა პირისპირ იმა სიისა აღმოსჩნდა.

ქმნილი ჩყმბ-სა წელსა იაზრის იე-სა დღესა.

№	ნოდება ნივთთა და სამკაულთა სიისამებრ იღუმნის სიმეონისაგან მიღებულთა პოლიციის ჩინოვნიკისა თანა.	შესწავება თუ რაჯსა დააკლდა პირისპირ სიისა
1	2	3
1	<p>მარჯვნივ კერძო კანკელისა არიან დასვენებულნი ხატნი</p> <p>ხატი ერთი გელათის ღუთისმშობლისა სიმაღლით ათსა, და სიფართოვით რვა გრედმდე ბუდე-სა შინა კარებიანსა, ხატი სრულიად აღსავსე არს წ-თა ნაწილებთა რომელნიცა ასვენიან ბუდეთა შინა, ზევითი ფიცარი რომელიცა წარმოადგენს ხატსა, არს ოქროსი, ხოლო ძირის ფიცარი და ყდები არიან ვერცხლისა, ბუდე და კარები არის ვერცხლით შეჭედილი, რომელიცა არს მოოქროვილი გარდა ბუდის ქვეით ნაწილისა ბუდე არის სიმაღლით ორი ადლი, წინაშე მისსა არის მომცროვეცხლის კანდელი სამის სასანთლის ადგილით.</p>	<p>ა-დ ამ ნაწილებთაგან ერთს უჯრაშინანილი სრულად არ არისშეორები არა სავსებთ არს გარნა განცხადებასა-ებრ წინამზღვრებთა და კრებულთა ეს, ხატი და ხაზი-ლები სწორეთ ამ სახით მიბარებია კრებულის თან დასწრებით იღუმენს სი-მეონს ბ-დ ამ ხატის პირზე აღწერებისაებრ არა ინიშვნის</p>

1	2	3
		<p>თვალმარგალიტი, რომლითაც ისი არს საკ-მაოდ მოოქვი-ლი, ხოლო ან განხილვისამებრ აღმოსჩნდა რომ აქლია მას სამი თვალი და ორი მსხვილი მარგა-რიტი, რომელიცა ამოცვენილი სჩანს და გამ ხატის წინ რომ სამ სასანთლი-ანი ვეცხლის კანდელი ინიშუ-ნის პირველს აღწერილობაში, ის კანკელი გან-სვენებულს ან იმა მონასტრის არხიმანდრიტს ნიკოლოზს და-ურლვევნებია და ჯვარი მოუჭედია რომელიც ახლად შეძენილს სიაში პირველ მუხლად ინიშნება.</p>
2	ხატი მაცხოვრისა სიმაღლით ორი ადლი, შეჭე-დილი გარემოით ვეცხლითა მოოქროვილი, გვირ-გვიხში უსხედს სამი უბრალო ქვა.	
3		<p>ხატი ღუთისმშობლისა ყოველთა სნეულთა მკურნალისა, სიმაღლით ორი ადლი და სამი ჩარე-ქი შეჭედილი გარეშემო მოოქროვილი ვეცხლით, გვირგვინები ღუთისმშობლისა და ძირი ორს რი-გად და შესამოსელი ერთს რიგად არის შემოვ-ლებული წვრილის მარგალიტით, რომლისაგანაც მრავალი დასცვენია, გვირგვინს ქვეშ ღვთის-მშობლისა შუბლზედ ნითელი იაგუნდი არა მცი-</p>

1	2	3
	<p>რე სხვათა და სხვათა ადგილთა ზედა არის ცხრა არა ძვირფასი ქვა.</p> <p><b>მარცხენით კერძო კანკლისა</b></p>	
4	<p>ხატი ხახულისა ღუთისმშობლისა დახატული ლუკა მახარებელისაგან ფიცარსა ზ-ა ბავისასა, რომელსა შინა მწოლარე იყო პირველ საუკუნო ყრმა, სიმაღლით არის ათი და სივრცით რვა გრედ- მდე, ასვენია ბუდესა შ-ა კარებიანსა, სრულიად ხატის ბუდე და კარები არის შექედილი ოქროთი ფრიად მდიდრად შემკული სხუა და სხუა ადგილ- თა ზ-ა ძვირფასის დიდორონის საშუალის დაწვრი- ლის ქვებითა და მარგარიტითა მსხვილითა და საშვალითა ხუთს ადგილსა ბუდისასა ასვენია წმინდათ ნანილები რომელთა ზ-ა არს ოქროსი ვარდები, ბუდე სიმაღლით არს ორს ადლამდე, მას წინაშე არის ოთხეუთხიანი ოქროს ფიცარი სი- მაღლით და სივრცით სამ გრე ნახევარი, მას ზ-ა არის გამოხატული ოთხი ხატი, მაცხოვრისა, ღუ- თისმშობლისა ნათლისმცემელისა და მთვარან- გელოსისა, რომელიცა არის შემკული სხუა და სხუა ძვირფასის ქვებითა და მარგარიტითა ხატსა ზედა არის დამოკიდებული ოქროს შარნა ორი დიდი და მცირე ცხრა, ექვსი ბეჭედი, სამი საყუ- რე, ხატის წინაშე არის დამოკიდებული კანდელი ოქროსი, ექვსის არა დიდოროვანის მოხროლის სა- სანთლებითა, ზევით თავზე რგოლს ქვეშე უზის ერთი იაგუნდი მოწითლო ღურჯი და ერთი ზურ- მუხტი ითხევუთხიანები, კიდევ მის წინაშე არის კანდელი არა დიდი ვეცხლისა.</p>	
5	<p>ხატი აწყურისლვთისმშობლისა, კნინღა იმ სი- დიდევე და კარებიანს ბუდეშივე რომელსაცა თა- ვი აქუს მომრგვალებული ხატი არის შექედილი ოქროთი შემკული იაგუნდებით ზურმუხტებით და ფირუზებით ბუდე და კარები არის შექედილი მოოქროვილის ვეცხლით, ბუდის თავში უსხედს ფირუზები.</p>	
6	<p>ხატი მაცხოვრისა, სიმაღლით ორს ადლადმდე შექედილი ვეცხლითა, მოოქროვილი, გვირგვინ-</p>	

1	2	3
	ში ხუთი ქვა უზის უბრალო მის წინაშე მდგომარეობს ხატი ღირსისა გერასიმესი ლომზედ შჯდომარესი, მრგვალს ვეცხლის ფიცარზედ, რომელიც იქმნება ხუთს გრედმდე.	
7	ხატი ღვთისმშობლისა სიმაღლით ხუთს გრედმდე და სივრცით ოთხს გრედმდე შეჭედილი ოქროთი, გვირგვინში უსხედს ექვსი არა დიდი იაგუნდი და შვიდი ფირუზი, უკანა მხარეზედ და ყდებზედ არის შეჭედილი ვეცხლით.	
8	ხატი ღვთისმშობლისა სიმაღლით ოთხს გრედზედ ცოტა მეტი და სივრცით სამი გრე, ვეცხლით შეჭედილი ზედა მხარე არს მოოქროვილი, უსხედს რაოდენიმე სხუა და სხუა ქვები და ერთი დიდი მარგალიტი.	
9	ხატი ღუთისმშობლისა ამაზედ მცირე ეგრეთვე ვეცხლით შეჭედილი, გვირგვინში უსხედს სამი ქვა ვგონებ უბრალოები და ერთი არა დიდი მარგალიტი.	
10	ხატი წმიდის გიორგის უნეზედ მჯდომარე სიმაღლით რვა და სივრცით ექვსი გრე, ვეცხლით შეჭედილი, რომელსაც უსხენან ადგილ-ადგილ ქვები ვგონებ არა ძვირფასი.	
11	ხატი მაცხოვრისა სიმაღლით რვა გრედზედ ცოტად მეტი და სივრცით ექვსი გრე, ოქროთი შეჭედილი და დაძველებული.	
12	ჯვარი დროშის მსვავსი ვეცხლისა მოოქროვილირმელიცა წარისვეხების ხინაშე მღვდელმთავრისა უამსა ეპარხის მიმოვლისასა, ხელსაჭერიაქუს ხისა სამ მუხლიანი ვეცხლით შეჭედილი.	
13	ხომლი ჩამოსაშვები საშუალ ეკელესისა, ცხრას მოხრილის სასანთლით ვეცხლისა.	
14	კანკელს წინ არა დიდი ვეცხლის კანდელი, სამის სანთლის ადგილით.	

1	2	3
15	სააიაზმე თავისის თავსახურავით ვეცხლისა, არა დიდი რომელიცა კანკელისა წინაშე სდგას ნაკურთხის წყლით.	
16	<b>საკურთხეველსა შინა</b> მაღალსა ადგილს წინაშე ვეცხლის ხომლი, რვას მოხრილის სანთლებით.	ამა ხომლსა ერთი მუხლი სასამთლე სიძველისა გამო და სანთლის ნთებისა დამდნარა და დაძველებულა.
17	ბარძიმი, ფეშუმი, ვარსკვლავი და კოვზი საშუალოს სიდიდისა ოქროსი და მდუღარების მცირე ჭურჭელი ოქროსივე, რომლისათვის პირზე ჩამოუჭრიათ და ორი მომცრო თებში ვეცხლისა, რომელთა აქუსთ პირზე მოოჭვილი და მოოქროვილი.	
18	ორი ბარძიმნი, ფეშუმნი კამარა და კოვზი ერთი რუსული და მეორე იმერული ოქროთი დაფერილი და მესამე ბარძიმი ვეცხლისა და სასებისკვერე ჯამი	
19	ორი ჭურჭელი ანუ სურა საზედაშე სირმისა ვეცხლის ძირებით და მაღლის ხელითა.	
20	კიდევ ორი ჭურჭელი იმაზედ უმცირესი ვეცხლისა ხელის მოსაკიდებით, რომელიცა ქონდა ყ-დ სამლვდელოს და ვგონებ ერთი კიდეც დაკარგულ არს ქურდისაგან.	
21	ორი ტაკუკი ვეცხლისა.	
22	ორი ჯვარი ტრაპეზისა მოჭედილი და მოოქროვილი ვეცხლისა ტარებიანი.	
23	სანაწილე ვეცხლისა საშუალო სიდიდისა მოოქროვილი.	
24	სახარება ორი ეტრატისა გარეთ ყდები მოჭედილი ვეცხლით და დაფერილი ოქროთი.	

1	2	3
25	ოთხი სერაბინ ქერაბიმი ვეცხლისა ხის ტარიანი.	
26	ორი საცეცხური და ერთი სასაკმევლე ვეცხლი-სანი.	
27	ორი შანდალი ვეცხლისანი.	
28	ჯვარის სასანთლეუბი ვეცხლისა მომცრო.	
29	სამღვდელმთავრო მიტრა სულ ერთიან ნაკე-რი მარგარიტით წვრილით და საშუალოთი, რო-მელშიაც გარეშემო უსხედს ხატი რვა მოგრძე და ზევით რვა ხატი მრგვალი იმაზედ მომცროები პქროს ფინიკტისა დაის ბევრი სხუა დასხუა და მათ შორის მსხვილი ძვირფასი ქვები უსხედს და ორი ალმასი ერთი მაცხოვრის ხატს ზეით და მე-ორუ ღუთისშობლის ხატს ზეით და ოცდაოთხი წვრილი ოქროს სერაფიმები, მიტრა ესე ვგონებ იყოს ჩინებულის ფასისა, მაგრამ არის შეკერილი კუნკულის მსგავსად.	
30	სამღვდელმთავრო ჯოხი ხისა ბალადი და სა-დაფი შენებული თავი და ბუშტები აქვს ძვლისა, რომელიც ყ-დ სამღვდელოს აქუს.	
31	ბისონები ოთხი, და ომფორი ერთი, რომელიც დაურღვევია ნიკოლოზ არხიმანდრიტს, რომლი-საგან გაუკეთებია ორი ფილონი და ორი სტიხარი ხოლო ამა ზემო აღწერილთა ბისონთა ქონებია თოთხმეტი ოქროს ღილი, ორი მარგალიტის ღილი და ექვსი ვეცხლისა და ფერილი, მესამე ბისონის ნაქონი ღილი თოთხმეტი ვეცხლისა დაფერილი.	ამ მუხლში აღ-ნიშნულს სამკა-ულთაგან ერთი სტიხარი სიძველისაგამო აღარ ვარგა
32	საბუხრეები მარგალიტით ნაკერი შავს ხავერ-დზედ, დიალ კარგები, რომელიც ყ-დ სამღვდე-ლოს აქუს.	ეს საბუხრეები ქუთაისს სობორში არიან
33	სარტყელი ოქრომკედით და აბრეშუმით ნაკე-რი ბალთები აქუს ვერცხლისა მოქროვილი, შუ-აზედ არის ხატი პეტრე მოციქულისა, ოქროს ფი-ნიკდით, დიალ ბევრი ქვები უსხედს რომელნიცა ზონგი არიან ძვირფასი და ზოგი უბრალოები , რომელიც ყ-დ სამღვდელოს აქვს.	ეს სარტყელი ოქრომკედით ნაკერი ქუთაისს სობოროში არის.

1	2	3
34	ომფორი დიდი ბადრიჯანის ფერისა ატლასის გახუნებული მას ზედა ჯვრები და სერაბიმები, არის ნაკერი წვრილის მარგალიტითა, რომელთა შორის ზოგს უსხედს ქვებიცა	
35	ოლარი ყვითლის და თეთრის ოქრომკედით ნაკერი ენქერი ყვითლით და თეთრით ოქრომკედით ნაკერი და აბრეშუმით.	
36	ორი საყდრის საყოფი დაფარნები ოქრომკედით და აბრეშუმით ნაკერი.	
37	მანტია მწვანის ჩიჩილაგისა ზევით ტერფებზედ აქუს ოქრომკედით ნაკერი ჯვრები ოთხი ვეცხლისა ღილი აკერია, რომელიც ყ-დ სამღვდელოს აქუს.  ამ ზემო აღწერილს სიებს გარდა ჩყკ-ის წლის შემდგომად შემატებულნი და შეწირულნი ქრისტიანეთა კაცთა მიერ ნივთნი	ეს მანტია ქუთაისს სობოროში არის
1	ერთი ჯვარი დიდი კვიპროსისა ტრაპეზის, მოჭედილი ფრიად კარგის ხელოვნებითა და მოჭედილი ვეცხლითა, რომლისათვის დაურღვევია მამა არხიმანდრიტს ნიკოლოზს კანდელი და იმა ვეცხლითა მოუჭედია, რომელსაც აქუს შვიდი ოქროს ღილი დაჭრილის ბისონისა უსხედს მასვე ჯვარსა რცდათორმეტი თვლები, რომელიმე მცირე და რომელიმე დიდი, იაგუნდისა ზურმუხტისა და ლალისა	ჯვარსა ამას სისამებრ... თულები ა-დ მხოლოდ გამზა-დებუ-ლი ჩასასვე-ნებლად და რომლებიც თვა-ლად არიან
2	სახარება ეტრატზედ დაწერილი და ყოველს ფურცელში ყოველივე მოქმედება ოქროს ვარაყით დახატული ჩყკ-ში მოჭედილ არს სრულიად ფიცრები, რომელსა ზ-ა არს ოცდახუთი თვლები, იაგუნდისა ზურმუხტისა და ფირუზისა და ერთი დიდის მარაგლიტისა, ეკკლესიის კუთვნილით თვლებითა და ვეცხლითა	
3	ორი ოქროს ბეჭედი, ერთი გელათის ღუთის-მშობელს კიდია და მეორე ხახულის ღუთის-მშობლისა	

1	2	3
4	ერთი დიდი ოქროს ხახულისა ღუთისმშობელს კიდია მარგარიტის ჯაჭვითა.	
5	ორი სტოფის ფილონი დაძველებული შენირული რუსისა მიერ.	
6	ერთი კრეტსაბმელი სტოფისა.	
7	ხის სანაწილე მოჭრილი და მოხატული, რომელსა შინა არის ნაწილი მრავალნი.	
8	გარდამოხსნა პატარა ტილოსი.	
9	ერთი ქართული თვენი ჟავნი.	
10	ერთი წყვილი დაფარნები ფარჩისა.	
11	ერთი სარტყელი შეკერილი ოქროსმკედითა, თავებში მოჭედილი ვეცხლით და მოოქროვილი და თვლებით შემკული და ერთი დიდი მარგარიტი ვეცხლის ჯაჭვით კიდია.	
12	ერთი ოქროს სანაწილე რომელშიდაც არის ქრისტეს სუდრის ნაჭერი და ნათლისმცემლის ჩოხის ძაფი და აქუს ვეცხლის ჯაჭვი.	ამ სანაწილე-ში არიან არი ნაჭერი ხელით ნაჟღლები ტილოს მსგავსნი მესამე მცირე შალის ნაჭერი და მეოთხე შავი მორგვალებული ძნელად განსარჩევი თუ რა არის
13	ხატი გულსაკიდი წ-დის გიორგისა მრგვალს ბუდეში ვეცხლისაში მოოქროვილი და ვგონებ ნაწილები არის შიდ.	
14	ერთი ჯვარი გამოყვანილი სრულიად ვეცხლისა, რომელსა შინა არს საეჭოდ ნაწილი.	
15	დავით აღმაშენებელის საცერე ოქროსი, რომელსა ზედა არის წ-დის გიორგის სახე.	

1	2	3
16	<p>ვეცხლის კოლოფი მოოქროვილი, ხატებიანი, თვინიერ თავსახურავისა, რომელშიდაც არის მდებარე დამტვრეული ვეცხლის ჯვარი მოოქროვილი შუაში ჩასმული არის ბროლი და ერთი დიდი თვალი მტრედისფერი იაკინთისა და თხუთმეტი მოყვითლო ქვა ლალი, ამას გარდა არის ბევრი სხუა და სხუა ქვები და ვეცხლის ნაგლეჯები, ერთი ოქროს ლილი, ოთხი ოქროს ბეჭედი და ერთი მარგარიტის ლილი</p>	
17	<p>ერთი პატარა სანაწილე ვეცხლისა და ერთი ძელი პანალია ვეცხლისა ჯაჭვი აქუს ვეცხლისა-ვე დაგლეჯილი</p>	
18	<p>ორი ძაბრი თოქმა ვეცხლისა თათრული ორი თუთბრის სასანთლე და ერთი ფადნოზი ორი იმერული ქვაბი დიდროვანი და ორი პატროვანი ერთი პატარა საოდეკ ქვაბი თავსახურავით, ორი ტაფა ერთი ტაშტი და ერთი თუხვი.</p>	
19	<p>ერთი დიდი ძელი ქვაბი ყოფილა, რომლისაგან გარდაქმნილ არს, ორი დიდი ქვაბი ფსკერ ვაკე ორი მოღიდი კარსრუჟა თავსახურიანი, ერთი სპილენძის ფლავის--სანური და ერთი დიდი ტაშტი.</p>	
20	<p>ერთი ჯვარი ვეცხლისა რუსეთიდგან ჩამოტანილი ჯვარცმა ფინიკტე დახატული შემონირული ნიკო ბატონიშვილისაგან.</p> <p>ამ ზემო აღნერილის სიისამებრ მივიბარე გაენა-თის არხიმანდრიტმა ეფთვიმემ.</p> <p>ამ ზემო აღნერილის სიისამებრ მივიბარე ვანის ილუმენმა სიმეონმა.</p>	<p>ჯვარი ესე ქუთა-ისს სობოროში არის</p>
21	<p>ჩაწერილ არს მიღებულნი წარმოწერილობისა-თანა საქართველოს ექსარხოსის არხიეპისკოპო-სის ევგენიოსის კა-თებერვლიდამ ჩყმბ წლისა  №595 შემდგარის სახელსა ზ-ა გაენათის არხიმან-დრიტის ეფთომესა და იმერეთის საეპარხიო კანცე-ლარიის სეკრეტარის ბესარიონ ლოლობერიძისა მდინარე და გარდასაფარებელი დანაშთენი შ-დ</p>	

1	2	3
	<p>გარდაცვალებისა სანკტპეტერბურლსა შ-ა ით მარტს ჩემა წელს იმერეთის დედოფლის მარიამ კაციას ასულისა წარმოგზავნილნი დასაცველად გაენათის ღვთისმშობლის შობის მონასტერსა შ-ა უმაღლესის ნებით, რლ-ნიც არიან ოქრომკედის გლაზეთისანი და პლ-სა მათგანსა მანტიასა აქვს გარემოვლებული ყარყუმის ბენვი, ხოლო გარდა- საფარებელს გარშემო ყარყუმისვე ბენვი და ამას- თან ირგვლივ და შუაზედ ჯვრებათ დაფარებულ- ნი ოქრომკედის ბრუზუმენტები და ოთხის კი- დებზედ დიდროვანის ოქრომკედის ფუნჯებით. გაენათის არხიმანდრიტი ეფთვიმი.</p> <p>ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს 1958 ფ. 46-49</p>	

### აღნერა

ნივთთა საეკკლესიო სამკაულისა და შესამოსლისა იმერეთ-ში ყოფილი კატალიკოსთაგან შემოწმებითურთ იმა სიისამებრ რომლისამებრცა იღუმენს სიმეონს პოლიციის ჩინოვნიკის თან-დასწრებით მიუღია ჩვენებითა შესწავებაში ნაკლულევანებანი, რადცა პირისპირ იმა სიისა აღმოსჩნდა. ქმნილი ჩყმბ-სა წელსა იანვრის იე-სა დღეს.

1

ჯვარი ოქროსი დროშის მსგავსი წინ სატა-  
რებელი სამწყსოში მიმოსვლის დროს, რომელ-  
საცა აქცს შუაზედ გამოსახული ჯვარცმა,  
და ბოლოებზედ მრგვალი ხატები, ზეითგან  
მაცხოვრისა მხრებზედ ღუთისმშობლისა და წი-  
ნამორბედისა ქვემოთ ნიკოლაოზ სასწაულთმოქ-  
მედისა, ჯვარცმის გარშემო არის მოვლებული  
ორმოცდათორმეტი მარგარიტი, რომელშიაც  
ურევია ორი საქმაოდ მოდიდო მარცვლები, და  
სხვები კი არიან საშუალონი, ორი ლალი დიდ-  
როვანი, რომელთაგანიც ერთი ფრიად მდაბალი  
დარჩეს ცხრა იაგუნდი და თერთმეტი ფირუზი  
არა ძალიან დიდროვანები, ჯვარის ქვეშე ბუშტი  
ოქროსივე ზედ წარწერილი და ამ ბუშტის ქვეშ  
ოთხ კუთხად გაკეთებული ყუთსავით ზევით

1	2	3
	<p>ბუშტამდის ოთხ კუთხადვე მორგვალებული ოქ- როსივე, რომელზედაც არს რვა გამობერილი ხატები, და ესე ყოველივე კუთხები მისი არის გარ- შემოვლებული მავთულზედ ასხმულის საშუალის სიდიდის მექონის მარგალიტებითა, რომელსაც რომელსამე ადგილებში აკლია და იმაზედ უსხედს ორმოცდაათი მსხვილი და წვრილი სხუა და სხუა ქვებირომელთა შინაც ურევია უბრალოებიცა, შუ- აზედ აქუს ლულა ვეცხლისა და ამ ოთხ კუთხიდამ არის დაწყებული ტარი ვეცხლის ლულითვე ხუთ მუხლიანი ხუთის ბუშტებითა, რომელიცა არის ასასხმელი ხეზედ და ესენი არიან ვეცხლის ოქრო- თი დაფურილი.</p>	
2	<p>ბარძიმი ოქროსი სიმაღლით ნახევარი ადლი, რო- მელშიდაც ჯამის პირზედ ერთს რიგზედ და ხელ- საჭერს ტარზედ ორს ადგილს აქვს შემოვლებული მაგთულზედ ასხმული საშუალი მარგალიტი, ამა ყოველსავე ზედ არს ბუდეში ჩასხმული ლალები და ფირუზები წვრილი და მსხვილი და უმფრო მო- მატებით წვრილი, რომლისაც არც ერთი ბუდე არ არის ცალიერი ქვეშ აქუს ვეცხლის გრგოლი ზედა წარწერითურთ, რომელიცა ინიშნავს წონით ორასოცდაშვიდსა და ნახევარსა დრამსა, ესე იგი ორასთერთმეტ მისხალსა</p>	
3	<p>ფეშუმი ოქროსი წყლტე რომელიცა არის წო- ნით ას ცხრამეტი დრამი, ესე იგი სამოცდაცხრა- მეტი და ნახევარი მისხალი.</p>	
4	<p>კამარა ოქროსი თავზედ აქვს ჯვარი ოქროსა- ვე, რომელსაც უზის ორი ქვა წვრილები და თვით კამარაზედ ასხედს თორმეტი ქვა რობელთაგანიც ექვსი არის ფირუზი ძალიან მდაბლები, და ექვსი გავს, რომ უბრალო ქვები.</p>	
5	<p>კოვზი ოქროსი, რომელისაც ხატი არის წვრი- ლის ფირუზებითა და ლალებითა მოოჭვილი, რა- ოდენიმე ბუდეები აქვს ცალიერი და ბოლოზედ აქვს ფირუზის ფინიკიტი.</p>	

1	2	3
6	<p>სანაწილე ოქროსი გულზედ საკიდი, რომელშიაც აწყვიინანილნი წ-თა მონამეთანი, და ნაწილაკი სამსჭულისა უფლისა, ზემოთ ფიცარზე არის გამოსახული ჯვარცმა წინამდგომარეობითურთ და ქუემოთ ზედ სამი ანგელოსნი და ნათლისმცემელი, ყოველისავე მხრითგან არს მოოჭვილი სხუა და სხუითა არა ძალიან კარგის თვლებითა და საშუალოს სიდიდის მექონის მარგარიტით აქუს ცარიელი ადგილები თორმეტი და აქუს ოქროს ჯაჭვი.</p>	<p>ეს ოქროს სანაწილე განსვენებულს ქუთათელ მიტროპოლიტს ჰქონდა და მის გაყვანაზე დაიკარგა</p>
7	<p>პანალია დიდი ვეცხლისა ოქროში ცვრეული, ფინიკტი ხატი უზის ქრისტეს აღდგომისა, გარეშემოვლებული ორს რიგზედ მარგარიტითა, შიგნითი რიგი მომსხოოთ და მეორე საშუალითა ამთავგანში პირველში უზის ოთხი წვლილი ლალი ბუდეებში, მას ზედა არის გვირგვინი სამ გრგოლიანი, რომელთაცა უსხედს თითო დიდროანი მარგარიტი მოოჭვილი წვრილის მარგარიტებითა ამ გრგოლებს შუა ორი მარგარიტი, საშუალი მაფთულზედ გაკეთებული და მათ ქუეშ ბუდეებში ჩასმული ხუთი მარგარიტი, რომელშიაც არის ოთხი ლალი ბუდეებში საშუალს გრგოლზედ აქუს ერთი ლალი ბუდეებში ჩასმული და მას ზედა ჯვარი, ქუემოთ ჰკიდია სამი ბოლო, რომელსაც აქუს თვითოს სამ სამი მარგარიტი, ქუემოთი სამი მარცვალი საკმაოდ დიდროვანები, ამას არა აქვს ჯაჭვი.</p>	<p>პანალია ესექუთაისს სობოროში არის</p>
8	<p>პანალია პატარა ვეცხლისა ოქროთი დაფერილი მას ზედა ხატი ფინიკტისა წ-დის ნათლისმცემლისა ამას გარეშე ერთს რიგზედ აკლია მომსხო მარგარიტი ოცდაოთხი მარცვალი, ამათში არის ოთხი ლალი, მეორეს რიგზედ ავლია ლალები არა დიდროვანები მსხდომარე ბუდეებში, ამას ზედა არის გვირგვინი პატარას ჯვარითურთ, რომელსაც უსხედს ცამეტი წვლილი ქვა და ოცდაშვიდი წვრილი მარგალიტი, ძირს ჰკიდია ორი მარგარიტი ერთი მოდიდო და მეორე საშუალი, ერთი დაკიდებული ბოლო აკლია, ამას აქუს ვეცხლის ჯაჭვი.</p>	<p>პანალია ესექუთაისს სობოროში არის</p>

1	2	3
9	<p>მიტრა ახალი წარმოგზავნილი რუსეთიდებან განსუენებულის კატალიკოზის მაქსიმესაგან, სრულებით ესე მიტრა მომჭვილი არს სხუა და სხუა ზომის მექონის მარგარიტებითა, ამას ზედა არის ჯვარი შედგენილი თექვსმეტის ბრილიანტისაგან, რომელიცა არის მჭვირულად ჩასხმული, ჯვარის ქუეშ არის დიდი ქვა სვილანი შავ-წითლის ფერისა, როგორც ეს ეგრეთვე ოთხი ფინიკტის ხატი არა ძალიან დიდიროანი, რომელიცა სხედს ამა მიტრაზედ გარშემოვლებულ არიან საკმაოდ მომსხოს მარგარიტითა, მასზედვე უსხედს წითელი სხუა და სხუა ზომისა თლილი იაგუნდი ვეცხლის ოქროთ დაფერილს ბუდეებში ას სამოცდათორმეტი, და სახელდობ გადაჯვარიდინებულზედ ოცდარვა ამის კუთხეებში, ოთხი ოთხის ხატის გარეშემო ოცდათორმეტი, ხატებს ქუეშ მიტრის გარეშემო ექვსი გვირგვინი შედგენილი იაგუნდის და მარგარიტისაგან რომელიცა უსხედს ბუდეებში ყოველსავე ამა გვირგვინებში სხედს ორმოცდათორმეტი იაგუნდი და გვირგვინებს ქუეშ ექვსი ნაპირზედ ორ რიგად შემოვლებულს მარგარიტს შუა უსხედს სიმრგვლივ იაგუნდები რიცხვით ორმოცდარვა, ხოლო სრულებით იაგუნდი არის ასასამოცდათორმეტი გვირგვინებში აკლია სამი მარგარიტი.</p>	მიტრა ესე ქუთაისს სობოროში არის
10	<p>მიტრა ნაკერი სხუა დასხუა გვარის მარგარიტითა წითელს ხავერდზედ წარმოგზავნილი ეგრეთვე რუსეთიდებან მისვე განსვენებულის კატალიკოზისაგან ჯვარი რომელიცა ჰქონია თავზედ დავარგულა, როდესაც მოუტაცნია იგი გზაზედ ოსებს, რომელთაც რომელსამე ადგილებში მარგარიტი მოურღვევიათ, იმ მიტრაზედ არის ყვითელი იაგუნდი და დაუღლილი მოდიდო, რომელშიაც მჯდარა ჯვარი, ეგრეთვე ოთხი ფინიკტის ხატი. ვეცხლისა ოქროთ დაფერილს ბუდეებში მსხდომარე და ოთხი სერაფიმი. უბუდოდ ამა ხატებს შუა ოთხი და ნაპირზედ მარგარიტით ნაკერს შარავანდედებს ქუეშე ოცდაექვსი მწვანე ქვა ვეცხლის ოქროთ დაფერილს ბუდეში.</p>	
11	<p>მიტრა ძველი გვირგვინის მსგავსი ექვსის დიდროვანის ნაპირზიდამ დაწყებულის შარავანდე-</p>	

1	2	3
	<p>დებითა რომელნიც არიან ნაკერნი სახედ ოქ-რომკედითა და აბრეშუმითა, სხუა და სხუა ადგი-ლებში ტანისამოსები ნაკერი არის წვრილის მარ-გარიტითა, რომლის ნაკერითაც თვით იგი მიტრა არის შედგენილი, რომელიც როგორც ესე ეგრეთ-ვე შარავანდედები მრავალს ადგილებში მოოჭვი-ლი არის სხუადასხუა გვარითა ქვებითა ოქროს ბუდებში, და უსხედს ეგრეთ არა მცირედ საშუ-ალი მარგარიტები, ამ შარავანდედებს უკანიდამ აკრავს გათხელებული ოქროს თუნუქა, ამ მიტ-რაზედ არის ერთი და შარავანდედებზედ ექვსი მომცრო ჯვარები ოქროსი წვრილის ქვებით მო-ოჭვილი, ოთხსავე მათს კუთხეზედ ასხმულია ვეცხლის მაფთულზედ სხუა და სხუა ქვები, და რომელსამე ზედა მარგარიტებიცა.</p>	
12	<p>ჯვარი რომელიცა აკერია შავს ბარტყულაზედ, არის შედგენილი სხუა და სხიუა გვარის თორ-მეტის მოდიდროვანის და საშუალოს ოქროს ბუდებში მსხდომარის ქვებისაგან, რომელთა-განიცა არის ერთი ლურჯი და ოთხი წითელი ია-გუნდი, ხუთი ფირუზი და ორი ლალი, ესე ჯვარი არის მოოჭვილი საშუალის მარგარიტითა, და შე-საფერს ადგილებში უსხედს თუთხმეტი მარცვა-ლი ძალიან მომსხო მარგარიტი.</p>	
13	<p>ორი სერაბიმი დაკერებულები ბარტყულის ურებზედ, რომელთაცა პირის სახეები არის მოოჭვილები ძალიან წვრილის მარგარიტით, და იმაში სამ სამი წვრილ წვრილი ქვები, რომელიც სხედს ბუდებში და ფრთხებიც აქუსთ ნაკერი საშუ-ალის მარგარიტათავე.</p>	
14	<p>კვალად ორი სერაბიმი ახლები, მომცროები ზე-მო ხსენებულებზედ რომელთაცა პირის სახეები არის დახატული და ფრთხები კი ნაკერი წვრილის მარგალიტითა</p>	
15	<p>ოლარი ნაკერი შავს ატლასზედ კილიტებითა, რომელსაც არშიერები, ექვსი ჯვარი და ექვსი სე-რაბიმა არის ნაკერი საშუალოს და წვრილის მარ-გარიტითა, ქუემოთ ფუნჯებზედ ოცდათორმეტი</p>	

1	2	3
16	გრგოლი არა დიდროვანები, რომელნიც არიან ასხმულნი დიალ წვრილის მარგალიტითა.	ამ თექვსმეტს მუხლსა შინა აღნიშნულ სარტყელს ერთს ადგილას ასაძმოდათვრამეტი და მეორეზედ ოთხმოცდაშვიდი მარცვალი საკმაოდ მომსხო მარგარიტი
17	სარტყელი ნაკერი არა ძალიან წვრილით და საკმაოდ კარგის მარგალიტით, რომელსაც შესაკრავი ბალთები არის ოქროსი და აქუს ოქროსივე ჯაჭვი და შესაკრავი ჩხირი, გარეშემო ერთს ბალთსა აქუს მოვლებული ოქროს მავთულზედ ას სამოცდათვრამეტი და მეორეზედ ოთხმოცდაშვიდი მარცვალი საკმაოდ მომსხო მარგარიტი	ამ თექვსმეტს მუხლსა შინა აღნიშნულ სარტყელს ერთს ადგილას ასაძმოდათვრამეტი და მარგალიტი უნდა ყოფილიყო გარნა ან თვალად აღმოსჩნდა ასორმოცდაცხრა, ხოლო გარდა ნარჩენის ანგარიშისაებროცდაცხრისაგან თვალად არის შვიდი, რომლითაც რომ დაგამსგავსეთ ამოცვენილი ადგილები შეივსება, ხოლო ოცდაორი არც თვალად არის და არც ამოცვენილი სჩანს განცხადებისამებრ ნინამძღვრისა და ძმებთა მეტი არ ყოფილა, რადგან დასატევი ადგილიც არ აღმოსჩნდა

1	2	3
	მოცი წვრილი გრგოლი ოქროსი და ორი ნევსი ოქროსივე.	საბუხრებს ორმოცი წვრილი ოქროს გრგოლისაგან ერთი რგოლი აკლია.
18	ენქერი ნაკერი მარგარიტით, ნაპირებზედ და საჩენს ადგილებზედ საშუალოს მარგარიტითა, რომელზედაც არის დაკერებული უბუდოდ ოცდაორი წვრილი ლალი, ერთი ლალი და ოთხი წვრილი ფირუზი კი სხედს ბუდეებში, კუთხეებზედ აბია სამი ფუნჯი წვრილის მარგარიტის, რომლასაგანაცა გვერდებისას აქუს თორმეტთორმეტი და ბოლოს ცხრა ძაფი მარგარიტისა, და ზევით კუთხესა აქუს ოქროს წვრილის ფირუზებით მოაჭვილი ღილი.	ამ მეათურამეტეს მუხლს შინა აღნიშნულს ენქერს თორმეტის გვერდის მარგარიტის ძაფისაგან, ერთი ძაფი აკლია და ორი მცირელალები რომელიც დაკიდებულ ყოფილა.
19	ომფორი დიდი, ნაკერი ოქრომკედით ათნაკეცი და მოოჭვილი ოქრომკედის ნაკერზედ წვრილისა და საშუალისა მარგარიტით, და საჩინო ადგილებში კი მომსხოთი, ბოლოებზედ აბრეშუმის ფუნჯებზედ, აქუს ორმოცდაექვსი გრგოლი თვით წვრილის მარგალიტით ასმული, ეგრეთვე აკერია ამ ომფორს სამი ოქროს ღილი	
20	ბისონი მწვანეს ხავერდზედ ოქროს მკედით ნაკერი სახეების გამოსახულებით, რომელსაცა აქუს სამხრე ნაკერი ტილოზედ, ოქრომკედი თავის წითელს აბრეშუმთან შერეულითა, მას ზედა ასხედს ათი ოქროს ღილი, ორი სპილენძისა ოქროში ცვრეული და ორიც ვეცხლისა	
21	სტიხარი ძველი ყიზილბაშის ფარჩისა (დიბის) რომელსაცა აქუს ქუემოთ გარეშემო ნაკერი იის-ფერის ატლასზე ოქრომკედით და შურდახილები გარდა რომელთამე აქუს ნაკერი წვრილის მარგარიტით, რომელზედაც აკერია უბრალო ქვები და სხედს ვეცხლისა ოქროსა და სპილენძისა ბუდეებში	

1	2	3
22	ქოშები წირვაზედ სახმარებელი მოოჭვილი ოქტომვედით ნაკერზედ წვრილის მარგარიტით, რომელიც არიან ვეცხლის ნალებით დაჭედილები.	
23	ორიანი და სამიანი ჯვარის სასანთლეები ვეცხლისა.	ეს ორიანი და სამიანი სასანთლეები დიდი ხანია დაკარგულა რაზედაცა ცნობილ არს საქართველო იმერეთის სიხოდის კანტორა.
24	ლამპარი ვეცხლისა მღვდელმთავრის წირვაზედ სახმარებელი, რომელსაცა აქუს ძირი ოთავთხი, წონით არის ხუთი გირვანქა და ოცი მისხალი	
25	ხელსაბანი ალთაფა ვეცხლისა ნაკვეთიანი, რომელზედაც სწრია სახელი განსვენებულის კატალიკოზის მაქსიმესი, არის წონით ორი გირვანქა ოთხმოცდაშვიდი მისხალი და ოდაშვიდი დანგი	
26	ხელსაბანი ტაშტი ნაკვეთიანი, რომელიც არის წონით სამი გირვანქა ოთხმოცდათოთხმეტი მისხალი და ოცდაშვიდი დანგი	
27	დიდი შესამოსლის დასაწყობი ვეცხლის სინი ნაკვეთიანი, რომელიც არის წონით ოთხი გირვანქა და ოცდაცხრა მისხალი	ეს დიდი შესამოსლის დასაწყობი ვეცხლის სინი ქუთაისის სობოროში არის
28	ათი ვეცხლისა ოქროთი დაფერილი არა დიდ-როვანი ბუშტები, როგორც სჩანს ყოფილა ფუნჯებზედ გასაყრელი, და თორმეტი ღილი ვეცხლისა არა დიდროვანები	
	<b>ახლად აღმოჩენილი ნივთნი</b>	
1	ალთაფა ვეცხლისა წონით გირვანქა ნახევარი	

1	2	3
